

178 /
1991/2

ISSN 0868-4537



ქართველი
ისტორიკოსთა
ზოგადი საზოგადოება

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

IUS
TBILISI GEORGIA

19917-8

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

- ვაჟა აბაქელია,
- ანგი არსენაშვილი
(კასუხისმგებელი მდივანი),
- გიორგი ნარკვენიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ ბაგრატიონი,
- კულანდ გილიაშვილი,
- ანტონიო დემეტრაშვილი,
- მინდო ქაქელია,
- გიორგი ლევიანიშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან პიტაძე,
- ჯონი ჯალაღანი.

ტექნიკური რედაქტორი
გულნარა გოსიაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვანტაზ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანდრე ბაბიანი, ევდოხი ბენდელიანი, გივი ინჟირველი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნაგარაიშვილი, ნოდარ ნაბიანი, ვანტაზ რაშაძე, ჯურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უზრეველიძე, აკოლონ შალიაშვილი, იაკოვ ფუტაბაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე ურუხაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დილარ ხაბუ-ლიანი, ჯონი ხეცურიანი, სერგო ჯორჯანიანი.



სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 7-8 1991

გამოდის 1926 წლიდან

თბილისი, აგვისტო

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

თეორიის საკითხები

იროდიონ სურგულაძე — სახელმწიფო

2

პრაქტიკა

მიხეილ ქურაძე — დაზარალებულის უფლებების გაფართოების თეორიული საფუძველი და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობანი

37

ზურაბ გოთუა — გაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით

47

გენო კოჭანაშვილი — მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტის განსაზღვრა

55

დოკუმენტები

ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დამატებითი I ოქმი შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ

58

სიხლადი კანონმდებლობაში

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

115

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

120

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში

დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ

123

თბილისის საქალაქო სასამართლოში

საბინაო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ

128

კოლმეცია

ოთარ გამყრელიძე — ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია?

134


ჯამბაკურ ბაქრაძე, დიმიტრი მახარაძე — განმარტება თ. გამყრელიძის სტატიის „ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია?“ შესახებ

136

თვალსაზრისი

ოთარ ზოიძე — ერთი ტერმინის თაობაზე

140



იროდიონ სურგულაძე

სახელმწიფო*


მეთოდი

სახელმწიფო, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლოა განხილულ იქნეს ორი კუთხით. ამგვარი შესაძლებლობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ მოვლენები, რომლებსაც სახელმწიფოს პირობებში ვხვდებით. მათი შინაარსის მიხედვით, ერთმანეთისაგან განცალკევებულ კატეგორიებს განეკუთვნებიან. სახელმწიფო, ერთი მხრაც სოციალურ ძაგუნათა განსაკუთრებული აგრეგატია ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ, სოციალური, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა. აქედან აუცილებელია განსაკუთრებული მეცნიერული დისციპლინის არსებობა, რომელიც სახელმწიფოს სოციალური ბუნების შესწავლას ისახავს მიზნად და რომელსაც, ელინეკთან ერთად, სახელმწიფოს სოციალური მოძღვრება შეიძლება ვუწოდოთ.

მაგრამ მართო ამით როდი იწურება სახელმწიფოს მთლიანი ბუნება; სახელმწიფო სოციალური მოვლენაა, მაგრამ ამასთან ერთად იგი სამართლებრივი ინსტიტუტია და ამ მხრივ იგი თავის შესასწავლად სპეციალურ დისციპლინას მოითხოვს. ეს დისციპლინა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაა, რომელიც თავის ძირითად ამოცანას სახელმწიფოს იურიდიული ბუნების, მისი სამართლებრივი ორგანიზაციის და მოქმედების შეცნობაში ხედავს.

ადვილი გასაგებია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი არსებობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი დადასტურდება, რომ სახელმწიფოს იურიდიული ბუნების ანუ სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის შეცნობა სხვაგვარ მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა აიგოს. სახელმწიფოს სოციალურ მოძღვრებასთან შედარებით ასეთი განსხვავება თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში საყოველთაოდ

* იროდიონ სურგულაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ჭერჭერობით არ არის სითინადოლ შესწავლილი და დაფასებული. გერმანულ ენაზე დაწერილი მისი ძირითადი შრომა „Gewalt und Recht“ ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია. ამ შრომის თარგმან და გამოცემა დაახლო საშური საქმეა. ასევე გადაუდებელ აუცილებლობად მიმაჩნია განსვენებული მეცნიერის სხვა ნაშრომების გამოქვეყნება, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნდამენტურ პრობლემებს შეეხება. წინამდებარე შრომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორის მიერ წაითხული ლექციების კურსის ნაწილია. ვაჟკადოვანებ, პრობლემათა წიგნი და კვლევის დონე მკითხველს დაარწმუნებს პუბლიკაციის შედეგებით და პრაქტიკულ ცოდნა ბულებასში. ნაშრომი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით. რედაქცია მადლობას უხდის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ქალბატონ ლამარა სურგულაძეს ნაშრომის პუბლიკაციის თან დაკავშირებული დახმარებისათვის (რედაქტორი).




მიღებულ ჭეშმარიტებად ვერ ჩაითვლება. პირიქით, ხშირად ვხვდებით მსგავსე შეხედულებას, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს იურიდიული ბუნების სებურებას და მის პრინციპულ განსხვავებას სხვა დანარჩენი სოციალური მოვლენისაგან, და რომლისათვისაც სახელმწიფოს შინაარსი მთლიანად იფარება მისი სოციალური ბუნებით. აქედან კი თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება მოკლებულია დამოუკიდებელ არსებობას და შემადგენელ ნაწილად უნდა შევიდეს იმ დისციპლინაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ისახავს შემეცნების მიზნად. ასეთია მაგალითად, გუმპლოვიჩის შეხედულება; თავისი ნაწარმოებიდან Sociologu et Politique იგი შემდეგნაირად ახასიათებს სახელმწიფო მეცნიერებას: l'etude de l'Etat — ამბობს იგი — est une partie integrante de la sociologie; mais toutes les erreurs et illusions sur sa nature proviennent precisement de ce qu'on a voulu constituer une science particuliere de l'Etat, tandis quil ne peut etre compris que dans l'ensemle de la Sociologie. (p. 153).

618
191

ასეთი შეხედულება, რომელიც უარყოფს სახელმწიფო სამართალს, როგორც მეცნიერებას, მოკლებულია საფუძველს, ამას ადვილად დავინახავთ თუ გავითვალისწინებთ იმ მოვლენათა სხვადასხვაობას, რომლებსაც სწავლობს, ერთი მხრივ, სოციოლოგია და მეორე მხრივ, სამართლის მეცნიერება. სოციოლოგიური შემეცნების ქვაკუთხედს მიზეზობრიობის პრინციპი წარმოადგენს. ამიტომ, ყოველი სოციალური მოვლენის ახსნა და შემეცნება დამთავრებულია, რაკი გამონახულია მისი გამომწვევი მიზეზები. რამდენადაც სახელმწიფოს არსებობასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების ახსნასთან გვაქვს საქმე, ჩვენ უნდა გამოვხანოთ მათი მიზეზები და ამ მიზეზებით ავხსნათ ის ცვლილება, რომელსაც სოციალური მოვლენები განიცდიან სახელმწიფოს ზეგავლენით. ამით მთლიანად ამოიწურება სოციოლოგიური შემეცნების ამოცანა ამ დარგში, მაგრამ ამგვარი მეთოდით ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ მოვლენების გაშუქებას, რომელიც სახელმწიფოს იურიდიულ ბუნებას ახასიათებენ. ამ უკანასკნელთა შემეცნებისათვის დამახასიათებელია არა მიზეზობრიობის პრინციპი, არამედ ნორმის ცნება და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი ბუნების ძირითად ფენომენს სამართლის ნორმა წარმოადგენს. აქედან ისიც ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეთოდოლოგიური თავისებურება, რომელსაც ზემოთ გაკვრით შევხებით, სუბიექტური აზროვნების დაუსაბუთებელი კაპრიზი კი არ არის, არამედ ლოდიკური აუცილებლობით გამომდინარეობს სამართლის ნორმის განსხვავებული ბუნებისაგან. ამ განსხვავებაზე, ე. ი. იმ მომენტებზე, რომლებიც სამართლის ნორმას პრინციპულად ასხვავებენ სხვა დანარჩენი სოციალური მოვლენებისაგან, ჩვენ უნდა შევჩერდეთ.

ყოველი სოციალური მოვლენა არსებითად იმით ხასიათდება, რომ იგი არსებობს, ე. ი. მისთვის დამახასიათებელია არსის კატეგორია (Seinskategorie). სწორედ ამიტომაც, რომ კატეგორიული კავშირის პრინციპი ამ მოვლენების შემეცნების დროს ძირითად გნოსეოლოგიურ ფუძეს წარმოადგენს. არსებული ჩვენთვის გასაგებია, როგორც შედეგი განსაზღვრული მიზეზებისა და ცხადია, რომ მისი შემეცნება მიზეზობრიობის პრინციპის ნიადაგზეა მხოლოდ შესაძლებელი.



სხვაგვარ გნოსეოლოგიურ დასკვნებს იძლევა იურიდიული ნორმის ახსნის
ზი. სოციალური მოვლენებისაგან განსხვავებით უკანასკნელს (ე. ი. იურიდიულ
ნორმას) უმთავრესად ის მომენტი ახასიათებს, რომ იგი არ არსებობს, რომ
მისთვის არა არსის, არამედ სავალდებულობის (Sollenskategorie) კატე-
გორიაა დამახასიათებელი. იგი გამოხატავს არა იმას, რაც არის, არამედ
იმას, რაც უნდა არსებობდეს, რამაც ადამიანის მოქმედებაში უნდა ჰპოვოს თავისი
განხორციელება. თავისთავად ცხადია, რომ ყოველი იურიდიული ნორმის
შემუშავება სახელმწიფოს არსებობაში განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკუ-
რი მიზეზების ზეგავლენით ხდება. ისიც უდავოა, რომ უკვე არსებული ნორმის
ზეგავლენით სახელმწიფოს შემადგენელ ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულე-
ბა განსაზღვრულ მიმართულებას იღებს, რომ სამართლის-ნორმის ზეგავლენით
იბადება ერთგვარი ფსიქიური ურთიერთობა საზოგადოებაში, რომელიც შესაძ-
ლებელია შემეცნებულ იქნეს კაუზალური კავშირის ნიადაგზე, მაგრამ როგორც
პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სოციალური ცხოვრების ასეთი ფენომენების
შესწავლა სამართლის ნორმის იმანენტური ბუნების შემეცნებისათვის მნიშ-
ვნელობას მოკლებულია. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვიხილავთ იურიდიული
ნორმის ისტორიულ გენეზისს, მეორე შემთხვევაში — იმ მოვლენებს, რომლებ-
საც საზოგადოებრივ ცხოვრებაში საწყისს აძლევს ნორმა; ორთავე შემთხვევაში
საკითხი, თუ რას წარმოადგენს ნორმა თავისთავად (für und an sie)
ლიად რჩება. ამ უკანასკნელის შემეცნება კი შესაძლებელია არა კაუზალური
პრინციპის ნიადაგზედ, არამედ განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს
მოითხოვს; თუკი სამართლის ნორმა მხოლოდ სავალდებულობის კატე-
გორიას და არა რეალურ არსებობას გამოხატავს, ცხადია, კაუზალიტეტის
პრინციპი, რომელიც მხოლოდ იმას აღნიშნავს, თუ რა მიზეზების ზე-
გავლენით წარმოიშვა ესა თუ ის რეალური ე. ი. უკვე არსებული მოვლენა,
სამართლის ნორმის მიმართ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. სახელმწიფო სა-
მართლის მეცნიერება მიზნად ისახავს იმ იურიდიული ნორმების შემეცნებას,
რომლებიც სახელმწიფოს იურიდიულ ბუნებას ახასიათებენ. ზემომოყვანილი
მოსაზრების ნიადაგზე ცხადია, რომ სახელმწიფოს იურიდიული ბუნების შე-
მეცნება ვერ მოხდება კაუზალიტეტის პრინციპის საშუალებით და აქედან კი
ის აუცილებელი დასკვნა გამომდინარეობს, რომ სოციოლოგიური შემეცნება,
რომელიც აუცილებლად გულისხმობს მიზეზობრიობის პრინციპს, ვერ შეძლებს
გააშუქოს სახელმწიფოს იურიდიული ბუნება და ამიტომ აუცილებელია გან-
ცალკევებული და დამოუკიდებელი სპეციალური დისციპლინის არსებობა, რო-
მელიც თავის ამოცანას სახელმწიფოს იურიდიული ბუნების შემეცნებაში ხე-
დავს, ეს დისციპლინა სახელმწიფოს სამართლის მეცნიერებაა.

მას შემდეგ, რაც გამოვარკვეთ სახელმწიფო სამართლის დამოუკიდებელი
ხასიათი, უნდა გამოვნახოთ ამ მეცნიერების ადგილი სხვა დანარჩენ იურიდი-
ულ დისციპლინებს შორის.

სამართლის მეცნიერება უკვე რომის იურიდიულ აზროვნებაში ორ ნაწილად
იყო გაყოფილი: ერთი მხრივ, საჯარო და მეორე მხრივ, კერძო სამართალი.
ამ განსხვავებას რომის იურისპრუდენცია შემდეგ ფორმულაში გამოხატავს:
Publicum jus est quod ad statum rei romanal spectat, privatum quod ad
singulorum utilitatom (Ulpianus)

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ საჯარო სამართალი რომის მეცნიე-
რებისათვის მთლიანად იწურებოდა სახელმწიფო სამართლის ცნებით. ამ მხრივ

ეს განმარტება დღევანდელი აზროვნებისათვის მიუღებელია: სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებას შედეგად ის მოჰყვას, რომ საჯარო სამართლის სხვა დისციპლინები წარმოიშვა. ასეთია, მაგალითად, საერთაშორისო და აღმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესი. მეორე მხრივ, განსხვავება საჯარო და კერძო სამართალს შორის, რომელიც რომის მეცნიერებაში აბსოლუტურ ხასიათს ატარებდა, თანამედროვე აზროვნებაში თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას; თანამედროვე სახელმწიფო იძულებულია ჩაერიოს იმ დარგში, რომელიც წინათ პიროვნების კერძო საქმედ ითვლებოდა და აქ წარმოშობილ ურთიერთობას განსაზღვრული მიმართულება მისცეს. ეს პროცესი უკვე ძველადვე დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებულ ინტენსიურ სახეს იგი თანამედროვე ცხოვრებაში იღებს. ამ აზრის ილუსტრაციისათვის საკმარისია გავიხსენოთ სისხლის სამართლის ისტორია, რომელიც (სისხლის სამართალი) სამართლებრივი ცხოვრების განვლილ საფეხურებზე დაზარალებულის კერძო საქმედ იყო მიჩნეული, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების საგნად გადაიქცა. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში საჯარო სამართლის ასეთი ვაფართოების მაგალითს მუშათა კანონმდებლობა წარმოადგენს, რომელიც შრომისა და ხელფასის მოწესრიგების ამოცანას სახელმწიფო ხელისუფლებას უსახავს.

მიუხედავად ამისა, ერთგვარი ზღვარი საჯარო და კერძო სამართალს შორის დღესაც კიდევ არსებობს და ამიტომ, ამ ორი დარგის განსხვავება იურიდიული მეცნიერებისათვის აუცილებელია. ეს განსხვავება მოკლედ, შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვხატოთ: სამართალი, როგორც სავალდებულო ნორმათა კრებული, მიზნად ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს. ზოგ შემთხვევაში ეს მოწესრიგება იძულებით ხასიათს ატარებს. ასე, რომ კერძო პირებს თავისი საკუთარი სურვილით ან შეთანხმებით არ შეუძლიათ მისი შეცვლა; ყველა განმარტება, რომელიც ამ დარგში გვხვდება ერთი ცენტრიდან — სახელმწიფოს ხელისუფლებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ასეთ იძულებით ზომებს როდი მიმართავს, კერძო პიროვნებათა ურთიერთობის მოწესრიგებას სახელმწიფო ამ შემთხვევაში თვით ამ პიროვნებათა საკუთარ სურვილს და შეთანხმებას ანდობს, თვითონ კი ერევა აქ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო შეთანხმება მიზანს ვერ აღწევს; ამ დარგში არსებულ ნორმებს ამიტომ აქვთ არა იძულებითი (jus cogens), არამედ დამატებითი, დისპოზიციური (jus dispositivum) ხასიათი, პირველ შემთხვევაში მოქმედი ნორმები საჯარო სამართალს ეკუთვნიან, მეორე შემთხვევაში კი — კერძო სამართალს. კერძო სამართალი ამგვარად ინდივიდების, როგორც ასელების ურთიერთდამოკიდებულებას აწესრიგებს, იგი კოორდინაციის, კერძო ინიციატივის სფეროა.

საჯარო სამართალი, პირიქით, იურიდიული ცენტრალიზაციის სისტემას წარმოადგენს; იგი განსაზღვრავს ხელისუფლების სხვადასხვა სუბიექტების ურთიერთობას, მათ ორგანიზაციას და ფუნქციებს და მათ დამოკიდებულებას ამ ხელისუფლებას დამორჩილებულთადმი.

კერძოდ, სახელმწიფო სამართალი, როგორც საჯარო სამართლის ერთ-ერთი ნაწილი სამართლის ისეთ ნორმებს შეიცავს, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოს ორგანიზაციას და მისი ორგანოების კომპეტენციას. ამასთანავე, განსაზღვრავენ ქვეშევრდომთა უფლება-მოვალეობას სახელმწიფოსადმი.


სახელმწიფო სამართლის მეცნიერების თვალსაზრისით, სახელმწიფო თა-

ვის იურიდიულ არსებობაში სამ მთავარ ელემენტს შეიცავს: ტერიტორია, მოსახლეობა და ხელისუფლება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ამ ელემენტების გამორკვევამ უნდა ჰპოვოს თავისი ადგილი

ტერიტორია

თავდაპირველად შევჩერდებით სახელმწიფოს ტერიტორიის საკითხზე. ამ ცნებით სახელმწიფო სამართალში აღინიშნება ხმელეთის და წყალთა სივრცე, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფოს ხელისუფლება. ასეთი საერთო განმარტება სახელმწიფოს ტერიტორიისა საყოველთაოდ მიღებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მეცნიერებაში; აზრთა წინააღმდეგობა და სხვადასხვაობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ამ ცნებას უფრო დეტალურად ვეხებით, სახელდობრ, წინააღმდეგობას იწვევს პირველი საკითხი, თუ როგორი მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ ტერიტორიის მომენტს სახელმწიფოს იურიდიული ცნებისათვის, არის თუ არა ეს მომენტი დამახასიათებელი სახელმწიფოსათვის საერთოდ, თუ პირიქით, აქ საქმე გვაქვს ისეთ თვისებასთან, რომელიც სახელმწიფოს ახასიათებს მისი ევოლუციის მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურზე და ამიტომ იგი სახელმწიფოს ცნების კონსტიტუციურ, აუცილებელ და ძირითად მომენტად ვერ ჩაითვლება. წინააღმდეგობას იწვევს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ თუ როგორ იურიდიულ ბუნებას ატარებს სახელმწიფოს დამოკიდებულება მის ტერიტორიასთან.

პირველი საკითხის გარშემო ორი საწინააღმდეგო შეხედულებაა თანამედროვე მეცნიერებაში. პირველი ამ შეხედულებათაგანი ტერიტორიას არ მიიჩნევს სახელმწიფოს ცნებისათვის აუცილებელ მომენტად. ასეთ დასკვნას ეს მიმართულება იმ გარემოებით ასაბუთებს, რომ განვითარების განვლილ საფეხურებზე ტერიტორია ხშირად სრულებით არ იკლდის ხმებოდა სახელმწიფოს ცნებაში; ასე მაგალითად, ძველ საბერძნეთში სახელმწიფოს ცნება გულისხმობდა არა ტერიტორიას, არამედ მხოლოდ მოქალაქეებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უკანასკნელნი სამშობლოს ტოვებდნენ, ვინაიდან აქ მოქალაქეების უფლებები იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ ესა თუ ის პიროვნება განსაზღვრულ საგვარეულო კავშირს ეკუთვნოდა. ცხადია, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში დაკავშირებული იყო თვით საგვარეულო კავშირის არსებობასთან და არა იმ ტერიტორიასთან, რომელზედაც ეს კავშირი მოსახლეობდა. მეორე მაგალითი, რომელზედაც ეს თეორია მიუთითებს თავისი დებულების დასაბუთების მიზნით, თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების დაარსების ეპოქიდანაა ამოღებული. ტომობრივი კავშირი, რომელსაც ეს სახელმწიფოები წარმოადგენდნენ, ამ პერიოდში არ იყო დაკავშირებული რაიმე განსაზღვრულ ტერიტორიასთან, ვინაიდან ეს ტომები ხშირად იცვლიდნენ მოსახლეობის ადგილს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიწის დამუშავება სახელმწიფოს მცხოვრებათათვის არსებობის მთავარ წყაროდ გადაიქცა. წინათ მოხვტილად ტომობრივი ჯგუფები განსაზღვრულ ტერიტორიას უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან და მხოლოდ ამ პერიოდშიდან ეყრება საფუძველი თანამედროვე ტერიტორიულ სახელმწიფოს. ეს მომენტები ევროპის სახელმწიფოთა ისტორიაში დაახლოებით მეხუთე საუკუნეში ხდება. მეხუთე საუკუნემდე კი, ამ თეორიის შეხედულებით, ევროპის სახელმწიფოები არ იყვნენ დაკავშირებული რაიმე განსაზღვრულ ტერიტორიასთან და ამიტომ ტერიტორიულობის მომენტი ამ სახელმწიფოთათვის დამახასია-



ათებლად ვერ ჩაითვლება. ასეთია მოკლედ ამ თეორიის ძირითადი დებულებანი. ეს შეხედულება აუცილებლად უარყოფილი უნდა იქნეს და თუ რატომ, საჭიროა შევჩერდეთ იმ მაგალითებზე, რომლებიც ამ თეორიას მოჰყავს თავისი დებულების დასაბუთების მიზნით. ეს მაგალითები არაა ჩვეულებრივი იყოფა — ასეველი ეხება ძველი საბერძნეთის სახელმწიფოებს; მეორე კი იმ ტომობრივ კავშირებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ევროპის სახელმწიფოებს. თავისთავად ცხადია, რომ ეს მაგალითები პოლიტიკური ორგანიზაციის ორ განსხვავებულ ტიპს გულისხმობს, ან უკეთ რომ ვთქვათ, პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მიუთითებენ. აქედან კი აუცილებელია ამ მაგალითების განცალკევებით განხილვა. შევჩერდეთ ჯერ ძველი საბერძნეთის სახელმწიფოებზე. აზრი, თითქოს ტერიტორიული მომენტი ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობდა, იმდენად დაშორებულია სინამდვილეს, რომ ამ აზრით რომ ვინმემ დღევანდლად ძველი საბერძნეთის ისტორიის გაშუქების დროს, ბევრი მოვლენა ამ ისტორიიდან სრულებით გაუგებარი დარჩებოდა ჩვენთვის. უპირველეს ყოვლისა, თვით ის გარემოება, რომ ეს სახელმწიფოები განსაზღვრულ ტერიტორიაზე იყვნენ დაბინადრებული, თავისთავად გულისხმობს, რომ ისინი მოხეტიალე ცხოვრების საფეხურს უკვე გასცილდნენ, რომ მიწის დამუშავება მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა, რასაც ნათლად ამტკიცებს იმდროინდელი საზოგადოების განცალკევებულ კლასებად — ევბატრიდებად და ფეტებად დაყოფა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მიწის მფლობელობა სახელმწიფოს მოსახლეობისათვის არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა და აქედან კი ცხადია, რომ თვით სახელმწიფოც არ შეიძლება არ დაინტერესებულიყო თავისი ტერიტორიული საზღვრებით. საბერძნეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრებიდან უამრავი ფაქტების მოყვანა შეიძლება ამ დებულების დასამტკიცებლად. მას რითი შეიძლება ავსხნათ საკოლონიზაციო პოლიტიკის გაცხოველება, რომელიც ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ საბერძნეთის ძველ ისტორიაში, თუ არა საკუთარი ტერიტორიის გაფართოების ტენდენციით და ასეთი ტენდენცია კი თავისთავად გულისხმობს სახელმწიფოსა და მის ტერიტორიას შორის ვიწრო კავშირის შეგნებას. ან კიდევ მეორე მაგალითი: დაახლოებით მესამე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს დაბადებამდე სპარტის საერთო საშიშროების წინააღმდეგ ორმა იმდროინდელმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ერთ პოლიტიაში შეერთებულიყვნენ. ამ მიზნით საზღვრები, ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებს შორის რომ არსებობდა, მოსპეს. ამ ისტორიული ფაქტებიდან ნათლად სჩანს, რომ ტერიტორიული მომენტი ისევე დამახასიათებელია ძველი საბერძნეთის სახელმწიფოებისათვის. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა შეერთება მათი ტერიტორიების გაერთიანების საშუალებით მოხდა მხოლოდ. ვიმეორებთ, ასეთი მაგალითები გამოჩაჩისის კი არ შეადგენდნენ იმ ეპოქაში, რომელიც ეხლა ჩვენ გვაინტერესებს, არამედ პირიქით, ასეთი მოვლენებით სავსეა იმდროინდელი ისტორია. ასეთი დასკვნა, ე. ი. აზრი იმის შესახებ, რომ ძველი საბერძნეთის სახელმწიფოების არსებობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტერიტორიულ მომენტთან და ეს უკანასკნელი იმდროინდელი პოლიტიკური ორგანიზაციის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა, თავისთავად იბადება. თუ დაუფკვრდებით ამ პერიოდის სახელმწიფოთა ცხოვრების სინამდვილეს, შესაძლებელია, რომ ამ აზრს არ უპოვნია გამოხატულება ძველი საბერძნეთის პოლიტიკურ აზროვნებაში, და ამ უკანასკნელი-

სათვის სახელმწიფოებრივი კავშირის მთავარ დამახასიათებელ თვისებას ჰქონი-
და პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულება — die persönliche verhältnisse
der Bürger im Staate — როგორც ამას იულიუს კეისისტი აღნიშ-
ნავს, მაგრამ ამას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი
საკითხისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელის გადაჭრის დროს მხედველობაში უნ-
და მივიღოთ ის მომენტები, რომლებიც ობიექტურად და რეალურად ახასია-
თებენ ძველი საბერძნეთის სახელმწიფოებრივ სტრუქტურას და არა ის თეო-
რია, ის შეხედულებანი, რომლებიც ამ ეპოქის პოლიტიკურ აზროვნებას გა-
მოუმუშავებია იმდროინდელი პოლიტიკური წყობილების შემეცნების მიზნით;
პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, მეორე შემ-
თხვევაში — ამ ორგანიზაციის ინტერპრეტაციასთან. ცხადია, რომ ეს უკანასკ-
ნელი შესაძლოა მცდარიც ყოფილიყო და ამიტომ მასზე დაყრდნობა იმდროინ-
დელი პოლიტიკური ცხოვრების შემეცნების დროს სახიფათოა.

სწორი და ჭეშმარიტი დასკვნის გაკეთება ამ შემთხვევაში შესაძლებელია
მხოლოდ რეალური ისტორიული ფაქტების ანალიზის საშუალებით. ეს უკა-
ნასკნელი კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იმ უტყუარ შედეგს იძლევა, რომ
ტერიტორიული მომენტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველი საბერძნეთის
სახელმწიფოთა არსებობასთან და ამიტომ აუცილებელ შემადგენელ ელემენტს
წარმოადგენდა თვით ამ სახელმწიფოს ცნებაში. ამიტომ ძველი საბერძნეთის
მაგალითზე მითითება მიზანს ვერ აღწევს.

მეორე მაგალითი, რომელიც აღნიშნულ თეორიას მოჰყავს, როგორც უკვე
ვთქვით, თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების დაარსების მომენტს ეხება.
ამ პერიოდში ეს სახელმწიფოები მოხეტიალე ტომობრივ კავშირებს წარმოად-
გენენ, რომლებიც განსაკუთრებით ხალხთა დიდი გადასახლების პროცესში ხში-
რად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ცხადია, რომ ამგვარი პოლიტიკური ერ-
თეულებისათვის ტერიტორია სრულებით არ იყო დამახასიათებელი მომენტი
და ამიტომ თეორია, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიხილავთ, თავის მიზანს, ამ მაგა-
ლითის საშუალებით მიღწეულად თვლის. სინამდვილეში კი საკითხი ასე
უბრალოდ როდი წყდება. თუ დავეუკვირდებით უფრო კარგად ამ თეორიას, და-
ვინახავთ, რომ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული
იმასთან, თუ როგორ განმარტებას ვაძლევთ სახელმწიფოს. ეჭვს გარეშეა, რომ
როგორც თანამედროვე ისე საერთოდ ყოველი სახელმწიფო, რომელიც ტო-
მობრივი ორგანიზაციის საფეხურს უკვე გასცილებია; აუცილებლად შეიცავს
ტერიტორიულობის მომენტს როგორც თავის ძირითად, კონსტიტუციურ თვი-
სებას; ეს სწორედ ის მომენტია, რომლითაც სახელმწიფო განსხვავდება სხვა
დანარჩენი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან და მამასადამე, ტომობრივი
კავშირისგანაც.

ეხლა ისმის კითხვა, თუ რამდენად შესაძლებელია ტომობრივი კავშირის,
რომელიც ტერიტორიულ მომენტს არ შეიცავს, სახელმწიფოს ცნებით აღნიშ-
ვნა. პირველი შეხედვით აქ კამათი თითქმის უბრალო ტერმინოლოგიურ ხასი-
ათს ატარებს, სინამდვილეში ეს ასე როდია. ყოველი განმარტება აუცილებლად
უნდა აკმაყოფილებდეს ლოგიკის მოთხოვნებსაც. ხოლო ეს უკანასკნელი,
სხვათა შორის, იმასაც გულისხმობენ, რომ თუ რომელიმე მოვლენის მთავარ და
ძირითად მომენტად არის გამოცხადებული ისეთი თვისება, რომელიც მეორე
მოვლენაში არ მოიპოვება, ცხადია, რომ ასეთი ორი მოვლენის ერთი და იგივე
ცნებაში შეერთება დაუშვებელია. კერძოდ, იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჩვენ

ეხლა გვინტერესებს, უნდა ითქვას, რომ ცნების სწორი გამომუშავების საწინააღმდეგოა, როდესაც სახელმწიფოს და ტომობრივ კავშირს ერთი და იგივე ცნებით აღნიშნავენ. სახელმწიფო ტერიტორიული ორგანიზაციაა და სწორედ ამიტომ, მეცნიერული თვალსაზრისით, შეუძლებელია ტომობრივი კავშირიც სახელმწიფოს ცნებით აღინიშნოს. მაგალითები შუა საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრებდან ამიტომ არაფერს ამტკიცებენ, ვინაიდან ამ პერიოდში ჩვენ ვერ ვხვდებით სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ აქ საქმე გვაქვს პოლიტიკური ევოლუციის გარდამავალ საფეხურთან, რომლიდანაც შემდეგ თანამედროვე სახელმწიფოები წარმოიშვნენ ტერიტორიული მომენტის თანდართვის საშუალებით.


ისტორიულ მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, კიდევ სხვა მოსაზრებებიც გვიკარნახებენ იმ აზრს, რომ ტერიტორია სახელმწიფოს ცნების აუცილებელი მომენტია. თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის უდავო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო მხოლოდ იქ არსებობს, სადაც სუვერენულ და დამოუკიდებელ ხელისუფლებას ვხვდებით. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ასეთი ხელისუფლების არსებობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მოკლებულია საკუთარ ტერიტორიას? რასაკვირველია არა, ვინაიდან, თუკი ესა თუ ის სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიას მოკლებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ერთ ხელისუფლებასთან ერთად სხვა ხელისუფლების არსებობაც უნდა დაგეგმავთ, ამ ხელისუფლებათა შორის ასეთ შემთხვევაში გარდაუვალია კონფლიქტი, შეტაკება და რადგან სახელმწიფო ხელისუფლება არსებითად იმით ხასიათდება, რომ იგი სუვერენულ, დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, ცხადია, რომ არ შეიძლება არსებობდეს უფრო უმაღლესი ორგანო, რომელმაც ასეთი კონფლიქტების გადაჭრა შესძლოს. ცხადია ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, კონფლიქტი ძალთა განწყობილების ნიადაგზე გადაიწყდება, რაც გამოიწვევს ერთი ხელისუფლების გაბატონებას ტერიტორიაზე.

ამით შეგვიძლია დავამთავროთ პირველი საკითხის განხილვა, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიას ეხება. ამ საკითხის განხილვისას, ჩვენ იმ დასკვნამდე მივვლით, რომ ტერიტორია აუცილებელ და კონსტიტუციურ მომენტს წარმოადგენს სახელმწიფოს ცნებაში.

ტერიტორიის მომენტს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში ორნაირი მნიშვნელობა აქვს: უარყოფითი და დადებითი. პირველი იმით გამოიხატება, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე არც ერთ სახელმწიფოს, გარდა იმისა, რომელსაც ეს ტერიტორია ეკუთვნის, არ შეუძლია განახორციელოს თავისი ხელისუფლების მოქმედება. ამაში გამოიხატება ის პრინციპი, რომელსაც „შეუვალლობა“ ეწოდება სახელად. ტერიტორიული მომენტის დადებითი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება თავის მოქმედებას ავრცელებს ყველა იმ პირზე, რომელნიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან. როგორც პირველი, ისე მეორე მნიშვნელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ტერიტორია აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ხელისუფლების და ამდენად, თვით სახელმწიფოს არსებობისა. აქედან საკითხი, თუ როგორი იურიდიული ბუნებისაა ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოსა და ტერიტორიას შორის, აუცილებლად მოითხოვს გაშუქებას. როგორც უკვე ითქვა, ამ საკითხის გარშემოც არ არსებობს თანხმობა თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში, სადაც მისი გადაჭრის ნიადაგზე ორი საწინააღმდეგო თეორიაა შემუშავებული. პირველი შეხედულება, რომელიც ჯერ გეგბერის მიერ იყო გამოთქმული და

რომლის მთავარ წარმომადგენლად ლაბანდი, ოტო მაიერი, ბორნაი, რიხტ და სხვები ითვლებიან, სახელმწიფოს დამოკიდებულებას მისი ტერიტორიისადმი განსაზღვრავს, როგორც საჯარო სანივთო უფლებას (публичное вещное право; öffentliche Sachenrecht. გებერი, მაგალითად, შემდეგნაირად ახსიათებს ამ დამოკიდებულებას: „Das staats gebilt ist das sachliche Obiekt der Staatsherrschaft“.

უფრო დეტალურად ეხება ამ საკითხს ლაბანდი, რომელიც სახელმწიფოს და მისი ტერიტორიის ურთიერთდამოკიდებულებას შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „უნდა ვაღიაროთ — ამბობს იგი, — რომ სახელმწიფოს უფლება მის ტერიტორიაზე არსებითად განსხვავდება იმ ხელისუფლებისაგან, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებს თავის ქვეშევრდომებისადმი და რომელიც შეიძლება დახსიათებულ იქნეს, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი (Staatsrechtliche) სანივთო უფლება. მისი (ამ უფლების) საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქციები; იგი (ე. ი. სახელმწიფო) ავრცელებს თავის უფლებას არა მარტო თავის ქვეშევრდომებზე, არამედ ტერიტორიაზეც, რომელსაც თავის ნებას და ძლიერებას უმორჩილებს“. ამგვარად სახელმწიფო ხელისუფლებას ორგვარი უზენაესობა, ერთის მხრივ, ტერიტორიული უზენაესობა და მეორე მხრივ, უზენაესობა სახელმწიფოს შემადგენელ ინდივიდებზე, ახსიათებს. თავისთავად ცხადია, რომ ტერიტორიული ბატონობის პრინციპის აღიარება, სხვათა შორის, იმ დასკვნასაც გულისხმობს, რომ ტერიტორია სახელმწიფოს იურიდიული პიროვნების ცემენტს კი არ წარმოადგენს ამ თეორიის მიხედვით, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების უბრალო ობიექტია. აქედან სახელმწიფო და მისი ტერიტორია ერთ მთლიან ცნებად აღარ თავსდებიან, არამედ დაპირისპირებული არიან, როგორც სამართლის სუბიექტი და ობიექტი. ამ შეხედულების ისტორიული გენეზისი ჩვენ პატრიმონულ სახელმწიფო წყობილებაში უნდა ვეძიოთ. აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაცია სხვათა შორის იმ შეხედულებით ხასიათდებოდა, რომ სახელმწიფოს მიწა-წყალი უშუალოდ მონარქის საკუთრებად იყო გამოცხადებული, ასე მაგალითად ლუი XIV თავის ინსტრუქციაში დოფინისათვის ამბობს, რომ მონარქი ბატონ-პატრონია როგორც სახელმწიფო მიწა-წყლის მთლიანად, ისე ყველაფრის, რაც კი ამ ტერიტორიაზეა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი შეხედულება თავდაპირველად იმ პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობით უნდა იყოს ნაკარნახევი, რომელიც არსებობდა ფეოდალურ წყობილებაში. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელში განცალკევებული სამთავროების წარმოშობა იმ მიზეზთა ზეგავლენით მოხდა, რომ ნატურალური მეურნეობის ფარგლებში სახელმწიფო მოკლებული იყო საშუალებას, საკუთარი თანხებით შეენახა სახელმწიფო მმართველობის საჭირო აპარატი და ამიტომ მეფეები სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილებს სხვადასხვა პირებს ურიგებდნენ იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელთ უნდა შეესრულებინათ სახელმწიფოს ესა თუ ის დავალება. დროთა განმავლობაში, როგორც ვიცით, ვასალებზე გადაცემული ტერიტორიები მათთვის კერძო საკუთრების ხასიათს იღებს, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში არ არსებობდა განსხვავება კერძო და საჯარო სამართალს შორის, ან უკეთ რომ ვთქვათ, არსებობდა მხოლოდ კერძო სამართლის ცნება, უმთავრესად, რომის სამოქალაქო სამართლის რეცეფციის ზეგავლენით. აქედან ის უფლება, რომელიც ვასალს ეკუთვნოდა განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგლებში იმ პერიოდის აზროვნებისათვის გასაგები იყო. როგორც კერძო საკუთრების უფლება ამ ტე-



რიტორიაზე. აბსოლუტიზმის განმტკიცების შემდეგ, როგორც ვიცით, ფეოდალურმა თავდაზნაურობამ დაპყარა თავისი მიწა-წყალი და ეს უკანასკნელი მონარქის ხელში გადავიდა. ამასთან ერთად ხელისუფლება ეხლა უკვე მთლიანად მის ხელში მყოფ ტერიტორიაზე, ფეოდალური ტრადიციების ზეგავლენით განოცხადებულ იქნა როგორც კერძო საკუთრების უფლება, როგორც განსაზღვრული სანივთო-უფლებრივი დამოკიდებულება სამართლის სუბიექტს და ობიექტს შორის, როგორც *Yus Sublime in territorium*.


აი, ასეთი იყო ის შეხედულება, რომელიც გვხვდება აბსოლუტიზმის დროს მონარქის და ტერიტორიის უფლებრივი დამოკიდებულების საკითხში. ეს შეხედულება თითქმის უცვლელად გვხვდება თანამედროვე სახელმწიფო სამართლის იმ მიმართულებაში, რომელსაც სახელად „Herrschertheorie“ ეწოდება და რომლის მთავარი წარმომადგენელია ზეიდელი. ამ მიმართულების სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად მონარქის ხელშია მომწყვდეული და სახელმწიფო ტერიტორია ამ უფლების მხოლოდ ობიექტია. ასეთი უკიდურესი და რასაკვირველია დაუსაბუთებელი შეხედულებისაგან მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება ის თეორია, რომელსაც ეხლა ვიხილავთ. განსხვავება აქ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინააღმდეგ პატრიმონული სახელმწიფოს თვალსაზრისისა, სახელმწიფოს და ტერიტორიის დამოკიდებულება ამ თეორიის შეხედულებით საჯარო და არა კერძო სამართლის ხასიათს ატარებს. მაგრამ ამ განსხვავებას თვით ამ თეორიის აზრით, არა აქვს არსებითი პრინციპული ხასიათი, ამას ნათლად აღნიშნავს ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლაბანდი.

Das Recht des staates am territorium — ამბობს იგი — *teilt mit dem privatrechtlichen Eigentum das begriffliche Airkmal der ausschliesslichen und totalen Iterrschaft uber eine Körperliche Sache; nur die Art der Iterrschaft, ihr zweck und inhalt sind verschieden.*

ამ თეორიის დედააზრი იმაში გამოიხატება, რომ იგი სახელმწიფო ტერიტორიაში სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტს ხედავს; ასეთი შეხედულება თავისთავად გულისხმობს, რომ სახელმწიფო და მისი ტერიტორია ერთი მეორისაგან განცალკევებული, ერთი მეორესადმი დაპირისპირებულია როგორც სამართლის სუბიექტი და ობიექტი. მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი დაპირისპირება? ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ტერიტორია აუცილებლად შედის სახელმწიფოს ცნებაში, რომ სახელმწიფო არ არსებობს ამ მომენტის გარეშე და როცა ერთმანეთს ვუპირისპირებთ სახელმწიფოს და მის ტერიტორიას, თვით სახელმწიფოს ცნებაში უკვე იგულისხმება ტერიტორია. ცხადია, რომ ასეთი დაპირისპირება, შეუძლებელია, რადგან ტერიტორიის მომენტი აუცილებლად შედის თვით სახელმწიფოს ცნებაში და თუ ამ მომენტს გამოვთიშავთ, სახელმწიფოს ცნება ხელთ აღარ დაგვრჩება. მაგრამ კიდევაც რომ დაეუშვათ, რომ ასეთი ლოგიკური შესაძლებლობა, შესაძლებლობა იმისა, რომ საგანი თავისსავე თავს დაუპირისპირდეს, მართლაც არსებობს; ამ თეორიას კიდევ სხვა დაბრკოლებები ელობებიან წინ. ამას ადვილად დავინახავთ, თუ მივაქცევთ ყურადღებას შემდეგ გარემოებას. როდესაც სახელმწიფოს და ტერიტორიის ურთიერთდამოკიდებულებაზე ლაპარაკობენ, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოს ცნებაში ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლება აღინიშნება. ამ უკანასკნელის დამახასიათებელ მომენტს კი შეადგენს სავალდებულო ბრძანებათა და განკარგულებათა გამოქვეყნება. ცხადია, რომ ეს ბრძანებები მხოლოდ ინდივიდებს გულისხმობს. ამიტომ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ელინეკი, ესა თუ ის

საგანი არ შეიძლება უშუალოდ სახელმწიფოს (ხელისუფლების) იმპერიულის ქვეშ იმყოფებოდეს; უკანასკნელს (ე. ი. ხელისუფლებას) მხოლოდ ინდივიდების საშუალებით შეუძლია იმოქმედოს ამა თუ იმ ნივთზე; მას შეუძლია მხოლოდ უბრძანოს ინდივიდს, რომ უკანასკნელმა საგანზე შესაფერი ზეგავლენა მოახდინოს და ვინაიდან სანივთო სამართლის დამახასიათებელ თვისებას საგანზე ფიზიკური ზემოქმედების შესაძლებლობა შეადგენს, ვინაიდან, მეორე მხრივ ხელისუფლება თავისთავად მოკლებულია უშუალოდ ასეთი ზემოქმედების შესაძლებლობას, ცხადია, რომ საჯარო ხელისუფლების, ან რაც იგივეა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს დამოკიდებულება მისი ტერიტორიისადმი არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც სანივთო უფლებრივი მიმართება. აქედან ცხადია, რომ საკითხის სწორად გადაჭრისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს imperium-ის და dominium-ის ცნებებს შორის და რომელიც უკვე სენეკამ გამოთქვა amnia rex imperio possidet, singuli dominis. ეს განსხვავება როგორც ამას თვით ლაბანდი აღნიშნავს, თანამედროვე სახელმწიფო სამართალში საერთო ადგილად არის გადაქცეული. თუ ამ განსხვავებას არასოდეს არ დავკარგავთ მხედველობიდან, ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ სახელმწიფოს დამოკიდებულება მისი ტერიტორიისადმი მოკლებულია სანივთო სამართლის ხასიათს. ამ მოსაზრებიდან ცხადია, რომ თეორია, რომელიც ეხლა გავარჩიეთ, უნდა უარყოფილ იქნეს.

ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ტერიტორია სახელმწიფოს ცნების აუცილებელი და შინაგანი მომენტია, რომ შეუძლებელია ამ მომენტის სახელმწიფოს ცნებიდან გამოთიშვა, ვინაიდან უამომენტოდ არ არსებობს სახელმწიფოს ცნება, რომ ამიტომ სახელმწიფოს დამოკიდებულება ტერიტორიისადმი მოკლებულია უფლებრივ ხასიათს, ვინაიდან თუკი ტერიტორია არ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის ობიექტს, არამედ სახელმწიფოს ცნების ერთ-ერთ მომენტს აღნიშნავს, შეუძლებელია არსებობდეს სახელმწიფოს რაიმე უფლება მისი ტერიტორიის მიმართ. ამგვარი მოსაზრებების ნიადაგზე თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში გამოძუშავებულია მეორე შეხედულება, რომელიც ტერიტორიაში სახელმწიფოს ხელისუფლების ობიექტს კი არ ხედავს, არამედ მომენტს, რომლითაც იმანენტურად განისაზღვრება თვით სახელმწიფო ხელისუფლება; მაშასადამე, ამ შეხედულებით ტერიტორია ისეთი მომენტია, რომელიც შინაგანად ახასიათებს თვით სახელმწიფო ხელისუფლებას, ახასიათებს იმ მხრივ, რომ იგი ამ ხელისუფლების მოქმედების სფეროს განსაზღვრავს სივრცეში და განსაზღვრავს იმ ინდივიდებს, რომლებზედაც ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლება. როდესაც ამბობენ, რომ სახელმწიფო ტერიტორიული სუვერენიტეტის მატარებელია, ამით მხოლოდ ის აზრი აღინიშნება, რომ სახელმწიფო თავის ხელისუფლებას ახორციელებს ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან; „ექვს გარეშეა, რომ სახელმწიფოს ქვეშევრდომები იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი საზღვარგარეთ იმყოფებიან ერთგვარ მორჩილებაში მაინც არიან თავისი სახელმწიფოს ხელისუფლებასთან, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეუძლია თავისი გადაწყვეტილებანი სისრულეში მოიყვანოს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეშე. ასე რომ სახელმწიფოს რეალური უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ამიტომ ტერიტორია ობიექტური თვალსაზრისით საჯარო ხელისუფლების საზღვარს აღნიშნავს“ (დიუჟი). აქედან გასაგებია, როდესაც ელინეკი აცხადებს, რომ „ტერიტორია სრულე-



ბით არ წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ ობიექტს სახელმწიფოს უფლება ტერიტორიაზე უბრალო რეფლექსია იმ ხელისუფლებისა, რომელსაც სახელმწიფო შემადგენელ ინდივიდზე აწარმოებს. ტერიტორიული სუვერენიტეტი ამიტომ სრულებით არ წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ ფუნქციას; საჯარო სამართალში იგი იმასვე გამოხატავს, რასაც ცნება სახელმწიფო ხელისუფლებისა მთლიანად, რომელიც (ხელისუფლება) ხორციელდება ტერიტორიაზე მყოფი პირების მიმართ“.

ასეთია მეორე თეორია, რომელიც შემუშავებულია სახელმწიფოსა და ტერიტორიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში და რომლის მთავარ წარმომადგენელად ითვლებიან — ელინეკი გერმანიის; ლეონ დიუგი საფრანგეთში და ორლანდი რუსეთში. როგორც უკვე მივუთითეთ, ამ თეორიის შეხედულებით, ტერიტორიის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი საჯარო ხელისუფლების მოქმედების საზღვარს აღნიშნავს; ამიტომ ამ თეორიას ხშირად ტერიტორიის — საზღვრის თეორია ეწოდება. ამ თეორიიდან განსაზღვრული დასკვნები გამომდინარეობენ. პირველია სახელმწიფოს ტერიტორიის დაუყოფელობის პრინციპი, რომელიც ძალიან ხშირად სახელმწიფოს კონსტიტუციებშია აღნიშნული. თუ სახელმწიფოს ტერიტორიაში ხელისუფლების უბრალო ობიექტს ხედავენ, ასეთი პრინციპი სრულებით გაუგებარია; სანივთო უფლების ყოველი ობიექტი შესაძლებელია დაიყოს და ამიტომ გაუგებარია თუ რატომ უნდა წარმოადგენდეს ამ შემთხვევაში ტერიტორია გამონაკლისს. პირიქით, როდესაც ტერიტორიაში სახელმწიფოს იურიდიული პიროვნების ერთ-ერთ აუცილებელ მომენტს ვხედავთ, ცხადია, თუ რატომ არის შეუძლებელი ტერიტორიის დაყოფა. ტერიტორიის დაყოფა შეუძლებელია, ვინაიდან შეუძლებელია თვით სახელმწიფოს იურიდიული პიროვნების დაყოფა. ჩვენ არ უარვყოფთ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პროცესში ხშირად ხდება ერთი სახელმწიფოსაგან მეორისადმი თავისი ტერიტორიის ნაწილის დათმობა, იქნება ეს ომიანობის თუ რაიმე სხვა მოვლენების შედეგად. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სინამდვილეში ერთი სახელმწიფოდან მეორეზე გადადის არა „მკვდარი ტერიტორია, რომელიც როგორც ასეთი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ბატონობის ობიექტი, არამედ ხელისუფლება ამ ტერიტორიაზე მყოფ პირებზე. ყოველგვარი დათმობა ტერიტორიისა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების გადატანას წარმოადგენს. ერთი სახელმწიფოს იმპერიუმი ისპობა და მის ადგილს იკაავებს მეორე სახელმწიფოს იმპერიუმი“.

ცხადია, ამიტომ ტერიტორიის დათმობის მთავარი შედეგი იურიდიული თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ მას უპირველეს ყოვლისა ცვლილება შეაქვს სახელმწიფოში, როგორც ხელისუფლების სუბიექტში, სახელმწიფოს იურიდიულ ბუნებაში და ამიტომ ეს ცვლილება შეუძლებელია გამოიხატოს სანივთო სამართლის ტერმინებში.

მოსახლეობა

მეორე ელემენტი, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოსთვის და ურომლისოდაც ეს უკანასკნელი შეუძლებელია არსებობდეს, მოსახლეობაა.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გვეთქვა, რომ სახელმწიფო ადამიანთა საზოგადოებრივი შეკავშირების ერთ-ერთი ფორმაა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, თუ არსებობს ინდივიდთა განსაზღვრული კავშირი ანუ მოსახლე-

ობა, ხალხი. სახელმწიფოს წარმოშობას როგორც უკვე ითქვა, წინ უსწრებდა საგვარეულო და ტომობრივი კავშირები. ამ უკანასკნელთა ნიადაგზე განსახლებული მომენტების თანდართვის საშუალებით წარმოიშვა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამიტომ თავისდათავად გასაგებია და ღიდ განმარტებას არ მოითხოვს აზრი, რომლის მიხედვით სახელმწიფოს არსებობისათვის ხალხის არსებობა აუცილებელი პირობაა. როდესაც სახელმწიფო-სამართლის მეცნიერება მოსახლეობაზე ლაპარაკობს, მას ცხადია აინტერესებს არა ეს ანბანური და თავისთავად საგულისხმო კეშმარიტება, საკითხი აქ უფრო სხვა სფეროშია გადატანილი და ეხება იმას, თუ როგორი იურიდიული დახასიათება უნდა მიეცეს სახელმწიფოს ამ ელემენტს.

გავრცელებული შეხედულება, რომელიც ამ საკითხში უმთავრესად გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში გვხვდება, სახელმწიფოს მოსახლეობაში ხედავს სახელმწიფო ხელისუფლების, ერთი მხრივ, სუბიექტს და, მეორე მხრივ, ობიექტს. ხალხი სუბიექტია სახელმწიფო ხელისუფლებისა იმდენად, რამდენადაც იგი მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს ნების გამოთქმვაებაში და იგივე ხალხი ობიექტია იმ მხრივ, რომ იგი დამორჩილებულია სახელმწიფოს ხელისუფლებას. ასეთია ერთ-ერთი შეხედულება მოსახლეობის შესახებ. ეს კონსტრუქცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც საგნებით კეშმარიტი, პირველ ყოვლისა, გაუგებრობას იწვევს მტკიცება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს მოსახლეობა ერთსა და იმავე დროს საჯარო ხელისუფლების სუბიექტის და ობიექტის როლს თამაშობს. ცხადია, აქ შეუძლებელია ხალხის ცნება ერთი და იგივე იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია, რომ ამ ორ უფლებრივ თვისებას ერთი და იგივე ცნება შეიცავდეს. თუ დავუკვირდებით უფრო ღრმად და ვინახავთ, რომ ეს მართლაც ასეა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ როდესაც მოსახლეობაში საჯარო ხელისუფლების სუბიექტს ხედავენ, ეს თვისება იმ ფაქტს აღნიშნავს, რომ მოსახლეობა სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მოსახლეობის სოციოლოგიური წყობა, ე. ი. არა ყველა ინდივიდი, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის პირები, რომლებიც განსაზღვრული პოლიტიკური წყობილებით აღჭურვილი არიან სახელმწიფოს მოქმედებაში მონაწილეობის უფლებით; აქედან აშკარაა, რომ ხალხი ამ აზრით მხოლოდ სახელმწიფოს უფლებრივი წყობილებითაა შექმნილი და ამ უკანასკნელის გარეშე იგი არ არსებობს; რომ ხალხის ცნება ამ აზრით ყოველთვის უფრო ვიწროა თავისი მოცულობით, ვინემ ამა თუ იმ სახელმწიფოს რეალური მოსახლეობა, რომ ამიტომ იგი წმინდა იურიდიული კონსტრუქციაა და არ აღნიშნავს ყველა იმ ფიზიკურ ინდივიდს, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს. სულ სხვა თვისებებით ხასიათდება ხალხის ვაგება, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების ობიექტისა. სხვათა შორის, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გამოთქმა — ხალხის აღნიშვნა ხელისუფლების ობიექტის ცნებით — უხერხულია, ყოველ შემთხვევაში არ შეეფერება თანამედროვე სახელმწიფოთა სამართლებრივ წყობილებას, როგორც სამართლიანად მიუთითებს Anschütz-ი გავრცელებული გამოთქმა, რომელიც ხალხს როგორც სახელმწიფო ნების ობიექტს აღნიშნავს, იურიდიული თვალსაზრისით მიუღებელია. არც ხალხი, როგორც განსაზღვრული მთლიანობა და არც მისი შემადგენელი ინდივიდები სრულებით არ წარმოადგენს უბრალო ნივთს. ყოველი ინდივიდი სახელმწიფო ხელისუფლე-

ბის მიმართ სამართლის ობიექტს კი არ წარმოადგენს, არამედ მოვალეობათა სუბიექტს აღნიშნავს; იგი ხელისუფლებას დამორჩილებული პიროვნებაა და სახელმწიფო ბატონობის ქვეშ მყოფი ნივთი (Anschütz-Deutsch. staats r. გვ. 5). ეს სხვათა შორის. დავინახავთ, რომ ხალხი ამ გაგებით სულ სხვაა, ვიდრე ის ხალხი, რომელიც პოლიტიკური უფლებითაა აღჭურვილი. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტის ცნებით აღინიშნება; ეს იმით, რომ გარდა იმ პირებისა, რომელთაც არსებული წყობილების მიხედვით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ნების ფორმირების პროცესში, სახელმწიფოს ხელისუფლებას ემორჩილება კიდევ ბევრი სხვა ინდივიდი, რომელიც ასეთი უფლების მატარებელი არ არის, კერძოდ, ყველა ის პირი, რომელიც ამ უფლებას მოკლებულია არსებული წყობილებით ან ყველა სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება. ასეთია ის შესწორებანი, რომელნიც ამ თეორიაში უნდა შევიდეს.

ამგვარი შესწორებების მიუხედავად ეს თეორია ბევრ სხვა გაუგებრობას შეიცავს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: როდესაც ეს თეორია ლაპარაკობს, რომ ხალხი საჯარო ხელისუფლების სუბიექტს წარმოადგენს, ამით თავისთავად იგულისხმება, რომ ხალხის, როგორც საჯარო უფლებათა სუბიექტის განსაზღვრულ იურიდიულ პიროვნებასთან ერთად და მის გვერდით არსებობს, ხალხი, როგორც იურიდიული პიროვნება და ამიტომ ხალხი სახელმწიფოს ცნების ერთ-ერთ ელემენტს კი აღარ აღნიშნავს, არამედ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი იურიდიული ფენომენია.

ასეთი შეხედულება ხალხზე, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ და სახელმწიფოსადმი დაპირისპირებულ იურიდიულ პიროვნებაზე ჩვენ მართლაც გვხვდება საფრანგეთის რევოლუციის პერიოდის დეკლარაციებში და კონსტიტუციებში. ამ შეხედულების მთავარი აზრი შემდეგნაირად შეგვიძლია მოკლედ გამოვხატოთ: ხალხი პიროვნებაა, რომელიც ისევე განსხვავდება სახელმწიფოსაგან, როგორც მისი შემადგენელი ინდივიდებისაგან, იგი პირველადი სუვერენიტეტის მატარებელია, თუნდაც იმით, რომ იგი კოლექტივობაა და გამოხატავს საერთო ნებას, რომელიც ინდივიდუალურ ნებაზე მაღლა დგას. ეს საერთო ნება სუვერენული ხასიათისაა (დიუგი). ექვს გარეშეა, რომ ასეთ შეხედულებას თავისი მნიშვნელობა აქვს და თუ მაინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში იგი უარყოფილ უნდა იქნეს, ეს იმით, რომ იგი პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, და არა იურიდიულს; პოლიტიკურ იდეალს გამოხატავს და არა სახელმწიფოებრივი წყობილების რეალურ სინამდვილეს. სწორედ ამიტომ იგი ვერ უთანხმდება სახელმწიფოს იურიდიულ გაგებას. ამ უკანასკნელის ფარგლებში შეუძლებელია ერთი და იგივე დროს აღიარებულ იქნეს სახელმწიფოს სუვერენულ, იურიდიულ პიროვნებასთან ერთად ხალხის სუვერენული, იურიდიული პიროვნება, ვინაიდან ამით სახელმწიფოს შემეცნებაში გარდაუვალი დუალიზმი იბადება.

ასეთი დაბრკოლებიდან გამოსავლის მიზნით შემუშავდა ერთგვარი შეხედულება, რომელსაც ნაკია-ორგანოს თეორია ეწოდება და რომლის მთავარ წარმომადგენლად ელინეკი, ორლანდი და გირკე უნდა ჩაითვალოს. ეს თეორია აღნიშნავს, რომ უმაღლესი სუვერენიტეტის მატარებელია არა მოსახლეობა, არამედ სახელმწიფო. მოსახლეობა ანუ ხალხი სახელმწიფოს ორგანოა. როგორც მხოლოდ ორგანო, იგი სახელმწიფოს ნებისა და მოქმედების იარაღი, მხოლოდ იმ კომპეტენციის მატარებელია, რომელიც მინიჭებული აქვს კონსტიტუციით.


ცვლილება, რომელიც აღნიშნულ თეორიაში ამ მიმართულებას შეეყვას მოსახლეობის სახელმწიფო ორგანოდ გამოცხადების საშუალებით, მიზანს ვერ აღწევს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს დიუგი, ბოლოს და ბოლოს ეს შეხედულება ლოგიკური აუცილებლობით თავის შედეგად მოსახლეობის სამართლის სუბიექტად დასახვას იძლევა. მართლაც და „ინდივიდთა კრებულს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს ორგანოს როლი, თუ იგი თვითონ კოლექტიურ პიროვნებას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი ორგანიზაცია აქვს, თუ იგი ორგანიზაციული, კოლექტიური პიროვნებაა; ამგვარად ჩვენ ამ კონსტრუქციის ნიადაგზე კვლავ ვუბრუნდებით მოსახლეობის, როგორც იურიდიული სუბიექტის ცნებას“ (დიუგი).

ამგვარი მოსაზრებიდან მხოლოდ ერთი აუცილებელი დასკვნა გამოდინარეობს და ეს დასკვნა იმაში გამოიხატება, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს მოსახლეობაში დავინახოთ სამართლის სუბიექტი ან სამართლის ობიექტი. რაც შეეხება უკანასკნელს, ე. ი. მოსახლეობის სახელმწიფო ხელისუფლების ობიექტად დასახვას, ცხადია, რომ სინამდვილეში არა მოსახლეობა, როგორც მთლიანობა, წარმოადგენს ასეთ ობიექტს, არამედ განცალკევებული, მხოლოდ ინდივიდები, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის მოსახლეობას.

ხელისუფლება

ჩვენ დავახასიათებთ იურიდიული მნიშვნელობა, ერთის მხრივ, სახელმწიფოს ტერიტორიისა და, მეორეს მხრივ — სახელმწიფოს მოსახლეობის. მაგრამ როგორც უკვე ითქვა, ამ ორი ელემენტით არ ამოიწურება სახელმწიფოს მთლიანი ცნება.

ცნობილია, რომ სანამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჩამოყალიბდებოდა, არსებობდნენ ადამიანთა საზოგადოებრივი შეკავშირების სხვადასხვა ფორმები. ზოგ შემთხვევაში ეს კავშირები წმინდა პირდაპირ ხასიათს ატარებდნენ, ზოგ შემთხვევაში კი ადამიანთა ასეთი ასოციაციები დაკავშირებული იყვნენ თუ საბოლოოდ არა, ხანგრძლივად მაინც, განსაზღვრულ ტერიტორიასთან. ამ უკანასკნელი ფორმის საზოგადოებრივი ერთეულები რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ ისინი ხასიათდებიან როგორც საკუთარი ტერიტორიით, ისე საკუთარი მოსახლეობით და თუ ასეთ კავშირებს მაინც არ ვუწოდებთ სახელმწიფოს, ცხადია, ამ უკანასკნელში ე. ი. სახელმწიფოში ტერიტორიის და მოსახლეობის გარდა უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ელემენტი, რომელიც საზოგადოებრივი შეკავშირების სხვა ფორმებში არ გვხვდება. ეს მომენტი სახელმწიფო ხელისუფლებაა. ეს უკანასკნელი თავის წინასახელმწიფოებრივ ფორმებში გულისხმობს საერთო ინტერესების და საერთო მიზნების არსებობას; ასეთი საერთო მიზნების განხორციელება კი მხოლოდ იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც განცალკევებული ინდივიდების მოქმედება ერთ ჰარმონიულ ხაზს გამოხატავს; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანთა ინდივიდუალურ სხვადასხვაობას, მათ განცალკევებულ, ერთი მეორისადმი დაპირისპირებულ სურვილებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ შეთანხმებული მოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საზოგადოებაში არსებობს ერთგვარი ავტორიტეტი, რომლის განკარგულებასაც საზოგადოების ყველა შემაღგენელი ინდივიდი ასრულებს. ასეთი ხელისუფლება ჩვენ გვხვდება უკვე საგვარეულო კავშირებში ეგრეთწოდებული *patria potestas* სახით. სახელმწიფო ორგანიზაციაში ეს ხელისუფლება არსებით ცვლილებას განიცდის და



სწორედ ამიტომ ამ ახალი ფორმით, ხელისუფლების მომენტი სახელმწიფოს სპეციოლურ მოვლენას ქმნის.


6
19

იმ განსხვავების ნათელსაყოფად, რომელიც ერთი მხრივ, სახელმწიფო და მეორე მხრივ, სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ კავშირებში არსებულ ხელისუფლებას შორის არსებობს, საჭიროა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პირველყოფილ ფორმებში ვიდრე სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა, ხელისუფლებას მხოლოდ ფსიქოლოგიური ხასიათი ჰქონდა; ინდივიდის მორჩილება არსებული ხელისუფლების მატარებლისადმი უშუალო ხასიათს ატარებდა და ბოლოსდაბოლოს იმ დამოკიდებულებისა და მორჩილების გრძნობას ეყრდნობოდა, რომელიც თვით ინდივიდში არსებობდა. ამგვარი პირადი დამოკიდებულების გრძნობისაგან არსებითად განსხვავდება ხელისუფლება, რომელიც ჩნდება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად და რომლის მთავარ მომენტს, სხვათა შორის, მისი აბსტრაქტული ხასიათი შეადგენს. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში ხელისუფლება იურიდიულ ნორმათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და სწორედ ამიტომ არსებითად განსხვავდება იმ ხელისუფლებისაგან, რომელიც თავისი შინაარსით ინდივიდთა განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ განცდებს აღნიშნავს და რომელსაც ჩვენ სახელმწიფოს წინამორბედ საზოგადოებრივ ფორმებში ვხვდებით. ეს არის პირველი მომენტი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების დანახიათების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და რომლითაც სახელმწიფო განსხვავდება წინამორბედი საზოგადოებრივი ფორმებისაგან.

მაგრამ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება არ ისპობა, არსებობას განაგრძობს. თანამედროვე მეცნიერებისათვის უკვე უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცნება ერთი მეორეს არ ჰფარავს, რომ უკანასკნელი გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე პირველი. ამას ნათლად ამტკიცებს ის უბრალო ფაქტი, რომ ზოგიერთი საზოგადოებრივი კავშირი განსაზღვრული სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება და სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომებს აკავშირებს.

თუკი, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანთა შეკავშირება აუცილებლად გულისხმობს ხელისუფლების არსებობას, ეს საზოგადოებრივი კავშირებიც, რომლებიც სახელმწიფოს ფარგლებში არსებობენ, ხელისუფლებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი; აქედან კი საკითხი იმის შესახებ, თუ რითი განსხვავდება ერთი-მეორისაგან სახელმწიფო ხელისუფლება ამ საზოგადოებრივ შეერთებაში არსებული ხელისუფლებისაგან, აუცილებლად მოითხოვს გაშუქებას.

ამ საკითხის გარკვევის დროს ჯერ შევჩერდებით სხვადასხვა თანამედროვე საზოგადოებრივ შეერთებაზე. ის ხელისუფლება, რომელიც ამ კავშირში გვხვდება ერთი მთავარი მომენტით ხასიათდება: იგი (ე. ი. საზოგადოებრივ კავშირში არსებული ხელისუფლება) მოკლებულია იძულებით ხასიათს. ამიტომ ის ძალაუფლება, რომლითაც ასეთი კავშირები არიან აღჭურვილი, მისი შიშ-დგენელი ინდივიდების კეთილ სურვილზეა დამოკიდებული და ამ უკანასკნელის მიმართ კავშირი აღჭურვილია არა იძულებითი, არამედ დისციპლინური უფლებით. კავშირის ერთადერთი იარაღი იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც მის ამა თუ იმ დადგენილებას არ ემორჩილება, მხოლოდ ისაა, რომ მას ასეთი პირის თავისი წრიდან გამორიცხვა შეუძლია, მაგრამ მას არ ძალუძს აიძულოს ინდივიდი მის განკარგულებას დაემორჩილოს.



სრულებით საწინააღმდეგო თვისებით ხასიათდება ამ მხრივ სახელმწიფო ხელისუფლება. ამ უკანასკნელის ძირითადი თვისება მისი იძულებითობაა. სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედება ამიტომ სრულებით არ არის დამოკიდებული კერძო ინდივიდის სურვილზე. მისი ყოველი ბრძანება უნდა შესრულდეს უყოყმანოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლება, განსხვავებით იმ ხელისუფლებიდან, რომელიც საზოგადოებრზე კავშირებშია და რომელიც შემადგენელი ინდივიდების თავისუფალ ნებას ემყარება, იძულებითი ხასიათისაა და სწორედ ესაა მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. მაგრამ ეს თვისება საკმარისი როდია სახელმწიფო ხელისუფლების მთლიანი დახასიათებისათვის. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს ფარგლებში ისეთ კორპორაციებსაც ვხვდებით, რომელთა ორგანოები იძულებითი ხელისუფლებით არიან აღჭურვილი. ასეთია, მაგალითად, თვითმმართველობის ორგანოები. ექვს გარეშეა, რომ ვთქვათ, თბილისის თვითმმართველობა აღჭურვილია იძულებითი ხელისუფლებით; სხვადასხვა დადგენილებანი, რომლებიც თვითმმართველობის ამ ორგანოდან — ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტიდან გამოდის, სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც თბილისში იმყოფება; ეს დადგენილებები იძულებით მოიყვანება სისრულეში, როცა მას ესა თუ ის ინდივიდი არ ემორჩილება თავისი ნებით. ექვს გარეშეა, მეორე მხრივ ისიც, რომ ეს ორგანო (ამ შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტი) ცენტრალური მთავრობის დაწესებულებას კი არ წარმოადგენს. არამედ იგი თბილისის თვითმმართველობის, როგორც განსაზღვრული ტერიტორიული კორპორაციის ორგანოა. ამგვარად, იმ დასკვნამდე მივიღივართ, რომ სახელმწიფოს ფარგლებში არსებობენ ხელისუფლებით აღჭურვილი კორპორაციები და ეს ხელისუფლება აქ ისეთივე იძულებით ხასიათს ატარებს, როგორც თვით სახელმწიფო ხელისუფლება. ამ უკანასკნელის მთლიანი გამორკვევისათვის აუცილებლად საჭიროა გამოინახოს კრიტერიუმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამ ორი სახის ხელისუფლების ერთი მეორისაგან განსხვავება.

სუვერენიტეტი

ასეთ განსხვავებულ მომენტს ჩვეულებრივ იმაში ხედავენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სუვერენიტეტით ხასიათდება იმ დროს, როცა ყველა დანარჩენი ხელისუფლება, რომელსაც სახელმწიფოს ფარგლებში ვხვდებით, მოკლებულია სუვერენულ ხასიათს. ეს შეხედულება, რომელიც სუვერენიტეტში სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებელ მომენტს ხედავს, ერთი იმ დებულებათაგანია, რომლის გააზრდით თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში აზრთა და შეხედულებათა დიდი სხვადასხვაობაა შექმნილი. არ არსებობს ერთი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება იმ შინაარსისა, რომელსაც ეს ცნება უნდა გამოხატავდეს და ეს გარემოება კი ნაწილობრივ მაინც იმიტაა გამოწვეული, რომ სუვერენიტეტის ცნებამ დიდი ისტორიული ევოლუცია განიცადა, რომლის განმავლობაში იგი ხშირად სრულებით საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელი იყო. ადვილი გასაგებია, რომ შინაარსის ეს სხვადასხვაობა ერთგვარ გავლენას ახდენს თანამედროვე აზროვნებაზედაც. ამიტომ, სანამ ამ ცნების დოგმატურ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა განვიხილოთ მისი ისტორიული წარმოშობის საკითხი და გამოვარკვიოთ ის განსხვავებული შინაარსი, რომელსაც ეს იღეა თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ატარებდა.



სუვერენიტეტის იდეა თავისი წარმოშობის მომენტში სრულებით არ იხვედრებოდა ხელს მიზნად არსებული წყობილების წმინდა თეორიულ გაშუქებას; მისი მომშობი მიზეზები ნაკარნახევია არა აზროვნების თეორიული მოტივებით, არამედ იმ ბრძოლაში პოულობს საფუძველს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების განვლილ საფეხურებზე გვხვდება იმ სხვადასხვა ელემენტებს შორის, რომლებიც ბატონობისათვის იბრძოდნენ ამ პერიოდში. ამიტომ ეს იდეა ბრძოლის იარაღს წარმოადგენდა, რომლის საშუალებებითაც თითოეული ამ ელემენტთაგანი ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი პოლიტიკური უზენაესობა სახელმწიფოს წყობილებაში. სწორედ ამიტომ ეს იდეა არა მშრალ თეორიულ, არამედ წმინდა პრაქტიკული ხასიათის მიმდინარეობას აღნიშნავს, რომლის მთავარი მიზანია არსებული წყობილების სრულებით ახალ საფუძველზე აგება. რაკი ასეა, თუ სუვერენიტეტის იდეა ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ცდილობს ახალი შინაარსი შთაბეროს პოლიტიკურ შემოქმედებას, ადვილი გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ სოციალური ურთიერთობის გაშუქებას, რომლის ნიადაგზე აუცილებელი იყო ამ იდეოლოგიის ჩამოყალიბება. ექვს გარეშეა, რომ თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის წარმოშობა გამოწვეული იყო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. მაგრამ ამ ევოლუციას ყოველთვის თან სდევდა მისი იდეური გამოხატულება, რომელიც ხშირად ფრიად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა მის გამომწვევ ფაქტორებზე და ამ ნხრივ, თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში, აქტიურ ძალას წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, ისტორიული სინამდვილის მიხედვით ყოველთვის შეგვიძლია ნათლად გავარჩიოთ ერთგვარი პარალელიზმი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ იდეოლოგიას შორის. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ სახალხო სუვერენიტეტის იდეის პირველი გამოხატულება და მისი შემდგომი ევოლუცია შეუძლებელია გავგებული იქნეს იმ სოციალური ბრძოლის გარეშე, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს ისტორიულ განვითარების მთავარ შინაარსს შეადგენს.

პირველად, მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში ჰპოვა სუვერენიტეტის იდეამ მკაფიო გამოხატულება, მაგრამ გაცილებით უფრო ადრე პოლიტიკურ ლიტერატურაში მომზადებული იყო შესაფერისი ნიადაგი ამ იდეის წარმოშობისათვის. ამ გარემოების გასაგებად საჭიროა ყოველთვის ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სუვერენიტეტის პრინციპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმთავითვე არსებული პოლიტიკური წყობილების დოგმატურ დამუშავებას როდი ისახავდა მიზნად, პირიქით, იგი პოლიტიკური ბრძოლის ლოზუნგს გამოხატავდა, მისი მიზანი იყო არა არსებული წყობილების იურიდიული შემეცნება, არამედ მისი გარდაქმნა განსაზღვრული იდეების მიხედვით. მას არა დოგმატური, არამედ პოლიტიკურ-რეფორმატორული მოტივები ასულდგმულვებდა. სწორედ ამ პერიოდში, ე. ი. მე-14 საუკუნეში, მკაფიო გამოხატულებას პოულობს მეფის ხელისუფლების თანდათანობით გაძლიერების ტენდენცია, რომელიც ამ დრომდე შეზღუდული იყო წოდებრივ-წარმომადგენლობით. სწორედ ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ შემუშავდა ამ პერიოდში სუვერენიტეტის პრინციპი. აქედან ცხადია, რომ ეს იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული ყველა იმ წინამორბედ თეორიებთან, რომლებიც მეფის უფლებების წინააღმდეგ იბრძოდნენ და მეფას ხელისუფლების შეზღუდვას მოითხოვდნენ ამა თუ იმ მოსაზრებით. ამიტომ, ამ პოლიტიკური ოპოზიციის წინასწარი გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა სუვერენიტეტის ცნების წარმოშობის გასაგებად. ამგვარმა ოპოზიციამ, რომელიც მიმართუ-

ლი იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ, პირველად რომელიც ეკლესიის ფარგლებში იჩინა თავი და თავისი იდეური გამოხატულების მხარე იმ მსოფლმხედველობის შედეგს წარმოადგენდა, რომლის მატარებელი ეკლესია იყო და საერო და საეკლესიო საქმეების ურთიერთდამოკიდებულებას შეეხებოდა. საჭიროა შეგვიხსენებდეს ამ მსოფლმხედველობის ძირითად მომენტებზე, რომლებიც შემუშავდა შუა საუკუნეებში.

შუა საუკუნეების პოლიტიკური წყობილება არსებითად დუალისტურ ხასიათს ატარებდა. ერთი მხრივ საერო ხელისუფლება და მეორე მხრივ, ეკლესია წარმოადგენდა ორ მთავარ ძალას, რომლებიც არსებობდნენ ერთმანეთისაგან სრულებით დამოუკიდებლად. ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სასულიერო და საერო საქმეებზე ზრუნვა ამ ორი ხელისუფლების ფუნქციების დანაწილებისათვის თითქოს საქმავ უნდა ყოფილიყო და არ იყო განსაზღვრული კანონმდებლობით. რადგან არ მომხდარა ამ ორი ხელისუფლების ერთგვარი უფლებრივი კოორდინაცია იმდროინდელი პოლიტიკური სინამდვილის ფარგლებში, შათი წონასწორობა მერყეობდა. ამდენად აუცილებელი გახდა მათ შორის ბრძოლა ბატონობისათვის. ეს ბრძოლა, რომელიც საუკუნეებით გრძელდება, ერთგვარ ანარეკლს პოულობს იმდროინდელ პოლიტიკურ აზროვნებაში. თავისი არსებობის პირველ პერიოდში ქრისტიანობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს საერო საქმეებს. სახელმწიფოს არსებობაში იგი პირველი ადამიანის ცოდვის შედეგს ხედავს, თვით სახელმწიფოს კი უყურებს როგორც აუცილებელ ბოროტებას. თავის უახლოეს მიზანს იგი ცოდვილი კაცობრიობის სულიერ გამომართვლებაში ხედავს და ამის მიხედვით ამქვეყნიურ საქმეებში ჩარევას, როგორც უღირსს საქმეს, თავისი მოქმედების გარეშე ტოვებს. საერო საქმეში სრული ჩაურევლობა ძირითადი მოტივი იყო, რომელიც დასავლეთის ეკლესიის პოლიტიკის დედააზრს გამოხატავდა დაახლოებით მე-9 საუკუნემდე. მაგრამ ამავე პერიოდის ლიტერატურაში, მეორე მხრივ, ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ ის ტენდენციები, რომლებიც პოლიტიკური განვითარების შემდეგ საფეხურზე არსებითად ცვლის ეკლესიის დამოკიდებულებას საერო ხელისუფლებისადმი. სახელდობრ, აზრი, რომ ეკლესია უფრო მაღალი მიზნებისაკენაა მოწოდებული, ვიდრე საერო ხელისუფლება in potentio უკვე გულისხმობდა, რომ ეს ორი პოლიტიკური ძალა სხვადასხვა შინაგან ღირებულებას წარმოადგენდა; თავისი ზნეობრივი ღირსებით და მოწოდებით საეკლესიო ხელისუფლება მეფის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა თავს. ამას უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ ინდიფერენტობაში, რომელიც პირველ ხანებში ახასიათებდა ეკლესიის დამოკიდებულებას საერო საქმეებისადმი, დიდხანს ვერ გასტანდა. დაახლოებით მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული წმინდა ტახტი თანდათან აფართოვებს თავის ზეგავლენას სახელმწიფოებრივ საქმეებზე და ამასთან, არსებითად იცვლება საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაც.


ზემოთ ითქვა, რომ ეკლესიის მთავარ მიზნად მიჩნეული იყო ადამიანის ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნვა. ეს მიზანი კი, როგორც უმაღლესი ღირებულების მატარებელი, სავალდებულოდ იყო ცნობილი თვით სახელმწიფოსათვისაც; ამ უკანასკნელის გამართლება მხოლოდ იმდენად იყო შესაძლებელი იმდროინდელი საეკლესიო აზროვნებისათვის, რამდენადაც სახელმწიფო შესაფერ პირობებს ქმნიდა ამ მიზნის განხორციელებისათვის. ცხადია, რომ ეკლესიის წარმოდგენით, ამ მხრივ მიმართული საერო ხელისუფლების მოქმედება ეკლესიისაგან უნდა ყოფილიყო უშუალოდ დამოკიდებული, ადვილად გასაგე-



ზია, რომ საერო ხელისუფლება უარყოფითად ეკიდებოდა რომის პოლიტიკას ასეთ მიმართულებას და ეკლესიის თეოკრატიული ტენდენციები რამდენიმე ძლიერ ხასიათს იღებდნენ, იმდენად მეტ გამწვავებას აღწევდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება. ეს გამწვავება აშკარა ბრძოლად გადაიქცა მე-XI საუკუნეში და გრძელდება მე-XIV საუკუნემდე, როდესაც ეკლესია საბოლოოდ დამარცხდა.

ამ ბრძოლას პოლიტიკური აზროვნებისათვის უმედვეგოდ არ ჩაუვლია. ერთის მხრივ, საეკლესიო ლიტერატურიდან, რომლის მთავარი მომენტები უკვე მოვიყვანეთ, თავისთავად ის დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ეკლესია სუვერენული ხელისუფლების მატარებელია და საერო ხელისუფლება მისდამი დამორჩილებული ხასიათისაა. ასეთი დასკვნა იმ მთავარ დებულებას ეყრდნობოდა, რომ საეკლესიო მსოფლმხედველობის მიხედვით, ეკლესია უშუალოდ ღვთის მიერ იყო დაწესებული და როგორც ასეთი იგი ღვთაებრივი ავტორიტეტით იყო აღჭურვილი, რომელთან შედარებით სახელმწიფო, როგორც ცოდვისა და ბოროტების შედეგი, უფრო მდაბალი სახის და ამიტომ დამორჩილებულ, დაქვემდებარებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ამავე პერიოდში ეხვდებით საწინააღმდეგო იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც მეფის ხელისუფლების დამოუკიდებლობას იცავს საეკლესიო ხელისუფლებისაგან და ამ დებულებას იმით ასაბუთებს, რომ საერო ხელისუფლებას ისეთივე ღვთაებრივ საწყისს მიაწერს, როგორც საეკლესიო ხელისუფლებას. ამ თეორიის დეტალები ამჟამად არ გვაინტერესებს; ჩვენთვის ამ იდეურ ბრძოლაში ისაა საყურადღებო, რომ მის ნიადაგზე, პირველად ჩამოყალიბდა სუვერენიტეტის, როგორც დამოუკიდებელი და შეუზღუდველი ხელისუფლების ცნება. როგორც უკვე ითქვა, ეს ბრძოლა დაახლოებით მე-XV საუკუნეში დამთავრდა. სახელმწიფოს სასარგებლოდ, საეკლესიო ხელისუფლება დამარცხდა. ამ კამათსაც დაჰკარგა პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს გამარჯვება, ცხადია, არა მარტო ეკლესიის საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებას წარმოადგენდა, არამედ ამასთან ერთად მეფის ხელისუფლების თანდათანობით გაძლიერებასაც ნიშნავდა, ხოლო ამგვარ გაძლიერებას ეკლესიის გარდა სხვა მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა; ასეთი იყო უმთავრესად ფეოდალური პრივილეგიებით აღჭურვილი თავადაზნაურობა, რომლისთვისაც მეფის ძალაუფლების გაძლიერება მათი ბატონობის და დამოუკიდებლობის მოსპობას მოასწავებდა.

ბრძოლა, რომელიც ამ ნიადაგზე წარიმართება მეფესა და ფეოდალებს შორის, უკიდურეს გამწვავებას მე-XVI საუკუნეში აღწევს. ამ პერიოდში ეს ბრძოლა ორ მთავარ მომენტს შეიცავს. ერთი მხრივ, მეფის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად სარწმუნოებრივი საკითხი, *jus reformandi*, რომელიც მონარქის ხელისუფლების ერთ-ერთ ატრიბუტად იქცა, გულისხმობდა ქვეშევრდომთა რწმენის საკითხში უშუალო ჩარევას. აქედან ცხადია, რომ სარწმუნოებრივი განხეთქილება, რომელმაც თავი იჩინა რეფორმაციის წარმოშობასთან ერთად, უშუალოდ იქნა გადატანილი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე; თუკი ქვეშევრდომისათვის სავალდებულო იყო სარწმუნოება, რომელსაც თვით მეფე აღიარებდა, ეჭვგარეშეა, რომ ერთ-ერთი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა სახელმწიფოსაგან დევნილ ხასიათს იღებდა და მისი ბრძოლა თავდაცვისათვის მიმართული იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ამაში გამოიხატებოდა ამ ბრძოლის სარწმუნოებრივი მოტივი.



მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ამ ბრძოლის შინაარსი; სარწმუნოებასა და რიგ ინტერესებთან ერთად, მასში მჭიდროდ იყო გადახლართული სხვა-სხვათა მოტივებიც, ხოლო აღნიშნული ბრძოლის გასაგებად აუცილებლად ორიოდ სიტყვით მაინც უნდა შევჩერდეთ იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაახლოებით XV საუკუნიდან საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მოვლენად მეფის ხელისუფლების გაძლიერება უნდა ჩაითვალოს. უკვე ლუი XI-ს დროს აბსოლუტიზმისაკენ მიმართული ტენდენციები საგრძნობ ვამარჯვებას პოულობენ, ხოლო ფრანცისკ პირველის მეფობაში წოდებრივი წარმომადგენლობა — გენერალური შტატები — ჰკარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. აბსოლუტიზმის ასეთი გაძლიერება მკაცრ ოპოზიციას იწვევდა ფეოდალური პრივილეგიებით აღჭურვილ თავადაზნაურობაში. ფრანცისკ პირველის დროს წოდებრივი ინსტიტუტის დარღვევასთან ერთად პოლიტიკურ ლიტერატურაში ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ ერთგვარი ოპოზიცია, რომელიც ცდილობს მოაგონოს მეფეს მისი უფლებების შეზღუდული ხასიათი; უკვე 1519 წელს მეფის ხელისუფლება შეზღუდულ ხასიათს ატარებს, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო სარწმუნოებრივი ბრძოლა და ამ ბრძოლის ნიადაგზე მეფის წინააღმდეგ ამხედრებული ოპოზიციის თავის გარშემო იკრებდა არა მარტო მეფის სარწმუნოებრივი პოლიტიკით უკმაყოფილო ელემენტებს, არამედ იმათაც, ვინც უარყოფითად უცქერდა მეფის უფლების გაძლიერებას და ფეოდალური პრივილეგიების მოსპობას. ეს უკანასკნელი კი პოლიტიკური დასაბუთების მხრივ სხვაგვარ არგუმენტს მოითხოვდა.

ამ საკითხში ვაღამწყვეტი როლი ითამაშა იმ მოძღვრებამ, რომელიც გაცილებით უფრო ადრე აღმოცენდა და რომლის მიხედვით, მეფის ხელისუფლების დაარსება ადამიანთა თავისუფალი ნებით და შეთანხმებით იყო გამოწვეული.

აქ არ შევჩერდებით ამ თეორიის ისტორიულ განხილვაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გარდა ისტორიული ტრადიციისა, ამ პერიოდში ამ თეორიის მიღებას და გავრცელებას ხელი შეუწყო შუა საუკუნეების იურიდიულმა აზროვნებამ და იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების ინსტიტუტებმა.

როგორც უკვე ითქვა, ამ პერიოდის აზროვნებისათვის უცნობი იყო განსხვავება საჯარო და კერძო სამართალს შორის. ამიტომ, როგორც კერძო პირების, ისე ხელისუფლების და ქვეშევრდომთა ურთიერთდამოკიდებულება ამ აზროვნებისათვის გასაგებია მხოლოდ კერძო სამართლის ნორმების საშუალებით, როგორც კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც კონტრაპენტების თავისუფალ ნებას გამოხატავს. ასეთი აზრი მარტო დოქტრინალურ ხასიათს როდი ატარებდა; იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილე ასეთსავე საფუძველზე იყო აგებული. ფეოდალური წყობილების პოლიტიკური რეჟიმი

მარტო მთავარი ინსტიტუტების მხრივ, დეტალებშიაც კი კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებათა სისტემას წარმოადგენდა. ასეთი იყო, მაგალითად, მეფის და წოდებრივი წარმომადგენლობის ურთიერთდამოკიდებულება; ყოველი გადაწყვეტილება აქ ხელშეკრულებას შეიცავდა, რომლითაც, როგორც მეფე, ისე ფეოდალები განსაზღვრულ ვალდებულებებს კისრულობდნენ. ასეთსავე ხასიათს ატარებდა სუზერენის და ვასალის, მეფის და სარწმუნოებრივი პარტიების ურთიერთობა. ხშირად ასეთსავე იურიდიულ ბუნებას ატარებდა მეფის არჩევა.

თუკი ამგვარად საზოგადოებრივი ცხოვრება თავის მთავარ მომენტში ხელ-

შეკრულებათა სისტემაზე იყო აგებული, მეფის ხელისუფლება, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ-ერთი ფენომენი, ადვილად პოულობდა თავისი წარმოშობის განმარტებას ამავე სისტემის ფარგლებში ე. ი. ხელშეკრულების ცნების ნიადაგზე. ისიც ადვილი წარმოსადგენია, თუ ვინ უნდა ეგულისხმა ამ ხელშეკრულებას: სწორედ იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკური საზოგადოების ყველა ელემენტზე ახდენს ზეგავლენას, თავისთავად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ხალხი როგორც ერთგვარი მთლიანობა, ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარედ უნდა ყოფილიყო გამოცხადებული. ამგვარად *rex et populus* ორი კონტრაპენტია, რომელნიც ხელშეკრულებით ეკვრიან ერთი მეორეს და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს მეფის ხელისუფლება. ეს უკანასკნელი, ამგვარად ხალხის ნებისყოფისაგან გამომდინარეობს. და იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მეფეს ხელისუფლება მობოკებული აქვს ამა თუ იმ ტერიტორიის ოკუპაციის მეშვეობით, აუცილებლად იგულისხმება *consensus populi theitus vel expresus*.

თავისთავად ასეთი დასკვნა არაფერს დადებითს არ იძლეოდა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მონარქის უფლებები შეზღუდულ ხასიათს ატარებენ; ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ამ შეხედულებას იზიარებდა აბსოლუტიზმის ისეთი უკიდურესი დამცველი, როგორიცაა მაგალითად, ჟან ბოდენი. სიმძიმის ცენტრი, აქ იმ საკითხზე იყო გადატანილი, თუ რა შინაარსს ატარებდა ეს ხელშეკრულება მეფესა და ხალხს შორის. ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა უკვე შუა საუკუნეებში დაიწყო. გლოსატორებს შორის ამტყდარ კამათში, თუ როგორ იურიდიულ ბუნებას ატარებდა რომის საჯარო სამართლის *lex regia* იმ აზრს იცავდნენ, რომ ხელისუფლების ხალხისაგან პრინციპსზე გადასვლას საბოლოო ხასიათი ჰქონდა და ამიტომ *translatio imperi* სამუდამოდ უკარგავდა ხალხს ერთხელ გადაცემული უფლებების უკან, ე დაბრუნების საშუალებას.

ამ შეხედულების საპირისპიროდ გლოსატორების მეორე მიმდინარეობა ამ გადაცემის აქტში ხელისუფლების მხოლოდ დროებით დათმობას ხედავს და ამიტომ იურიდიული ბუნების მხრივ ეს აქტი მათი შეხედულებით ხასიათდება არა როგორც *translatio*, არამედ როგორც *concessio imperi*.

ეს ორი განსხვავებული შეხედულება გვხვდება XVI საუკუნეში ამტყდარ პოლიტიკურ და იდეურ ბრძოლაში და ამ შეხედულებებიდან შესაფერისი დასკვნები გამოჰყავს იმ დროინდელ აზროვნებას. ერთის მხრივ *translatio imperi*-ს პრინციპიდან თავისთავად გამომდინარეობდა მეფის სუვერენობის იდეა; ექვს გარეშეა, რომ ამ შეხედულებითაც პირველადი სუვერენული უფლებებით მხოლოდ ხალხი იყო აღჭურვილი, მაგრამ ეს სუვერენიტეტი ხელშეკრულების ნიადაგზე საბოლოოდ და სავსებით მეფეზე გადავიდა და ამ დღიდან სახელმწიფოს ერთადერთ სუვერენულ ორგანოდ მეფე უნდა ჩაითვალოს.

სულ სხვა დასკვნა უნდა მოეცა იმ შეხედულებას, რომელიც ხალხსა და მეფეს შორის დადებულ ხელშეკრულებაში დროებით *concessio imperi*-ს ხედავდა. სუვერენიტეტი თავისი სუბსტანციის მხრივ, ამ თეორიის მიხედვით, ხალხს ეკუთვნოდა სამუდამოდ და საბოლოოდ და მხოლოდ სუვერენული უფლებების დროებითი განხორციელება გადადიოდა მონარქზე. ამგვარად პირველი შეხედულება მეფის და მეორე სახალხო სუვერენიტეტის იდეას ასაბუთებდა.

აქ ზედმეტია შევჩერდეთ ამ თეორიების სხვა დეტალებზე. ისტორიული განხილვა სუვერენიტეტის ცნებისა, რომელიც ჩვენ ეხლა მოვანდინეთ, ერთ




რამეში გვარწმუნებს. სახელდობრ იმაში, რომ ამ პერიოდში სუვერენიტეტის ცნება იხმარებოდა არა თვით სახელმწიფოს ხელისუფლების ძირითად მომენტის სახით, არამედ სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ სხვა და სხვა ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების აღსანიშნავად. საკითხი აქ ეხებოდა არა იმას, დამახასიათებელია თუ არა სუვერენიტეტი თვით სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის, არამედ იმას, თუ ვის ეკუთვნის ეს სუვერენიტეტი, ხალხს თუ მეფეს. მაგრამ თუ ამგვარად ამ პერიოდში არ ყოფილა გამორკვეული ნამდვილი სუბიექტი სუვერენიტეტის ცნებისა, სამაგიეროდ თვით შინაარსი, რომლითაც ეს ცნება ხასიათდება, მისი ძირითადი მომენტები უკვე ამ პერიოდში მკაფიოდ იყო შემეცნებული. სუვერენიტეტი ამ მხრივ, ისეთ ხელისუფლებას აღნიშნავს, რომელიც არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად არ არის დამოკიდებული სხვა ხელისუფლებისაგან და სწორედ ამ საფუძველით მეფის ხელისუფლებას აბსოლუტურ ხასიათს ანიჭებენ ამ პერიოდში.

სუვერენიტეტის პრინციპი, თვით სახელმწიფო ხელისუფლების გაგებით, პირველად ჟან ბოდენის მიერ იხმარება. ეს ნათლად ჩანს იმ განმარტებიდან, რომელსაც ბოდენი აძლევს სახელმწიფოს. ბოდენის აზრით, სუვერენიტეტი არა სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოსთვის ალნიშნავს, არამედ ძირითადი დამახასიათებელი მომენტია თვით სახელმწიფოს ცნებისა. კიდევ უფრო მკაფიოდ ეს აზრი გამოთქმული აქვს ლუაზოს, რომლის შეხედულებით სუვერენიტეტი — ეს ფორმაა, რომელიც არსებობას აძლევს სახელმწიფოს და ურომლისოდაც შეუძლებელია სახელმწიფოს წარმოდგენა. ამით შეგვიძლია დავამთავროთ სუვერენიტეტის ცნების ისტორიული განხილვა. როგორც უკვე აღნიშნული იყო, სუვერენიტეტის იდეა თავის ისტორიულ განვითარებაში ორ განსხვავებულ შინაარსს გამოხატავდა, ამ განვითარების პირველ ხანებში ეს ცნება იხმარებოდა სახელმწიფოს ორგანოს აღსანიშნავად და ამ თვალსაზრისით, ლაპარაკობდნენ ხან მეფის, ხან ხალხის და ან ხან ეკლესიის სუვერენიტეტზე; მხოლოდ განვითარების შემდეგ საფეხურზე ამ ცნებას მიეცა ის აზრი, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების და არა ამ ხელისუფლების მატარებლის, არსებით და ძირითად მომენტს გამოხატავდა.

შინაარსის სხვადასხვაობა დღესაც ახასიათებს სუვერენიტეტის ცნებას. მაგრამ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში სახელმწიფოს ხელისუფლების დახასიათების დროს, ამ ცნების მხოლოდ ის მნიშვნელობაა მხედველობაში მოსაღები, რომლითაც იგი ამ ხელისუფლების დამახასიათებელ მომენტს აღნიშნავს. ამდენად, აქ საკითხი იმას კი არ ეხება, თუ სახელმწიფოს რომელ ორგანოს უნდა მიეწეროს სუვერენიტეტი განსაზღვრული პოლიტიკური წყობილების ფარგლებში, არამედ ის საკითხი ისმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სუვერენიტეტის ცნება სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის და შესაძლებელია თუ არა ამ ცნების ნიადაგზე მოვახდინოთ მკაფიო გამოყოფა სახელმწიფო ხელისუფლებისა სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ შეკავშირებათა ხელისუფლებისაგან.

ძირითადად, საფრანგეთის პუბლიცისტური ლიტერატურისათვის დამახასიათებელია აზრი, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრეს მომენტს ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამ ხელისუფლებას აღნიშნავს. სუვერენიტეტი ამ შეხედულებით, რომელიც მკაფიოდ არის გამოხატული საფრანგეთის თითქმის ყველა კონსტიტუციაში, სახელმწიფოს მბრძანებელი ხელისუფლებაა, რომელიც მასზე მაღლა ან მის გვერდით არ ცნობს სხვა ხელისუფლებას. ამ მხრივ ეს ცნება, ამ დოქტრინის თვალსაზრისით, იმ ძირითად კრიტერიუმად

უნდა ჩაითვალოს, რომლითაც სახელმწიფო არსებითად განსხვავდება სხვა სახის საზოგადოებრივი კავშირებისაგან.



ეს შეხედულება, რომელიც უნიტარული სახელმწიფოების მიმართ გამომუშავებული, დიდ თეორიულ დაბრკოლებებს წააწყდა ფედერაციული სახელმწიფოების იურიდიული მიწების გაშუქებისას. ამ უკანასკნელთა დამახასიათებელი მომენტი ისაა, რომ ყოველ ცალკე სახელმწიფოში, რომელიც ფედერაციას ეკუთვნის, ერთსა და იმავე დროს მოქმედებს ორი ხელისუფლება: ერთი მხრივ, თვით ამ სახელმწიფოსი და მეორე მხრივ, საკავშირო ხელისუფლება. თითოეული ამ შემადგენელი სახელმწიფოთაგანი იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც კონსტიტუციით საკავშირო ხელისუფლებას აქვს მინიჭებული, ამ ხელისუფლებას ემორჩილება და ამ მხრივ, იგი მოკლებულია სუვერენობას, თუმცა სახელმწიფოს ხასიათს მაინც ატარებს. აქედან თითქოს ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ სუვერენიტეტი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ხელისუფლების აუცილებელ მომენტად. სუვერენიტეტის თეორიას ასეთი ფაქტებისათვის აუცილებლად უნდა გაეწიოს ერთგვარი ანგარიში და გამოსავალი გზა ინახოს იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი მოემყვება. ამ საკითხის გარშემო ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ სხვადასხვა სახის კონსტრუქციებს უმთავრესად გერმანული სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში. ნაწილი ამ ავტორებისა იმ აზრს ადგას, რომ სუვერენიტეტის ცნება თავის მნიშვნელობას არ კარგავს ფედერაციული სახელმწიფოების მიმართ, საჭიროა მხოლოდ მკაფიოდ იქნეს შემეცნებული იურიდიული ბუნება ერთი მხრივ, ბუნდისა და მეორე მხრივ, შემადგენელი სახელმწიფოებისა. ამ უკანასკნელს ე. ი. ამ იურიდიულ ბუნებას, ზოგიერთი ამ ავტორთაგანი იმ ვაგებით განმარტავს, რომ სახელმწიფოს ხასიათს მხოლოდ შემადგენელ სახელმწიფოებს აწერენ, რომლებიც, როგორც ყოველი სახელმწიფო, ამ თეორიის აზრით, აღჭურვილია სუვერენული ხელისუფლებით. რაც შეეხება ბუნდს, კავშირს, ფედერაციას, ეს უკანასკნელი მოკლებულია სახელმწიფოს ხასიათს და ამ მხრივ იგი მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოების კავშირს ნიშნავს; ამ მხრივ განსხვავება, რომელიც თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას გაჰყავს სახელმწიფოთა კავშირს და საკავშირო სახელმწიფოებს შორის, ამ თეორიის აზრით, მოკლებულია მნიშვნელობას. ასეთია, მაგალითად, ზეიდელის თეორია, რომელმაც ცხარე კამათი გამოიწვია გერმანულ ლიტერატურაში და საბოლოოდ უარყოფილი იქნა.

მეორე შეხედულება, რომელიც ამ საკითხზე არსებობს, იმავე დებულებიდან გამოდის, რომ სუვერენიტეტი აუცილებლად იგულისხმება სახელმწიფოს ცნებაში, მხოლოდ, ზეიდელის შეხედულების საპირისპიროდ, კავშირის და შემადგენელი სახელმწიფოების დახასიათების დროს იმ მოსაზრებიდან გამოდის, რომ ნამდვილ სახელმწიფოებრივ ხასიათს მხოლოდ ბუნდი ატარებს, რაც შეეხება შემადგენელ სახელმწიფოებს, ისინი ვერ ჩაითვლებიან სახელმწიფოებად ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ასეთი შეხედულებისა, მაგალითად, ბორელი. იგი შემდეგ განმარტებას აძლევს ამ საკითხს: „სუვერენიტეტი — ამბობს ბორელი — სახელმწიფოს ბუნების არსებითი ელემენტია; ვინაიდან ფედერაციული სახელმწიფო სუვერენული სახელმწიფოა, ფედერაციის შემადგენელი ცალკე სახელმწიფოები არ შეიძლება სახელმწიფოებად იწოდონ ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, ჩვენ მათ კანტონებს ვუწოდებთ, სახელმწიფოებს თუ პრავენციებს, ყოველ შემთხვევაში საჯარო სამართლის თვალსაზრისით ისინი მოკლებული არიან იმ უმაღლეს ხასიათს, რომელსაც ეს სამართალი შოით-

ზოგს სახელმწიფოსაგან". ასეთი დასკვნა ხსენებული თეორიებისა, რომელიც იმ მიზნით, რომ სუვერენიტეტის იდეა ურყევი დატოვონ, უარყოფენ. რაკიის ან შემადგენელი სახელმწიფოების სახელმწიფოებრივ ხასიათს, აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე პოლიტიკურ სინამდვილეს. ამ უხერხულობიდან გამოსვლის მიზნით, შემუშავებულ იქნა ორი განსხვავებული შეხედულება. რომელთაც ერთი მხრივ სურთ შეინარჩუნონ სუვერენიტეტის ცნება, მაგრამ ამასთან ერთად ხელშეუხებლად დატოვონ. როგორც შემადგენელ სახელმწიფოების, ისე ბუნდის სახელმწიფოებრივი ხასიათი, ერთი ამ შეხედულებათაგანი ლე ფურის ეკუთვნის. იგი, ერთი მხრივ, იმ აზრს გამოთქვამს, რომ ფედერაციული კავშირი ნამდვილი სუვერენული სახელმწიფოა, მაგრამ უნიტარულ სახელმწიფოთაგან ბუნდი უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ იგი სახელმწიფოთა კორპორაციას წარმოადგენს და, რომ ამიტომ იმ სუვერენიტეტის არსებობაში, რომელიც ფედერალურ სახელმწიფოს ახასიათებს, შემადგენელი სახელმწიფოები არსებით მონაწილეობას იღებენ. უნიტარული სახელმწიფოს უბრალო პრინციპებიდან ფედერაციის შემადგენელი სახელმწიფოები უმთავრესად იმით განსხვავდებიან, რომ ისინი არსებით მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ნების და აქედან მისი სუვერენიტეტის ფორმირებაში, და ამ თვალსაზრისით უნდა დახასიათდნენ როგორც სუვერენული უფლებების გამომხატველნი.

მეორე შეხედულება ამავე საკითხზე, რომელიც პირველად მოხერხა გამოთქვა და რომლის შემდეგ წარმომადგენლად შტენგელი ითვლება, იმ აზრს ადგას, რომ სუვერენიტეტი ყოველთვის ერთ და იგივე ხარისხს როდი ატარებს, რომ ამიტომ არსებობენ სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად ნახევრად სუვერენული სახელმწიფოები, რომელთა ჯგუფს ეს მიმართულება აკუთვნებს ფედერაციულ კავშირში შემავალ სახელმწიფოებსაც.


ყველა აქამდე გამორჩეულ შეხედულებათა დამახასიათებელ თვისებას ის პოზიცია შეადგენს, რომ სუვერენიტეტებ ამ თეორიაში მიჩნეულია სახელმწიფოს აუცილებელ და ძირითად მომენტად და ეს თეორიები სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ ამ პრინციპის შეგუებას ფედერაციული სახელმწიფოების იურიდიულ ბუნებასთან.

საწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც პირველად ლაბანდმა გამოთქვა და რომლის შემდეგ წარმომადგენლებად ელინეკი, გ. მაიერი, შუტცი და სხვა შეიძლება ჩავთვალოთ, იმ აზრიდან გამოდის, რომ სუვერენიტეტის და სახელმწიფო ხელისუფლების ცნება ერთი მეორეს არა ჰფარავს, რომ ამიტომ სუვერენიტეტი თვით ხელისუფლება კი არ არის, როგორც ამას ფრანგული დოქტრინა ამბობს, არამედ იგი სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი მომენტი, თვისებაა, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად როდი იგულისხმება ხელისუფლების ცნებაში. ამ აზრის დასადასტურებლად, ეს თეორია სხვათაშორის იმ გარემოებაზედაც მიუთითებს, რომ სუვერენიტეტის ცნება ყოველთვის როდი იგულისხმებოდა სახელმწიფოს განმარტების დროს, რომ პოლიტიკური ცხოვრების განვლილმა საფეხურებმა იცის ბევრი ისეთი მაგალითი, როდესაც სუვერენიტეტის იმგვარი გაგება, როგორც იგი დღეს გვესმის, სრულიად უცნობი იყო. ამიტომ სუვერენიტეტი ისტორიული და არა აბსოლუტური კატეგორიაა, რომელიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება ახასიათებდეს სახელმწიფო ხელისუფლებას, მაგრამ უამომენტოდაც უკანასკნელი არ ჰკარგავს თავის ხასიათს. აქედან ცხადია, რომ შესაძლებელია არასუვერენული სახელმწიფოების არსე-



ბობაც, რომელთა მაგალითი ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებია. ამგვარად, ეს თეორია იმ დასკვნამდე მიდის, რომ სუვერენიტეტი არ შეიძლება მიიწიონ უნდო იქნეს იმ მომენტად, რომლითაც ერთიმეორესაგან განსხვავდებიან, ერთი მხრივ, სახელმწიფო და მეორე მხრით სხვა დანარჩენი, იძულებითი ხელისუფლებით აღჭურვილი კორპორაციები, როგორც მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობანი. აქედან ადვილი გასაგებია, რომ ამ თეორიას სხვა კრიტერიუმი უნდა გამოენახა სახელმწიფო ხელისუფლების დახასიათების დროს. ამგვარი კრიტერიუმის ძებნის გარშემო ბევრი სხვადასხვა შეხედულება წამოიჭრა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში. ზოგი ავტორი განმასხვავებელ მომენტს აქ იმაში ხედავს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება იძულებით ბრძანებათა გამოქვეყნებისა. ეს შეხედულება, რომელიც ლაბანდს ეკუთვნის უნდა უარყოფილ იქნეს იმ მოსაზრებით, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ იძულებითი ბრძანების უფლება მარტო სახელმწიფოს მონოპოლიას როდი შეადგენს, რომ ამგვარივე უფლებებით აღჭურვილი არიან თანამედროვე სახელმწიფოში არსებული თვითმმართველობათა ორგანოები. მიუღებელია აგრეთვე შეხედულება, რომელიც როზინს და ბარს ეკუთვნის და რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ახასიათებს უნივერსალური ნაციონალური მიზნების განხორციელება თვითმმართველობის ორგანოების საპირისპიროდ, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ მიზნებს ემსახურებიან. მიუღებელია ასეთი შეხედულება იმიტომ, რომ შეუძლებელია ადგილობრივი და სახელმწიფოებრივი მიზნების ერთიმეორისაგან მკაფიო გამოყოფა; ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველი აქტი, ყოველი ღონისძიება ერთგვარ ზეგავლენას ახდენს მთლიანად მთელი სახელმწიფოს მდგომარეობაზეც და ამდენად მას არა მარტო ადგილობრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

გერმანიის სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში დიდი გავლენით სარგებლობს ამ საკითხის შესახებ თეორია, რომელიც ელინეკმა შეიმუშავა და რომლის მიმდევრებად ითვლებიან გ. მაიერი, ანშუტცი, როზენბერგი და სხვანი. ეს თეორია სახელმწიფო ხელისუფლების დამახასიათებელი თვისების სახით რამდენიმე მომენტს გამოყოფს, რომელთა სინთეზი იმ სპეციფიკურ თვისებას ქმნის, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას ახასიათებს. სხვა დანარჩენი საზოგადოებრივი კავშირების ხელისუფლებისაგან განსხვავებით სახელმწიფოს ძირითად მომენტს, ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი გაბატონებული ხელისუფლებაა, რომელიც ბატონობს საკუთარი უფლებით. ასეთი ხელისუფლება აუცილებლად გულისხმობს დამოუკიდებელი ორგანოების არსებობას, რომლებიც სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ. აქედან, საკუთარი ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული ხელისუფლების ფუნქციების დანაწილება ის პირველი მომენტია, რომლითაც სახელმწიფო განსხვავდება არასახელმწიფოებრივი კავშირისაგან. ამიტომ, თუ რომელიმე საზოგადოებრივი კორპორაცია თავის წყობილებას ქმნის არა საკუთარი ნების საფუძველზე, არამედ იღებს სხვა ხელისუფლებისაგან, ასეთი შეკავშირება სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება. აქედან ცხადია, რომ ვერ ჩაითვლება სახელმწიფოდ ადგილობრივი თვითმმართველობა, რადგან ერთი მხრივ, მისი *imprium*-ის საზღვარი, და, მეორე მხრივ, მისი წყობილება, სტრუქტურა და სხვა, სახელმწიფო სახელმწიფო ხელისუფლებით განისაზღვრება, აქედან თავისთავად გამომდინარეობს მეორე მომენტი, რომლი-




თაც სახელმწიფო ხასიათდება და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო, რომელშიაც ამგვარად მომწყვდეთულის ხელისუფლების მთელი სიმძიმე და რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სახელმწიფო აპარატის მოქმედება, უნდა დამოუკიდებელი იყოს ე. ი. იურიდიულად არ უნდა ემთხვეოდეს სხვა სახელმწიფოს ორგანოს.

ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლება, პირველი, იმით ხასიათდება, რომ მისი ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ მის კანონებს ეყრდნობა, შემდეგ, მას უნდა ეკუთვნოდეს ყველა ის მატერიალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა და მოქმედება. სახელდობრ, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი საკანონმდებლო ორგანო და კანონები, რომლითაც ის აწესრიგებს თავისი ხელისუფლების მოქმედებას, საკუთარი მმართველობა და სასამართლო; თუ რომელიმე ამ ელემენტთაგანი არ გვხვდება ამა თუ იმ საზოგადოებრივ შეკრებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არც სახელმწიფო არსებობს. მოკლედ ყველა ეს მომენტი, რომლებიც აქ მოყვანილია სახელმწიფოს ხელისუფლების განსხვავების მიზნით არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან, შეიძლება მოკლედ აღინიშნოს, როგორც თვითორგანიზაციის და ავტონომიის თვისება, რომლითაც ელინეკის აზრით განსხვავდება არასუვერენული სახელმწიფო არასახელმწიფოებრივი შეკავშირებისაგან. ეს თვისება კი ნიშნავს, რომ არასუვერენული სახელმწიფო შესაძლებელია შეიზღუდოს თავისი იმპერიუმის მხრივ, მაგრამ უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველთვის იგულისხმება, როგორც მისი საკუთარი უფლება, რომელიც მის საკუთარ ნებას ემყარება, ამ ნებისაგან გამომდინარეობს და ამიტომ არ შეიძლება დახასიათდეს როგორც სხვა ხელისუფლებისაგან გამომდინარე და მასზე მხოლოდ დელეგაციის ან სხვა რაიმე იურიდიული აქტით გადატანილი. ასეთია მოკლედ ელინეკის თეორიის დედააზრი, ამით შეგვიძლია დავამთავროთ იმ სხვადასხვა თეორიების მიმოხილვა, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების დახასიათებას, მისი ძირითადი მომენტების აღნიშვნას ისახავენ მიზნად.

სახელმწიფოს ფუნქციები


ჩვენ დავახასიათებთ სამი ელემენტი, რომლებიც აუცილებლად იგულისხმება სახელმწიფოს ცნებაში. ესაა ტერიტორია, მოსახლეობა და ხელისუფლება. სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს. როგორც მოსახლეობა, ისე ტერიტორია, ხშირად იგულისხმება არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების ცნებაში და განმასხვავებელ მომენტს, რომლითაც მხოლოდ სახელმწიფო ხასიათდება, მასში არსებული თავისებური შინაარსის მქონე ხელისუფლება ქმნის. მეორე მხრივ, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის ცნებას სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ახასიათებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, განსაზღვრავენ მის შინაარსს. ეს ორი ელემენტი ამ მეცნიერებაში ამ მიზნით ერთგვარ გადასხვაფერებას განიცდის, ასე მაგალითად, ტერიტორიის ცნება სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში უბრალო სივრცეს კი არ აღნიშნავს, არამედ იმ საზღვარს განმარტავს, რომლის ფარგლებშიაც მოქმედებს სახელმწიფო ხელისუფლება; ამგვარადვე მოსახლეობის სახით აღინიშნება მოსახლეობის არა სოციოლოგიური ცნება, არამედ ინდივიდები, რომლებიც არსებული წყობილების მიხედვით ხელისუფლების ერთი მხრივ, სუბიექ-



ტსა და მეორე მხრივ, ობიექტს წარმოადგენენ. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების მთავარი საკითხები უშუალოდ ხელისუფლების ცნებასთანაა დაკავშირებული და აუცილებლად ითხოვენ ამ ცნების უფრო დეტალურ ანალიზს. აქამდე ჩვენ ხელისუფლების შესახებ მხოლოდ ის გამოვარკვეეთ, რომ იგი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელ მომენტს წარმოადგენს. ამიტომ ცხადია, რომ რაც უკვე ითქვა ხელისუფლების შესახებ ეგებოდა ამ უკანასკნელის დამოკიდებულებას სახელმწიფოს ცნებისადმი, ხოლო მის შინაგან ბუნებას, სხვადასხვა ფორმებს, რომლებსაც ხელისუფლების მოქმედება იღებს პოლიტიკური წყობილების ფარგლებში, ჯერჯერობით არ შეგვიძინიარო. საჭიროა ამ საკითხებზე შევჩერდეთ დაწვრილებით.


სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც უკვე ითქვა, იმპერატიულ ხასიათს ატარებს და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მისი განკარგულება სახელმწიფოს შემადგენელ ინდივიდებისადმი მიმართული და ამ უკანასკნელთაგან უყოყმანო მორჩილებას მოითხოვს. ყოველი განკარგულება, რომელსაც ხელისუფლება ინდივიდების მიმართ აქვეყნებს, ერთგვარ მიზანს ემსახურება. აქედან, სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებას ყოველთვის ერთნაირი ფორმა როდი ექნება. ეს უკანასკნელი, ე. ი. ეს ფორმა, არსებითად იმაზე დამოკიდებული, თუ რა მიზანია დასახული განსახორციელებლად ამა თუ იმ შემთხვევაში. რაკი ასეა, თუკი სახელმწიფოს ხელისუფლება მოქმედების მრავალმხრივობით ხასიათდება, ცხადია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უფრო დეტალური ანალიზი პირველად იმ საკითხზე უნდა შეჩერდეს, თუ რა ძირითად ფორმებში პოულობს გამოხატულებას სახელმწიფო ხელისუფლება. სახელმწიფოს ხელისუფლების მოქმედების ამ ძირითად ფორმებს შეგვიძლია სახელმწიფოს ფუნქციები ვუწოდოთ. ამდენად საკითხი, რომელიც ეხლა უნდა განვიხილოთ, იმას ეხება, თუ რა ძირითადი ფუნქციების გამოყოფა შეიძლება, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახასიათებენ.

ეს საკითხი მართო თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის როდია დამახასიათებელი. პირიქით, უკვე ძველი საბერძნეთის პოლიტიკურ ფილოსოფიაში ნათლად ჩანს განსხვავება, რომელიც იმდროინდელ აზროვნებას გაჰყავს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ფუნქციებს შორის. ასეთი განსხვავება სახელმწიფოს სხვადასხვა საქმეებს შორის უკვე არისტოტელეს „პოლიტიკაში“ გვხვდება. ამავე აზრს ვხვდებით შემდეგ XIV საუკუნეში მარსილიოს პადუელის და ნიკოლო კუზანელის შრომებში. პოლიტიკური აზროვნების შემდგომ განვითარებაში ეს აზრი მკაფიო გამოხატულებას პოულობს ინგლისის პოლიტიკური მწერლების ნაწერებში, როგორცაა ლოკი, სვიფტი და სხვანი. ბოლოს, XVIII საუკუნეში, ამ თეორიის ყველაზე უფრო დასაბუთებულ დამუშავებას მონტესკიესთან ვპოულობთ. ადვილი გასაგებია, რომ როგორც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ისე ერთი და იგივე ეპოქის სხვადასხვა სისტემაში, ეს შეხედულება, რომელიც ჩვეულებრივ ხელისუფლების დანაწილების თეორიის სახელითაა ცნობილი, ერთი და იგივე შინაარსს არ ატარებს. პირიქით, (ამ თეორიის ნამდვილი შინაარსი ერთი მხრივ, და მისი მეცნიერული ღირებულება; მეორე მხრივ) პოლიტიკური აზროვნების განვლილ ისტორიას რომ თავი დავანებოთ, თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაშიც, არსებითად ურთიერთსაპირისპირო შეფასებას პოულობს. ამის მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ სხვადასხვა სისტემაში ამ თეორიის შემუშავების დროს ხშირად სრულებით სხვადასხვა მოვლენა აქვთ მხედველობაში და



მკაფიოდ არ არის გამოყოფილი სახელმწიფოს იურიდიული არსებობის ცნება და იგივე ფენომენი, რომელიც შემეცნების ობიექტად უნდა იქნეს მიჩნეული. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ სანამ ამ თეორიის დოგმატური შინაარსის კვლევას შევუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ და ერთი მეორესაგან გამოვყოთ მოვლენები, რომლებიც პრაქტიკული აზროვნებისათვის ერთი და იგივე ცნებით — სახელდობრ, ხელისუფლების დანაწილების ცნებით აღინიშნებიან.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ორ არსებითად განსხვავებულ შინაარსს გამოხატავს. ერთის მხრივ ამ ცნებაში იგულისხმება სახელმწიფო ფუნქციების სხვადასხვაობა, ე. ი. ის ძირითადი სამართლებრივი ფორმები, რომლებშიც თავის გამოხატულებას პოტლოსენ საჯარო ხელისუფლების აქტები, ამ შემთხვევაში თეორიის მიზანია გამოიწიოს ის სამართლებრივი მომენტები, რომლითაც ხასიათდება თითოეული ამ ფუნქციათაგანი თავისი შინაგანი ბუნების მხრივ და სხვა დანარჩენი ფუნქციებისაგან განსხვავებით. მაშასადამე, საკითხი ეხება საჯარო ხელისუფლების ფუნქციების სხვადასხვაობას მატერიალური თვალსაზრისით ე. ი. ამ ფუნქციების იმანენტურ იურიდიულ ბუნებას, იმისაგან სრულებით დამოუკიდებლად თუ სახელმწიფოს რომელი ორგანო ასრულებს ამ ფუნქციას, ერთი ორგანოს ხელშია მოქცეული ყველა ფუნქცია თუ უკანასკნელნი დანაწილებულია სხვადასხვა ორგანოებს შორის, ამის საპირისპიროდ მეორე თვალსაზრისი, რომელსაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გამოხატავს, მთავარ ყურადღებას სწორედ თვით ორგანოების სხვადასხვაობას აქცევს და თითოეული ფუნქციისათვის განცალკევებული და შედარებით მაინც დამოუკიდებელი ორგანოს არსებობას მოითხოვს ადვილი გასაგებია, რომ ეს ორი აზრი, რომელსაც ხელისუფლების დანაწილების ცნება აღნიშნავს, ერთი მეორეს არ ათანაბრებს. ერთის მხრივ, პოლიტიკური სინამდვილე, როგორც წარსული ისე თანამედროვე, ხშირად მიგვითითებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ერთი და იგივე ფუნქცია სხვადასხვა ორგანოს კომპეტენციაში შედის. მეორე მხრივ, ხშირია ისეთი მაგალითებიც, როდესაც სხვადასხვა ფუნქცია ერთი და იგივე ორგანოს ხელშია. აქედან ცხადია, რომ იურიდიულ-დოგმატური ანალიზის საფუძველზე თუ დავდგებით, აქ ორი ერთიმეორესაგან განსხვავებული საკითხი უნდა დავსახოთ, რომელთაც ერთი მეორესთან არ აქვთ უშუალო ლოგიკური ნათესაობა. მაგრამ იმ სინამდვილეში, რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული ევოლუცია წარმოადგენს, ეს ორი საკითხი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამდენად ამ ორი საკითხის ერთი და იგივე ცნებაში შეერთება პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ადვილი გასაგებია. აქ არ შეგჩერდებით ამ ცნების ისტორიული განვითარების დეტალებზე, ვინაიდან, ერთი მხრივ, ამ დეტალების განხილვა პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას უფრო განეკუთვნება და, მეორე მხრივ, ჩვენი მიზნისათვის არც ისეთ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენთვის საკმარისი იქნება ამ ცნების ისტორიული გაშუქება იმ პერიოდის ფარგლებში, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უშუალო წინამორბედი იყო. საკითხის ამგვარი ისტორიული განხილვის დროს ერთი რამ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, სახელდობრ ის, რომ თავისი პირველი გამომუშავების დროს ხელისუფლების დანაწილების თეორია მიზნად სულაც არ ისახავდა ხელისუფლების ფუნქციების თეორიულ, წმინდა იურიდიულ გაშუქებას. როგორც სუვერენიტეტის საკითხში ისე აქაც, თეორია პოლიტიკური ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს და



ამიტომ წმინდა თეორიული მოტივების ნაცვლად აზროვნება აქ უმთავრესად პრაქტიკული ხასიათის მოთხოვნებს აქცევს ყურადღებას და თავის შინაარსში უმთავრესად იმ მომენტებს გამოხატავს, რომლებიც დასახული პრაქტიკული მიზნის განსახორციელებლად ერთგვარ სამართლებრივ საშუალებას იძლევა. და რამდენადაც ამ თეორიის წარმოშობა თანამედროვე სახელმწიფოების განვითარებაში პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულ ინტერესთან იყო დაკავშირებული, იმდენად აუცილებელია ამ პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ძირითად ტენდენციებზე მოკლედ მაინც შეეჩერდეთ.

უკვე მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ დაახლოებით XIV საუკუნიდან წოდებრივი მონარქია, სადაც მეფის ხელისუფლება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხში მაინც წოდებრივი წარმომადგენლობის თანხმობით იყო შეზღუდული, ასეთი პოლიტიკური რეჟიმი აღნიშნული პერიოდიდან თანდათან კარგავს მნიშვნელობას, მის ადგილს აბსოლუტიზმი იჭერს. სახელმწიფოებრივი წყობილების ასეთი გარდატეხა არსებით ცვლილებებს იწვევს იმ საკითხშიც, რომელიც ეხლა გვინტერესებს. აქ უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ წოდებრივი მონარქიის დროს მეფის კომპეტენციაში უმთავრესად სახელმწიფოს მმართველობა შედიოდა. რაც შეეხება კანონმდებლობას, განსაკუთრებით პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მოვლენებზე და მართლმსაჯულებას, ამ ორი ფუნქციის განხორციელებაში მეფის დამოუკიდებელი მოქმედება სხვადასხვა წოდებრივი ხასიათის ინსტიტუტებით იყო შეზღუდული. აქედან ცხადია, რომ მეფე სახელმწიფო უფლებრივი ცხოვრების ერთადერთ ორგანოს არ წარმოადგენდა და მის გვერდით საკუთარი კომპეტენციით აღჭურვილი ორგანოები გვხვდება, იმდენად შესაძლებელია ამ პერიოდში, ერთი მხრივ სახელმწიფო ორგანოების და მეორე მხრივ, ამ ორგანოების კომპეტენციასთან შეფარდებით, თვით სახელმწიფოს ფუნქციების ერთიმეორისაგან გამოყოფა. აბსოლუტიზმის განმტკიცების შემდეგ მდგომარეობა ამ დარგში არსებით ცვლილებას განიცდის. ძირითადი მომენტი, რომელიც აბსოლუტური მონარქიის იურიდიულ ბუნებას ახასიათებს, იმაში გამოიხატება, რომ აქ სახელმწიფოს მთელი ფუნქციები უშუალოდ მონარქის ხელშია მოქცეული. ერთსა და იმავე დროს მონარქი გამოსცემს კანონებს, განაგებს ქვეყანას და ახორციელებს მართლმსაჯულებას. მონარქი აქ სუვერენული ხელისუფლების მატარებელი ერთადერთი ორგანოა. სახელმწიფოს მმართველობის ყველა ძაფი მასში, როგორც ფოკუსში იყრის თავს და მისგანვე იღებს უფლებრივ ძალას. ჩვენ ამით აქ როდი უარვყოფთ იმ გარემოებას, რომ აბსოლუტიზმის დროს მონარქის ხელისუფლების აქტები ყოველთვის ერთსა და იგივე ფორმას არ ატარებს. ერთი მხრივ აქ ვხვდებით საერთო, აბსტრაქტული ხასიათის და მეორე მხრივ ინდივიდუალურ აქტებს. მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ გარეგნული ფორმის საკითხით იწურება, თავისი იურიდიული ბუნების და მნიშვნელობის მხრივ ხელისუფლების ეს ორი სახის აქტი ერთიმეორისაგან არაფრით განსხვავდება. რაც შეეხება გარეგნული ფორმის სხვადასხვაობას, ამ უკანასკნელის წარმოშობის საკითხს ადვილად ვავიგებთ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი უფრო ტექნიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე ამ აქტების განსაკუთრებული, ერთიმეორისაგან განსხვავებული იურიდიული ბუნების შეგნებით. საქმე ისაა, რომ არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ შეუძლია საკუთარი მმართველობის განხორციელება მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათის განკარგულებით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს


იერიგე, ერთ აბსტრაქტულ ნორმას ათასი ინდივიდუალური განკარგულების მაგივრობა შეუძლია გასწიოს და ამიტომ, თვით ხელისუფლების საქუთარი ინტერესები — ძალთა ეკონომია, შრომის გადავილება და სხვა ანტიუტოპისტურ ინდივიდუალური განკარგულების სისტემა აბსტრაქტული და საერთო ნორმების უფრო მიზანშეწონილი ფორმით შეცვალოს. აბსოლუტიზმის დროს კანონი სწორედ ამგვარ ფუნქციას ასრულებდა, ამ პერიოდში იგი მმართველობის უბრალო ტექნიკური საშუალება იყო, უფრო მიზანშეწონილი, მაგრამ იმავე ღირსების მატარებელი, როგორც მმართველობის ინდივიდუალური აქტი, სრულის თანხმობით იმდროინდელ პოლიტიკურ სინამდვილესთან აბსოლუტური მონარქის დოქტრინა არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონსა და ინდივიდუალურ განკარგულებას შორის. მათი იურიდიული მნიშვნელობის მხრივ; როგორც ერთი, ისე მეორე, მონარქის ნების გამომხატველია და მათი შესრულების ვალდებულება მეფის სუვერენობის პრინციპიდან გამომდინარეობს, მონარქის სურვილი თავისთავად უკვე კანონი იყო.

მთავარი ყურადღება ამ პერიოდში იმას ექცეოდა თუ რამდენად სავალდებულო იყო აბსოლუტური მონარქისთვის არსებული კანონები და შეეძლო თუ არა მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი გაბათილება ad hoc გამოცემული ინდივიდუალური განკარგულებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ აბსოლუტიზმის დამცველები ამ უკანასკნელ საკითხს დადებითად უპასუხებენ, ვინაიდან მათი მტკიცებით მონარქი იყო „ცოცხალი კანონი“, — რომელსაც შეეძლო არსებული კანონი თავისი განკარგულებით შეეცვალა ამა თუ იმ შემთხვევაში.

აქედან ცხადია, რომ ამ კონსტრუქციის ფარგლებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიუღებელი იყო, რადგან კანონი და ინდივიდუალური განკარგულება როგორც მათი წყაროს, ისე მნიშვნელობის მხრივ, თანაბარ იურიდიულ შინაარსს შეიცავდნენ. ადვილი გასაგებია, რომ ოპოზიცია, რომელიც იმთავითვე აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა, როგორც სხვა პრინციპულ საკითხებში, ისე ამ საკითხშიაც საწინააღმდეგო თვალსაზრისზე უნდა დამდგარიყო.

აქაც გამოსავალ წერტილს სახალხო სუვერენიტეტის ცნება წარმოადგენს, ამ ცნებიდან, სხვათა შორის, ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ კანონის იურიდიული ძალა საზოგადოების შემადგენელი ინდივიდების თანხმობიდან გამომდინარეობს და თუკი მეფის ხელისუფლების არსებობა ამ თეორიის ფარგლებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხალხის საერთო ნებიდან გამომდინარეობდა, ცხადია, რომ კანონი, როგორც სუვერენული ნების, სახელდობრ, ხალხის ნების გამოხატულება, სავალდებულო უნდა ყოფილიყო თვით მონარქისათვისაც. ამ თვალსაზრისით, კანონი და მეფის ინდივიდუალური განკარგულება, როგორც თავისი წყაროთი, ისე იურიდიული მნიშვნელობით, სავალდებულოობის ხარისხით ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებული უნდა იყოს და ამით კი თავისთავად იგულისხმება ის განსხვავება, რომელიც ამ ორ ფუნქციას შორის უნდა არსებობდეს.

მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდა, რაც შეეხება იმდროინდელ პოლიტიკურ სინამდვილეს და სახელმწიფო წყობილების პრაქტიკას, ამ უკანასკნელის ფარგლებში, როგორც უკვე ითქვა, კანონი და ინდივიდუალური განკარგულება თავიანთი იურიდიული ბუნებით არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.



სასამართლო ფუნქციის მდგომარეობა თითქოს უფრო განსხვავებულად იქნებოდა სოლუტური სახელმწიფოს ბატონობის დროს. ამ პერიოდში ჩვენ მართლაც ვხვდებით განცალკევებულ სასამართლო დაწესებულებებს, რომლებიც თითქოს დამოუკიდებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. სინამდვილეში კი ეს დამოუკიდებლობა ძლიერ შესუსტებულია იმ გარემოებით, რომ მონარქს ყოველთვის ჰქონდა უფლება ესა თუ ის საქმე, რომელიც მის ყურადღებას მიიპყრობდა, თავადვე მოეთხრვა გასარჩევად და თუ სასამართლოები ერთგვარი დამოუკიდებლობით მაინც არსებობდნენ, არა იმიტომ, რომ სასამართლო ფუნქციის დამოუკიდებელი და თავისებური იურიდიული ბუნება მკაფიოდ შეგნებული ყოფილიყო, არამედ ეს გარემოება, შრომის დანაწილების მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. სინამდვილეში, ეს ფუნქცია — *ancien zégim* — იმ დროს მონარქის უფლების ერთ-ერთ ატრიბუტს აღნიშნავდა და თუ მას ცალკე ორგანოები ახორციელებდნენ, ეს მხოლოდ მონარქისაგან დელეგაციის საფუძველზე. ასეთი იყო ხელისუფლების ფუნქციების დანაწილებას საკითხში რეალური პოლიტიკური სინამდვილე აბსოლუტიზმის დროს. ოპოზიცია, რომელიც ამ სინამდვილის წინააღმდეგ იყო მიმართული, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს იყენებდა მხოლოდ როგორც დამხმარე მომენტს თავისუფლებების დასაბუთების მიზნით და ადვილი გასაგებია, რომ ეს საკითხი აქ გაშუქებული იქნებოდა მხოლოდ იმ მხრივ და იმ თვალსაზრისით, რომელიც ამ ოპოზიციის მიზნებისათვის იყო საჭირო და ამიტომ მას, აქ ნაგულისხმევ თეორიებში ყოველთვის იქნებოდა არასრული, ცალმხრივი და დაუმთავრებელი ხასიათი.

მხოლოდ მონტესკიეს თხზულებაშია ეს საკითხი დასმული მთელი თავისი მნიშვნელობით და პირველად სწორედ აქ ვხვდებით ამ საკითხის უფრო ღრმა განხილვის ცდას. აქ არ შეგჩერდებით მონტესკიეს თეორიის ანალიზზე. გავვრით მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მთავარი მომენტი, რომლითაც ეს თეორია წინამორბედ შეხედულებათაგან განსხვავდება ისაა, რომ მონტესკიეს აზროვნებაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აუცილებლად მოითხოვდა იმ სახელმწიფო ორგანოების ერთიმეორისაგან შედარებით დამოუკიდებლად არსებობას, რომლებიც ხელისუფლების სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდნენ. ეს შეხედულება, მთავარ მომენტებში მაინც, პირველად განხორციელებას პოულობს პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეში ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში და, დიდი რევოლუციის შემდეგ, საფრანგეთში. აქ შეგჩერდებით საფრანგეთის მაგალითზე, ვინაიდან, ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკური ევოლუციისათვის ამ მაგალითს ვადაამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.


აბსოლუტური რეჟიმი უფრო მკაფიოდ სწორედ საფრანგეთის ისტორიაში გამოიკვეთა. დიდი რევოლუციის შემდეგ ამ რეჟიმის პოლიტიკური სტრუქტურა არსებით ცვლილებას განიცდის და ეს ცვლილება, თავის მხრივ, იმდროინდელ აზროვნებაში მთელ პოლიტიკურ დოქტრინას იწვევს. ორი მთავარი წყაროდან სარგებლობს ეს უკანასკნელი: ერთი მხრივ, მონარქის სუვერენობის იდეას, რომელიც უმთავრესად ჟან ბოდენის მიერ იყო განვითარებული, ის უპირისპირებს, რასაკვირველია რუსოს პოლიტიკური ფილოსოფიის ზეგავლენით, სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს. მხოლოდ ხალხს ან მის მიერ არჩეულ წარმომადგენლობას აკუთვნებს იგი საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებას და ამ წესით გამოცემული სამართლის ნორმა, როგორც სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს ნების გამომხატველი, აღჭურვილია უმაღლესი ავტორიტეტით. ამით უკვე იგულისხმებოდა ის აუცილებელი დასკვნა, რომ საკანონ-

მდებლო ფუნქცია, როგორც სუვერენული ნების გამოხატულება, თავისი ძნე-
ვნელობით და იურიდიული ბუნებით არსებითად განსხვავდება სახელმწიფო
მმართველობითი აქტებისაგან. სწორედ ამიტომაც, რომ რევოლუციური პერიო-
დის კანონმდებლობის ძლიერი ტენდენცია ამ ორი ფუნქციის ერთიმეორესა-
გან გამოყოფისკენაა მიმართული.

ასეთივე მოთხოვნებით გამოდის ეს დოქტრინა აღმასრულებელი და სასა-
მართლო ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. მოტივები, რომ-
ლებითაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს ამ პერიოდის აზროვნება, განსხ-
ვავებულ ხასიათებს ატარებენ. ერთი მხრივ, საგრძნობ გავლენას აუცილებლად
ახიენდა მონტესკიეს თეორია, რომელიც ამ პერიოდში უდიდესი ავტორიტე-
ტით ს. ჯეზუიტს. მაგრამ ამ თეორიული მოტივების გარდა, ევგვარეშაა აქ
ერთგვარი ს. შენელობა პქონდა აგრეთვე სხვა ხასიათის მოვლენებსაც. რო-
გორც უკვე აღვნიშნეთ aneien zegim-ის დროს სასამართლო ორგანოები,
და კერძოდ საფრანგეთში ე. წ. პარლამენტები, თუ დამოუკიდებლად არ არსე-
ბობდნენ, ამ დამოუკიდებლობისკენ მაინც ისწრაფოდნენ. ამ მიზნით ისინი
ხშირად წინააღმდეგობას უწყევდნენ აღმასრულებელი ორგანოების აგენტებს
ამა თუ იმ საკითხში. რევოლუციის შედეგად დიდი უმრავლესობა ამ პარლამენ-
ტებისა ისეთი ხალხით სავსე, რომლებიც ძნელად ურიგდებოდნენ მომხ-
დარ პოლიტიკურ გადატრიალებას და სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მათ ხელი
არ შეეშალათ რევოლუციური მთავრობისათვის მის მოქმედებაში, ამ პერიო-
დის დოქტრინა მკაფიო განსხვავებას ატარებს აღმასრულებელ და სასამართ-
ლო ფუნქციებს შორის და შესაბამის ორგანოებსაც ერთი მეორესაგან და-
მოუკიდებელ ხასიათს აძლევს.

ასეთია მოკლედ ყველა მთავარი მომენტი, რომელიც უნდა გამოიკვე-
თოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ისტორიული ევოლუციის გან-
ხილვის დროს. საფრანგეთის რევოლუციური პერიოდის პოლიტიკური სტრუქ-
ტურა, რომლითაც ჩვენ დავამთავრეთ საკითხის ისტორიული განხილვა, სამი
განსხვავებული ფუნქციის არსებობას მოითხოვდა: ეს არის საკანონმდებლო,
აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები, უმთავრესად საფრანგეთის
და ნაწილობრივ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის ზეგავლენით
ასეთი კონსტრუქცია შემდეგ საფუძვლად დაედო ევროპის თითქმის ყველა სა-
ხელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებას. მაგრამ, სწორედ რომ გავიგოთ ხელო-
სუფლების დანაწილების პრინციპის მნიშვნელობა და მისი განხორციელება
თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეში, აუცილებელია დამა-
ტებითი შენიშვნების გაკეთება.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ამ პრინციპით განსხვავებული მოვლენა აღ-
ნიშნება, რომ ერთსა და იმავე დროს ამ ცნებით სახელმწიფოს ფუნქციების მა-
ტერიალურ სხვადასხვაობასაც გულისხმობენ და იმ ორგანოების ერთი მეორე-
საგან გამოყოფასაც, რომლებიც ამ ფუნქციებს ასრულებენ. თუ მხედველი-
ბაში მხოლოდ ამ უკანასკნელ გაგებას მივიღებთ, დავინახავთ, რომ დანაწილე-
ბის პრინციპი არსად არ არის გატარებული მთელი თავისი სიმკაცრით. სახელ-
მწიფოს ზემოთ აღნიშნული ორგანოების სრული დამოუკიდებლობა იმ აზ-
რით, რომ თითოეული მათგანი სავსებით ავტონომიურ ინსტიტუტს წარმოად-
გენდეს, იმ უბრალო მოსაზრებით არის უარსაყოფი, რომ სახელმწიფოებრივი
ორგანიზაცია ყოველთვის გულისხმობს ერთ უზენაეს ორგანოს, რომელიც სა-
ხელმწიფოს მთავარ მამოძრავებელ ძალას უნდა წარმოადგენდეს და ურომლი-



სოდაც სახელმწიფოს მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ სინამდვილეში აბსოლუტური დამოუკიდებლობის ნაცვლად ჩვენ ვხვდებით ამ ორგანოების მხოლოდ შედარებით დამოუკიდებელ არსებობას.

ჩვენ აღნიშნეთ ის მთავარი მომენტები, რომლებიც ხელისუფლების დანაწილების თეორიას ახასიათებს თავის ისტორიულ განვითარებაში. საფრანგეთის რევოლუციური პერიოდის პოლიტიკური სტრუქტურა, რომლითაც ჩვენ დავამთავრეთ საკითხის ისტორიული განხილვა, სამ განსხვავებულ — საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას გულისხმობდა. თუ დავუკვირდებით ამ დანაწილების ძირითად იურიდიულ ბუნებას, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური ტრანსფორმაციის დედააზრი არა სახელმწიფოს ფუნქციების, არამედ სახელმწიფოს ორგანოების ერთიმეორისაგან გამოყოფაში გამოიხატებოდა. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში შეტანილია ისეთი ფუნქციები, რომლებიც თავისი შინაგანი იურიდიული ბუნებით არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ასეთი შედეგი რევოლუციური პერიოდის პოლიტიკური მოქმედების ადვილი გასაგებაა თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოქმედების მთავარი ყურადღება მიქცეული იყო აბსოლუტიზმის პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისაკენ და ამ მიზნისათვის ერთი მხრივ საჭირო იყო საკანონმდებლო ორგანოს გამოყოფა აღმასრულებელი ორგანოსაგან და მეორე მხრივ, იმ მოტივის ზეგავლენით, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, სასამართლო ორგანოების გამოყოფა აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელი ორგანოსაგან. სახელმწიფოს ფუნქციების მატერიალური დანაწილების საკითხი კი საკუთარ მოტივად როდი ყოფილა დასახული ამ პერიოდის აზროვნების ფარგლებში და ამიტომ, იგი მხოლოდ იმდენად პოულობდა თავის განხორციელებას, რამდენადაც, როგორც შედეგი, გამომდინარეობდა დასახული მიზნისაგან. მაგრამ, მეორე მხრივ, თვით სახელმწიფო ორგანოების დანაწილება, რომელიც ამ პერიოდის პოლიტიკური შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მოტივს გამოხატავს, წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ერთგვარი ცნება მაინც ამ ფუნქციებისა. მართლაც და რაში გამოიხატება სხვადასხვა ორგანოების ერთიმეორისაგან გამოყოფა თუ არა მათი კომპეტენციის განსაზღვრაში? ხოლო ასეთი განსაზღვრა აუცილებლად გულისხმობს ერთგვარ მასშტაბს და ამგვარ მასშტაბად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფუნქციების სხვადასხვაობა, რომელსაც ეს ორგანოები ასრულებენ. აქედან ცხადია, რომ თვით პოლიტიკური სინამდვილის ლოგიკა მოითხოვდა სახელმწიფოს ორგანოებთან ერთად შესაბამისი ფუნქციების დანაწილებასაც. და როდესაც ვამბობთ, რომ ამ პერიოდში ამ ფუნქციების დანაწილება არ მომხდარა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს სრული დანაწილება; ნაწილობრივ კი ასეთი დანაწილება მოხდა, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელი იყო სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრა, და ეს ნაწილობრივი დანაწილება იმაში გამოიხატება, რომ მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციაში უმთავრესად საკანონმდებლო ფუნქციის შესრულება, აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციაში, უმთავრესად საიურისდიქციო ფუნქციის შესრულება იქნა შეტანილი. მაგრამ ამ მთავარი ფუნქციის გარდა თითოეული ორგანოს კომპეტენცია ნაწილობრივ სხვა ფუნქციების შესრულებასაც გულისხმობდა და ამ მხრივ ფუნქციების მატერიალური სხვადასხვაობა არ თანაბრობდა შესაფერი ორგანოების დანაწილებას. ნათლად რომ

წარმოვიდგინოთ ის მიზეზები, რომლებმაც თავის შედეგად ფუნქციონირების მართვით რეალური დანაწილების და შესაბამისი ორგანოების ერთიმეორესთან უკუაქცივის საკითხში ასეთი არათანაბრობა გამოიწვიეს, ყურადღება უნდა მიექციოთ იმ გარემოებას, რომ რევოლუციური პერიოდის აზროვნებისათვის სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების დანაწილება უმთავრესად იმ მიზანს ისახავდა, რომ ამ დანაწილებასთან ერთად სხვადასხვა ორგანოებს სხვადასხვა მნიშვნელობა ეძლეოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობაში. გამოსავალ წერტილს ამ შემთხვევაში როგორც უკვე აღვნიშნეთ სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი წარმოადგენდა, საიდანაც ის აუცილებელი დასკვნა გამომდინარეობდა, რომ სახელმწიფოს მთავარ უზენაეს ორგანოს ხალხი ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლობა წარმოადგენს. აქედან ცხადია იყო, რომ სწორედ ამ უზენაესი ორგანოს კომპეტენციაში უნდა შესულიყო ყველა ის აქტი, რომელთაც სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის არსებითი, ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა. უმთავრესად ასეთი ძირითადი მნიშვნელობით სახელმწიფოს იურიდიულ არსებობაში საკანონმდებლო ფუნქცია ხასიათდება და სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში იქნა შეტანილი. მაგრამ გარდა საკანონმდებლო ფუნქციისა, არსებობს მთელი რიგი აქტებისა, რომელთაც სახელმწიფოს არსებობისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვთ, როგორცაა მაგალითად ომის გამოცხადება ან ზავის შეკერა. სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობის საკითხი, სხვადასხვაგვარი გადასახადების შემოღება და სხვა, რომლებიც სწორედ მათი ასეთი მნიშვნელობის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს უფლებებში იქნა შეტანილი, თუმცა, თავისი იურიდიული ბუნების მხრივ ეს აქტები არსებითად განსხვავდებიან საკანონმდებლო ფუნქციისაგან ამ სიტყვის მატერიალური მნიშვნელობით.

მიუხედავად ამისა, მათაც კანონის მნიშვნელობა მიეწერა იმ ორგანოს მიხედვით, რომელიც უმთავრესად საკანონმდებლო ფუნქციას ასრულებს. აი, ამგვარი მომენტების ზეგავლენით უკვე რევოლუციური პერიოდის კანონმდებლობაში თანდათან ჩამოყალიბდა ერთგვარი ცნება კანონისა, რომელსაც კანონის ფორმალური ცნება შეგვიძლია ვუწოდოთ. ამ ცნების მიხედვით კანონი ისეთ იმპერატიული ხასიათის ბრძანებას აღნიშნავს, რომელიც გამოცემულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ; ყოველი აქტი, ექნება მას ინდივიდუალური თუ ზოგადი ნორმის ხასიათი, თუკი ის გამოქვეყნებულია საკანონმდებლო წესით საკანონმდებლო ორგანოს მიერ, კანონის თვისებას ატარებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

მიხეილ მარაძე

დაზარალებულის უფლებების გაფართოების თეორიული საფუძველი და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობანი*

ეროვნულმა პარლამენტმა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები მიიღო ქართული სამართალწარმოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი დამატებანი და ცვლილებები რეალურ კრიტერიუმებს ქმნიან იმისათვის, რომ განვაცხადოთ: დადგა დრო, როდესაც ქართველი ქაცი, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრები, სამართალწარმოების სფეროში. პეშმარიტების ძიებას იწყებს და ამთავრებს ქართულ მიწაზე. რეალური ხდება ქართველ იურისტთა (და არა მარტო იურისტთა) საუკუნოვანი მისწრაფება იქითკენ, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და მართლმსაჯულების რთული და საპასუხისმგებლო მოღვაწეობა მთლიანად ძირძველ ქართული ჰუმანური სამართლის მოთხოვნებს დაეფუძნოს.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და წინასწარი გამოძიების ორგანოების საგამოძიებო საკანშიც შეაღწია მზის სხივმა, ბრალდებულ ალარ არის მარტოდენ გამოძიებლისა და ოპერატიულ მუშაკთა ერთობიანულ „განმგებლობაში“. ექვემდებარება და ბრალდების დაკავებისა და დაპატიმრების მომენტიდან დამცველი უზრუნველყოფის საკითხის დადებითად გადაჭრამ მოკლევისა და გამოძიების ორგანოების საქმიანობას მნიშვნელოვანი დემოკრატიული ელფერი მისცა. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ დამცველის ინსტიტუტის მოღვაწეობის გაფართოებით, საქმეზე პეშმარიტების დადგენის უტყუარობის თვალსაზრისით, საკითხი საბოლოოდ დადებითად ვერ გადაიჭრა. დღევანდელ პირობებში იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამართალწარმოება დაინტერესებულია მარტოდენ ბრალდებულის (დამნაშავის) უფლებამოვალეობის სტატუსის ჩამოყალიბება-გაფართოებით, რასაც ზოგჯერ სხვათა და სხვათა, პირველ რიგში კი, დაზარალებულის ინტერესებსაც ვანაცვალებთ.

უდანაშაულობის პრეზუმციის, ყოველგვარი საეჭვოს ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის, სასამართლოში გამამტყუნებელ მტკიცებებთან შედარებით გამამართლებელი მტკიცებებისათვის აშკარა უპირატესობის მინიჭების არასწორმა პრაქტიკამ თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო. ახლა ყველა ხედავს, რომ ზოგჯერ, ამ პრინციპების არაქეროვანი მოშველიებით გაუგონარ შემწყწარებლობას ვიჩენდით და ახლაც ვიჩენთ დამნაშავეთა მიმართ.

სხვა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბოლო წლების დანაშაულის, მათ შორის მძიმე დანაშაულის საგრძნობი ზრდის ფონზე, წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა. ამის საპირისპიროდ გაუგონარად მატულობს გაუხსნელი დანაშაული.

მატულობს არა მარტო დღეისათვის არსებულ დაზარალებულთა რაოდენობა, არამედ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც უახლოეს დროში მოგვევლინებიან დაზარალებულის არც თუ სახარბიელო როლში.

კვლავ ჩვეული მუყაითობით აღვრიცხავთ დაპატიმრებულ, გასამართლებულ პირთა რაოდენ-

* წერილი იბეჭდება განხილვის წესით.

ნობას, მათ დემოგრაფიულ მონაცემებს: ვიცით პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა, სიმძვარულში თუ შეურაცხად მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულთა სტრუქტურა მაგრამ არავინ უწყის, თუნდაც რომელიმე რეგიონის მასშტაბით, არა მარტო ჩადენილი, არამედ ოფიციალურად რეგისტრირებული და აღრიცხული დანაშაულის შედეგად არსებულ დაზარალებულ პირთა საერთო რაოდენობა, მათთვის მიყენებული ზარალი, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი არის, ასეთის ზვედრითი წონა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზოგად ციკლში.

დაზარალებული ისეთი უუფლებო აღმოჩნდა, რომ თავისი აღრიცხვიანობით „განთქმულმა“ სოციალისტურმა საზოგადოებამ მისთვის ერთი გრაფაც ვერ გაიმეტა სტატალიცხვიანობის ანგარიშების ბარათში.

დღეისათვის სტატისტიკა იცნობს მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს და მისთან დაკავშირებულ ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტს. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ დაზარალებულის ცნება საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდა სოციალისტური საზოგადოებისათვის. ტოტალიტარულმა სახელმწიფომ გაუგონარი რეპრესიებით თითქმის ყველა თავისი მოქალაქე დაზარალებულად და პატივყრილად აქცია.

დადგა დრო მძლავრი ნაბიჯი გადავდგათ მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში დაზარალებულისათვის სკადრისი ადგილის დასამკვიდრებლად.

არც ერთ სახელმწიფოში კაცობრიობის ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე დაზარალებული ისეთი უუფლებო არ ყოფილა, როგორც ეს ხაბჭოთა კანონმდებლობამ დააწესა. დაზარალებული ის პირია, რომელზედაც ჩვეული ერთგულებით „ზრუნავს“ სახელმწიფო სწორედ ის გახლავთ მტყუან-მართლის გამრჩევი და დაზარალებული მხოლოდ სახელმწიფოს ნების აღმსრულებლად გვევლინება. როგორც ყოველთვის, აქაც მოქმედებს პრინციპი — მოქალაქე არსებობს სახელმწიფოსათვის და არა პირიქით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ზოგადად ჩამოთვლის რა დაზარალებულის უფლება-მოვალეობებს, არავითარ საფუძველს არ ქმნის, თუნდაც კანონში მითითებულ უფლებათა რეალიზაციისათვის. უფრო მეტიც, კანონმდებელს საერთოდ გამორჩა როგორც „დაზარალებულის“, ისე მისი „წარმომადგენლის“ სახელწოდების განმარტება, თუმცა კოდექსის 25-ე მუხლში თითქმის ყველა ტერმინია („ბრალდებული“, „დამცველი“, „მოწმე“, „ექსპერტი“, „კანონიერი წარმომადგენელი“ და სხვა) განმარტებული. როგორც ჩანს, კანონმდებელი ამ მიმართებით ყველას და ყველაფერს დაზარალებულთან დაკავშირებით გადასაწყვეტად უტოვებს მოკვლევის ორგანოს, დამომხიებელსა და სასამართლოს.

დაზარალებულის ცნების განმარტებისას კანონმდებელი ძალზე ზოგად (რა თქმა უნდა, ამკარად არასაკმარისად) ასე თუ ისე მაინც მიგვიანაშნებს ვინ შეიძლება ვიცნოთ დაზარალებული, მაგრამ ამ მიმართებით არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის უნდა ვიცნოთ იგი ასეადა, რა მომენტიდან უჩნდება მას „წარმომადგენლის“ საქმეში ჩაბმის უფლება და საერთოდ, ვინ არის „დაზარალებულის წარმომადგენელი“?

დღეისათვის სამართალწარმოება, როგორც ჩანს, წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებულისათვის (დამნაშავისათვის). ყველგან და ყოველთვის კანონმდებელს სამართალწარმოების სტრუქტურაში ცენტრალურ ფიგურად მხოლოდ ბრალდებული ჰყავს წარმოჩენილი. ბრალდებული სახელმწიფოსათვის უფრო მისაღები და მხარდასაჭერი აღმოჩნდა, ვიდრე დაზარალებული. ასეთი პრაქტიკა ხამწუხარად, დღემდე გრძელდება.

„დაზარალებული“, როგორც ტერმინი, სიტყვა „ზარალს“ უკავშირდება. ამ მხრივ რაიმე საღაო არ უნდა იყოს. თვითონ ზარალი კი, ალბათ, სიტყვა „დაზარომისაგან“ უნდა იყოს ნაწარმოები (როგორც საბა განმარტავს დაზრობა — ყინვისაგან დაწყის ნიშნავსო: „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ამ გაგებით გვხვდება „დაზრომის“ ცნება. „ცუდი არის დამზარალისა გასათბობლად წყლისა ბერვა“ — სტ. 698).

დაზარალებულის მონაცვლეთ (უმთავრესად ანგლოსაქსურ სამართალში) ვხვდებით ისეთ ცნებას, როგორიც არის „მსხვერპლი“. თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სპეციალური საზოგადოებებია შექმნილი დანაშაულის მსხვერპლი პირებისათვის დაზარალების აღმოჩენის მიზნით. ამერიკაში არსებობს „მსხვერპლისათვის დაზარალების აღმოჩენის ნაციონალური ორგანიზაცია“, ხოლო ინგლისში — ასეთივე ნაციონალური ასოციაცია.¹

ვფიქრობთ, დაზარალებულზე უფრო მისაღები, ალბათ, ქართველი კაცისათვის სიტყვა

¹ Виды помощи лицам, пострадавшим от преступлений, Проблемы преступности в капиталистических странах, ежемесячный информационный бюллетень, М., 1989, № 11, с. 64-69.

„მსხვერპლი“ აღმოჩნდა. ლექსიკონში განმარტებულია მისი რამდენიმე მნიშვნელობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხვა ცნებებთან ერთად „მსხვერპლს“ უშუალოდ არის დაკავშირებული და მნაშავე პირის ქმედებასთან — „რაიმე უბედური შემთხვევის (ავადმყოფობის, კატასტროფის, გაუფრთხილებლობის...) ძალმომრეობის შედეგად ხს... ან დაღუპული, გასაცდელი მყოფი, განწირული“.²

ძველი ქართული სამართლის ძეგლებში კი (თამარ დედოფლის ორივე ისტორიკოსთან) დაზარალებული გვხვდება მიმძლავრებულის ცნების სახითაც, დაზარალებულის ცნების აღმნიშვნელი რომელი ტერმინიც არ უნდა ვიხმაროთ, ცხადია, საჭიროა გაფართოვდეს ამ ტერმინის საკანონმდებლო შინაარსი და სათანადო ორგანიზებმა დაზარალებულად ცნონ არა მარტო ის პირი — „რომელსაც დანაშაულმა მორაღურთ, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა“, არამედ ის პირიც, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა ნებისმიერი სახის რაიმე ვნება ან დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა და მოშინების შემთხვევაში, არსებობდა ასეთი ვნების მიყენების შესაძლებლობა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ უძველესი სამართლიდან დღემდე, გარდა საბჭოური სამართლისა, ყველგან და ყოველთვის კანონმდებლის უპირველეს ამოცანად წარმოუდგენია დაზარალებულის ინტერესები, მისი შებლაღულ უფლებათა უღვენა და მხოლოდ ამის შემდეგ ამჟღავნებს კანონმდებელი უზენაესის ნებას დამნაშავეის დასჯისა და სხვა ზოგადი საკითხების მოგვარების შესახებ. მართალია საბჭოთა სამართალმაც (ისევე როგორც ძველი ბაბილონის, რომის, რომაული, ქართული სამართალმაც) დამოუკიდებლად გამოყო პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მაგრამ არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ შექმნა, ამ მიმართულებით სამართალწარმოებელს საერთო სტრუქტურაში მისთვის (დაზარალებულისათვის) რაიმე უპირატესობის დასამკვიდრებლად. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, უპირველესად წარმოჩენილია სახელმწიფოს ინტერესები, მისი დიქტატი. დაზარალებული მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი ინსტრუმენტი (იარაღია) სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. უფრო მეტიც, გარდა ორიოდ გამოწვევისა (საქმის მასალების გაცნობა გამოძიების დამთავრებისას, სათანადო შუამდგომლობების შეტანა და სხვა), დაზარალებული არსებითად გაიგვებულია მოწმესთან და უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელისათვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებით იღებს მონაწილეობას სამართალწარმოების საერთო ციკლში.

დაზარალებული თავისი არსით მჭიდროდ უკავშირდება დანაშაულით ფიზიკურ და სხვა ზიანთან ერთად ქონებრივი (მატერიალური) ზიანის მიყენების საკითხს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი სამართალი ამ მხრივაც კვლავ სამართალწარმოების იგავისებური გავების ცნებას („ხორცი მსაჯულს, ტყავი გლენსა და მოისპოს საწივარი“) ადგას.

ძველი ქართული სამართალი დაზარალებულისათვის სამმაგ ან უფრო მეტი რაოდენობით ანაზღაურებას ბრძანებდა. საბჭოურმა სასამართლომ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ „მტკიცე ფასებში“ იცის არა ანაზღაურება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეისათვის ზარალის გადახდებიანების დაკისრება, რომლის განხორციელება შეუძლებელი გახლავთ. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრებულები უმეტესწილად უარს აცხადებენ შრომაზე, ხოლო შრომა-გასწორების ადგილის ხელმძღვანელობას შესაძლებლობაც კი არ გააჩნია მათი შრომით საქმიანობაში ჩაბმისა.

დღესდღეობით გვინდა არ გვინდა, სასჯელი ისეთი დონისძიებაა, რომელიც ვნებს სულსა და ხორცს და არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს დაზარალებულისათვის.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი დამნაშავეს რეალურად უნდა აენახაურებინა საკუთარი ქონების ხარჯზე, რის დროსაც მას ჩამოერთმეოდა ქონება და ასეთი დადგენილი წესით გადაეცემოდა დანაშაულის მსხვერპლს ან მის მახლობელს.³ ეს წესიც სახელმწიფომ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვაქვს პიროვნების საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, ბანდიტური თავდასხმის ან თაღლითური გზით), სადაც დაზარალებულია მოქალაქე და საკითხი უნდა დაისვას დამნაშავეის ქონების

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5, გვ. 1140, 1958 წ.

³ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 80-81; ცხოვრება მეფეთამეფისათვის, 1944, გვ. 80, ისტორიანი და აზნანი შარვაანდუღთან 1841, გვ. 116.

⁴ გიორგი ბრწყინვალის სამართლის 48-ე და 44-ე მუხლებში იცის „პარავის სამეცი სახლური“.

ხარჯზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, სახელმწიფო მებატონის მიერ დაწესებულა „პირველი დამის“ უფლებასავით მხოლოდ თავის ინტერესებისათვის იყენებს დანაშაულის ქონების კონფისკაციის წესსაც.

კანონი არაფრად დაგიდევს დაზარალებულის ინტერესებს და დანაშაულის ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით ასეთ „ბრძანულ“ განცხადებებს: „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრებად მსჯავრდებულის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მის ნაწილის იძულებით, უსასყიდლო ჩამორთმევაში“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი ამით არ ემყარებოდა და სახელმწიფოს, მომავალში რომ უსიამოვნება არ შეემთხვეს, სხვის ხარჯზე მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით (ნორმალურ პირობებში ეს ქონება დაზარალებულს უნდა გადასცემოდა), იქვე მიუთითებს — „ქონების კონფისკაციის დროს სახელმწიფო პასუხს არ აგებს მსჯავრდებულის ვალებსა და ვალდებულებებზე“.

ასეთი სამართლის გაჩენის შემდეგ ძნელია ამავე სამართლის ლაბირინთებში ვეძებოთ დაზარალებულის სასარგებლოდ რაიმე ადამიანური, ზოგადსაქაოცობრივ ნორმა. უფრო მეტიც, მოქმედი კანონმდებლობით დაზარალებულის მკურნალობისათვის გაწეული ხარჯები (სამედიცინო დაწესებულებებში კი, როგორც წესი, მკურნალობა უფასოა) ბრალდებულს უნდა გადახდეს სახელმწიფოს სასარგებლოდ. აქაც, თუმცა დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი კონკრეტული პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მაგრამ, როგორც ყოველთვის, სახელმწიფო არც ამ შემთხვევას უშვებს ხელიდან.⁵

დადა დრო ხელი ავიღოთ დანაშაულის დღევანდელ საქონმდებლო განმარტებებზე, (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი), რომელიც, ყველგან და ყოველთვის, თითქმის ყველა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით დაზარალებულად პირველ რიგში მხოლოდ სახელმწიფოს მიიჩნევს, იმ გაგებით, რომ ასეთი დანაშაული თითქოსდა მარტოოდენ მის წინააღმდეგ იყოს მიმართული. დანაშაულის ცნების ასეთმა გაგებამ წინასწარვე განსაზღვრა პიროვნების, როგორც დაზარალებულის უფლებობა, რადგან ყველა ეს უფლება სახელმწიფომ მიითვისა.

როგორც წესი, სათანადო პირები მოვალენი არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში. საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის ამ მოთხოვნას ერთგვარად ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-91 მუხლის განსაზღვრული წესი, რომელიც საქმის აღძვრის გარეშე ითვალისწინებს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით. მთავარი ის არის, რომ არც ერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენასა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი დაზარალებულის უფლებებსა და მისი ნების განცხადების შესახებ; კონკრეტულად იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება დაზარალებულს განაცხადოს ან, საერთოდ, არჩევანი გააკეთოს დაიწყოს თუ არა საქმის წარმოება იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ხელყოფის ობიექტებიც შეიქნა უშუალოდ მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, პატივი, ქონება და სხვა.


კანონმდებელი კი არჩევანის წინაშე არ დგას და ყველგან, არ ითვალისწინებს რა დაზარალებულის ინტერესებს, მხოლოდ საქმის აღძვრას და მასში დაზარალებულის საეკლდებულო მონაწილეობას ითხოვს, უფრო მეტიც, თეორიულად გამოიკვლია არ არის დაზარალებულის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დღდგომა მის მიმართ განხორციელებული მიიმე დანაშაულის განუხლებლობისათვის (საქართველოს სსკ. 206-ე მუხლი).

საქმეს ვერ შევლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ცალკეულ დანაშაულთა არსებობისას (ასეთი კი სულ ექვსი დანაშაული აქვს გათვალისწინებული კანონმდებელს) სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის არსებობის შემთხვევაში. ვერაფერია კრიტიკას ვერ უძლებს ამ საქმეთა წარმოებით შეწყვეტა 115-ე მუხლით „დაზარალებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით“, წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ დაზარალებულის საჩივრის სუფუძველზე (117-ე მუხლის I ნაწილი) აღძრული საქმე მიუხედავად იმისა, რომ ამდნაშავე პასუხისგებაში მიეცა და იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, წარმოებით უნდა შეწყდეს. თუ ამ დროისათვის დაზარალებული გარდაიცვალა, ან სრულიად შეგნებულად მოკლეს.

გამოდის, რომ თუ დაზარალებული შურისძიების ნიადაზე მკვლა ბრალდებულის მამა (ან სხვა მისმა ახლობელმა), ამ საფუძველით მისი შვილის მიმართ საქმე წარმოებით უნდა შეწყდეს და ბრალდებული ვათვისებულდეს პასუხისმგებლობისაგან?

დაზარალებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქმის წარმოებით შეწყვეტა ჩვენი რე-

⁵ გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში სახელის ერთერთი ხანა „დახტაქარის წამლის ფახი“, მუხ. #1-ე



სპუბლიკის საპროცესო კოდექსის გარდა არცერთ სხვა „საბჭოთა რესპუბლიკის“ არ გაუთვალისწინებია. დაზარალებულის უფლების უფლებობა ალბათ ამაზე შორს ვერც წავა.

**აუცილებელია არა მმრტო ამ წიხის 115-ე მუხლიდან ამოღება, არამედ ისიც, რომ სათა-
ნადოდ დავფიქრდეთ დაზარალებულის უფლებების გაფართოვებაზე, რომ მან, თვითონ გადაწყვიტოს საქონი, მოითხოვოს თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მის მიმართ განხორციელებულ დანაშაულთან დაკავშირებით.**

ყველა სხვა შემთხვევაში დაზარალებული იძულებულია არაგულწრფელი იყოს მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე, აშკარად იტყუოს და დაფაროს დამნაშავე. სწორედ ეს იწვევს იმ გარემოებას, რომ მოკლევისა და გამოძიების ორგანოებში განშირდა დაზარალებულის ასანაგანმარტებები, რომ „თვითონ დაიჭრა თავი“, „დაეცა ლურსმანზე“, „შემთხვევით გაუვარდა იარაღიდან“ და სხვა. უფრო მეტიც, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი ხდება კონკრეტული დამნაშავე, რომელმაც მისი ბინიდან ნივთები მოიპარა და რის გამოც საქმე იყო აღძრული, დაზარალებული დამნაშავეს „გადარჩენის“ მიზნით ასეთ გზას ადგება: „ნივთები ჩემს მეუღლეს წაუღია, გადაუმალია და მე მოპარული მეგონაო“ და სხვა.

ასეთი შემთხვევები იშვიათობა რომ იყოს მათზე ყურადღების გამახვილება არც ეღირებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი სიზშირე სათანადო დაფიქრებასა და ყურადღებას მოითხოვს. ყველა შემთხვევაში დაზარალებულმა კანონიერი და სწორი, დასაბუთებული პასუხი უნდა მიიღოს.

ზიირი იყო შემთხვევა, როდესაც 119-ე მუხლის საფუძველზე (იგი ითვალისწინებდა გარყვნილ ქმედებას 16 წელს მიუღწეველ პირთან) გარკვეულ ასაკს მიუღწეველ კაცს კანონიერ ცოლს ვართმევდით, ფეხბძიმე ქალს მშობლებს ვუბრუნებდით და საქორწინო სარეგულიდან ნეფე-ბატონს ციხეში ვაგზავნიდით, სამწუხაროდ ამ მუხლის დღევანდელი რედაქცია არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდება. დღესაც, დამოკლეს მახვილივეთ ჰკილია ახალგაზრდების თავზე სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქალის მოტაცებას მასთან დაქორწინების მიზნით. დაზარალებულის ნების უგულვებელყოფით და მისი უფლებობის გარანტიით, არა ერთი და ორი ახალგაზრდა ასცდა სწორ გზას, დაინგრა ოჯახი. როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც, დაზარალებულს არავითარი სიტყვა არ ეთქმის და ყველაფერს მის მაგივრად სახელმწიფო წყვეტს; ორივე შემთხვევაში ფაქტის დადასტურებისას საქმე უნდა აღიძრას, აუცილებელია დამნაშავე მიეცეს პასუხისგებაში და დაისაჯოს.

ამ რამდენიმე ხნის წინ მე-5 კურსის სტუდენტმა თავისივე თანაჟურსელი გოგონა გაიტაცა მასთან ქორწინების მიზნით. ქალის მშობლებმა უმაღლესადღებით მიმართეს პროკურატურას. თვითონ ქალმაც დაადასტურა გატაცების ფაქტი და რაც მთავარია, მასზე არც გამტაცებელს უთქვამს უარი. მოხდა ისე, რომ დაზარალებულმა სურვილი გამოთქვა და შემდგომში ცოლადაც გაჰყვა გამტაცებელს, მაგრამ „დამნაშავე“ მაინც პასუხისგებაში მისცეს და ყველა „შემამსუბუქებელ“ ვარქმობება მხოლოდ იმისათვის გამოდგა, რომ საქმე წარმოებით შეწყდა, ხოლო სიძე „ხელახალი აღზრდა-გამოსწორების მიზნით“ თავლებქვეშ გადაეცა ფაქულტეტის კოლექტივს. სამწუხაროდ, უფრო რთული შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც გატაცებული, როგორც რძალი, გამტაცებლის ოჯახში ცხოვრობს, მისი ქმარი კი „გატაცებისთვის“ საჯელს იხდის შრომა-გასწორების კოლონიაში.

ქალის გატაცება მასთან დაქორწინების მიზნით შეიძლება უფრო მკაცრად იხებოდეს, ვიდრე ეს 184-ე მუხლით არის გათვალისწინებული, მაგრამ სახჯელს თავისი დანიშნულება აქვს და ყველაფერი იმგვარად უნდა ხდებოდეს, რომ დაზარალებული ბრალდებულის დასჯით, თვითონ არ დაისაჯოს.

ჩვენი აზრით, აუცილებელია გაიზარდოს იმ დანაშაულთა წრე, რომელთა საქმის აღძვრაც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე. ამასთან, დაზარალებულს ყოველთვის უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს საქმის წარმოებით შეწყვეტა ბრალდებულთან შერიგების საფუძველზე. სასამართლომ უნდა აღიღოს იმის შესაძლებლობა, რომ მხოლოდ თვითონ გადაწყვიტოს, წავიდეს თუ არა სამართალში და მოსთხოვოს თუ არა შემწეობა სახელმწიფოს „სამართლის გაჩენაში“.

ამ ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა არაერთი საზოგადოება და ასოციაცია, რომლებიც თავიანთ უპირველეს ამოცანად ისახავენ პატიმართა და მსჯავრდებულთა შემწეობას. შემწეობა და ჩადენილი დანაშაულისათვის „ცოლავთა შემსუბუქება“ არაერთგზის აღუუვლენია საქართველოს საპატრიარქოსა და მის მრევლს. ეს ქველმოქმედებები ადამიანური შემწყნარებ-

ლობის გამოხატულება და მომავალში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზომიერების დაცვა და იმის გაცხადება, რომ ამ მიმართებით სათნოების, ნაწილობრივ დახმარების ხელი უპირველესად დაზარალებულს უნდა გაეწოდოს.

დამნაშავეის მოქმედებით გამოწვეული შედეგი დაზარალებულის პირადი ტრავმაციაა. პირველ რიგში, სწორედ ეს პირი საჭიროებს მოყვასისაგან შემწეობას და ნუგეშს. სამწუხაროდ, სახელმწიფოსაგან მიუსაფარი დაზარალებული ხშირად საზოგადოებისგანაც განდევნილი აღმოჩნდება ხოლმე. მართო ის რად ღირს, რომ არც ადრე და არც დღეს ქვეყნის მასშტაბით არავითარი საზოგადოებრივი ან სახელმწიფო ორგანიზაცია არ არსებობს, რომლის დანიშნულება დაწესებულების მსხვერპლთათვის შემწეობისა და დახმარების აღმოჩენა იქნებოდა. ასეთი რამ კი დამნაშავეთაგან ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსათვის. ამ საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ვაეროს დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულისათვის შემწეობის აღმოჩენას.⁶

დეკლარაცია იცნობს, როგორც ანაზღაურების რესტიტუციის (ზარალის ანაზღაურება დამნაშავეის მიერ), ისე კომპენსაციის (ანაზღაურება ოფიციალური ორგანოს ან სახელმწიფო ხარჯზე) სახეს.

დაზარალებულს დახმარებას უწევინ სხვადასხვა ორგანიზაციებში, სოციალური სამსახურები, ასოციაციები და სხვა. ყველა ისინი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კერძო, რელიგიური (ასოციაციები — „თეთრი ბეჭდები“ — ავსტრიისა და გერმანიაში, „მსხვერპლის დამცველი“ — კანადაში, ნაციონალური ასოციაცია დანაშაულის მსხვერპლის დახმარებლად ამერიკაში, კანადის ინგლისში და სხვაგან).

ბოლო ათი წლის განმავლობაში კანადაში შემუშავებული იქნა დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების 14 პროგრამა. ამ პროგრამების ინიციატორი და სპონსორია პოლიცია. რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, მხოლოდ ონტარიოს პროვინციაში 1986 წელს კანადის მთავრობამ ამ მიზნისათვის გამოყო 5,4 მილიონი კანადური დოლარი ინგლისში სამი წლის განმავლობაში დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიყო 9 მილიონი ფუნტი სტერლინგი. 1986 წელს ინგლისში, ირლანდიაში და უელსში აღრიცხულ იქნა 293 ოლქი, რომლებშიც ერთი წლის განმავლობაში მოქალაქეებმა (მოყვარულებმა) სხვადასხვა სახის დახმარება გაუწიეს 184 994 დანაშაულის მსხვერპლს (დაზარალებულს).

წლიდან წლამდე იზრდება ამ ქვეყნებში იმ პირთა და საზოგადოებათა რიცხვი, რომლებიც დახმარებას უწევინ დაზარალებულს ყველა ამ ქვეყანაში არსებობს დანაშაულის მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენის სამი ფორმა: სასწრაფო, სასასწრაფო და საცნობარო-საინფორმაციო მომსახურების სახით.

უფრო მეტიც, ასეთი დახმარებით სარგებლობს არა მარტო დაზარალებული, არამედ დანაშაულის მსხვერპლის ახლობელი ადამიანიც.⁷


სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ჩვენი დაზარალებულისათვის (ისევე, როგორც სახელმწიფოსთვის) უცხო და წარმოუდგენელი გახლავთ.

სოციალიზმის ფუნდამენტური თვისებაა დაბალი, სისტემატურად დეგრადაციის გზაზე მდგარი წარმოება, მილიონობით ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობათა უარყოფა. ანალოგიური მდგომარეობა სამართალწარმოების სფეროშიც, რომელსაც წლების განმავლობაში ყველაზე დემოკრატიულ, სოციალისტურ მართლმსაჯულებას ვუწოდებდით. აქაც, ისევე როგორც ნებისმიერ სფეროში, სახეზე გვაქვს კანონების, დადგენილებების, მითითებების, განმარტებების ინსტრუქციების და სხვა მსგავსი აქტების სიუხვე, გადაჭარბებული აკრძალვებითა და შეზღუდვებით, მაგრამ არა გვაქვს ნორმალური, ყოველდღიური ცხოვრების უზრუნველყოფი დებულებები, კრიტერიუმები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა სამართალწარმოების გამარტივებისა და გაუმჯობესების რთულ, მაგრამ გარდაუვალ პროცესს.

სხვა რით შეიძლება აიხსნას ასეთი ფაქტი: ახალგაზრდა ქალი, რომელიც რამდენიმე დღით ესტუმრა თბილისს გაძარცვეს, გააუბატოურეს, დედის შობილად მიატოვეს ქუჩაში, მაგრამ იგი

⁶ Э. Трубина, О. Гренкова, Е. Дементьева, Права потерпевших в капиталистических странах, «Соц. законность», 1990, № 10, с. 64-65, О. Ведерникова, Фонд для жертв преступлений, «Соц. законность», 1990, № 11, с. 25-28.

⁷ Виды помощи лицам, пострадавшим от преступлений. Проблемы преступности в капиталистических странах. Всесоюзный институт научной технической информации (ВИНИТИ), ежемесячный информационный бюллетень, М., 1989, с. 64-69.



ისეთივე უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა სახელმწიფოსათვის, როგორც ყველა სხვა მისი მოქალაქე. უფრო მეტიც, ამ საზარელი დანაშაულის ჩამდენი პირები, მოქმედი კანონმდებლობით გაცილებით დატული აღმოჩნდნენ კანონის მიერ, ვიდრე ბედის ანაბარად ქუჩაში მიტოვებული დაზარალებული.

საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დამნაშავეს დაკავების მომენტიდანვე უჩნდება დაცვის უფლება, შეუძლია გარკვეული მოთხოვნები წაუყენოს ხელსუფლების ორგანოებს: საბინებელი ოთახი, საწოლი, კვება, დამცველის არჩევა და მასთან შეხვედრა, მოითხოვოს რომ შეატყობინონ ახლობლებს მისი დაკავებისა ან დაპატიმრების შესახებ და სხვ.

სამწუხაროდ, დაზარალებული ყველაფერ ამას მოკლებულია, მისი ერთადერთი უფლებამოვალეობა სწორი ჩვენება მისცეს მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არც არავითარი სხელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც იკისრებდა პატივყრილ, გაპარცულ და ყოველმხრივ უსასსროდ დარჩენილი ახალგაზრდა ქალის (საერთოდ, ყველა სხვა პირის) შემოსვას, დაპურებას, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, რის შემდეგ მას შესაძლებლობა ექნებოდა მოეთხოვა საგამოძიებო ორგანოებისათვის მისთვის სამართლებრივი მომსახურების გასაწევად დამცველის მოწვევა.

ამ შემთხვევაში ყველა და ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ ოპერატიულ მუშაზე, მის გამოცდილებასა და ადამიანურობაზე.

დაზარალებულის ასეთი მდგომარეობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს მისი მერყევი ბუნების ჩამოსაყალიბებლად. სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულის უფუფლებობა ყველაზე სუსტი მხარეა, რომელსაც შეუცდომლად იყენებს ბრალდებულის მხარე. ის რაც სახელმწიფოს უნდა გაეღო დაზარალებულის ინტერესების დასაცავად, მისი პიროვნების ზეობის შესანარჩუნებლად, ყველაფერს ამას დიდი „გულუხვობითა“ და ანგარიშისანი კაცის მყიფეული გათვლით აკეთებს ბრალდებულად და მისი მახლობელთა წრე.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს განუკითხაობით უარყოფილი დაზარალებული, მოქმედი კანონმდებლობით ყოველმხრივ უფლება-შეზღუდული ადამიანი, იძულებულია დამნაშავესა და მის ახლობლებს მიეკედლოს და მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებაც სწორედ მათი ეძებოს.


სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის და სათანადო შეამდგომლობის წარდგენის უფლება გამოძიებისათვის დაზარალებულს მხოლოდ და მხოლოდ საქმეზე გამოძიების დამთავრების შემდეგ ეძლევა. საპროცესო კოდექსის 201 მუხლის შესაბამისად „გამომძიებელი მიიჩნევს რა გამოძიებას დამთავრებულად, ხოლო შეკრებილ მტკიცებულებებს საქმარისად საბრალდებო დასკვნის შეხადგენად, მოვალეა გამოუცხადოს ეს დაზარალებულს და მის წარმომადგენელს და ამავე დროს, განუმარტოს მათ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს“.

როგორც მოტიანილი ციტატიდან ჩანს, დაზარალებულის ინტერესები მთლიანად იგნორირებულია გამოძიების მიმდინარეობის მთელ პროცესში (ყველაფერი ეს მისთვის საიდუმლოს წარმოადგენს) და მხოლოდ გამოძიების დამთავრების შემდეგ აძლევს მას კანონმდებელი საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას.

უფრო მეტიც, კანონმდებელი ამ მიერედ უფლებასაც უსპობს დაზარალებულს, როდესაც საქმეზე გამოძიება მთავრდება მოკვლევით ან მასალები სასამართლოს გადაეგზავნება განსახილველად საოქმო ფორმით, ორივე შემთხვევაში დაზარალებულის მხრიდან საქმის მასალების გაცნობა კანონმდებელს ზედმეტად მიაჩნია და ასეთი უფლება, სხვა უფლებებთან ერთად, მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავისათვის განუსაზღვრავს. აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებელი სპეციალურად მიუთითებს: დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს „მოკვლევის დამთავრების შემდეგ მოკვლევის მასალებს კი არ აცნობენ, არამედ შეატყობინებენ მხოლოდ მოკვლევის დამთავრებისა და საქმის პროკურორისათვის გადაცემის შესახებ“. საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლით ყველაფერი ეს ისეთი კატეგორიულობით არის ჩამოყალიბებული, რომ დაზარალებულმა, ალბათ, დმერის მდლობა უნდა შესწიროს, რომ კანონმდებელმა მთლიანად არ გაწირო და იმას მაინც ატყობინებენ, რომ საქმე ან მასალები გადაეცემა პროკურორს.

ამ მდგომარეობით არის განპირობებული, რომ თვით ადვოკატებიც კი თავს არიდებენ დაზარალებულის ინტერესების დაცვას და მათი უმრავლესობა ამ „ორთაბრძოლაში“ ბრალდებულის ინტერესების დაცვას ამჯობინებს.

ყველაფრის საიდუმლოების ბურუსით შემოსვამ ნოყიერი ნიადაგი შეამზადა იმისათვის, რომ



წარმოქმნილ სამკუთხედში: ბრალდებული, გამოძიებელი, დაზარალებული — ეს უკანასკნელი აშკარად ზედმეტად განდა.

ჩვენი აზრით, ამ გარემოებებითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ დაზარალებული საერთოდ გაუღდა სამართალწარმოებას, ეკვის თვლით უყურებს ყველას და ყველაფერს და აღარც ჩვენი მართლმსაჯულებისა სჯერა.

ამას ემატება ისიც, რომ ცალკეულ პირებს საშუალება ეძლევათ მოხდენილად გამოიყენონ დაზარალებული ადამიანების სამართლიანი თუ უსამართლო პრეტენზიები და მათთან ერთად ტალახის გუნდების სროლა დაუწყონ მართლმსაჯულების ორგანოებს.

როგორც ყოველთვის, აქაც, უმთავრესად შედეგია წარმოჩენილი, ხოლო მიზეზთა ძებნით ნაკლებ ინტერესდებიან.

ყველასათვის ცნობილია დაზარალებულთა (ე. წ. „შოსან ქალთა აქცია“), რაც თვეობით გრძელდებოდა თბილისში. სამწუხაროდ, შვილმოკლულ დედებს ზოგიერთი დამნაშავეც მიეტმანა. ადამიანური ტრაგედიით შეძრწუნებული დედების სატიკივარს კიდევ უფრო ვაღვივებთ და მოუშუშებელ იარაღს პირს ვუხსნი, როდესაც მტყუან-მართალი ვერ გავგვიჩვენია და ყველას ერთნაირად ვვიცხავთ.

სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ეს ფაქტი, გვინდა, თუ არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ. ერთი ცხადია, შვილმოკლული დედების სატიკივარი ყველა ნორმალური ადამიანისათვის მისხადები და გასაზიარებელია. დაზარალებულთა უმრავლესობა სწორია, როდესაც ისინი პრეტენზიებს აყენებენ სამართალდამცავი ორგანოების (ან კონკრეტულად გამოძიებლის) მიმართ საქმის გაუხსნელობისა და დამნაშავის დაუდგენლობასთან დაკავშირებით. ცხადია მათ უკმაყოფილებას სხვა გარემოებებთან ერთად საფუძვლად უდევს დაზარალებულის აშკარა უფუფრებობა, როდესაც ყველას და ყველაფერს სახელმწიფო განაგებს და შვილმოკლულ დედას კანონი შესაძლებლობას არ აძლევს დანაშაულის ჩადენის დღიდან აქტიურად ჩაერიოს მტიკიების მოპოვება-დამაგრების და დამნაშავის მხილების პროცესში.

დღეს კი კანონი ასე სჯის: საქმეს იძიებს გამოძიებელი (სახელმწიფოს სახელით), საქმეზე გამოძიების დამთავრებამდე დაზარალებულმა არ იცის როგორ და რაწაირად მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი მას ეუწყება გამოძიების დამთავრების შემდეგ. ასეთ პირობებში, მრავალ შემთხვევაში, შეუძლებელი ხდება დამნაშავის სამხელად ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა მოპოვება და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

უფრო მეტიც, რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც დაზარალებულს გამოვეცხადებთ, რომ მისი შილის მკვლელობის საქმეზე დამნაშავე ვერ აღვადგინეთ, რომ დანაშაული გაუხსნელია და ამ მოტივით საქმე შევჩერეთ — კანონი იმის უფლებასაც კი არ აძლევს დაზარალებულს, რომ გაეცნოს საქმის მასალებს და ამის საფუძველზე წამოაყენოს თავისი მოსაზრებანი. წინასწარი გამოძიების ასეთი „გასაიდუმლოება“ სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი უმწეობის დამალვა და დაზარალებულის ინტერესების აშკარა იგნორირება.


შეიძლება ზოგს გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ, ღრმად გვწამს, რომ ვიდრე დაზარალებული პროცესის აქტიური მონაწილე არ გახდება, ვიდრე მისი უფლებები რეალურად არ დაკანონდება, გამოძიება ყოველთვის ცალმხრივად იქნება წარმოდგენილი, სადაც მტიკიების „უქმარისობის“ თუ „სიმციროს“ ხარჯზე ყველაფერი კვლავ ბრალდებულის სახარგებლოდ გადაწყდება.

დადგა დრო მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით პირი დაუყოვნებლივ ვიწნოთ დაზარალებულად, რომელსაც ასეთად ცნობის დღიდანვე უფლება ექნება იყოლოს დამცველი (და არა „წარმომადგენელი“), მასთან ერთად გაეცნოს მასალებს და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა გამოძიების პროცესში მტიკიებთა მოპოვება-დამაგრების საქმეში.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა წარმოუდგენელია იმ პროცესის ყველა მონაწილეს, მათ შორის დაზარალებულს. ერთნაირი უფლება და შესაძლებლობა არ მიეცემათ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად მტიკიებულებათა მოპოვებისა და შეფასების საქმეში.

ჭეშმარიტების დადგენის საქმეში, ისევე როგორც საქმის სახამართლოში განხილვისას, წინასწარი გამოძიება უნდა ეფუძნებოდეს მხარეთა შეჭიბრების ხასიათს, რომლის დროსაც დაცული უნდა იყოს კანონისა და სამართლის წინაშე ბრალდებულის და დაზარალებულის თანასწორი უფლებებიანობის პრინციპები.

სამართალწარმოების სრულყოფა, მისი შემდგომი დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს დანაშაულის გახსნასა და, საერთოდ, დამნაშავეობის წინააღმდეგ, ბრძოლის გააქტიურების საკითხს. საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნეს შეტანილი მოქმედ კანონმდებლობაში:



1. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით რომლითაც განსაზღვრულია დაზარალებულის უფლება მოვალეობანი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დაზარალებულად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური, ქონებრივი ზიანი მიაყენა, ასევე ის პირი, რომელსაც დანაშაულმა მიაყენა ნებისმიერი სახის ვნება ან დანაშაულის მცდელობისა და მომზადების შემთხვევაში არსებობდა ასეთი ვნების მიყენების შესაძლებლობა.

სათანადო თანამდებობის პირი მოვალეა, ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას, დაუყოვნებლივ გამოიტანოს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და ეს დადგენილება იმავე დღეს გააცნოს დაზარალებულს;

დაზარალებულს უფლება აქვს: ა) ამავე კოდექსის 115-ე მუხლში მითითებულ დანაშაულთა არსებობის შემთხვევაში (აუცილებელია გაფართოვდეს 115-ე მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა წრე) გადაწყვიტოს საკითხი მის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არააღძვრის შესახებ; ბ) აუცილიოს დამცველი (წარმომადგენელი) საქმეზე დაზარალებულად ცნობის მომენტიდან; გ) დაზარალებულად ცნობის მომენტიდან დამცველთან ერთად უფლება აქვს გაეცნოს საქმის იმ მასალებს, რომლებიც მოპოვებულია მის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით; ამოწეროს საქმიდან საჭირო ცნობები, წარადგინოს მტკიცებულებები; განაცხადოს შუამდგომლობები; განაცხადოს აცილება; შეიტანოს საჩივარი მომკვლევ ბირის, გამოძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოქმედებაზე, აგრეთვე სასამართლო განაჩენსა და განჩინებაზე და სახალხო სასამართლოს დადგენილებაზე, მათ შორის სასამართლოს ან პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ. გარდა ამისა, დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ნებათაღებოთ დაეხმაროს დამცველთან ერთად ბრალდებულის დაკითხვას ან სხვა ხაზგამდგომლობა მოქმედებათა წარმოებას, რომლებიც ტარდება დაზარალებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით; დაზარალებულს უფლება აქვს სხვა მტკიცებულებათა ერთად სათანადო ორგანიზებას წარუდგინოს ამ საქმესთან დაკავშირებით ცალკეული პირებისაგან ჩამორთმეული ახსნა-განმარტებები, რომელთა შემოწმება აუცილებელია წინკვლევის, გამოძიების, პროკურორისა და სასამართლოს მიერ.

იმ დანაშაულთა საქმეზე, რომელთაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, გარდაცვლილის უფლებებით შეუძლიათ ისარგებლონ მისმა ახლო ნათესავებმა.

46-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია დამცველის მოვალეობები და უფლებები, საჭიროა შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები იმ მხრივ, რომ ამ მუხლში აიხსოს დაზარალებულის დამცველი უზრუნველყოფის საკითხი.

46-ე მუხლს დაემატოს ახალი მესამე ნაწილი: „ამ მუხლში ბრალდებულის დამცველისათვის გათვალისწინებული ყველა უფლებით სარგებლობას აგრეთვე დაზარალებულის დამცველი“.

ამავე მუხლის მესამე ნაწილი გადაკეთდეს მეოთხე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: აღვკაცო უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ბრალდებულის ან დაზარალებულის დაცვაზე მას შემდეგ რაც მან ეს საქმე იყისრა. მეოთხე ნაწილი გადაკეთდეს მე-5 ნაწილად, და სიტყვების „ორი განსახილველი“ შემდეგ დაემატოს — „ან ორი დაზარალებულის“.

მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმოდ ფორმის წარმოებასთან დაკავშირებით, საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია მასალების სასამართლოში გადაბანის წესი, საჭიროა დაწესდეს, რომ „დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს შეკრებილ მასალებს და დააყენოს შუამდგომლობა მასალების შევსების ან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ჩატარების შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს გასაჩივრების მოქმედების უფროსთან ან ზედამხედველ პროკურორთან“.

საპროცესო კოდექსს დაემატოს ახალი 47-ე მუხლი:
„დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება განაჩენით სასამართლომ მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დააკისროს მისთვის დანაშაულის შედეგად მიყენებული რეალური ზარალის ღირებულება“.

ამ კოდექსის 115-ე მუხლში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის ნებაყოფლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის წარმოებით შეწყვეტა განაჩენის დადგენამდე, ვიდრე სასამართლოს შემადგენლობა სათათბირო ოთახში გავა.

მოკვლევისა და გამოძიების პროცესში დაზარალებულს უფლება აქვს, როდესაც დანაშა...



ვე დანაშაულს არ უარყოფს, მოითხოვოს ბრალდებულისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან სხვა უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან სხვა უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს, როდესაც დანაშაულით მიყენებული ზიანის შედეგად დაზარალებულს მოესპო ნორმალური არსებობის საშუალება, უფლება აქვს გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ან განჩინება ამ პირისათვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ.

115-ე მუხლში შეტანილი იქნეს სათანადო ცვლილებები და დაზარალებულის საჩივრით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 112-ე, 116-ე, 117-ე მუხლის I ნაწილის, 137-ე, 138-ე და 147-ე მუხლების გარდა დაწესდეს იმ დანაშაულთა არსებობისას, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე, 118-ე, 119-ე მუხლებით და 117-ე მუხლის II ნაწილით, 119-ე, 129-ე, 134-ე მუხლებით და 137-ე მუხლის II ნაწილით, 155-ე და 156-ე მუხლებით.

ამოღებულ იქნეს ამ მუხლის ბოლო VI პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საქმის წარმოებით შეწყვეტას დაზარალებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-117 მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია დანაშაულის ცნება და ამ მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დანაშაულად ჩითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკისა და პიროვნების კანონით დაცულ ინტერესებს, რომლის ჩადენისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“.

დანაშაულის ცნების ამგვარი განმარტება არა მარტო ამაღლებს პიროვნების როლს, არამედ სამართლიანად ავგვილებს ამ მუხლში მოცემულ „სსრ კავშირის წესწყობილების, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების, სოციალისტური პრინციპების“ უზადრუჟი ცნებების კანონით აღიარებულ ფუნქციებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლში კი, რომელიც ითვალისწინებს ქონების კონფისკაციის, საჭიროა შეტანილ იქნეს ცვლილება იმ სახით, რომ ამ მუხლში ასახვა პოვოს დანაშაულის ცნების კონფისკაციის ხარჯზე დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხმა.

34-ე მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფო ხაუთრებად მსჯავრდებულის პირადი ხაუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის უხასყიდლოდ ჩამორთმევაში, რომლის ღირებულებებიდანაც, პირველ რიგში, ანაზღაურებული უნდა იქნეს დანაშაულის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი“.

კონფისკაციაქმნილი ქონების რეალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ან ასეთის რეალიზაციამდე, დაზარალებულის სურვილით, ქონება შეიძლება გადაეცეს დაზარალებულს მისთვის მიყენებული ზარალის ხაფახურის ფარგლებში.

საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, საჭიროა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსაჩქელითა და დაზარალებულის დაცვის უფლებით უზრუნველყოფა“.

სასამართლო, პროკურორი, გამოძიებელი და მომკვლევო პირი მოვალენი არიან კანონით დადგენილი წესით უზრუნველყონ ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსაჩქელის და დაზარალებულის, აგრეთვე მათი პირადი და კონებრივი უფლებების დაცვა“.


დაზარალებულის ამ უფლებებით აღჭურვის შემდეგ, რა თქმა უნდა, აუცილებელია დანაშაულის სტატისტიკამ სათანადო ადგილი დაუთმოს დაზარალებულის პიროვნების აღრიცხვა-შესწავლის საქმეს, რაც დღესდღეობით არ კეთდება. გარდა ამისა, საჭიროა, ისევე როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოს რესპუბლიკაშიც დაარსდეს დაზარალებულის (დანაშაულის მსხვერპლის) დახმარებისა და ხელშეწყობის საზოგადოება (ასოციაცია), რომელიც თავის უპირველეს ამოცანად დაისახავს განსაცდელში ჩავარდნილი მოძმის შემწეობა-დახმარებას (უნდა დამუშავდეს ამ საზოგადოების პროგრამა). დაზარალებულისათვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით გაიხსნას სპეციალური ანგარიში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების, მოქალაქეების მიერ დაზარალებულის სასარგებლოდ საჭირო თანხების შესატანად.

ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რომელი უწყების

გამგებლობაში მოექცეს საგამოძიებო აპარატი. დაობენ მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები, თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები.

დავა თავიდანვე უნაყოფო გამოდგა. შთავარია არა ის, თუ რომელ ორგანოს გამგებლებმა გადავა საგამოძიებო აპარატი, არამედ ის, თუ როგორი სახით ჩამოვაყალიბებთ წინასწარი გამოძიების წესს, მის სტრუქტურას და რა კრიტერიუმებზე დავაფუძნებთ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

კანონმდებლობაში ასეთი მოთხოვნების დამკვიდრება ადამიანებს დაუბრუნებს რწმენას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობის არსებობის შესახებ და ყველა მათგანს კვლავ მივაბრუნებთ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ჰუმანური სამართლებრივი ნორმებისაკენ, რომლებსაც ჩვენდა უნებურად დიდი ხნით ჩამოგვაცივლეს.



ზურაბ ზოთაა

ბაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით

გაუპატიურება ფიზიკური ძალადობისა და მუქარის გარდა, შეიძლება აგრეთვე დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. დამნაშავეს მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, მან ჩააყენა დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში, თუ იგი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა დამნაშავესაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აქ მთავარი და გადამწყვეტია, თუ როგორია დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულება თავისი მოქმედებისადმი, კერძოდ, სქესობრივი აქტის განხორციელებისას მას შეგნებული ჰქონდა თუ არა, რომ დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური უმწეობა.

ფიზიკური უმწეობის სახეებია: ა) ფიზიკური ნაკლი; ბ) ორგანიზმის სისუსტე, გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობით ან ძლიერი სიმთვრალით, რაც შესაძლებლობას ართმევს დაზარალებულს გაუწიოს წინააღმდეგობა მოძალადეს; გ) სიტუაციური ხასიათის ფიზიკური უმწეობა.

ფიზიკურ ნაკლთან გვაქვს საქმე, როდესაც დაზარალებულს აკლია რომელიმე ორგანო და ამის გამო არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს დამნა-

შავეს, მაგალითად, არა აქვს ხელი ან ფეხი და ა. შ. ფიზიკურ უმწეობად ითვლება აგრეთვე ორგანიზმის სისუსტე, გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობით, ან ძლიერი სიმთვრალით; ნებისმიერი ავადმყოფობა, რომელიც მწვავე ფორმით მიმდინარეობს.

ფსიქიკური უმწეობის სახეებია: ა) დაზარალებულის შეურაცხადობა მასთან სქესობრივი აქტის განხორციელების მომენტისათვის; ბ) დაზარალებულის მცირეწლოვნობა; გ) უგონობა (გულის წასვლა, ძილი, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე. ტრავმული ან ემოციური შოკი და ჰიპნოზი); დ) მოტყუების ცალკეული ფორმები.

დაზარალებული შეიძლება შეურაცხადი იყოს მასთან სქესობრივი აქტის განხორციელების მომენტში ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, კვუასუსტობის, ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.


მაგალითად, ოზურგეთის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით პიროვნებას მსჯავრი დაედო საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, წინასწარი შეცნობით შეურაცხადის გაუბატოების გამო ამ უკანასკნელის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებულს ქრონიკული სულიერი დაავადების გამო არ შეეძლო შეეგნო მასთან განხორციელებული სქესობრივი აქტის მნიშვნელობა.¹

ზოგიერთი ავტორის აზრით, სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით სულიერად დაავადებულთან, ყველა შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს გაუბატოების უპატიურებად. ვფიქრობ, ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს იმის გამო, რომ ცალკეულ შემთხვევაში იგი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში უდანაშაულო პირის მიცემის საფუძველი გახდეს. საქმე ისაა, რომ ყოველგვარი სულიერი ავადმყოფობა როდი აყენებს დაზარალებულს უმწეო მდგომარეობაში. სულიერი ავადმყოფობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე შეურაცხადობა. გაუბატოების მაშინ ჩაითვლება სულიერად დაავადებულ ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტი, როცა დაზარალებული შეურაცხადობის მდგომარეობაში იმყოფება, ანუ, როცა მისი ფსიქიკა იმდენადაა მოშლილი, რომ მას არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებას, ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას.

სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტისათვის დაზარალებულის შეურაცხადობის მდგომარეობის დადგენა სასამართლო-ფსიქიატრიის სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. გაუბატოების საქმეთა გამოძიების დროს, როცა ეჭვქვეშ დგება დაზარალებულის შეურაცხადობის საკითხი, სავალდებულოა დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც უნდა დაადგინოს, იყო თუ არა დაზარალებული შეურაცხადი მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტში.

თუ დადგინდება, რომ ქალს ფსიქიკური მდგომარეობის მოშლილობის გამო უნარი არ ჰქონდა შეეგნო მასთან დამყარებული სქესობრივი აქტის სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობა, ან არ შეეძლო ეხელმძღვანელო

¹ ოზურგეთის რაიონის სახალხო სასამართლოს აქტივი, საქმე № 1/187, 1980.



თავისი მოქმედებებისათვის და ამდენად მოკლებული იყო შესაძლებლობა თავისი ნებით და შეგნებულად განესაზღვრა საკუთარი სქესობრივი ცხოვრება იგი სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტისათვის შეურაცხადად, ანუ უმწეო მდგომარეობაში მყოფად ჩათვლება; თუმცა ეს ჭერ კიდევ საკმარისი არ არის, რათა მოქმედება გაუპატიურებად იქნეს დაკვალიფიცირებული, რადგან სავალდებულოა დადგინდეს, დამნაშავეს სქესობრივი აქტის დამყარებისას შეგნებულად იქნა თუ არა ქალის შეურაცხად მდგომარეობაში ყოფნა, რამაც განაპირობა მისი „თანხმობა“ სქესობრივ კავშირზე. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის მხრივ წინააღმდეგობის გაუწყველობა მისი ნების გამოვლინება კი არ არის, არამედ იმის ობიექტური შედეგია, რომ დაზარალებულს სქესობრივი კავშირის მნიშვნელობა შეგნებული არა აქვს. ამის დადგენა ერთობ რთული საქმეა. მხოლოდ, იმის დადგენა, დაზარალებული საერთოდ იყო თუ არა შეურაცხადი, არ არის საკმარისი, საქმე ისაა, რომ თვით ქრონიკული სუღიერი დაავადების ისეთი ფორმის დროსაც კი, როგორცაა შიზოფრენია, დაავადებულ ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს ნათელი ინტერვალის პერიოდი, როცა მას შენარჩუნებული აქვს მოქმედების შეფასებისა და წარმართვის უნარი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, სქესობრივ კავშირზე მისივე ნების გამოვლინება, გამორიცხავს როგორც ქალის უმწეო მდგომარეობაში ყოფნას, ისე მასთან სქესობრივ კავშირში მყოფი პირის მოქმედებაში გაუპატიურების ნიშნების არსებობას.

მცირეწლოვან დაზარალებულს, ასაკის, არასათანადო ფსიქიკური განვითარების, სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის არასაკმარისი დონის გამო, არ შეუძლია სათანადოდ გაიცნობიეროს სქესობრივი ურთიერთობა. ამიტომ მცირეწლოვანი გოგონას თანხმობას სქესობრივ კავშირზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ხშირია შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ბოროტად იყენებს მცირეწლოვანის ნდობას და ამყარებს მასთან სქესობრივ კავშირს. დამნაშაულის ჩადენას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთი მცირეწლოვანი ძალზე ადრეულ ასაკში ამჟღავნებს სქესობრივ ინსტიქტს, რასაც ქვეცნობიერი ხასიათი აქვს, ცხადია, მსგავსი ინსტიქტის გამოვლინება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მცირეწლოვანს უკვე შეგნებული აქვს სქესობრივი კავშირის არსი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 28 აპრილის დადგენილებით „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ გამოყენების წესის თაობაზე“ მცირეწლოვანად მიჩნეულია თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი გოგონა.²

დამნაშავის მოქმედების სწორი კვალიფიკაცია მცირეწლოვანის გაუპატიურებისას, მთლიანად დამყარებულია იმაზე, თუ როგორია მისი სუბიექტური მიმართულება დაზარალებულის ასაკისა და უმწეო მდგომარეობაში ყოფნის ფაქტის მიმართ. თუ 14 წლის ასაკს მიუღწეველი დაზარალებულის გაუპატიურება მოხდა ფიზიკური ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, თანაც დამნაშავემ იცოდა ან შეგნებული ჰქონდა დაზარალებულის მცირეწლოვნობის ფაქ-

2 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980 წლის 7 მაისი, № 19, გვ. 4.

ტი, იგი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით. თუ მცირეწლოვანის გაუბატონებად ბისას დამნაშავეს ფიზიკური ძალადობის ან მუქარისათვის არ მიუძღვრება და დაზარალებულის თანხმობით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი, მაშინ სავალდებულოა დადგინდეს: იმყოფებოდა თუ არა დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში; თუ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჰქონდა თუ არა შეგნებული დამნაშავეს აღნიშნული გარემოება, ისევე, როგორც დაზარალებულის მცირეწლოვნების ფაქტი? თუ დადგინდება, რომ დაზარალებული იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში, რაც, დაზარალებულის ასაკთან ერთად, შეგნებული ჰქონდა დამნაშავეს, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით. თუ 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში, დამნაშავეს კი შეგნებული აქვს, რომ იგი მცირეწლოვანია, მათ შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევაში, დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება 119-ე მუხლით.

რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს საერთოდ მცირეწლოვანის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა-არყოფნის საკითხი?

ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი მოსაზრება არსებობს: ერთნი თვლიან, რომ 14 წლის ასაკს მიუღწეველ დაზარალებულთან თუნდაც ამ უკანასკნელის თანხმობით დამყარებული სქესობრივი კავშირი გაუბატონებად უნდა იქნეს მიჩნეული. მეცნიერთა ნაწილი კი, მხარს უჭერს მოქმედ სასამართლო პრაქტიკას და მიიჩნევს, რომ მცირეწლოვანი დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ყოფნის საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

ჩემი აზრით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს შემდგენიარად: თუ დამნაშავე სქესობრივ კავშირს ამყარებს წინასწარი შეცნობით 10 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან, მისი მოქმედება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ გაუბატონებად, რადგან 10 წლამდე ასაკის გოგონას არც ერთ შემთხვევაში არა აქვს შეგნებული სქესობრივი ურთიერთობის სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობა იმ მოცულობით, რომ მისი „თანხმობა“ სქესობრივ კავშირზე მისივე ნების გამოვლინებად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში ასაკობრივი კრიტერიუმის დაწესებას ის უპირატესობაც აქვს, რომ წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებისათვის გაცილებით ადვილია დამნაშავეს განზრახი ბრალის დადგენა დაზარალებულის ასაკის მიმართ, ვიდრე დაზარალებულის სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში გათვითცნობიერების დონის მიმართ. ეს ზელს შეუწყობს ამ კატეგორიის საქმეთა სწრაფ გამოძიებას, რადგან საჭირო აღარ იქნება სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-პედაგოგიური და სხვა ექსპერტიზების ჩატარება, ამასთან, შესაძლებელი გახდება ობიექტური ჰემ-მარი კის დადგენა გაუბატონების ისეთი შემთხვევის გამოძიების დროს, როცა დამნაშავემ 10 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი, რაც რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ცნობილი. ცხადია, ასეთ დროს, სხვადასხვა ექსპერტიზებით ძალიან ძნელი იქნება დაზარალებულის განვითარების დონის დადგენა სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტი-

სათვის. რაც შეეხება 10-დან 14 წლამდე ასაკის მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტს, საჭიროა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-ფსიქოლოგიური, ან სასამართლო-ბედაგოგიური ექსპერტიზა, რათა დადგინდეს დაზარალებულის საერთო და სოციალური განვითარების დონე, გაირკვეს, ჰქონდა თუ არა მას შეგნებული სქესობრივი ურთიერთობის სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობა და მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდეს — იმყოფებოდა თუ არა მცირეწლოვანი უმწეო მდგომარეობაში.


10-დან 14 წლამდე დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის განსაზღვრისთვისაც ასაკობრივი კრიტერიუმის დაწესება, ჩემი აზრით, მიზანშეუწონელია, რადგან, სრულიად უგულვებელყოფილი იქნებოდა დაზარალებულის ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების დონე, მისი გათვითცნობიერება სქესობრივი ცხოვრების საკითხებში.

უგონობაში იგულისხმება: გულის წასვლა, ძილი, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე, ტრავმული ან ემოციური შოკი და ჰიპნოზი.

ფიზიოლოგიური ძილისას კონტაქტი ადამიანის თავის ტვინსა და გარე სამყაროს შორის სრულად გაწყვეტილი კი არ არის, არამედ შემცირებულია. ამის გამო ბუნებრივი ძილის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ხშირად ეღვიძება ხმაურის, ან შეხების დროს, ამასთან, იგი სწრაფად ახდენს ორიენტირებას და გარემომცველი სინამდვილის აღქმას. ამის გამო, ზოგიერთი ავტორი შეუძლებლად მიიჩნევს ბუნებრივი ძილის მდგომარეობაში მყოფი ქალის გაუპატიურებას.

ჩემი აზრით, ამ შეხედულებას არავითარი მეცნიერული საფუძველი არ აქვს. პრაქტიკაში, იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ასეთ შემთხვევებს. მართალია, სასამართლო ექიმების დიდი ნაწილი თვლის, რომ ბუნებრივი ძილისას შეიძლება ისეთ ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომელსაც აღრე ჰქონია სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, რომ ამ ქალს სქესობრივი აქტის დამთავრებამდე აუცილებლად გაეღვიძება, მაგრამ, ყოველივე ამას, მაინც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რათა მძინარე ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარების შესაძლებლობა უარყვოთ, რადგან მოქმედი კანონმდებლობით, გაუპატიურების დამთავრებულად ცნობისათვის სქესობრივი აქტის ბოლომდე მიყვანა ბიოლოგიური თვალსაზრისით სავალდებულო არაა. ასევე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კვლითი კაცისათვის იმას, დაირღვა თუ არა ამ დროს საქალწულო აპკი და ა. შ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო რეალურია ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ჰიპნოზური და პათოლოგიური ძილის მდგომარეობაში მყოფი ქალის გაუპატიურების შესაძლებლობა.

პრაქტიკა მრავალ შემთხვევას იცნობს, როცა მთვრალი ქალი ნებაყოფლობით თანხმდება მამაკაცს სქესობრივ კავშირზე, შემდეგ კი, გაუპატიურების შესახებ განცხადებით მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს იმ მოტივით, რომ იგი უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასეთი საქმეების გამოძიებისას სავალდებულოა დადგინდეს დაზარალებულის სიმთვრალის ხარისხი, მისი ფაქტობრივი ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობა და დანაშაულის ჩადენის სხვა გარემოებანი.



ცნობილი სასამართლო ექიმის მ. სერდიუკოვის აზრით, მსუბუქი ჩივილების სიმთვრალისას ქალი ანგარიშს უწევს საკუთარ მოქმედებას. მას აქვს წინააღმდეგობის გაწევის უნარი; ძლიერი ხარისხის სიმთვრალემ შეიძლება წაართვას მას შეფასებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი. საშუალო ხარისხის სიმთვრალე კი აქვეითებს ორიენტირების უნარს და ასუსტებს წინააღმდეგობის შესაძლებლობას.³

მთვრალი დაზარალებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული უმწეო მდგომარეობაში მყოფად, როცა იგი ძლიერი სიმთვრალის გამო ღრმა ძილშია, ან უგონოდაა, ან ისეა დაუძლურებული, რომ მამაკაცისათვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა აქვს და მხოლოდ სქესობრივ კავშირზე უარის განცხადებით კმაყოფილდება. ეს უკანასკნელი შემთხვევა ფიზიკური უმწეობის ისეთი მაგალითია, როცა დაზარალებულს, მართალია, შეცნობილი აქვს რაც მის თავს ხდება, მაგრამ ობიექტურ მიზეზთა გამო უნარი არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს.


მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურების შესაძლებლობაზე მითითებულია სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის ზემოდასახელებულ დადგენილებაში, სადაც ნათქვამია, რომ დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევა ისეთი ხარისხის სიმთვრალის დროს, როცა იგი მოკლებულია გარემო ვითარების შეცნობის შესაძლებლობას, იმ მოქმედებათა მნიშვნელობის შეცნობის შესაძლებლობას, რომელთაც დამნაშავე სჩადის, და, შესაბამისად, წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას.⁴

პრაქტიკაში იმდენად ხშირია მთვრალ დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევები, რომ აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოვყოთ ის საკვანძო მომენტები, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც ალკოჰოლურ, ისე ნარკოტიკულ სიმთვრალეს:

ა) თუ დამნაშავე მთვრალი დაზარალებულის მიმართ მიმართავს ფიზიკურ ძალადობას ან მუქარას მისი გაუპატიურების მიზნით, ასეთ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ არა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ გაუპატიურებაზე, არამედ ფიზიკური ძალადობის ან მუქარის, ან ერთდროულად ამ ორივე ხერხის გამოყენებით ჩადენილ გაუპატიურებაზე;

ბ) თუ ნებისმიერი ხარისხის სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს შეგნებული ჰქონდა მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების ხასიათი, მნიშვნელობა და შედეგი, მაგრამ ორგანიზმის ძლიერი სიმთვრალით გამოწვეული დაუძლურების გამო საერთოდ არ შეეძლო დამნაშავესათვის წინააღმდეგობის გაწევა, ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში ყოფნის ნიშნით. თუ ქალს მსუბუქი ან საშუალო ხარისხის სიმთვრალის დროს შემცირებული ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი, მამაკაცმა კი ისარგებლა ქალის სქესობრივი აღზნებულობით, ან ქარაფმუტობით და დაამყარა ამ უკანასკ

³ Сердюков М. Г., Судебная гинекология и судебное акушерство, М., 1964, с. 95.
⁴ «Сб. пост. Пл. ВС СССР 1924--1986 гг.», М., 1987, с. 617.



ნელთან სქესობრივი კავშირი, ასეთი ქმედობა არ შეიძლება განხილული ექნეს (როგორც გაუპატიურება (ცხადია, თუ მამაკაცს ქალის წინააღმდეგობის დაპირებულად არ გამოუყენებია ფიზიკური ძალადობა ან მუქარა);

გ) მთვრალი ქალი, რომელიც თანხმობას განაცხადებს მამაკაცთან სქესობრივ კავშირზე, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება უმწეოდ, ხოლო მისი „თანხმობა“ ფიქტიად, თუ იგი იმყოფებოდა შეურაცხადობის მდგომარეობაში.

დაზარალებული შეურაცხადობის მდგომარეობამდე შეიძლება მიიყვანოს არა ფიზიოლოგიურმა სიმთვრალემ, რომელიც მხოლოდ ამცირებს და არ სპობს შერაცხვის უნარს, არამედ პათოლოგიურმა სიმთვრალემ. პათოლოგიური სიმთვრალე დაზარალებულს სრულად ართმევს უნარს ანგარიში გაუწიოს თავის საკუთარ მოქმედებას ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას, გააცნობიეროს დამნაშავეს მიერ მასთან განხორციელებული სქესობრივი აქტის ხასიათი და შედეგი, ამ საკითხის სრულყოფილად გარკვევისათვის ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს აუცილებლად უნდა დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმედობის გაუპატიურებად მიჩნევისათვის სავალდებულოა დადგინდეს ის გარემოებაც, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა სიმთვრალით გამოწვეული ქალის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და ამით განპირობებული „თანხმობა“ სქესობრივ კავშირზე.

ჰიპნოზი, რომელიც ერთობ წააგავს ფიზიოლოგიურ ძილს თავის ტვინის ქერქის ცალკეული მონაკვეთების დამუხრუჭების პროცესის შედეგია. ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი მეტწილად გათიშული და იზოლირებულია გარეშე გამლიზიანებლებისაგან, ქალიზიანების ცალკეული კერის შენარჩუნება ჰიპნოზიორს შესაძლებლობას აძლევს სიტყვიერი შთაგონების მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე, შეასრულოს მასთან საჭირო მოქმედება, ან გამოიწვიოს დაზარალებულში მისთვის საჭირო შეგარძნებები,


სასამართლო-სამედიცინო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ჰიპნოზური ძილის (ე. ი. ჰიპნოზის) მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის გაუპატიურება შესაძლებელია, მაგრამ თვით ჰიპნოზის გამოყენება ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ — შეუძლებელი. მართალია, ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ჰიპნოზის უნარის მქონე პირმა ბოროტად გამოიყენოს ქალის ნდობა, თითქოსდა მკურნალობის მიზნით დაიყოლიოს ჰიპნოზზე, შემდეგ კი ისარგებლოს მისი უმწეო მდგომარეობით და გაუპატიუროს იგი.

მოტყუების გზით ქალის გაუპატიურება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ქალი ცდება პარტნიორში, ე. ი. როცა მას შეცდომით ჰგონია რომ სქესობრივ კავშირს ამყარებს მისთვის სასურველ მამაკაცთან (ქმართან, საყვარელთან და ა. შ.), სინამდვილეში კი მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებს სხვა მამაკაცი, რომელსაც თავის მხრივ შეგნებული აქვს; რომ ქალი ცდება პარტნიორის პიროვნებაში. მაგალითად, ნახევრადმძინარე ქალთან სიბნელეში, ქმრის ნაცვლად შედის სხვა მამაკაცი და იწყებს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ან მამაკაცი ატყუებს ბრმა ქალს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ქალის ნება ფალსიფიცირებულია, მისი მდგომარეობა კი ფსიქიკური უმწეობის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს.

ქალი არ ჩაითვლება უმწეო მდგომარეობაში მყოფად და, მამასადამე არც გაუპატიურების შემადგენლობა გვექნება, თუ მამაკაცი შესაძლებლობას დაყოლიებას სქესობრივ კავშირზე სხვადასხვა დაპირებით (მაგალითად, ცოლად მოყვანა, ქონებრივი სარგებლობის გადაცემა და ა. შ.). ასეთ შემთხვევებში ქალის ნება შეზღუდული არ არის. ის მოქმედებს შეგნებულად; არავითარ ფიზიკურ ძალადობას ან მუქარას მის მიმართ ადგილი არა აქვს. ამიტომ სწორად აღინიშნა „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილებაში, რომ „...იმ პირის ქმედობა, რომელმაც მოახერხა მიედო დაზარალებულის თანხმობა სქესობრივ აქტზე მისი ნდობის ბოროტად გამოყენებით, მაგალითად, შეგნებულად ტყუილი დაპირებით, რომ ცოლად შეერთავს, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გაუპატიურება“.

როგორც აღვნიშნეთ, დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი გაუპატიურებისას დამნაშავეს ნებისმიერ შემთხვევაში გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ დაზარალებული იმყოფება უმწეო მდგომარეობაში. ამასთან, არ არის სავალდებულო, დამნაშავემ ზუსტად იცოდეს, თუ რითაა ეს მდგომარეობა გამოწვეული — ფსიქიკური დაავადებით, სიმთვრალით. ფიზიკური ტრავმით თუ სხვა ფაქტორით, მთავარია იცოდეს, რომ დაზარალებულს არ შეუძლია გამონახოს თავისი ნება, ან გაუწიოს მას წინააღმდეგობა სქესობრივი აქტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ცნობილია შემთხვევა, როცა სქესობრივი კავშირის დამყარებისას პირს, თუმცა გაცნობიერებული აქვს ქალის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ მაინც დარწმუნებულია, რომ მასთან სქესობრივ აქტს ქალის ნების უგულვებელყოფის გზით არ ამყარებს. ამ დროს გაუპატიურებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ყველა შემთხვევაში ასეთი მტკიცება მამაკაცის საექვო ვარაუდებზე კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაგალითად, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც მამაკაცი ამყარებს სქესობრივ კავშირს უმწეო მდგომარეობაში მყოფ მუდღესთან, ან სხვა ქალთან, რომელთანაც ადრეც არაერთხელ ჰქონია ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. ეს მას კონკრეტულ სიტუაციაში აძლევს კიდევ საკმაო საფუძველს, იფიქროს, რომ უმწეო მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად მის მიერ ქალის ნება იგნორირებული არ არის, რაც გამორცხავს კიდევ გაუპატიურების შემადგენლობის არსებობას.



მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის

მომენტის განსაზღვრა

ავტოსაგზაო შემთხვევებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების და სასამართლო განხილვისას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ძირითადად აინტერესებთ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ შემთხვევაში მონაწილე პირებს საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა თანახმად და შეეძლო თუ არა მძღოლს დაჯახების თავიდან აცილება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ კი ექსპერტმა არ იცის, როდის წარმოიქმნა საფრთხე მოძრაობისათვის.

ეს საკითხი მრავალჯერ იქნა განხილული სპეციალურ სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებზე, კონფერენციებზე და სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ დღემდე იგი ერთგვაროვნად არ წყდება. სპეციალისტების ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ, ვინაიდან საფრთხის წარმოქმნის მომენტის დადგენა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ასეთი მომენტი უნდა დაადგინოს ავტოექსპერტმა. ზოგიერთი ამ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებს, რომ საფრთხის მომენტის დადგენა მოითხოვს სატრანსპორტო საშუალებების მართვის ხერხების ცოდნას. 1966-1971 წ. წ. გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოებში მითითებულია, რომ მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტის განსაზღვრა განეკუთვნება ავტოექსპერტის კომპეტენციას. სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს მძღოლის სუბიექტური მონაცემების ცოდნას და საფრთხის წარმოქმნის მომენტი უნდა განსაზღვროს გამოძიებამ (სასამართლომ). სხვა ავტორები კი მიიჩნევენ, რომ საფრთხის წარმოქმნის მომენტი უნდა განსაზღვროს ავტოექსპერტმა თუ საკითხი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას.

სასამართლო-ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ 1975 წლის ტიპური ინსტრუქციის მიხედვით ავტოექსპერტს ეკრძალებოდა იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როდის წარმოიქმნა საფრთხე მძღოლისათვის და როდის უნდა გაეთვალისწინებინა მას მისი რეალობა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ გამოძიება (სასამართლო) ვერ უძლებდა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭირო პრაქტიკულ ცოდნას, რაც თვით საქმეს აქცევდა ჩიხში, ხოლო ხშირ შემთხვევაში გამოძიების მიერ დადგენილი საფრთხის წარმოქმნის მომენტი არ შეეფარებოდა შემთხვევის განვითარების მექანიზმს, ან არ იყო ტექნიკურად სრულყოფილი.

გამომძიებელთა უმრავლესობის აზრით, რაც 1978 წელს გამოითქვა ბაქოს კონფერენციაზე, სადაც მეც ვმონაწილეობდი, მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტის საკითხი უნდა გადაწყვიტოს ავტოექსპერტმა, ვინაიდან იგი ტექნიკური ხასიათისაა და საამისოდ გამომძიებლებს არ ყოფნით სპეციალური ცოდნა. ამ კონფერენციის შემდეგ გამოქვეყნდა მეთოდური მასალები ტიპური ინსტრუქციის გამოყენებისათვის, სადაც მითითებული იყო, რომ საფრთხის

წარმოქმნის მომენტი განსაზღვრული უნდა იქნეს ავტოექსპერტის მფარველის გადამსწვევტად საჭიროა სპეციალური ცოდნა.


სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების 1982 წლის ტიპურ ინსტრუქციაში მე-12 პუნქტი ზღუდავს ექსპერტის უფლებას ამ სფეროში და მას აკუთვნებს სამართლებრივი საკითხების კატეგორიას. აქვე, მე-9 პუნქტში მითითებულია: „ექსპერტს უფლება აქვს... გადაწყვიტოს საკითხი თუ როდის წარმოიქმნა საფრთხე მოძრაობისათვის თუ ამისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, აუცილებელი გაანგარიშებების, მოდელირებისა და ექსპერიმენტის გამოყენებით“. ამდენად, რაკი ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისას ყველა საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას, მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტი უნდა განსაზღვროს ავტოექსპერტმა.

მოვიყვან ერთ მაგალითს: საგზაო მოძრაობის წესების 11.1-ე პუნქტის მოთხოვნით: „მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება ისეთი სიჩქარით უნდა მართოს, რაც არ აღემატება დადგენილ შეზღუდვებს, გაითვალისწინოს მოძრაობის ინტენსიურობა, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის თავისებურებანი და მდგომარეობა, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, კერძოდ, ხილვადობა მოძრაობის მიმართულებით.

მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში (რომლის შემჩნევაც მძღოლს შეუძლია), მან უნდა მიიღოს ზომები სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრული გაჩერების ჩათვლით, ან მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის წინაღობის უსაფრთხო შემოვლის უზრუნველსაყოფად“.

აღნიშნული პუნქტის მოთხოვნა ეხება მხოლოდ მძღოლს და მოითხოვს მისგან ზომების მიღებას დაახლოებით 1-2 წამის განმავლობაში (მძღოლის რეაქციისათვის საჭირო დრო). ამ შემთხვევაში კი მას რა თქმა უნდა, კაბინაში არ ეყოლება იურისტი, რომელიც კონსულტაციას მისცემდა წარმოქმნილი ვითარების სუბიექტური ასპექტის შესახებ. აქ ყველაფერს წყვეტს მძღოლის გამოცდილება და რთული ვითარებიდან გამოსვლის ხერხების ცოდნა და გამოყენება.

დაუშვათ, ქვეითად მოსიარულემ გზის გადაჭრა სცადა ავტომობილის მოძრაობის მიმართულების მარჯვენა მხრიდან, ტროტუართან გაჩერებული ავტობუსის წინა მხრიდან. იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა მანძილი გაიარა დაზარალებულმა მძღოლის მხედველობის არეში, ესე იგი, როდის წარმოიქმნა საფრთხე მძღოლისათვის და ზღუდავდა თუ არა ავტობუსი მძღოლის მხედველობას, გამოძიებამ (სასამართლომ) უნდა ჩაატაროს ექსპერიმენტი შემთხვევის ადგილზე გასვლით, რაც საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული საკითხი ავტოექსპერტმა შეიძლება დაადგინოს სულ რამოდენიმე წუთში, თუ კი ეცოდინება დაჯახების ადგილი და ამ ადგილიდან მანძილი გაჩერებული ავტობუსის წინა ნაწილამდე (ე. ი. გაჩერებული ავტობუსიდან რა მანძილზე კვდოდა დაზარალებული გზას). ამ მონაცემებით ექსპერტი ააგებს მასშტაბურ სქემას და ადგენს თუ სად გამოჩნდებოდა დაზარალებული მძღოლის სამუშაო ადგილიდან, რაც ყველაზე ზუსტი მონაცემი იქნება. ამის შემდგომ მას შეუძლია მიუთითოს მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტზე და საბოლოოდ გასცეს ობიექტური დასკვნა, შეეძლო თუ არა მძღოლს ქვეითად მოსიარულეზე დაჯახების თავიდან აცილება, ხოლო აქედან გამომდინარე, შეასრულა თუ არა მან ზემოთ აღწერილი საგზაო მოძრაობის წესების 11.1 პუნქტის მოთხოვნა.



აქვე მინდა მოვიყვანო ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის ვაჭიანურების ერთი მაგალითი. 1989 წლის 22 მარტს ხაშურიდან გორის მიმართულებით მოძრაობდა ავტომობილი მოსკვიჩი: როდესაც ეს უკანასკნელი გადიოდა ქარელის რაიონის ტერიტორიაზე, მისივე სავალი ნაწილის მარჯვენა გვერდულიდან, მის წინ, მისივე მიმართულებით მოძრაობა დიწყო ავტომობილმა გაზ-52-მა, რომელმაც გადაჭრა სავალი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მოსკვიჩის მძღოლმა დაამუხრუჭა ავტომობილი, ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ გზის მარცხენა მხარეს გვერდულზე. შეჯახების შედეგად მოსკვიჩში მჯდომი ორი მგზავრი გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმეზე პირველად ავტოტექნიკური და ტრანსლოგო-გიური ექსპერტიზა ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში, რომლის დასკვნის თანახმადაც, საგზაო მოძრაობის წესების შეუსაბამოდ მოქმედებდა ორივე ავტომობილის მძღოლი. ამის შემდგომ ქარელის სახალხო სასამართლომ დანიშნა განმეორებითი ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, სადაც ასევე გაიცა დასკვნა, რომლის თანახმად ორივე მძღოლს შეეძლო შეჯახების თავიდან აცილება. უკანასკნელი დასკვნის გათვალისწინებით, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც, გაზ-52-ის მძღოლს მიესაჯა 7 წლით, ხოლო მოსკვიჩის მძღოლს—8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოსკვიჩის მძღოლის საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი და საქმე დაბრუნდა გამოძიებაში, სათანადო მითითებებით, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული.

საქმის ვაჭიანურება, ჩემი აზრით, გამოწვეულია ერთი უბრალო კითხვის დაუსმელობით, კერძოდ, არც გამოძიებას და არც სასამართლოს არ დაუსვამს კითხვა ექსპერტებისათვის, თუ როდის წარმოიქმნა საფრთხე მოსკვიჩის მძღოლის წინაშე და როდის იყო იგი ვალდებული მანქანა დაემუხრუჭებინა. აღნიშნული საკითხის დასმა ექსპერტებისათვის და მასზე სწორი პასუხის გაცემა საქმეს მიიყვანდა ბოლომდე და არ მოხდებოდა მისი ასე ვაჭიანურება. საქმე ისაა, რომ დასახელებული სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ როგორც ერთი, ასევე მეორე მძღოლის მიმართ საგზაო მოძრაობის წესების ერთი რომელიმე პუნქტის გამოყენება არ შეიძლება, აქ საჭიროა ექსპერტებმა იმჯგუხონ ამავე წესების რამდენიმე პუნქტის პოზიციიდან და მათი ანალიზით მოხდეს საკითხის გადაწყვეტა, თუ როდის წარმოიშვა საფრთხე მოსკვიჩის მძღოლის მიმართ. ამდენად, ამ შემთხვევაშიც გამოძიება (სასამართლო) მოკლებულია საგზაო მოძრაობის წესების ღრმა განალიზებას სპეციალისტის დონეზე, მათ ამისათვის დასახმარებლად უნდა მიემართათ, ექსპერტებისათვის.

რალა თქმა უნდა, წერილის ავტორი მიზნად არ ისახავს გამოძიება (სასამართლო) ჩამოაცილოს მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტის დადგენის შესაძლებლობას და მათსა და ექსპერტს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას იგი დასკვნაში უთითებს ამ საკითხთან დაკავშირებულ თავის ოვალ-საზრისს სპეციალური ცოდნის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტი საჭიროა დადგინდეს ავტოექსპერტის დახმარებით და იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ექსპერტის გადაცდენა თავისი კომპეტენციიდან.

ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დასაბუთით
I ოქმი შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტების
მსხვერპლთა დაცვის შესახებ

1977 წლის 8 ივნისი*

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები

გამოთქვამენ თავიანთ გულწრფელ სურვილს, რომ ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიანად;

შეახსენებენ, რომ ყოველი სახელმწიფო ვალდებულია გაეროს წესდების თანახმად, თავი შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების, მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე ნებისმიერი სხვა სახით, რომელიც არ შეესაბამება გაეროს მიზნებს;

თვლიან, რომ აუცილებელია დადასტურდეს და განვითარდეს დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებს შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას, და შეივსოს ღონისძიებებით, მათი უფრო ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის;

გამოხატავენ რწმენას, რომ მოცემულ ოქმსა ან ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებში არაფერი არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს იგი აკონონებდეს ან სანქციას აძლევდეს აგრესიის ან ძალის გამოყენების სხვა ფორმას, რომელიც არ შეესაბამება გაეროს წესდებას;

ადასტურებენ, რომ 1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის კონვენციები და მოცემული ოქმი ნებისმიერ გარემოებაში სრულად უნდა გამოიყენებოდეს ყველა პირის მიმართ, რომელიც ამ დოკუმენტების მფარველობით სარგებლობს, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, რომელიც ეფუძნება შეიარაღებული კონფლიქტების ხასიათს ან წარმომავლობას, ან მიზეზებს, რომლებიც წამოაყენეს კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა, ან მიეწერება მათ;


შეთანხმდნენ შემდგომი მუხლების გამო:

ნაწილი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი პრინციპები და გამოყენების სფერო

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, დაიცვან მოცემული ოქმი და უზრუნველყონ მისი დაცვა ნებისმიერ გარემოებაში.
2. ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოცემული ოქმით ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, სამოქალაქო პირნი და კომ-

* ოქმი I ძალაში შევიდა. სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ რატიფიცირებულია 1989 წლის 4 აგვისტოს.



ბატანტები რჩებიან, დადგენილი ადათებიდან, ჰუმანიზმის პრინციპებისა და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის პრინციპების მოქმედების და დაცვის ქვეშ.

3. მოცემული ოქმი, რომელიც ავსებს ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებს, გამოიყენება ამ კონვენციებისათვის საერთო — მე-2 მუხლში მითითებულ სიტუაციებში.

4. წინა პუნქტებში მითითებული სიტუაციები მოიცავს შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომელთა დროს ხალხები იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციის და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ გაეროს წესდებით და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციით განცხადებული თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის. საერთაშორისო სამართლის პრინციპები შეეხება სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობას და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად.

მუხლი 2. განსაზღვრებები

მოცემული ოქმის მიზნებისათვის:

a) „პირველი კონვენცია“, „მეორე კონვენცია“, „მესამე კონვენცია“, „მეოთხე კონვენცია“ შესაბამისად აღნიშნავენ ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ; ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ; ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ; ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციას ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ; „კონვენციები“ აღნიშნავს ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხ კონვენციას ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ;

b) გამოთქმა „შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმები“ აღნიშნავს იმ საერთაშორისო შეთანხმებებში მოყვანილ ნორმებს, რომელთა წევრები არიან კონფლიქტში მყოფი მხარეები; ასევე აღნიშნავს შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებულ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ნორმებს;

c) „მფარველი სახელმწიფო“ აღნიშნავს ნეიტრალურ სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს, რომელიც არ მონაწილეობს კონფლიქტში. იგი დანიშნა კონფლიქტში მყოფმა მხარემ მოწინააღმდეგის თანხმობით და თანახმაა შეასრულოს კონვენციების და მოცემული ოქმით მფარველ სახელმწიფოზე დაკისრებული ფუნქციები;

d) „სუბსტიტუტი“ აღნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს მფარველი სახელმწიფოს ნაცვლად, მე-5 მუხლის თანახმად.

მუხლი 3. გამოყენების დაწყება და შეწყვეტა

ნებისმიერ დროს გამოყენებული დებულებების დაზარალების გარეშე

a) კონვენციები და მოცემული ოქმი გამოიყენება მოცემული ოქმის 1 მუხლში მითითებული ნებისმიერი სიტუაციის დაწყებისთანავე;

b) კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენება კონფლიქტში მყოფი მხარეების ტერიტორიებზე წყდება საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე — ოკუპაციის შეწყვეტისთანავე. ორივე შემთხვევაში გამონაკლისის წარმოადგენენ ის პირნი, რომელთა საბოლოო განთავისუფლება, რეპატრაცია ან მოწყობა განხორციელდება მოგვიანებით.

ეს პირები განაგრძობენ კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებებით გათვალისწინებული მფარველობით სარგებლობას მათი საბოლოო განთავსების, რეპატრაციის ან მოწყობის მომენტამდე.

მუხლი 4. კონფლიქტში მყოფ მხარეთა სამართლებრივი სტატუსი

კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენება, ასევე ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული შეთანხმებების დადება არ ეხება კონფლიქტში მყოფი მხარეების სამართლებრივ სტრუქტურას, არც რუმელიმე ტერიტორიის ოკუპაცია, არც კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენება არ შეეხება ამ ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 5. მფარველი სახელმწიფოების და მათი სტრუქტურების დანიშვნა


1. კონფლიქტში მყოფი მხარეების მოვალეობაა კონფლიქტის დაწყებისთანავე უზრუნველყონ კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენება მფარველ სახელმწიფოთა სისტემის შემოღებით, რაც მოიცავს მათ დანიშვნას და აღიარებას ქვემოთ პუნქტების შესაბამისად; მფარველ სახელმწიფოთა მოვალეობაა დაიცვან კონფლიქტში მყოფი მხარეების ინტერესები.

2. 1 მუხლში მითითებული სიტუაციის დაწყებისთანავე კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე დაუყოვნებლივ ნიშნავს მფარველ სახელმწიფოს კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე დაუყოვნებლივ და იმავე მიზნით ნებას რთავს მოღვაწეობაზე მფარველ სახელმწიფოს, რომელიც აღიარებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ დანიშვნის შემდეგ.

3. თუ მფარველი სახელმწიფო არ არის დანიშნული ან აღიარებული 1 მუხლში მითითებული სიტუაციის დაწყებისთანავე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ისე, რომ არ დაზარალდეს ნებისმიერი სხვა მიუმხრობელი ჰუმანიტარული ორგანიზაციის უფლება—ამგვარადვე მოიქცეს, თავის დახმარებას სთავაზობს კონფლიქტში მყოფ მხარეებს მფარველი სახელმწიფოს დაუყოვნებლად დანიშვნისათვის, ამისათვის მას შეუძლია თხოვნით მიმართოს ყოველ მხარეს, წარუდგინონ სულ მცირე, ხუთი სახელმწიფოს სია, რომელსაც თითოეული მათგანი თვლის მისაღებად; იმოქმედოს მფარველი სახელმწიფოს სახელით მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში, ეს სიები ეგზავნება აღნიშნულ კომიტეტს შესაბამისი თხოვნის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში, იგი შეაჩერებს მათ და თხოვს ორივე სიაში მოხსენიებულ ნებისმიერ სახელმწიფოს თანხმობას.

4. თუ მიუხედავად ზემოთქმულისა, მფარველი სახელმწიფო არ არის დანიშნული ან არ მოქმედებს, კონფლიქტში მყოფი მხარეები დაუყოვნებლივ იღებენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან მიუმხრობლობისა და ეფექტურობის გარანტიის მიმღები ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის წინადადებას, იმოქმედოს სუბსტიტუტის სახით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შესაბამისად და ამ კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით. ამგვარი სუბსტიტუტების მოღვაწეობა განპირობებულია კონფლიქტში მყოფი მხარეების თანხმობით; კონფლიქტში მყოფი მხარეები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუწყონ სუბსტიტუტს კონვენციების და მოცემული ოქმის შესაბამისად მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

5. მე-4 მუხლის შესაბამისად კონვენციათა და მოცემული ოქმის გამოყენებისათვის მფარველი სახელმწიფოს დანიშვნა და აღიარება არ ეხება კონფლიქტში მყოფი მხარეების ან ნებისმიერი ტერიტორიის, მათ შორის — ოკუპირებულის, სამართლებრივ სტატუსს.



ბ. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნება ან მესამე ქვეყნისათვის ერთ-ერთი მხარის და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნობა დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ხელს არ უშლის მფარველი სახელმწიფოს დანიშვნას კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

7. ყოველთვის, როცა მოცემულ ოქმში ნახსენებია მფარველი სახელმწიფო, შესაბამისი დებულება ენება სუბსტიტუტსაც.

მუხლი 6. სპეციალურად მომზადებული პერსონალი

1. ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნული საზოგადოებების დახმარებით ამზადებენ სპეციალურ პერსონალს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენებას და კერძოდ, მფარველი სახელმწიფოს მოღვაწეობას.

2. ამგვარი პერსონალის შეკრება და მომზადება სახელმწიფოს კომპეტენციაშია.

3. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი შეინახავს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისათვის წარსადგენად იმ პირთა სიებს, რომლებმაც შეიძლება გამოიყენონ იგი მითითებული მიზნისათვის; სიები შედგენილი და წარდგენილია მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების მიერ.

4. ამ პირთა გამოყენება ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმების საგანია.

მუხლი 7. თათბირები

ამ ოქმის დებოზიტარი მოლაპარაკებაში მონაწილე, ერთი მხარის ან მხარეთა უმეტესობის თანხმობით, იწვევს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების თათბირს, კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის პრობლემების განსახილველად.

ნაწილი II. დახრილები, ავადმყოფები და გვიჩს კატასტროფაში მოყოლილი პირნი

პარტი I. ზოგადი დაცვა

მუხლი 8. ტერმინოლოგია

მოცემული კონვენციის მიზნებისათვის

ა) „დაჭრილები“ და „ავადმყოფები“ აღნიშნავს როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე სამოქალაქო პირთ, რომელთაც ტრავმის, ავადმყოფობის ან სხვა ფიზიკური ან ფსიქიკური მოშლის ან ინვალიდობის გამო ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება ან მოვლა და რომელნიც თავს იკავებენ მტრული მოქმედებებისაგან. იგივე ენება მშობიარეებს, ახალშობილებს და სხვა პირთ, რომელთაც მოცემულ მომენტში სჭირდებათ სამედიცინო დახმარება ან მოვლა, მაგალითად — ფეხმძიმე ქალებს და უღონოებს, რომლებიც თავს იკავებენ მტრული მოქმედებებისაგან;

ბ) „გვიჩს კატასტროფაში მოყოლილი პირნი“ აღნიშნავს როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ისე სამოქალაქო პირთ, რომლებიც ზღვაზე ან სხვა წყლებში საშიშროების ქვეშ არიან უბედური შემთხვევების გამო მათ რომ შეემთხვათ,

ან მათ გადაწყვეტან გემს ან საფრენ აპარატს და რომლებიც თავს იკავებენ მტრული მოქმედებებისაგან. ეს პირნი გემის კატასტროფაში მოყოლილ მკვრივ ითვლებიან გადარჩენის მომენტიდან იმ დრომდე, ვიდრე მიიღებენ სხვა სტატუსს კონვენციების ან მოცემული ოქმის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ისინი თავს შეიკავებენ მტრული მოქმედებებისაგან;

c) „სამედიცინო პერსონალი“ აღნიშნავს პირთ, რომლებიც კონფლიქტში მყოფი მხარის მიერ დანიშნულია მხოლოდ c) პუნქტში მითითებული სამედიცინო მიზნების აღსრულებისათვის, სამედიცინო ფორმირებების ადმინისტრაციულ-სამეურნეო უზრუნველყოფისათვის, ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებზე სამუშაოდ და მათი ადმინისტრაციულ-სამეურნეო უზრუნველყოფისათვის. დანიშნა შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი. „სამედიცინო პერსონალი“ მოიცავს:

I) კონფლიქტში მყოფი მხარის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს, I და II კონვენციებში მითითებულ პერსონალს, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების პერსონალის ჩათვლით;

II) წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნული საზოგადოებების და კონფლიქტში მყოფი მხარის მიერ სათანადოდ აღიარებული და უფლებამოსილი სხვა ნებაყოფლობითი დამხმარე ორგანიზაციების სამედიცინო პერსონალს;

III) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების სანიტარულ პერსონალს.

d) „სასულიერო პერსონალი“ აღნიშნავს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს მაგალითად — სასულიერო პირთ, რომლებიც დაკავებული არიან მხოლოდ სასულიერო ფუნქციების აღსრულებით და ეკუთვნიან:

I) კონფლიქტში მყოფი მხარეების შეიარაღებულ ძალებს;

II) კონფლიქტში მყოფი მხარის სამედიცინო ფორმირებებს ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს;

III) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სამედიცინო ფორმირებებს ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს;

IV) კონფლიქტში მყოფი მხარის სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებს. სასულიერო პერსონალი განწესდება მუდმივად ან დროებით, და მასზე ვრცელდება პუნქტის შესაბამისი დებულებები.

e) „სამედიცინო ფორმირებები“ აღნიშნავს დაწესებულებებს და სხვა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ფორმირებებს, რომლებიც სამედიცინო მიზნით არის შექმნილი. კერძოდ: დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მოძიების, მოკრეფის, ტრანსპორტირების, მათთვის დიაგნოზის დასმის ან მკურნალობის, პირველი დახმარების აღმოჩენისათვის. ასევე დაავადებათა პროფილაქტიკისათვის. ეს ტერმინი ეხება, მაგალითად, პოსპიტალებს და სხვა მსგავს სამედიცინო ცენტრებს და ინსტიტუტებს, ამ ფორმირებათა სამედიცინო ქონების და სამედიცინო-ფარმაცოლოგიურ საწყობებს; სამედიცინო ფორმირებები შეიძლება იყოს სტაციონარული ან მოძრავი, მუდმივი ან დროებითი;

f) „სანიტარული გადაზიდვა“ აღნიშნავს დაჭრილთა, ავადმყოფთა და კატასტროფაში მოყოლილ პირთა, კონვენციების და მოცემული ოქმის მფარველობის ქვეშ მყოფი სამედიცინო და სასულიერო პერსონალის გადაყვანას, სამედიცინო აღჭურვილობის და ბარგის გადატანას ხმელეთით, წყლით, ჰაერით;

გ) „სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი“ აღნიშნავს გადაყვანის ნებისმიერ საშუალებას, როგორც სამხედროს, ისე სამოქალაქოს, მუდმივს ან დროებითს, რომელიც გამოიყენება სანიტარული გადაზიდვისათვის და რომელსაც აკონტროლებს კონფლიქტში მყოფი მხარის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო;

ბ) „სამხელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი“ აღნიშნავს ხმელეთით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

ი) „სანიტარული გემები და საცურაო საშუალებანი“ აღნიშნავს წყლით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

ქ) „სანიტარული საფრენი აპარატები“ აღნიშნავს ჰაერით სანიტარული გადაზიდვის ნებისმიერ საშუალებას;

კ) „მუდმივი“ არის ის სამედიცინო ფორმირებები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენება გაურკვეველი დროის პერიოდში. „დროებითია“ სამედიცინო ფორმირებები, რომლებიც მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სხვა სპეციალური განმარტების არარსებობის დროს ტერმინები „სანიტარული ფორმირებები“, „სამედიცინო პერსონალი“ და „სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებები“ ეხება როგორც მუდმივ, ისე დროებით კატეგორიებს;

ლ) „განსხვავებული ემბლემა“ აღნიშნავს თეთრ ფონზე წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ან წითელი ლომის და მზის გამომსახველ ემბლემას, როცა ის გამოიყენება სამედიცინო ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის და აღჭურვილობის ან მარაგის დასაცავად;

მ) „განსხვავებული სიგნალი“ აღნიშნავს ნებისმიერ სიგნალს ან შეტყობინებას, რომელიც დადგენილია მხოლოდ სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების ამოსაცნობად ამ ოქმის I დამატების III თავის შესაბამისად.

მუხლი 8. გამოყენების სფერო

1. მოცემული კარის დებულებები, მიმართული დაჭრილების, ავადმყოფების და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების ხვედრის გაუმჯობესებისაკენ, გამოიყენება ყოველი პირის მიმართ, რომელსაც შეეხო 1 მუხლში ნახსენები მდგომარეობა ყოველგვარი არახელსაყრელი განსხვავების გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის ან ნებისმიერი სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე.

2. პირველი კონვენციის 27-ე და 32-ე მუხლების შესაბამისი დებულებანი გამოიყენება მუდმივი სამედიცინო ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების (გარდა ჰოსპიტალური გემებისა, რომელთა მიმართ გამოიყენება მეორე კონვენციის 25-ე მუხლის დებულებანი) და მათ პერსონალის მიმართ, რომელიც ჰუმანიტარული მოღვაწეობისათვის კონფლიქტში მყოფი მხარის განკარგულების ქვეშ განაწესეს;

ა) ნეიტრალურმა სახელმწიფომ ან სხვა სახელმწიფომ, რომელიც კონფლიქტში მონაწილე მხარე არ არის;

b) ამგვარი სახელმწიფოს ადღიარებელმა და უფლებამოსილებით დადგინებულმა ორგანიზაციამ;

c) მიუხეობრებლმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ.

მუხლი 10. დაცვა და შოვნა

1. ყველა დაპირილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირი მიუხედავად იმისა, რომელ მხარეს ეკუთვნის, სარგებლობს პატივისცემით და დაცვით.

2. ნებისმიერ გარემოებაში მათ ეშვარობიან ჰუმანურად და მაქსიმალურად შესაძლო ფარგლებში და უმოკლეს დროში აღმოუჩენენ მდგომარეობის შესატყვის სამედიცინო დახმარებას. ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ განსხვავებას, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით ნაკარნახევი განსხვავებისა.

მუხლი 11. ცალკეულ პირთა დაცვა

1. ჯანმრთელობის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა და ხელშეუხებლობა მოწინააღმდეგის ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირებისა, ინტერნირებულ, დაკავებულ ან 1 მუხლში მითითებული მდგომარეობის გამო რაიმე სახით თავისუფლებააღკვეთილი პირებისა — არ უნდა დაზარალებდეს გაუმართლებელი ქმედებით ან გამორჩენით. შესაბამისად იკრძალება მოცემულ პირთათვის ისეთი სამედიცინო პროცედურების ჩატარება, რომლებიც არ არის აუცილებელი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის და არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, რომლებიც ანალოგიურ სამედიცინო შემთხვევებში გამოიყენება პროცედურის ჩამტარებელი ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, რომელნიც არ არიან თავისუფლებააღკვეთილნი.


2. კერძოდ, იკრძალება ასეთ პირთა მიმართ შემდეგი ქმედებების ჩადენა, თუნდაც მათი თანხმობით:

- a) ფიზიკური დასახიჩრება;
- b) სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება;
- c) ქსოვილების ან გადასანერგი ორგანოების ამოკვეთა. გარდა შემთხვევებისა, როცა ამგვარი ქმედებები გამართლებულია 1 პუნქტში მითითებული პირობების თანახმად.

3. მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვებიდან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სისხლის გადასხმის მიზნით სისხლის ჩაბარება ან კანის გადნერგვა იმ პირობით, თუ ეს კეთდება ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების ან წინასწარი განზრახვის გარეშე. ამასთან, თერაპიული მიზნით პირობები, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს როგორც დონორის, ისე რეციპიენტის კეთილდღეობისათვის აუცილებელი კონტროლის ქვეშ ხორციელდება.

4. ნებისმიერი წინასწარგანზრახული ქმედება ან გამორჩენა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლებაში მყოფ, მაგრამ მის არამოქალაქე ნებისმიერი პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას ან ხელშეუხებლობას, რომელიც არღვევს 1 და 2 პუნქტში მითითებულ აკრძალვებს ან პასუხობს მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წარმოადგენს მოცემული კონვენციის სერიოზულ დარღვევას.

5. 1 პუნქტში მითითებულ პირთ შეუძლიათ უარი თქვან ნებისმიერ ქირურგიულ ოპერაციაზე. უარის შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი მისწრაფვის მიიღოს შესაბამისი წერილობითი განცხადება, დადასტურებული პაციენტის ხელმოწერით ან მტკიცებით.



6. კონფლიქტში მყოფმა ყოველმა მხარემ უნდა აწარმოოს სამედიცინო ჩანაწერები 1 პუნქტში მითითებული სისხლის ჩაბარების ან კანის გადანერგვის ყველა შემთხვევის შესახებ, თუ ამგვარი რამ ხდება მოცემული მხარის პასუხისმგებლობათ. გარდა ამისა, კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე ცდილობს ჩაიწეროს ყველა სამედიცინო პროცედურა, რომელიც ჩაუტარდა ინტერნირებულ, დაკავებულ ან 1 მუხლში მითითებული სიტუაციის შედეგად ნებისმიერი ფორმით თავისუფლებადკვეთილ პირს. ამგვარი ჩანაწერები მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს მფარველი სახელმწიფოს მხრიდან შემოწმებისათვის.

მუხლი 12. სამედიცინო ფორმირებების დაცვა

1. სამედიცინო ფორმირებები ნებისმიერ დროს სარგებლობენ პატივისცემით და დაცვით და არ წარმოადგენენ თავდასხმის ობიექტს.

2. 1 პუნქტი გამოიყენება სამედიცინო ფორმირებების მიმართ იმ პირობით, რომ ისინი:

- a) ეკუთვნიან კონფლიქტში მყოფ ერთ-ერთ მხარეს;
- b) კონფლიქტში მყოფი ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ არის აღიარებული ან უფლებამოსილი, ან
- c) უფლებამოსილია მოცემული ოქმის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ან პირველი კონვენციის 27-ე მუხლის თანახმად.

3. კონფლიქტში მყოფ მხარეებს სთავაზობენ, ერთმანეთს აცნობონ თავიანთი სტაციონარული სამედიცინო ფორმირებების განლაგების შესახებ. ამგვარ შეტყობინებათა არქონა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს 1 პუნქტის დებულებათა დაცვისაგან.

4. არც ერთ გარემოებაში სამედიცინო ფორმირებანი არ უნდა გამოიყენებოდეს საომარი ობიექტების თავდასხმისაგან დისააცვად. კონფლიქტში მყოფი მხარეები შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ სამედიცინო ფორმირებათა იმგვარ განლაგებას, რომ მათ უშიშროებას საფრთხე არ ემუქრებოდეს საომარ ობიექტებზე თავდასხმის დროს.

მუხლი 13. სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებათა დაცვის შეწყვეტა

1. დაცვა, რომლითაც სარგებლობენ სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებები წყდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარდა ჰუმანიტარული ფუნქციების აღსრულებისა, გამოიყენება მოწინააღმდეგისათვის ზიანის მისაყენებლად. მაგრამ დახმარება შეიძლება შეწყდეს გაფრთხილების შედეგად შესაბამის შემთხვევებში, ვადის გასვლის შემდეგ, და იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილებამ არ გაკრა.

2. მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად არ ითვლება:

- a) თუ სამედიცინო ფორმირებათა პერსონალი ფლობს პირად მსუბუქ იარაღს თავდაცვის ან მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების დასაცავად;
- b) სამედიცინო ფორმირებების დაცვა გუშაგებით, მორიგეებით ან ბაღრაგით;
- c) სამედიცინო ფორმირებებში ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის ჩამორთმეული იარაღის და საბრძოლო მარაგის არსებობა, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაუციათ დანიშნულებისამებრ;
- d) სამედიცინო ფორმირებებში სამედიცინო მოსაზრებით სამხედრო მოსამსახურეთა ან სხვა კომბატანტების ყოფნა.

მუხლი 14. სამოქალაქო სამედიცინო ფორმირებების რეკვიზიციის შე-

ლუღვა



1. დამპყრობელი ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის სამედიცინო მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

2. დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია მოახდინოს სამედიცინო სამოქალაქო ფორმირებების, მათი აღჭურვილობის, მასალების რეკვიზიცია, არ შეუძლია პერსონალი ამუშაოს იძულებით; რეკვიზიცია არ განხორციელდება იმ დრომდე ვიდრე ეს რესურსები აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, მკურნალობაზე მყოფი დაჭრილების და ავადმყოფების მოვლისათვის.

3. იმ პირობით, რომ მე-2 პუნქტში მითითებული წესი შესრულდება, დამპყრობელ ქვეყანამ შეიძლება რეკვიზიცია მოახდინოს შემდეგი პირობებით:

a) ეს რესურსები აუცილებელი უნდა იყოს დაპყრობილი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შეპატრონობაში მყოფი დაჭრილი და ავადმყოფი პირების ან სამხედრო ტყვეებისათვის გადაუდებელი და საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

b) რეკვიზიცია გრძელდება იმ დრომდე, ვიდრე მისი საჭიროება არსებობს;

c) დაუყოვნებლივ შეიწყობა ზომები, რომ რეკვიზიცია არ შეეხოს სამოქალაქო მოსახლეობის, ასევე განსაკუთრებული დაჭრილების და ავადმყოფების საჭიროებებს.

მუხლი 15. სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის დაცვა

1. სამოქალაქო სამედიცინო პერსონალი სარგებლობს დაცვით და პატივისცემით.

2. აუცილებლობის შემთხვევაში რაიონებში, სადაც დარღვეულია საომარი მოქმედებების გამო სამოქალაქო სამედიცინო სამსახურების მუშაობა, სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს გაეწევა ყოველგვარი შესაძლო დახმარება.


3. დამპყრობელი ქვეყანა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას, რათა შესაძლებლობა მისცეს მას საუკეთესოდ აღასრულოს ჰუმანიტარული ფუნქციები. დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ამ პერსონალმა, გარდა სამედიცინო მოსახურებებისა, სხვა მოსახრებით უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე პირს; აგრეთვე, ეს პერსონალი არ უნდა აიძულოს შეასრულოს სხვა დავალებები, რომლებიც არ შეესაბამება მათ ჰუმანიტარულ ფუნქციებს.

4. სამოქალაქო სამედიცინო პერსონალს ხელი მიუწვდება ყველგან, სადაც საჭიროა მისი დახმარება იმ პირობით, რომ დაცული იქნება კონტრაქტის და უშიშროების ის ზომები, რომელთაც საჭიროდ ჩათვლის კონფლიქტში მყოფი მოცემული დაინტერესებული მხარე.

5. სამოქალაქო სასულიერო პერსონალი სარგებლობს პატივისცემით და დაცვით, კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებები სამედიცინო პერსონალის დაცვის და ამოცანების შესახებ, თანაბრად ეხება მასაც.

მუხლი 16. სამედიცინო ფუნქციების აღმსრულებელ პირთა ზოგადი დაცვა

1. არავითარ გარემოებაში არც ერთი პირი არ უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ ასრულებს სამედიცინო ეთიკის შესაბამისად თავის ფუნქციებს. მიუხედავად იმისა, რომელი პირის ინტერესებისათვის მოღვაწეობს.



2. სამედიცინო ფუნქციების აღმსრულებელი პირნი არ უნდა აიძულონ შესრულონ სამუშაო, რომელიც არღვევს სამედიცინო ეთიკას ან დაჭრილებს და ავადმყოფთა ინტერესების დამცავ სხვა სამედიცინო ნორმებს, ან არღვევს კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებებს; ასევე ეკრძალებათ არ შესრულონ აღნიშნული ნორმებით და დებულებებით გათვალისწინებული სამუშაოები.

3. სამედიცინო ფუნქციების აღმასრულებელი არცერთი პირი არ უნდა აიძულონ, რომ რომელიმე მხარეს — მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ან საკუთარ ქვეყანას, გარდა ამ უკანასკნელის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, მიაწოდოს ინფორმაცია ავადმყოფების ან დაჭრილების შესახებ, რომლებიც მკურნალობენ ან მკურნალობდნენ მასთან, თუ ინფორმაციის გადაცემა ავნებს პაციენტებს ან მათ ოჯახებს; მაგრამ უნდა შესრულდეს სავალდებულო მოთხოვნები ინფექციური დაავადებების შეტყობინების შესახებ.

მუხლი 17. სამოქალაქო მოსახლეობის და დახმარების საზოგადოებათა როლი

1. სამოქალაქო მოსახლეობა პატივისცემით ეპყრობა დაჭრილებს, ავადმყოფებს და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს, აუუნდაც ისინი მოწინააღმდეგე მხარეს ეკუთვნოდნენ და არ დაუშვებს მათ მიმართ ძალადობის აქტების გამოყენებას. სამოქალაქო მოსახლეობას და დახმარების ორგანიზაციებს — წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნულ ორგანიზაციებს ნებადართული აქვთ საკუთარი ინიციატივით მოკრიფონ დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირნი, მოუარონ მათ თუნდაც მიტაცებულ ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამგვარი ჰუმანური მოქმედებისათვის არავის არ ავიწროებენ, არ ასამართლებენ და არ დევნიან.

2. კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა შეიძლება სამოქალაქო მოსახლეობასთან 1 პუნქტში მითითებული დახმარების საზოგადოებებს მიმართონ თხოვნით მოკრიფონ დაჭრილები, ავადმყოფები და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირნი, მოუარონ მათ, მოიძიონ გარდაცვლილნი და აცნობონ მათი ადგილმდებარეობის შესახებ. ისინი უზრუნველყოფენ იმ პირთა დაცვას და მხარდაჭერას, რომლებიც გამოენამაჟრნენ მოწოდებას. დაცვას და მხარდაჭერას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოწინააღმდეგე მხარეც, რომელიც ამყარებს ან აღადგენს თავის კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე.

მუხლი 18. ამოცნობა

1. კონფლიქტში მყოფი მხარეები ესწრაფვიან უზრუნველყონ სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, ასევე სამედიცინო ფორმირებების და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობა.

2. კონფლიქტში მყოფი თითოეული მხარე ესწრაფვის გამოიყენოს და განახორციელოს მეთოდები და პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს განმასხვავებელი ემბლემების და განმასხვავებელი სიგნალების გამოყენებელი სამედიცინო ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობას.

3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რაიონებში, სადაც შეიძლება მოხდეს ან მიმდინარეობს ბრძოლები, სამოქალაქო სამედიცინო პერსონალის და სამოქალაქო სასულიერო პერსონალის ამოცნობა ხდება განმასხვავებელი ემბლემით და მათი სტატუსის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით.

4. კომპეტენტური ხელისუფლების თანხმობით სამედიცინო ფორმირებ-

ბი და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი აღნიშნება ემბლემაში მოქმედი მულის ოქმის 27-ე მუხლში ნახსენები გემები და საცურაო საშუალებანი აღნიშნება II კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

5. გარდა განმასხვავებელი ემბლემისა, კონფლიქტში მყოფ მხარეს შეუძლია მოცემული ოქმის I დამატების III თავის შესაბამისად ნება დართოს, გამოიყენოს განმასხვავებელი სიგნალებიც სამედიცინო ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა ამოცნობისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენოს სახით, რომელიც მითითებულია წინა თავში, სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ ისარგებლონ განმასხვავებელი სიგნალებით და არ გამოიყენონ განმასხვავებელი ემბლემები.

6. მოცემული მუხლის 1-5 პუნქტების გამოყენება განისაზღვრება მოცემული ოქმის I დამატების I-III თავებით. ამ დამატების III თავში აღწერილი სიგნალებით, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ სანიტარული ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებათა აღნიშვნისათვის, არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ თავში მითითებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

7. მოცემული მუხლის დებულებები ნებას არ რთავენ მშვიდობიან პერიოდში გაფართოვდეს განმასხვავებელი ემბლემების გამოყენება პირველი კონვენციის 44-ე მუხლში მითითებულ ფარგლებს გარეთ.

8. კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებანი განმასხვავებელი ემბლემების გამოყენებაზე კონტროლის და ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესახებ, ეხება განმასხვავებელ სიგნალებსაც.

მუხლი 19. ნეიტრალური სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ კონფლიქტში მყოფ მხარეებს

ნეიტრალური სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ კონფლიქტში მყოფ მხარეებს, გამოიყენებენ მოცემული ოქმის დებულებებს ამ კარის მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება მიიღონ ან ინტერნირებული იყვნენ მათ ტერიტორიაზე; ასევე გარდაცვლილი პირების მიმართ, რომლებიც ეკუთვნოდნენ კონფლიქტში მყოფ მხარეებს.

მუხლი 20. რეპრესალიების აკრძალვა

რეპრესალიები მოცემული კარის თანახმად მფარველობის ქვეშ მყოფი პირების და ობიექტების მიმართ აკრძალულია.

პარი II. სანიტარული გადაჯიღვა

მუხლი 21. სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი

სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებანი სარგებლობენ ისეთივე პატივისცემით და დაცვით, როგორც მოძრავი სამედიცინო ფორმირებები კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 22. ზოსპიტალური გემები და სანაპირო სამაშველო საცურაო საშუალებანი

1. კონვენციათა დებულებები, რომლებიც ეხება:

- ა) მეორე კონვენციის 22, 24, 25, და 27-ე მუხლში მითითებულ გემებს;
- ბ) მათ სამაშველო ნაგებს და პატარა გემებს;
- გ) მათ პერსონალს და ეკიპაჟს;

d) გემზე მყოფ დაჭრილებს, ავადმყოფებს და გემის კატასტროფაში მყოფ ლილ პირებს, ასევე დაჭრილ, ავადმყოფ და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს, რომლებიც არ ეკუთვნიან მეორე კონვენციის მე-13 მუხლში მითითებულ არც ერთ კატეგორიას, მაგრამ გადაჰყავთ ამ გემებით. არ შეიძლება ამ სამოქალაქო პირთა გადაცემა სხვა ქვეყნისათვის, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან, იკრძალება მათი დატყვევება ზღვაზე. თუ ეს პირნი მოექცევიან კონფლიქტში მყოფი ქვეყნის ხელისუფლების ქვეშ, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან, მათზე ვრცელდება მეოთხე კონვენციის და მოცემული ოქმის დებულებანი.

2. კონვენციებით გათვალისწინებული გემების დაცვა, მითითებული მეორე კონვენციის 25-ე მუხლში, ვრცელდება ჰოსპიტალურ გემებზეც, რომლებიც ჰუმანიტარული მოსახრებით კონფლიქტში მყოფ მხარეს დაუთმეს:

a) ნეიტრალურმა სახელმწიფომ ან კონფლიქტში არმონაწილე სხვა სახელმწიფომ, ან

b) მიუმხრობელმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში შესრულდება ამ მუხლში ჩამოთვლილი მოთხოვნები.

3. მეორე კონვენციის 27-ე მუხლში მითითებული პატარა გემები სარგებლობენ დაცვით იმ შემთხვევაშიც, როცა არ გაკეთებულა ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შესთავაზებენ გაცვალონ დაწვრილებითი ინფორმაცია ამგვარი გემების ამოცნობის და განსაზღვრის შესახებ.

მუხლი 28. სხვა სანიტარული გემები და საცურაო საშუალებანი

1. სანიტარული გემები და საცურაო საშუალებანი, გარდა მოცემული ოქმის 22-ე მუხლში და მეორე კონვენციის 38-ე მუხლში მითითებულისა, რომლებიც ზღვაში ან სხვა წყლებში იმყოფებიან, სარგებლობენ ისეთივე პატივისცემით და დაცვით, როგორც მოძრავი სანიტარული ფორმირებები კონვენციების და მოცემული ოქმის შესაბამისად, ვინაიდან დაცვა ეფუძნება მხოლოდ მაშინ, როცა შესაძლებელია მათი ამოცნობა, ამგვარი გემები აღინიშნება განმასხვავებელი ემბლემით და შესაძლებლობებს მიხედვით ისინი იცავენ მეორე კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს.

2. 1 პუნქტში მითითებულ გემებსა და საცურაო საშუალებებზე გრძელდება ომის კანონების მოქმედების გავრცელება. წყალში მყოფ ნებისმიერ სამხედრო გემს შეუძლია აიძულოს ისინი შეასრულონ მისი ბრძანება — გაჩერდნენ, დატოვონ რაიონი ან აიღონ გარკვეული კურსი. სანიტარული გემები და საცურაო საშუალებანი ემორჩილებიან ყოველ ამგვარ ბრძანებას. არ შეიძლება მათი ჩამოცილება სანიტარული მისიის შესრულებისაგან იმ დრომდე, ვიდრე ისინი საჭირო არიან გემზე მყოფი დაჭრილების, ავადმყოფების, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირებისათვის.

3. 1 პუნქტში მითითებული დაცვა წყდება მხოლოდ მეორე კონვენციის 34 და 35-ე მუხლებში მითითებულ პირობებში. მე-2 პუნქტის თანახმად გაცემული ბრძანების შესრულებაზე აშკარა უარი მეორე კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად ითვლება მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად.

4. კონფლიქტში მყოფ მხარეს შეუძლია აცნობოს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გამზავრებამდე რაც შეიძლება ადრე სანიტარული გემის ან საცურაო საშუალებების სახელწოდების, ტექნიკური მონაცემების, ცურვის მოსალოდ-

ნელი ხანგრძლივობის, კურსის და მოსალოდნელი სიჩქარის შესახებ, განსაკუთრებით ეს ეხება 2000-ზე მეტი ბრუტოტონის გემებს, ასევე შეუძლებელია ნობოს ნებისმიერი სხვა მონაცემები, რომელიც გააადვილებს მათ ამოცნობას, მოწინააღმდეგე მხარე აზუსტებს ამ მონაცემების მიღებას.

5. მეორე კონვენციის 37-ე მუხლის დებულებები გამოიყენება ამ გემებსა და საცურაო საშუალებებზე მყოფი სამედიცინო და სასულიერო პერსონალის მიმართ.

6. მეორე კონვენციის დებულებები გამოიყენება ამ კონვენციის მე-13 მუხლისა და მოცემული ოქმის 44-ე მუხლში მითითებული დაჭრილების, ავადმყოფების, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება იმყოფებოდნენ ამგვარ გემებსა და საცურაო საშუალებებზე, დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი სამოქალაქო პირნი, რომლებიც მეორე კონვენციის მე-13 მუხლში მითითებულ არც ერთ კატეგორიას არ გაუთვნიან, წყალში ყოფნის პერიოდში არ გადაეცემიან არც ერთ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც არ არიან. ასევე არ შეიძლება მათი ჩამოსხმა გემებიდან და საცურაო საშუალებებიდან, მაგრამ, თუ მითითებული პირნი მოექცევიან კონფლიქტში მყოფი მხარის ხელისუფლების ქვეშ, რომელიც არ არის მათი სახელმწიფო, მათზე ვრცელდება მეოთხე კონვენციის და ამ ოქმის დებულებათა მოქმედება.

მუხლი 24. სანიტარული საფრენი აპარატების დაცვა

სანიტარული საფრენი აპარატები სარგებლობენ პატივისცემით და დაცვით მოცემული კარის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 25. სანიტარული საფრენი აპარატები რაიონებში, რომლებსაც არ აკონტროლებს მოწინააღმდეგე მხარე

ხმელეთის რაიონებსა და მათ ზემოთ საჰაერო სივრცეში, სადაც ფიზიკურ კონტროლს ახორციელებენ მოკავშირეთა ძალები ან ზღვის რაიონებსა და მათ ზემოთ საჰაერო სივრცეში, სადაც არ ხორციელდება მოწინააღმდეგე მხარის კონტროლი, კონფლიქტში მყოფი მხარის სანიტარული საფრენი აპარატების პატივისცემა და დაცვა არ არის დამოკიდებული მოწინააღმდეგესთან რაიმე შეთანხმებაზე, ამის მიუხედავად, კონფლიქტში მყოფ მხარეს, რომელიც ამ რაიონებში იყენებს სანიტარულ საფრენ აპარატებს, უშუალოდ უზრუნველყოფის მიზნით შეუძლია 24-ე მუხლის თანახმად აცნობოს მოწინააღმდეგე მხარეს როდის ფრენენ ამგვარი აპარატები მოწინააღმდეგის „ზედაპირი — ჰაერის“ ტიპის იარაღის მიღწევადობის ფარგლებში.

მუხლი 26. სანიტარული საფრენი აპარატები ურთიერთშეხების ან ანალოგიურ ზონებში

1. ურთიერთშეხების ზონის იმ ნაწილში, სადაც კონტროლს ახორციელებენ მოკავშირეთა ძალები და იმ რაიონებში, სადაც კონტროლი არ არის ნათლად გამოხატული, ასევე შესაბამის საჰაერო სივრცეში, სანიტარული საფრენი აპარატების დაცვა სავსებით ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ კონფლიქტში მყოფი მხარეების კომპეტენტურ ხელისუფალთა შორის 29-ე მუხლის შესაბამისი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. თუმცა, ამგვარი შეთანხმებების არარსებობის დროს სანიტარული საფრენი აპარატები მოქმედებენ საკუთარი რისკით, ამის მიუხედავად ისინი სარგებლობენ პატივისცემით ამოცნობის შემდეგ.

2. „ურთიერთშეხების ზონა“ ნიშნავს ხმელეთის ნებისმიერ რაიონს, სადაც მოწინააღმდეგე ძალების მოწინავე ნაწილები ურთიერთშეხებაში იმყოფებიან

და განსაკუთრებით იმ რაიონს, სადაც ისინი იმყოფებიან ხმელეთიდან პირდაპირ დამიზნებული ცეცხლის მიღწევადობის ფარგლებში.

მუხლი 27. სანიტარული საფრენი აპარატები მოწინააღმდეგე მხარის კონტროლის ქვეშ მყოფ რაიონებში

1. კონფლიქტში მყოფი მხარის სანიტარული საფრენი აპარატები აგრძელებენ დაცვით სარგებლობას ხმელეთის ან ზღვის იმ რაიონების თავზე ფრენისას, რომლებსაც აკონტროლებს მოწინააღმდეგე მხარე იმ პირობით, რომ წინასწარ იქნება მიღებული ფრენის ნებართვა მოწინააღმდეგე მხარის კომპეტენტური ხელისუფლებისაგან.

2. სანიტარული საფრენი აპარატი, რომელიც ფრენს მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ მყოფი რაიონის თავზე 1 პუნქტში მითითებული შეთანხმების არარსებობის დროს ან ამ შეთანხმების პირობების დარღვევისას, სანავიგაციო შეცდომის ან მათი უშეშროებისათვის სახისუათო გარემოებების დროს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ამოიციონ და ეს გარემოებები შეაჩუკობინოს მოწინააღმდეგე მხარეს; როგორც კი მოწინააღმდეგე მხარე ამოიცნობს სანიტარულ საფრენ აპარატს, იგი მიიღებს საჭირო ზომებს, რათა გასცეს მიწაზე ან წყალზე დაშვების ბრძანება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30-ე მუხლის 1 პუნქტში, ან მიიღოს სხვა ზომები თავის ინტერესების დასაცავად. ნებისმიერ შემთხვევაში, მან დრო უნდა მისცეს სანიტარულ საფრენ აპარატს მოცემული ბრძანების შესასრულებლად, ვიდრე თავს დაესხმის მას.

მუხლი 28. სანიტარული საფრენი აპარატების გამოყენების შეზღუდვა

1. კონფლიქტში მყოფ მხარეებს ეკრძალებათ გამოიყენონ სანიტარული საფრენი აპარატები მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით რაიმე სახის საომარი უპირატესობის მოპოვებისათვის. სანიტარული საფრენი აპარატები არ უნდა გამოიყენებოდეს თავდასხმისაგან სამხედრო ობიექტების ხელშეუხებლობისათვის.

2. სანიტარული საფრენი აპარატები არ უნდა გამოიყენებოდეს სადაზვერვო მონაცემების შეკრების და გადაცემისათვის. მათ არ უნდა ჰქონდეთ ამ მიზნისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა, ეკრძალებათ განახორციელონ მე-8 მუხლის 1 პუნქტში შეუყვანელი პირების ან ტვირთის ტრანსპორტირება. არ არის აკრძალული მგზავრების პირადი ნივთების, ასევე პილოტირების, კავშირისა და ამოცნობის გაადვილებისათვის განსაკუთრებული აპარატურის გადატანა.

3. სანიტარულ საფრენ აპარატურებში შეიძლება იყოს მხოლოდ დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა კუთვნილი იარაღი და საბრძოლო მარაგი, რომლებიც ჯერ არ გადაუციათ შესაბამისი სამსახურებისათვის, ასევე პირადი იარაღი, რომელიც შეიძლება დაჭირდეს სამედიცინო პერსონალს თავდაცვის და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი დაჭრილების, ავადმყოფების და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების დასაცავად.

4. 26-ე და 27-ე მუხლებში ნახსენები ფრენის განხორციელებისას სანიტარული საფრენი აპარატები მოწინააღმდეგე მხარესთან წინასწარი შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა არ უნდა გამოიყენებოდეს დაჭრილთა, ავადმყოფთა, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მოძიებისათვის.

მუხლი 29. შეტყობინებანი და შეთანხმებები სანიტარული საფრენი აპარატების შესახებ

1. შეტყობინებანი 25-ე მუხლის შესაბამისად ან შეკითხვები წინასწარი შეთანხმების თაობაზე 26, 27 მუხლების, 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 31-ე



მუხლის შესაბამისად შეიცავს მონაცემებს სანიტარული საფრენი აპარატების მიახლოებითი რიცხვის, მათი ფრენის გეგმების და ამოცნობის საშუალებების შესახებ და განიხილება, რომ მათ საფუძველზე ყველა ფრენა განხორციელდება 28-ე მუხლის თანახმად.

2. მხარე, რომელმაც მიიღო შეტყობინება 25-ე მუხლის თანახმად, დაუყოვნებლივ ადასტურებს მის მიღებას.

3. მხარე, რომელიც იღებს შეკითხვას წინასწარი შეთანხმების შესახებ 26-27-ე მუხლების, 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 31-ე მუხლის შესაბამისად, შემკითხველ ქვეყანას უმოკლეს დროში აცნობებს:

- a) კითხვის დაკმაყოფილების შესახებ;
- b) კითხვაზე უარის შესახებ;
- c) მისაღებ ალტერნატიულ წინადადებას კითხვის პასუხად. მან შეიძლება შესთავაზოს მოცემულ რაიონში შესაბამის დროს სხვა ფრენის შეზღუდვა ან აკრძალვა, თუ შემკითხველი მხარე ეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, იგი ამის შესახებ აცნობებს შესაბამის მხარეს.

4. მხარეები იღებენ ზომებს, რათა უზრუნველყონ უსწრაფესად შეტყობინება და შეტყობინებების დადება.

5. მხარეები იღებენ საჭირო ზომებს, რათა ამ შეტყობინებათა და შეთანხმებათა არსს გაეცნოს შეიარაღებული ძალები და მოხდეს მათი ინსტრუქტაჟი სანიტარული საფრენი აპარატების ამოცნობის მეთოდების შესახებ.

მუხლი 30. დაშვება და სანიტარული საფრენი აპარატების შემოწმება

1. სანიტარულ საფრენ აპარატებს, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი რაიონების თავზე ფრენენ, შეიძლება გარემოებათა შესაბამისად უბრძანონ ხმელეთზე ან ზღვაზე დაშვება ქვემოთე პუნქტების შესაბამისი შემოწმების ჩასატარებლად. სანიტარული საფრენი აპარატები ვალდებული არიან დაემორჩილონ ნებისმიერ ამგვარ ბრძანებას.


2. ხმელეთზე ან ზღვაზე დაშვების ბრძანების საფუძველზე ან რაიმე სხვა მიზეზით დაშვების შემთხვევაში ხდება სანიტარული საფრენი აპარატის შემოწმება ერთადერთი მიზნით, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი აკმაყოფილებს მე-3 და მე-4 პუნქტების პირობებს. ნებისმიერი ამგვარი შემოწმება ხორციელდება შეუფერხებლად და უმოკლეს დროში. შემოწმებელი მხარე არ მოითხოვს დაჭრილთა და ავადმყოფთა გადაყვანას აპარატიდან გარდა შემთხვევისა, როცა ეს აუცილებელია შემოწმებისათვის. იგი უზრუნველყოფს, რომ მათი მდგომარეობა არ გაუარესდეს შემოწმების ან აპარატიდან გადაყვანის შედეგად.

3. თუ ამგვარი შემოწმებით დადგინდება, რომ საფრენი აპარატი

- a) წარმოადგენს სანიტარულ საფრენ აპარატს. მე-8 მუხლის j) პუნქტის თანახმად;
- b) არ არღვევს 28-ე მუხლის დებულებებს;
- c) ფრენს წინასწარი შეთანხმების თანახმად ან არ დაუბრუნდება ამგვარი შეთანხმება, მაშინ მასში მყოფ მოწინააღმდეგე მხარის, ნეიტრალური სახელმწიფოს ან კონფლიქტში არმონაწილე მხარის წარმომადგენლებს ნებას რთავენ განაგრძონ ფრენა დაუბრკოლებლად.

4. თუ შემოწმებით დადგინდება, რომ საფრენი აპარატი

- a) არ წარმოადგენს სანიტარულ საფრენ აპარატს მე-8 მუხლის j) პუნქტის თანახმად;
- b) არღვევს 28-ე მუხლის პირობებს;
- c) ფრენა წინასწარი შეთანხმების გარეშე ან მისი დარღვევით. ამგვარი



საფრენი აპარატი დაკავებული იქნება. აპარატში მყოფ პირებს მოეპყრობიან კონფლიქტების და მოცემული ოქმის შესაბამისი დებულებების თანახმად, მესამე ბისმირი დაკავებული საფრენი აპარატი, რომელიც გამოიყენებოდა მუდმივად სანიტარული საფრენი აპარატის სახით, შემდგომ შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ სანიტარულ საფრენ აპარატად.

მუხლი 81. ნეიტრალური სახელმწიფოები ან სხვა სახელმწიფოები. რომლებიც არ არიან კონფლიქტში მონაწილე მხარეები

1. სანიტარულმა საფრენმა აპარატებმა არ უნდა იფრინონ ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე მხარის ტერიტორიაზე, და უნდა დაფრინდნენ მასზე მხოლოდ წინასწარი ნებართვის საფუძველზე. ამგვარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში სანიტარული აპარატები სარგებლობენ მფარველობით მთელი ფრენის მანძილზე, ასევე შუალედური დაფრენის დროს. ამის მიუხედავად, ისინი ვალდებული არიან გარემოებების თანახმად ზღვაზე ან ხმელეთზე დაშვების მოთხოვნას დაემორჩილონ.

2. თუ სანიტარული საფრენი აპარატი ფრენს ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე მხარის ტერიტორიაზე წინასწარი ნებართვის გარეშე ან მისი დარღვევით სანავიგაციო შეცდომის ან მისი ფრენისათვის სახიფათო გარემოების დროს, იგი მიიღებს ზომებს, რათა მომხდარის შესახებ შეატყობინოს შესაბამის მხარეს და ამოიციონ. როგორც კი ამოცნობილი იქნება ამგვარი საფრენი აპარატი, შესაბამისი სახელმწიფო მიიღებს ზომებს, რათა გაიცეს ბრძანება 30-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, დაშვების შესახებ, ან მიიღებს ზომებს თავისი ინტერესების დასაცავად და ნებისმიერ შემთხვევაში ვიდრე თავს დაესხმოდეს, დროს მისცემს აპარატს ბრძანების შესასრულებლად.

3. როდესაც სანიტარული საფრენი აპარატი შეთანხმებების ან მე-2 პუნქტში მითითებული გარემოებების გამო ბრძანების თანახმად ან რაიმე სხვა მიზეზით იძულებულია დაეშვას ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იგი შემოწმდება რათა დადგინდეს, არის თუ არა ნამდვილად სანიტარული საფრენი აპარატი; შემოწმება ხდება შეუფერხებლად და უმოკლეს ვადაში. შემოწმებელი მხარე არ ითხოვს დაჭრილების და ავადმყოფების გადაყვანას, თუ ეს არ არის აუცილებელი შემოწმებისათვის. ყოველგვარ გარემოებაში იგი უზრუნველყოფს, რომ მათი მდგომარეობა არ გაუარესდეს შემოწმების ან აპარატიდან გადმოყვანის შედეგად. თუ შემოწმება უჩვეულებს, რომ საფრენი აპარატი ნამდვილად სანიტარული საფრენი აპარატია, მას საშუალება ექნება მასში მყოფი პირებითურთ განაგრძოს ფრენა იმ პირობა გამოკლებით, რომლებიც დაკავებული უნდა იქნენ შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად. სანიტარულ საფრენ აპარატს შეეძლება ყველა პირობა, რათა განაგრძოს ფრენა. თუ დადგინდა, რომ მოცემული აპარატი არ არის სანიტარული საფრენი აპარატი, იგი დაკავებული იქნება და მასში მყოფ პირებს მოეპყრობიან მე-4 პუნქტის თანახმად.

4. გარდა სანიტარული საფრენი აპარატიდან ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე მხარის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით დროებით გადმოსხმული პირებისა, როდესაც არ არსებობს სხვა სახის შეთანხმება ამ სახელმწიფოსა და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის, აღნიშნული პირნი დაკავებული იქნებიან შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესატყვისად და ამ პირობა ალარ

უნდა მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. მათი ჰოსპიტალიზაციის და ინტერნირების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნიან ისინი.

5. ნეიტრალური და კონფლიქტში არმონაწილე სახელმწიფოები მნიშვნელოვნებისმიერ შეზღუდვებს თავიანთი ტერიტორიების თავზე ფრენის ან მათზე სანიტარული საფრენი აპარატების დაშვების თაობაზე თანაბრად. კონფლიქტში მყოფი ყველა მხარისათვის.

პარი III. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირნი და გარდაცვლილნი

მუხლი #2. ზოგადი პრინციპები

მოცემული კარის დებულებათა გამოყენებისას კონფლიქტში მყოფი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები და კონვენციებსა და მოცემულ ოქმში ნახსენები საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები თავიანთ მოღვაწეობაში, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობიან ოჯახის უფლებას — იცოდეს თავისი ახლობლების ბედის შესახებ.

მუხლი #3 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირნი

1. როგორც კი საშუალებას იძლევა გარემოებანი, სულ უგვიანეს, აქტიური საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ, კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარის პირებს, რომელთა შესახებ მოწინააღმდეგე მხარემ აცნობა, რომ ისინი უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ, მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს ყველა საჭირო მონაცემს ამ პირთა მოძიების გაადვილებისათვის.

2. წინა პუნქტის თანახმად, ცნობების შეკრების გაადვილებისათვის კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე იმ პირების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობენ უფრო ხელსაყრელი მოპყრობით კონვენციების და მოცემული ოქმის თანახმად

a) ახდენს მონაცემების რეგისტრაციას, როგორც ეს გათვალისწინებულია მეოთხე კონვენციის 138-ე მუხლით, იმ პირების შესახებ, რომლებიც დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა სახით თავისუფლებადკვეთილნი იყვნენ ორ კვირაზე მეტი ხნით საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის შედეგად ან რომლებიც გარდაიცვალნენ ამგვარი დაკავების დროს;

b) შექიმილურად ხელს უწყობს აღნიშნულ პირთა მოძებნას და მათ შესახებ მონაცემების რეგისტრაციას, თუ ისინი გარდაიცვალნენ სხვა გარემოებაში საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის შედეგად, აუცილებლობის შემთხვევაში თავად ატარებს ძებნას და რეგისტრაციას.

3. მონაცემები პირველი პუნქტის თანახმად უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული პირების შესახებ და შეკითხვები ამ მონაცემთა შესახებ გადაიცემა უშუალოდ ან მჭარველი სახელმწიფოს, ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცნობათა ცენტრალური სააგენტოს, ან წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნული კომიტეტების მეშვეობით, როდესაც მონაცემები არ გადაიცემა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და მისი ცნობათა ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით, კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე, უზრუნველყოფს მონაცემების გადაცემას ცნობათა ცენტრალური სააგენტოსათვის.

4. კონფლიქტში მყოფი მხარეები ეცდებიან შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას საომარი მოქმედებების არეალში გარდაცვლილთა მოძიების, ამოცნობისა და გამოყვანისათვის ჯგუფები, იგივე ენება შეთანხმებებსაც, რომლებიც აუცი-

ლებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ჯგუფებს ახლდეს მოწინააღმდეგე მხარის პერსონალი მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე სამუშაო აღნიშნული ჯგუფების პერსონალი სარგებლობს პატივისცემით და დაცვით მოვალეობების შესრულების დროს.

მუხლი 84. გარდაცვლილთა ნეშტი

1. ნეშტი პირებისა, რომლებიც გარდაიცვალნენ ოკუპაციის ან ოკუპაციასთან დაკავშირებული პატიმრობის დროს და ნეშტი პირებისა, რომლებიც საომარი მოქმედებების შედეგად დაიღუპნენ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეებიც არ არიან, ასევე მათი დაკრძალვის ადგილები, სარგებლობს პატივისცემით. დაკრძალვის ადგილები მოვლილი და აღნიშნულია მეოთხე კონვენციის 130-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, თუ ნეშტები ან მათი დაკრძალვის ადგილები არ სარგებლობს უფრო ხელსაყრელი მოპყრობით კონვენციების და მოცემული ოქმის თანახმად.

2. როგორც კი ამის საშუალებას იძლევა გარემოებანი და მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ურთიერთობანი, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები, რომელთა ტერიტორიაზეც არის სამხედრო მოქმედებების შედეგად ან ოკუპაციის დროს, ან პატიმრობაში დაღუპული პირების საფლავები და შესაძლოა, დაკრძალვის სხვა ადგილები, დებენ შეთანხმებებს, რათა

a) დაეხმარონ გარდაცვლილთა ნათესაებს და რეგისტრაციის ოფიციალური სამსახურების წარმომადგენლებს, რომ ხელი მიუწვდებოდეთ საფლავებზე; განისაზღვროს ამგვარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის პრაქტიკული ღონისძიებები;

b) განხორციელდეს ამგვარი ადგილების მუდმივი მოვლა და დაცვა;


c) მოხდეს გარდაცვლილთა ნეშტის და პირადი ქონების დაბრუნება სამშობლოში შესაბამისი ქვეყნის ან ახლო ნათესავთა თხოვნით.

3. 2b) და 2c) პუნქტებში მითითებული შეთანხმებების არარსებობის და იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილთა სამშობლო არ არის თანახმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაკრძალვის ადგილების შენარჩუნება, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარემ, რომლის ტერიტორიაზეც არის ასეთი ადგილები, შეიძლება შესთავაზოს ნეშტების სამშობლოში გადასვენება, როცა ეს წინადადება არ მიიღება, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს ამ წინადადების შეთავაზებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ და შესაბამისი ქვეყნისათვის სათანადო შეტყობინების შემდეგ შეუძლია მიიღოს ზომები თავისი კანონმდებლობის თანახმად სასაფლაოების და საფლავების მიმართ.

4. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც არის ამ მუხლში მოხსენიებული დაკრძალვის ადგილები, ექსპუმაცია შეუძლია მოახდინოს მხოლოდ:

a), 2c) და 3 პუნქტების შესაბამისად ან

b) საზოგადოებრივი, სანიტარული და ძიების წარმართვის მოსაზრებით გამოწვეულ შემთხვევებში. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარე პატივით ეპყრობა გარდაცვლილის ნეშტს, აცნობებს შესაბამის სახელმწიფოს ექსპუმაციის ჩატარების შესახებ, ასევე აცნობებს, გადასვენების სავარაუდო ადგილს.



პარი I. ომის წარმოების მეთოდები და საშუალებანი

მუხლი 85. ძირითადი ნორმები

1. ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მასში მონაწილე მხარეების უფლება, ამოიჩიოს ომის მეთოდები და საშუალებანი არ არის შეზღუდული.

2. იკრძალება საომარი მოქმედების დროს იმგვარი მეთოდების, იარაღის, დანადგარების, ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ზედმეტ ზარალს ან ტანჯვას.

3. იკრძალება გამოყენებული იქნეს ომის წარმოების მეთოდები და საშუალებანი, რომელთა მიზანია ან რომლებიც მოსალოდნელია, რომ გამოიწვევდნენ ბუნებრივი გარემოს ფართო, ხანგრძლივ და სერიოზულ დაზარალებას.

მუხლი 86. ახალი ტიპის იარაღები

ომის საწარმოებლად ახალი ტიპის იარაღების, მეთოდების ან საშუალებების შესწავლის, შემუშავების, შექმნის ან მიღების დროს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარემ უნდა განსაზღვროს, ზოგიერთ შემთხვევაში ან ყველა გარემოებაში მათი მოხმარება იკრძალება თუ არა მოცემული ოქმით ან მოლაპარაკებაში მონაწილე მხარისათვის სავალდებულო სხვა საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

მუხლი 87. ვერაგობის აკრძალვა

1. იკრძალება მოწინააღმდეგის მოკვლა, დაჭრა ან ტყვედ ჩაგდება ვერაგობით. ვერაგობად ითვლება მოწინააღმდეგის ნდობის მოპოვება, მისთვის ჩაგონება, რომ უფლება აქვს, დატული იყოს ან მას დაიცავდნენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად და მოპოვებული ნდობის გაცრეხება. ვერაგობის მაგალითია შემდეგი ქმედებანი:


a) დაზავების დროშის ქვეშ მოლაპარაკებების ან კაპიტულაციის სიმუღირება;

b) დაჭრის ან ავადმყოფობის შედეგად წყობიდან გამოსვლის სიმუღირება;

c) სამოქალაქო პირის ან არაკომბატანტის სტატუსის ფლობის სიმუღირება. გაეროს, ნეიტრალური ქვეყნების ან კონფლიქტში არმონაწილე სხვა სახელმწიფოების ნიშნების, ემბლემების ან საფორმო ტანისამოსის გამოყენებით სიმუღირება სტატუსის ფლობისა, რომელიც ითვალისწინებს მფლობელის დაცვას.

2. საომარი ეშმაკობების გამოყენება არ იკრძალება. ეშმაკობად ითვლება მოწინააღმდეგის დასაბნელებად ან შეცდომაში შესყვანად ჩადენილი ქმედებები. მაგრამ ისინი არ უნდა არღვევდეს შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმას. ამასთან, ისინი არ უნდა იყოს ვერაგული და არ უნდა ატყუებდეს მოწინააღმდეგე მხარის რწმენას, რომ ამ სამართლის ძალით მას უფლება აქვს იყოს დატული. ეშმაკობათა მაგალითია შემდეგი ქმედებები: შენიღბვის, ხაფანგების, მცდარი ოპერაციების და დეზინფორმაციის გამოყენება.

მუხლი 88. აღიარებული ემბლემები



1. იკრძალება არადანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული წითელი ჯვრის წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის და სხვა ემბლემები: ნიშნები ან სიგნალები, გათვალისწინებული კონვენციებით ან მოცემული ოქმით. ასევე იკრძალება წინასწარი განზრახვით, ბოროტად იქნეს გამოყენებული სხვა საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი ემბლემები, ნიშნები ან სიგნალები დაზავების დროშის და კულტურული საგანძურის აღმნიშვნელი ემბლემის ჩათვლით.

2. იკრძალება გაეროს ემბლემის გამოყენება ამ ორგანიზაციის ნებართვის გარეშე.

მუხლი 39. ეროვნული ემბლემები

1. იკრძალება შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული იქნეს ნეიტრალური სახელმწიფოების, ან კონფლიქტში არმონაწილე სახელმწიფოების დროშები, საომარი ემბლემები, სამხედრო წოდებათა განმასხვავებელი ნიშნები ან საფორმო ტანსაცმელი.

2. იკრძალება მოწინააღმდეგე მხარის დაშორების, სამხედრო ემბლემების, სამხედრო წოდებათა განმასხვავებელი ნიშნების გამოყენება თავდასხმის დროს ან საომარი მოქმედებების დასაფარავად — მათი ხელშეწყობის ან დაბრკოლების მიზნით.

3. მოცემულ მუხლში ან 37-ე მუხლის 1a) პუნქტში არაფერი არ ლახავს ჯაშუშობის ან ზღვაზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს დროშების გამოყენების შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

მუხლი 40. შეწყალება

იკრძალება ბრძანების გაცემა, რომ არავინ გადაარჩეს ცოცხალი; აღნიშნული ბრძანებით დამუქრება ან მის საფუძველზე საომარი მოქმედებების წარმართვა.

მუხლი 41. გარანტიები წყობიდან გამოსულ მოწინააღმდეგე მხარის პირებს

1. იკრძალება თავდასხმა პირზე, რომელიც აღიარებულია ან მოცემულ მომენტში უნდა ჩაითვალოს წყობიდან გამოსულ პირად.

2. წყობიდან გამოსულად ითვლება ნებისმიერი პირი, თუ:

a) იმყოფება მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ;

b) აშკარად გამოთქვამს ტყვედ ჩაბარების სურვილს;

c) იმყოფება უგონოდ. ან რაიმე სხვა სახით წყობიდან არის გამოსული დაჭრის ან ავადმყოფობის გამო და ამიტომ არ შეუძლია თავის დაცვა, იმ პირობით, რომ ნებისმიერ აღნიშნულ შემთხვევაში იგი თავს იკავებს მტრული მოქმედებებისაგან და არ ცდილობს გაქცევას.

3. როდესაც პირი, რომელსაც უფლება აქვს დატული იყოს, როგორც სამხედრო ტყვე, მოხდება მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ სამხედრო მოქმედებების უჩვეულო პირობებში და შეუძლებელია მისი ევაკუაცია III კონვენციის III კარის I ნაწილის თანახმად, იგი თავისუფლდება და მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა შესაძლო ზომა.

მუხლი 42. საფრენ აპარატებში მყოფი პირნი

1. არც ერთ პირს, რომელიც პარაშუტით ტოვებს დაზიანებულ საფრენ აპარატს, თავს არ დაესხმიან მიწაზე დაშვების განმავლობაში.

2. პირს, რომელიც პარაშუტით ტოვებს დაზიანებულ საფრენ აპარატს, მოწინააღმდეგე მხარის კონტროლის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე დაშვებისას

შესთავაზებენ ტყვედ დანებდეს, ვიდრე თავდასხმის ობიექტი გახდება თუ არ გამოაშკარავდა, რომ იგი მტრულ მოქმედებას სჩადის.

3. ამ მუხლის საფუძველზე დაცვით არ სარგებლობენ საპაერო-სადესანტო მეომრები.

პარი II. კომბატანტების და სამხედრო ტყვეების სტატუსი

მუხლი 18. შეიარაღებული ძალები

1. კონფლიქტში მყოფი მხარეების შეიარაღებული ძალები შედგებიან ყველა ორგანიზებული ძალის, ჯგუფის და შენაერთისაგან, რომელთა სათავეში დგას ამ ქვეყნის ხელისუფლების წინაშე თავის ქვეშევრდომთა მოქმედებისათვის პასუხისმგებელი პირი იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი ხელისუფლება არ ღრის აღიარებული მოწინააღმდეგის მიერ. ამგვარი შეიარაღებული ძალები ემორჩილებიან შინა დისციპლინურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას.

2. კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირნი (გარდა სამედიცინო და სასულიერო პერსონალისა, რომელზედაც საუბარია მესამე კონვენციის 33-ე მუხლში) წარმოადგენენ კომბატანტებს, ე. ი. მათ უფლება აქვთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში.

3. ყოველ დროს, როცა კონფლიქტში მყოფი მხარე შეიარაღებულ ძალებში ჩართავს ნახევრად სამხედრო ან წესრიგის დამცველ სამხედრო ორგანიზაციას, იგი ამის შესახებ აცნობებს კონფლიქტში მყოფ სხვა მხარეებს.

მუხლი 44. კომბატანტები და სამხედრო ტყვეები

1. 43-ე მუხლით განმარტებული ნებისმიერი კომბატანტი მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას წარმოადგენს სამხედრო ტყვეს.

2. მართალია ყოველი კომბატანტი ვალდებულია დაცვას შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები, მაგრამ ამ ნორმათა დარღვევა არ ართმევს მას უფლებას ითვლებოდეს კომბატანტად ან სამხედრო ტყვედ, გარდა მე-3 და მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა.

3. შეიარაღებული მოქმედებების შედეგებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას რომ ხელი შეუწყონ, კომბატანტებმა უნდა გამოარჩიონ თავიანთი თავი სამოქალაქო მოსახლეობისაგან თავდასხმაში ან თავდასხმის მოსამზადებელ საომარ ოპერაციაში მონაწილეობის დროს, მაგრამ, როცა საომარი მოქმედების ხასიათის გამო კომბატანტების სამოქალაქო პირისაგან გარჩევა ჭირს, იგი ინარჩუნებს კომბატანტის სტატუსს იმ პირობით, რომ ღიად ატარებს იარაღს

a) ყოველი საომარი შეტაკებისას;

b) როცა მოწინააღმდეგის თვალსაწიერის არეალშია თავდასხმის მოსამზადებელი საომარი წყობის დროს.

ამ პუნქტში მითითებული ქმედება არ ითვლება ვერაგობად 37-ე მუხლის 1 c) პუნქტის მნიშვნელობით.

4. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილ კომბატანტს, როცა ის არ ასრულებს მესამე პუნქტის II ფრაზაში მოყვანილ დებულებებს, უფლება ერთმევა ითვლებოდეს სამხედრო ტყვედ, მაგრამ ამის მიუხედავად, სარგებლობს დაცვით, რომელიც უთანაბრდება სამხედრო ტყვეების დაცვას III კონვენციის და

ამ ოქმის შესაბამისად. ეს მოიცავს დაცვას, რომლითაც სამხედრო ტყვეები სარგებლობენ III კონვენციის თანახმად სასამართლოსათვის გადაცემის ჩადენილი საპართლდარღვევისათვის დასჯის დროს.

5. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილი ნებისმიერი კომბატანტი, როცა არ მონაწილეობს თავდასხმაში ან სამხედრო ოპერაციებში, რომელიც თავდასხმის სამზადის წარმოადგენდა, მის მიერ აღრე ჩადენილი ქმედებების გამო არ კარგავს უფლებას იწოდებოდეს კომბატანტად და სამხედრო ტყვედ.

6. მოცემული მუხლი არ აზარალებს ნებისმიერი პირის უფლებას, იწოდებოდეს სამხედრო ტყვედ მესამე კონვენციის მე-4 მუხლას შესაბამისად.

7. ამ მუხლის მიზანი არ არის შეცვალოს სახელმწიფოების საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა კომბატანტების მიერ კონფლიქტში მყოფი ქვეყნის რეგულარული შეიარაღებული სამხედრო შენაერთების საფორმო ტანისამოსის ტარებისა.

8. პირველი და მეორე კონვენციების მე-13 მუხლში მითითებული კატეგორიის პირების გარდა კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის ყველა წევრს მოცემული ოქმის 43-ე მუხლის განსაზღვრების თანახმად, უფლება აქვს ისარგებლოს ამ კონვენციების მფარველობით დაჭრის, ავადმყოფობის ან გემის კატასტროფაში მოყოლის შემთხვევაში.

მუხლი 45. სამხედრო მოქმედებებში მონაწილე პირთა დაცვა

1. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ მოხვედრილი სამხედრო მოქმედებაში მონაწილე პირი ითვლება სამხედრო ტყვედ და შესაბამისად, მესამე კონვენციის მფარველობით სარგებლობს, თუ იგი პრეტენზიას აცხადებს სამხედრო ტყვეობაზე, თუ ჩანს, რომ მას უფლება აქვს ფლობდეს ამ სტატუსს ან თუ სახელმწიფო, რომელზედაც იგი დამოკიდებულია, ითხოვს მისთვის ამ სტატუსის მინიჭებას დამტყვევებელი ან მფარველი სახელმწიფოს შეტყობინების გზით. როდესაც ეჭვი აღიძვრება, აქვს თუ არა მოცემულ პირს უფლება ფლობდეს მითითებულ სტატუსს და შესაბამისად, მესამე კონვენციის და ამ ოქმის მფარველობით ისარგებლოს, იგი აგრძელებს მფარველობით სარგებლობას, ვიდრე მის სტატუსს განსაზღვრავს კომპეტენტური სასამართლო ორგანო.

2. მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრილ პირს, რომელიც არ არის დაკავებული სამხედრო ტყვის სახით და სამხედრო მოქმედებების დროს ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს, უფლება აქვს ითხოვოს სამხედრო ტყვის სტატუსის მინიჭება და გადაწყვეტილების გამოტანა აღნიშნულ საკითხზე, იმ შემთხვევებში, როცა ეს შესაძლებელია პროცედურის თანახმად. გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოების დაწყებამდე. მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ საქმის განხილვას თუ გამონაკლისის შემთხვევაში სხდომა დახურული არ არის სახელმწიფო უშიშროების ინტერესების დასაცავად. ასეთ დროს დამტყვევებელი ქვეყანა შეტყობინებას უგზავნის მფარველ სახელმწიფოს.

3. სამხედრო მოქმედებაში მონაწილე ნებისმიერ პირს, რომელსაც არა აქვს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლება და არ სარგებლობს უფრო ხელსაყრელი მოპყრობით მეოთხე კონვენციის შესაბამისად, ყველა შემთხვევაში უფლება აქვს ისარგებლოს მოცემული ოქმის 75-ე მუხლით გათვალისწინებულ მფარველობით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნისას ნებისმიერ ასეთ პირს,

თუ ის ჩაშუშობისათვის არის დაკავებული, შეუძლია ისარგებლოს კონვენციის მე-5 მუხლისაგან დამოუკიდებლად ამ კონვენციით მინიჭებული ყველა შირის დამყარების უფლებით.

მუხლი 46. ჩაშუშები

1. დამოუკიდებლად კონვენციების ან მოცემული ოქმის ნებისმიერი სხვა დებულებისაგან, კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრს, რომელიც ჩაშუშობის დროს ხელში ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, არა აქვს უფლება ფლობდეს სამხედრო ტყვის სტატუსს და მას შეიძლება მოექცნენ როგორც ჩაშუშს.

2. კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი, რომელიც ამ მხარის სახელით აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ინფორმაცია ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს მოწინააღმდეგე მხარე, არ ითვლება ჩაშუშად თუ ამგვარი მოქმედებებისას იგი ატარებს თავისი შეიარაღებული ძალების საფორმო ტანსაცმელს.

3. კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის წევრი, რომელიც ცხოვრობს მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აგროვებს ან ცდილობს შეაგროვოს ამ ტერიტორიაზე სამხედრო მნიშვნელობის ინფორმაცია იმ მხარის სახელით, რომელზედაც დამოკიდებულნი არიან, არ ითვლება ჩაშუშად, თუ არ მოქმედებს მოტყუებით ან წინასწარგანზრახვით არ მიმართავს საიდუმლო მეთოდებს. უფრო მეტიც, ამგვარი პირი არ კარგავს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლებას და მას ვერ მოეპყრობიან როგორც ჩაშუშს, თუ იგი არ არის დაკავებული ჩაშუშობის მომენტში.

4. კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და ეწევა ჩაშუშობას, არ კარგავს სამხედრო ტყვის სტატუსის ფლობის უფლებას და მას არ შეიძლება მოეპყრან როგორც ჩაშუშს გარდა შემთხვევებისა, როცა იგი მანამ დააკავეს, ვიდრე თავის შეიარაღებულ ძალებს შეუერთდებოდა.

მუხლი 47. დაქირავებული მეომრები

1. დაქირავებულ მეომრებს არა აქვთ უფლება ფლობდნენ კომბატანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსს.

2. დაქირავებული მეომარი არის ნებისმიერი პირი, რომელიც:


a) სპეციალურად არის დაშვებული ადგილზე ან საზღვარგარეთ, რათა იბრძოლოს შეიარაღებულ კონფლიქტში;

b) უშუალოდ მონაწილეობს შეიარაღებულ მოქმედებებში;

c) მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში და ძირითადად ხელმძღვანელობს ერთადერთი სურვილით — მიიღოს პირადი მოგება. მას კონფლიქტში მყოფი მხარე უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით დაპირდა მატერიალურ ანაზღაურებას, რომელიც ბევრად აღემატება ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმავე რანგის და ფუნქციების კომბატანტისათვის განკუთვნილ ანაზღაურებას;

d) არ არის კონფლიქტში მყოფი მხარის არც მოქალაქე, არც პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს კონფლიქტში მყოფი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე;

e) არ შედის კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში;



1) არ არის გაგზავნილი კონფლიქტში არმონაწილე ქვეყნის მიერ ოფიციალური ვალდებულებების აღსასრულებლად მისი შეიარაღებული ძალების მადგენლობაში მყოფი პირის სახით.

ნაწილი IV. სამოქალაქო მოსახლეობა

კარი I. ზოგადი დაცვა სამხედრო მოქმედებათა შედეგებისაგან

თავი I. ძირითადი ნორმა და გამოყენების სფერო

მუხლი 48. ძირითადი ნორმა

კონფლიქტში მყოფი მხარის სამოქალაქო მოსახლეობის და სამოქალაქო ობიექტების პატივისცემის და დაცვის უზრუნველყოფისათვის კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ყოველთვის უნდა განასხვავონ სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები; და შესაბამისად, წარმართონ თავიანთი მოქმედება მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

მუხლი 49. თავდასხმათა განსაზღვრა და გამოყენების სფერო

1. „თავდასხმა“ ნიშნავს მოწინააღმდეგის მიმართ ძალადობის ნებისმიერ აქტს, მიუხედავად იმისა, როდის ხდება იგი — შეტევის თუ დაცვის დროს.
2. მოცემული ოქმის დებულებანი თავდასხმის შესახებ გამოიყენება ყველა თავდასხმისადმი, დამოუკიდებლად იმისგან, რომელ ტერიტორიაზე აქვს მას ადგილი, კონფლიქტში მყოფი ქვეყნის ეროვნული ტერიტორიის ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს მოწინააღმდეგე.
3. მოცემული კარის დებულებანი გამოიყენება ნებისმიერი სამხედრო მოქმედების მიმართ ხმელეთზე, ჰაერში ან ზღვაზე, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სამოქალაქო მოსახლეობას, ცალკეულ მოქალაქეებს ან ჯგუფებზე განლაგებულ სამოქალაქო ობიექტებს. ისინი გამოიყენება ჯგუფებზე განლაგებულ ობიექტებზე ზღვიდან ან ჰაერიდან თავდასხმის მიმართ, მაგრამ არ შეეხება ზღვაზე ან ჰაერში წარმოებული შეიარაღებული მოქმედებების დროს გამოყენებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს.
4. მოცემული კარის დებულებანი ავსებენ მეოთხე კონვენციით, კერძოდ მისი II კარით და მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისათვის აუცილებელი სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ ჰუმანიტარული მფარველობის ნორმებს; ასევე სხვა საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ეხება სამოქალაქო პირთა და სამოქალაქო ობიექტების დაცვას ხმელეთზე, ზღვაზე ან ჰაერში წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგებისაგან.

თავი II. სამოქალაქო პირნი და სამოქალაქო მოსახლეობა

მუხლი 50. სამოქალაქო პირთა და სამოქალაქო მოსახლეობის განსაზღვ

1. სამოქალაქო პირად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც არ ეკუთვნის შესაბამე კონვენციის 4a) 1), 2), 3), და 6) მუხლებში, მოცემული ოქმის 43-ე მუხლში მითითებული პირების კატეგორიებს. ექვის დროს, არის თუ არა მოცემული პირი სამოქალაქო პირი, იგი ითვლება სამოქალაქო პირად.
2. სამოქალაქო მოსახლეობა შედგება სამოქალაქო პირებისაგან.
3. სამოქალაქო მოსახლეობაში ცალკეულ პირთა ყოფნა, რომლებიც არ

ხვედებიან სამოქალაქო პირის განსახლეობაში, არ ცვლის ამ მოსახლეობის სამოქალაქო ხასიათს.

მუხლი 51. სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა

1. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირნი სარგებლობენ ზოგადი დაცვით სამხედრო ოპერაციების შედეგებისაგან. ამ დაცვის განხორციელების მიზნით საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების გარდა ნებისმიერ გარემოებაში დაცული რჩება შემდეგი ნორმები.

2. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული სამოქალაქო პირნი არ უნდა გახდნენ თავდასხმის ობიექტები. იკრძალება ძალადობის აქტები ან მუქარა ძალადობისა, რომლის ძირითადი მიზანია მოახდინოს სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზება.

3. სამოქალაქო პირნი სარგებლობენ მოცემული კარით გათვალისწინებული დაცვით, გარდა შემთხვევებისა და იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ისინი უშუალოდ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში.

4. იკრძალება განურჩეველი ხასიათის თავდასხმები, ასეთ თავდასხმებს ეკუთვნის:

a) თავდასხმები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ;

b) თავდასხმები, რომელთა დროს გამოიყენება საომარი მოქმედებების წარმართვის მეთოდები და საშუალებანი, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სამხედრო ობიექტის წინააღმდეგ, ან

c) თავდასხმები, რომელთა დროს გამოიყენება საომარი მოქმედებების წარმართვის მეთოდები და საშუალებანი, რომელთა შედეგები არ შეიძლება შეზღუდული იყოს მოცემული ოქმის შესაბამისად, და რომლებიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, განურჩევლად აზიანებენ სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო მოსახლეობას.

5. სხვა განურჩეველი თავდასხმების რიცხვში ჩაითვლება:

a) თავდასხმის განხორციელება ნებისმიერი მეთოდებით ან საშუალებებით დაბომბვის მეშვეობით, რომლის დროსაც ერთიან სამხედრო ობიექტად ითვლება რიგი განსხვავებული სამხედრო ობიექტებისა, რომლებიც განლაგებულია ქალაქად, სოფლად ან სხვა რაიონში, სადაც მჭიდროდაა თავმოყრილი სამოქალაქო მოსახლეობა ან სამოქალაქო ობიექტები;

b) თავდასხმა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, მათი დაჭრა ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება, ან ერთიც და მეორეც, რაც გამოიწვევს უფრო მეტი საომარი უპირატესობის მიღწევას, ვიდრე საჭიროა მოცემულ გარემოებებში.

6. იკრძალება რეპრესალიების მიზნით სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე თავდასხმა.

7. სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეულ სამოქალაქო პირთა ყოფნა ან გადაადგილება არ უნდა გამოიყენონ გარკვეული რაიონების ან პუნქტების საომარ მოქმედებებისაგან დასაცავად, სამხედრო ობიექტების თავდასხმისაგან დასაცავად ან საომარი მოქმედებების შესანიღბად მათთვის ხელშეწყობის ან წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა არ უნდა წარმართონ სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეულ სამოქალაქო პირთა გადაადგილება თავდასხმებისაგან სამხედრო ობიექტების დასაცავად ან დასაფარავად.

8. ამ აკრძალვების ნებისმიერი დარღვევა არ ათავისუფლებს კონფლიქტში მყოფ მხარეებს სამართლებრივი ვალდებულებებისაგან სამოქალაქო მსახურების და სამოქალაქო პირების მიმართ, მათ შორის ვალდებულებებისაგან, განახორციელონ 57-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

თავი III. სამოქალაქო ობიექტები

მუხლი 52. სამოქალაქო ობიექტების ზოგადი დაცვა

1. სამოქალაქო ობიექტი არ უნდა იყოს თავდასხმის ობიექტი, სამოქალაქო ავღელა ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სამხედრო ობიექტს.

2. თავდასხმა მკაცრად უნდა შემოიფარგლოს სამხედრო ობიექტებით, სამხედრო ობიექტით, რომელსაც თავისი ხასიათის, განლაგების, დანიშნულების ან გამოყენების თვალსაზრისით ეფექტური წვლილი შეაქვს საომარ მოქმედებებში და რომლის სრული ან ნაწილობრივი განადგურება, დაკავება ან ნეიტრალიზება მოცემულ გარემოებებში იძლევა საომარ უპირატესობას.

3. როცა არსებობს ეჭვი, ხომ არ გამოიყენება სამოქალაქო ობიექტები — მაგალითად, საკულტო ადგილები; საცხოვრებელი სახლი ან სხვა საცხოვრებელი ნაგებობები, სკოლა საომარი მოქმედებების ეფექტურად მხარდაჭერისათვის; ჯიფთლება, რომ ისინი გამოყენებულია მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისათვის.

მუხლი 53. კულტურულ ღირებულებათა და საკულტო ადგილების დაცვა

1954 წლის 14 მაისის „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ“ ჰააგის კონვენციითა დებულებების და სხვა შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების დაზარალების გარეშე, იკრძალება:

a) ჩადენილი იქნეს რაიმე მტრული მოქმედებანი იმ ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან საკულტო ადგილების მიმართ, რომლებიც ხალხთა კულტურულ ან სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს;

b) ამგვარი ობიექტების გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის;

c) ამგვარი ობიექტების მიმართ რეპრესალიების წარმოება.

მუხლი 54. სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვა

1. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილი გამოყენებული იქნეს ომის წარმოების მეთოდად.

2. იკრძალება სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების — საკვების მარაგის, მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო რაიონების, წათესების, საქონლის, სასმელი წყლის მოსამარაგებელი ნაგებობების და სასმელი წყლის მარაგის, საირიგაციო ნაგებობების განადგურება, გატანა, გაფუჭება, მათზე თავდასხმა იმ განზრახვით, რომ სამოქალაქო მოსახლეობის ან მოწინააღმდეგე მხარისათვის გამოსაყენებლად უვარგისი ვახდეს არსებობისათვის აუცილებელი ობიექტები; განუჩრჩველად იმისა, რა მოტივი ედო საფუძვლად ამგვარ ქმედებას — შიმშილობის გამოწვევა სამოქალაქო მოსახლეობაში, მათი იძულებითი გამგზავრება თუ რაიმე სხვა.

3. მეორე პუნქტში მითითებული აკრძალვები არ მოქმედებს ამ პუნქტში ნახსენები იმ ობიექტების მიმართ, რომელთაც მოწინააღმდეგე მხარე იყენებს:

ა) მხოლოდ შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობის არსებობის შენარჩუნებისათვის;

ბ) თუ არსებობის შენარჩუნებისათვის არა, საომარი მოქმედებების პირი მხარდაჭერის მიზნით მაინც, იმ პირობით, რომ ამ ობიექტების წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩადენილი ისეთი ქმედებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო მოსახლეობაში სურსათის ან წყლის ნაკლებობა, შიმშილობა ან იძულებით გასახლება.

4. ამ ობიექტების მიმართ არ ხორციელდება რეპრესალები.

5. აღიარებულია რა კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი მხარის სასიცოცხლო აუცილებლობად თავისი ეროვნული ტერიტორიის დაცვა თავდასხმისაგან, დაშვებულია მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვების დარღვევა კონფლიქტში მყოფი მხარის მიერ მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, სადაც ამას ითხოვს საომარი აუცილებლობა.

მუხლი ნწ. ბუნებრივი გარემოს დაცვა

1. საომარი მოქმედებების დროს გამოვლინდებან ზრუნვა ბუნებრივი გარემოს ფართო, ხანგრძლივი და სარიოზული ზარალისაგან დასაცავად, ამგვარი დაცვა მოიცავს აკრძალვას ომის წარმართვის იმგვარი მეთოდების და საშუალებების გამოყენება, რომელთა მიზანია, ან რომლებმაც შეიძლება ამგვარი ზიანი მიიყენოს ბუნებრივ გარემოს და შესაბამისად — მოსახლეობის ჯანმრთელობას ან არსებობას.

2. რეპრესალების მიზნით ბუნებრივი გარემოებისათვის ზიანის მიყენება აკრძალულია.

მუხლი ნწ. სახიფათო ძალის შემცველი დანადგარების და ნაგებობების დაცვა


1. სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, კერძოდ — კაშხლები, დამბები და ატომური ელექტროსადგურები არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი სამხედრო ობიექტებია. თუ თავდასხმა გამოიწვევს სახიფათო ძალების გამოთავისუფლებას და მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში, ამ დანადგარებსა და ობიექტებზე ან მათ მახლობლად განლაგებულ სამხედრო ობიექტებს თავს არ დაესხმიან, თუ თავდასხმას შეუძლია გამოიწვიოს დანადგარების და ნაგებობებისაგან სახიფათო ძალების გამოთავისუფლება და მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

2. პირველ პუნქტში მითითებულ თავდასხმებისაგან განსაკუთრებული დაცვა წყდება, თუ:

ა) კაშხლები და დამბები გამოიყენება მათი ნორმალური ფუნქციონირებისაგან განსხვავებულად, რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის საომარი მოქმედებების დროს და თუ თავდასხმა ერთადერთი საშუალებაა ამგვარი მხარდაჭერის შეწყვეტისა;

ბ) ატომური ელექტროსადგურების მიმართ, თუ ისინი ელექტროენერგიას გამოიმუშავენ საომარი ოპერაციების რეგულარული წარმოებით და უშუალო მხარდაჭერისათვის და თუ თავდასხმა წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას შეუწყდეს ამგვარი მხარდაჭერა;

გ) ამ ნაგებობებზე და დანადგარებზე ან მათ მახლობლად განლაგებული სამხედრო ობიექტების მიმართ, თუ ისინი გამოიყენება საომარი ოპერაციების რეგულარული, არსებითი და უშუალო მხარდაჭერისათვის და თუ თავდასხმა წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას შეწყდეს ამგვარი მხარდაჭერა.



3. ყველა შემთხვევაში სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული მოქალაქეები განაგრძობენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვის უფლებებით სრულად სარგებლობას, 57-ე მუხლში მითითებული უსაფრთხოების ღონისძიებათა ჩათვლით. თუ დაცვა წყდება ან 1 პუნქტში მითითებულ რომელიმე დანადგარს, ნაგებობას ან სამხედრო ობიექტს თავს ესხმიან, მაშინ მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა პრაქტიკული ღონისძიება, რათა არ მოხდეს სახიფათო ძალების გამოთავისუფლება.

4. რეპრესალიების ობიექტი არ ხდება 1 პუნქტში მითითებული არც ერთი დანადგარი, ნაგებობა ან სამხედრო ობიექტი.

5. კონფლიქტში მყოფი მხარეები უნდა ესწრაფოდნენ, რომ არ განალაგონ I პუნქტში მითითებული დანადგარების ან ნაგებობების მახლობლად სამხედრო ობიექტები. მაგრამ დაშვებულია აიგოს ნაგებობები მხოლოდ თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით. ამ ნაგებობებს თავს არ ესხმიან, თუ ისინი არ გამოიყენება სამხედრო ოპერაციების წარმართვისათვის და მხოლოდ თავდაცვითი მოქმედებებისათვის არის გამოყენებული. მათი შეიარაღება შემოიფარგლება იმ იარაღით, რომელსაც შეუძლია მოიგერიოს ამ ნაგებობებზე მოწინააღმდეგის თავდასხმა.

6. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და კონფლიქტში მყოფ მხარეებს მოუწოდებენ ერთმანეთს შორის დადონ სხვა შეთანხმებები სახიფათო ძალის შემცველი ობიექტების დამატებით დაცვის უზრუნველყოფისათვის.

7. რათა გადავიღდეს მოცემული მუხლით დაცული ობიექტების ამოცნობა, კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ მათი აღნიშვნა სპეციალური ნიშნით — ერთ ღერძზე განლაგებული ღია ნარინჯისფერი წრეების ჯგუფით, როგორც ეს მითითებულია მოცემული ოქმის I დამატების მე-16 მუხლში. ამგვარი ნიშნის არქონა არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს კონფლიქტში მყოფ მხარეებს ამ მუხლით დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

თავი IV. უსაფრთხოების ღონისძიებანი

მუხლი 57. უსაფრთხოების ღონისძიებანი თავდასხმის დროს

1. საომარი მოქმედებების წარმართვისას ზრუნავენ იმაზე, რომ დაინდონ სამოქალაქო მოსახლეობა, სამოქალაქო პირნი და სამოქალაქო ობიექტები.

2. თავდასხმების დროს განხორციელდება უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებანი:

a) ის, ვინც გეგმავს თავდასხმას და მისი განხორციელების გადაწყვეტილებას იღებს:

I) აკეთებს ყველაფერს, რაც პრაქტიკულად შესაძლებელია, რათა დარწმუნდეს, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის არც სამოქალაქო პირი, არც სამოქალაქო ობიექტები და არ სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით, ან მედ წარმოადგენენ სამხედრო ობიექტებს 52-ე მუხლის 2) პუნქტის მნიშვნელობით და რომ მოცემული ოქმის დებულებების შესატყვისად არ იკრძალება მათზე თავდასხმა;

II) იღებს უსაფრთხოების ყველა პრაქტიკულად შესაძლებელ ზომას თავდასხმის საშუალებათა და მეთოდების ასარჩევად, რათა გამორიცხოს შემთხვევითი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, შემთხვევითი დაჭრა სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება, ყოველ შემთხვევაში ყველაფერი ეს მინიმუმამდე უნდა დავიდეს;

111) თავს იკავებს თავდასხმისაგან. რომელიც გამოიწვევს მსხვერპლს და დაჭრას სამოქალაქო მოსახლეობაში, შემთხვევით ზარალს მიაყენებს სამოქალაქო ობიექტებს. ან გამოიწვევს ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება იმ კონკრეტულ საომარ უპირატესობას, რომელიც მოცემულ მომენტში უნდა მიღწეულიყო.

b) თავდასხმა შეჩერდება ან უქმდება, თუ გაირკვა, რომ თავდასხმის ობიექტი სამოქალაქოა, სარგებლობს განსაკუთრებული დაცვით, ან, თუ მოსალოდნელია, რომ თავდასხმა გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს და დაჭრას სამოქალაქო მოსახლეობაში, შემთხვევით ზარალს მიაყენებს სამოქალაქო ობიექტებს ან გამოიწვევს ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება იმ კონკრეტულ საომარ უპირატესობას, რომელიც მოცემულ მომენტში უნდა მიღწეულიყო;

c) მოხდება წინასწარი გაფრთხილება მოსალოდნელი თავდასხმების შესახებ, რომლებიც შეიძლება შეეხოს სამოქალაქო მოსახლეობას, გარდა შემთხვევებისა, როცა გარემოებანი არ იძლევა გაფრთხილების შესაძლებლობებს.

3. როცა შეიძლება არჩევანი გაკეთდეს რამდენიმე თანაბარი ძალის სამხედრო ობიექტს შორის სამხედრო უპირატესობის მისაღწევად, არჩეული იქნება ის ობიექტი, რომელზედაც თავდასხმა მინიმალურ საფრთხეს უქმნის სამოქალაქო პირებს და სამოქალაქო ობიექტებს.

4. ზღვაზე ან ჰაერში საომარი ოპერაციების წარმართვისათვის კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე, შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმებს შესაბამისი თავისი უფლებების და ვალდებულებების თანახმად, გაატარებს უსაფრთხოების ყველა გონივრულ ღონისძიებას: რათა თავიდან აიცილოს მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება.

5. მოცემული მუხლის არც ერთი დებულება ნებას არ რთავს სამოქალაქო მოსახლეობაზე, სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებზე რაიმე სახით თავდასხმას.

მუხლი 58. უსაფრთხოების ღონისძიებანი თავდასხმების შედეგების მიმართ
კონფლიქტში მყოფი მხარეები მაქსიმალურად შესაძლებელი ზომით:

a) ესწრაფიან მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის დებულებათა თანახმად დაუზარებლად გაიყვანონ სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირნი და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი სამოქალაქო ობიექტები სამხედრო ობიექტების მახლობლად განლაგებული რაიონებიდან;


b) თავს არიდებენ სამხედრო ობიექტების განლაგებას მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ან მათ ახლოს;

c) იღებენ უსაფრთხოების ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რათა საომარ ოპერაციების შედეგად აღძრული საშიშროებისაგან დაიცვან სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირნი და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი სამოქალაქო ობიექტები.

თავი V. განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ადგილები და ზონები

მუხლი 59. დაცული ადგილები

- 1. კონფლიქტში მყოფ მხარეებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის თავდასხმა დაუცველ ობიექტებზე
- 2. კონფლიქტში მყოფი მხარის შესაბამის ხელისუფალთ დაცულ ადგილად



შეუძლიათ გამოაცხადონ ნებისმიერი სამოქალაქო პუნქტი, რომელიც შეიარაღებული ძალების ურთიერთშეხების ზონაშია ან მის ახლოს და ღიაა მოწინააღმდეგის მხრიდან ოკუპაციისათვის, ეს ადგილი უნდა პასუხობდეს შემდეგ პირობებს:

- ა) ყველა კომბატანტი, ასევე მობილური საომარი საშუალებანი და სამხედრო აღჭურვილობა ევაკუირებული უნდა იყოს;
- ბ) სტაციონარული სამხედრო დანადგარები ან აღჭურვალობა არ უნდა გამოიყენებოდეს მტრული მიზნებისათვის;
- გ) არც ზეღისუფლებამ, არც მოსახლეობამ არ უნდა ჩაიდინოს მტრული მოქმედებები;
- დ) არ უნდა განხორციელდეს სამხედრო ოპერაციების მხარდამჭერი ღონისძიებანი.

3. ამ ადგილზე კონვენციების და მოცემული ოქმის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ყოფნა; ასევე, კანონიერების და წესრიგის დასაცავად საპოლიციო ძალების ყოფნა; არ ეწინააღმდეგება მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს.

4. მოწინააღმდეგე მხარის სახელზე კეთდება განცხადება, რომელშიც რაც შეიძლება ზუსტად არის განსაზღვრული და აღწერილი დაუცველი ადგილების ფარგლები. კონფლიქტში მყოფი ქვეყანა, რომლის სახელზეც კეთდება ეს განცხადება, ადასტურებს მის მიღებას და მოცემულ ადგილებს ეპყრობა როგორც დაუცველს გარდა შემთხვევებისა, როცა მე-2 პუნქტში მითითებული პირობები ფაქტიურად არ სრულდება. ასეთ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ განმცხადებელ მხარეს. იმ შემთხვევაში, როცა არ არის დაცული მე-2 პუნქტის დებულებები, ასეთი ადგილი სარგებლობს მოცემული ოქმის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებული დაცვით.


5. კონფლიქტში მყოფი მხრეები შეიძლება შეთანხმდნენ რომელიმე ადგილის დაუცველად გამოცხადების შესახებ მაშინაც, როცა ეს ადგილი არ პასუხობს მე-2 პუნქტის პირობებს. ასეთ შეთანხმებებში რაც შეიძლება ნათლად უნდა განისაზღვროს და აღწეროს მოცემული ადგილის საზღვრები. აუცილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება კონტროლის მეთოდები.

6. მხარე, რომლის კონტროლის ქვეშ არის შეთანხმებით განსაზღვრული დაუცველი ადგილი, აღნიშნავს მას რამდენადაც შესაძლებელია, მეორე მხარესთან შეთანხმებული ნიშნებით. ნიშნები განლაგდება თვალსაჩინო ადგილზე, განსაკუთრებით — მოცემული ადგილის პერიმეტრზე, მის საზღვრებზე და გზატკეცილებზე.

7. დაუცველი ადგილი კარგავს რატიუსს, როცა აღარ პასუხობს მე-2 პუნქტის ან მე-5 პუნქტში ნახსენები შეთანხმების პირობებს. ასეთ დროს ეს ადგილი აგრძელებს მოცემული ოქმის დებულებებით და შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით გათვალისწინებულ მფარველობით სარგებლობას.

მუხლი 60. დემილიტარიზებული ზონები

1. კონფლიქტში მყოფ მხარეებს ეკრძალებათ განავრცონ საომარი მოქმედებების წარმოება შეთანხმების საფუძველზე დემილიტარიზებულ ზონად აღიარებულ ტერიტორიაზე, თუ საომარი მოქმედებების გადატანა ამ ზონებზე ეწინააღმდეგება შეთანხმების პირობებს.



2. ეს უნდა იყოს ზეპირად ან წერილობით ნათლად ჩამოყალიბებული შეთანხმება, განხორციელებული უშუალოდ ან მფარველი სახელმწიფოს ან რეზიდენტი მისიერი მიუმხრობელი პუმანიტარული ორგანიზაციის მიერ. შეთანხმება უნდა იყოს ორმხრივი და ურთიერთშეთანხმებული. იგი შეიძლება დაიდოს როგორც მშვიდობიან დროს, ისე საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ.

მისი მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ზუსტად განისაზღვროს დემილიტარიზებული ზონის საზღვრები და, აუცილებლობის შემთხვევაში, დადგინდეს კონტროლის მეთოდები.

3. ამგვარი შეთანხმების საგანი ჩვეულებრივ, არის ნებისმიერი ზონა, რომელიც პასუხობს შემდეგ პირობებს:

- a) ევაკუირებული უნდა იყოს ყველა კომბატანტი, ასევე მობილური საომარი საშუალებანი და საომარი აღჭურვილობა;
- b) სტაციონარული სამხედრო დანადგარები და ნაგებობანი არ უნდა გამოიყენებოდეს მტრული მიზნებისათვის;
- c) არც ხელისუფლებამ, არც მოსახლეობამ არ უნდა ჩაიდინოს მტრული მოქმედებები;
- d) უნდა შეწყდეს სამხედრო ძალისხმევათან დაკავშირებული ყოველგვარი მოღვაწეობა.

კონფლიქტში მყოფი მხარეები შეთანხმდებიან d) პუნქტის პირობების გაგების და იმ პირობის შესახებ, რომლებიც არ შეიძლება დაშვებული იყვნენ დემილიტარიზებულ ზონაში, გარდა მე-4 პუნქტში მითითებული პირობისა.

4. ამ ზონაში კონვენციების და მოცემული ოქმის თანახმად დაცული პირობის და კანონიერებისა და წესრიგის დასაცავად დატოვებული საპოლიციო ძალების ყოფნა არ არღვევს მე-3 პუნქტის პირობებს.

5. მხარე, რომლის კონტროლის ქვეშ არის ეს ზონა, აღნიშნავს მას მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებული ნიშნებით, და რამდენადაც ეს შესაძლებელია, დგამს მათ თვალსაჩინო ადგილებში. განსაკუთრებით — პერიმეტრზე, საზღვრებზე და საავტომობილო გზატკეცილებზე.

6. თუ საომარი მოქმედებები უახლოვდება დემილიტარიზებულ ზონას და კონფლიქტში მყოფი მხარეები ამის შესახებ არ შეთანხმებულან, არც ერთ მათგანს არ შეუძლია ზონების გამოყენება საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული მიზნებისათვის, ან ამ ზონების სტატუსის ცალმხრივად გაუქმება.

7. თუ კონფლიქტში მყოფი ერთ-ერთი მხარე დაარღვევს 3 და 6 პუნქტის დებულებებს, მეორე მხარე თავისუფლდება ამ ზონისათვის დემილიტარიზებულის სტატუსის მიცემის შესახებ შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებებისაგან, ზონა სტატუსს კარგავს. მაგრამ აგრძელებს მოცემული ოქმის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით ვათვალისწინებულ დაცვით სარგებლობას.

თავი VI. სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი #1. განსაზღვრება და გამოყენების სფერო

მოცემული ოქმის მიზნებისათვის

a) „სამოქალაქო თავდაცვა“ — არის ზოგიერთი ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პუმანიტარული ამოცანის შესრულება, რომელთა მიზანია დაიცვას საფრთხისაგან სამოქალაქო მოსახლეობა და დაეხმაროს მას აღმოთბვრას საო-

მათი მოქმედებების ან უბედურებების უშუალო შედეგები, ასევე შექმნილი საფრთხეების ან უსიკვამლოების პირობები. ეს ამოცანებია:

- I) შეტყობინება;
- II) ევაკუაცია;
- III) თავშესაფრის მიცემა და მათი მოწყობა;
- IV) შუქშენილობის ღონისძიებების წარმართვა;
- V) სამაშველო საშუალებები;
- VI) სამედიცინო მომსახურება პირველი დახმარების, ასევე რელიგიური დახმარების ჩათვლით;
- VII) ხანძართან ბრძოლა;
- VIII) სახიფათო რაიონების აღმოჩენა და აღნიშვნა;
- IX) გაუფრთხილება და დაცვის მსგავსი ღონისძიებების განხორციელება;
- X) ბინის მიცემა და მომარაგება;
- XI) უბედურების რაიონში აღდგენითი სამუშაოების წარმართვასა და წესრიგის შენარჩუნებაში სასწრაფო დახმარების გაწევა;
- XII) აუცილებელ კომუნალურ სამსახურთა აღდგენა;
- XIII) ცხედართა სასწრაფოდ დაკრძალვა;
- XIV) არსებობისათვის აუცილებელი ობიექტების დაცვაში დახმარების გაწევა;

XV) დამატებითი მოღვაწეობა, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ზემოხსენებული ამოცანის განსახორციელებლად დაგეგმარების და ორგანიზაციის ჩათვლით, მაგრამ, რომელიც მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

b) „სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები“ აღნიშნავს იმ დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციულ ერთეულებს, რომლებიც შექმნილი ან უფლებამოსილია კონფლიქტში მყოფი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, შეასრულოს ა) პუნქტში მითითებული ნებისმიერი ამოცანა და რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ამ ამოცანების შესასრულებლად;

c) „პერსონალი“ ამ ორგანიზაციებისა შედგება პირებისაგან, რომლებსაც აღნიშნავს კონფლიქტში მყოფი მხარე მხოლოდ ა) პუნქტში მითითებული ამოცანების შესასრულებლად. მასში შედის კონფლიქტში მყოფი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დანიშნული პერსონალი, რომელმაც უნაუხერხებლად ამოიყენებინა ორგანიზაციებს;

d) „მატერიალური ნაწილი“ სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებისა აღნიშნავს ამ ორგანიზაციების მიერ ა) პუნქტში მითითებული ამოცანების გადასატარებლად გამოიყენებულ აღჭურვილობას, მასალას და სატრანსპორტო საშუალებებს.

მუხლი 62. ზოგადი დაცვა

1. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და მათი პერსონალი სარგებლობს პატივისცემით და დაცვით მოცემულა ოქმის, განსაკუთრებით, მოცემული კარის დებულებათა თანახმად. მათ უფლება აქვთ შეასრულონ დაკისრებული ამოცანები, გარდა საომარი აუცილებლობით გამოწვეული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

2. 1 პუნქტის დებულებები გამოიყენება სამოქალაქო პირების მიმართ, რომლებიც მართალია არ არიან სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციის წევრები, მაგრამ კომპეტენტური ხელისუფლების მოწოდებით და მისი კონტროლით ახორციელებენ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს.

3. მოცემული ოკმის 52-ე მუხლი ვრცელდება სამოქალაქო თვდაცვისთვის გამოყენებულ შენობებსა და მატერიალურ ნაწილზე, რომლებზეც განიხილება სამოქალაქო თავდაცვისათვის, ასევე სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილ თავშესაფრებზე. ამ ობიექტების განადგურება ან არადანიშნულები-სამებრ გამოყენება შეუძლია მხოლოდ მხარეს, რომელსაც ისინი ეკუთვნის.

მუხლი 63. სამოქალაქო თავდაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები ხელისუფლებისაგან იღებენ ხელშეკრულებას, რომელიც აუცილებელია მათი ამოცანების გადასასრულად. არც ერთ გარემოებაში მათი პერსონალი იძულებით არ უნდა ასრულებდეს სამუშაოს, რომელიც აფერხებს ძირითადი ფუნქციების შესრულებას. ოკუპაციის მომხდენ ქვეყანას ამ ორგანიზაციების სტრუქტურებსა და პერსონალში შეაქვს იმგვარი შესწორება, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს მათი მოღვაწეობის ეფექტურობას. ამ ორგანიზაციებს არ მოეთხოვებათ პრიორიტეტი მიანიჭონ მითითებული ქვეყნის მოქალაქეებს ან მათ ინტერესებს.

2. ოკუპაციის მომხდენი ქვეყანა არ აიძულებს სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებს იმგვარად შეასრულონ თავიანთი ამოცანები, რომ ამან დამლუბველი გავლენა მოახდინოს სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებზე.

3. ოკუპაციის მომხდენ ქვეყანას შეუძლია სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის განიარაღება უშიშროების მოსაზრებებით.

4. ოკუპაციის მომხდენმა ქვეყანამ დანიშნულება არ უნდა შეუცვალოს სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების კუთვნილ ან მათ მიერ გამოყენებულ შენობებს ან მატერიალურ ნაწილს; არ შეიძლება მათი რეკვიზიცია. თუ ეს აზარალებს სამოქალაქო მოსახლეობას.

5. იმ პირობით, რომ მე-4 პუნქტის ზოგადი დებულება დაცული იქნება, ოკუპაციის მომხდენ ქვეყანას შეუძლია ამ რესურსების რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა შემდეგ კონკრეტულ პირობებში:

a) თუ ეს შენობები ან მატერიალური ნაწილი აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის სხვა საჭიროებისათვის;

b) რეკვიზიცია ან დანიშნულების შეცვლა გაგრძელდება ვიდრე ეს აუცილებელია.

6. ოკუპაციის მომხდენმა ქვეყანამ არ უნდა მოახდინოს მოსახლეობის მიერ გამოყენებული ან მისთვის აუცილებელი თავშესაფრების არც რეკვიზიცია, არც დანიშნულების შეცვლა.

მუხლი 64. ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები და საერთაშორისო მაკოორდინირებელი ორგანიზაციები

1. 62, 63, 65 და 66 მუხლების დებულებები გამოიყენება ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე სხვა სახელმწიფოების სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების პერსონალის და მატერიალური ნაწილის მიმართ, რომელიც ასრულებს 61-ე მუხლში მითითებულ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს კონფლიქტში მყოფი მხარის ტერიტორიაზე მისა თანხმობით და კონტროლით. ნებისმიერ დაინტერესებულ მოწინააღმდეგე მხარეს აცნობებენ ამგვარი დახმარების გაწევის შესახებ უმოკლეს დროში. ეს მოღვაწეობა არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება კონფლიქტში ჩარევად, მაგრამ იგი უნდა განხორ-

ციელდეს დაინტერესებული მხარეების უშიშროების ინტერესების სათანადო გათვალისწინებით.

2. კონფლიქტში მყოფი მხარეები, რომლებიც 1 პუნქტში მითითებულ მხარებას იღებენ და ამგვარი დახმარების გამწევი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებული არიან აუცილებლობის შემთხვევაში ხელი შეუწყონ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მოღვაწეობის საერთაშორისო კოორდინაციას.

ასეთ დროს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებზე კრცელდება მოცემული თავის დებულებანი.

3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოკუპაციის მომხდენმა ქვეყანამ შეიძლება აკრძალოს ან შეზღუდოს ნეიტრალური ან კონფლიქტში არმონაწილე სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების მოღვაწეობა იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია უზრუნველყოს სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების სათანადოდ შესრულება საკუთარი სახსრებით ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებით.

მუხლი 8. დაცვის შეწყვეტა

1. დაცვა, რომლითაც სარგებლობენ სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები, მათი პერსონალი, შენობები, თავშესაფრები, და მატერიალური ნაწილი, წყდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარდა პირდაპირი მოვალეობისა, გამოიყენება მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოღვაწეობისათვის ან სჩადიან ამგვარ ქმედებას. მაგრამ დაცვა შეწყდება მხოლოდ მაშინ, როცა გასულია სათანადო გაფრთხილებით დადგენილი ვადა და როცა ამ გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო.

2. შემდეგი ქმედებები არ ჩაითვლება მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებად:

- a) სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა განხორციელება სამხედრო ხელისუფალთა ხელმძღვანელობით ან კონტროლით;
- b) სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის თანამშრომლობა სამხედრო პირებთან სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად ან სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებში გარკვეული ოდენობის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობა;
- c) ის გარემოება, რომ სამოქალაქო თავდაცვის მიერ შესრულებულ ამოცანათა შედეგებით თანაბრად შეიძლება ისარგებლონ წყობიდან გამოსულმა სამხედრო პირებმა.

3. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალის (სთსპ — შემდგომში — მთარგმნელის შენიშვნა) მიერ პირადი მსუბუქი იარაღის ტარება წესრიგის დასაცავად ან თავდაცვისათვის არ ითვლება მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებელ მოქმედებად. მაგრამ ხმელეთის იმ რაიონში, სადაც ადგილი აქვს ან მოხდება ბრძოლები, კონფლიქტში მყოფი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რომ ამ რაიონში მყოფი სთსპ-ს პირადი იარაღი შემოიფარგლებოდეს პისტოლეტებით ან რევოლვერებით, რათა გაადვილდეს მათი გარჩევა კომბატანტებისაგან. იმ შემთხვევებშიც, როცა სთსპ სხვა სახის იარაღს ატარებს, იგი ისარგებლებს პატივისცემით და დაცვით ამოცნობის შემდეგ.

4. სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციების (სთსო) ფორმირება სამხედრო ყაიდაზე და მათში იძულებითი სამსახური არ ართმევს ამ ორგანიზაციებს ამ თავით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლებას.

1. კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე ესწრაფვის მიიღოს ზომები, რათა მისი სთსო, მათი პერსონალი, შენობები, მატერიალური ნაწილი ამოცანების იქნეს იმ დროს, როცა ისინი მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს ასრულებენ. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო მოსახლეობის მიერ გამოყენებული თავშესაფრების ამოცნობა.

2. კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე ესწრაფვის მიიღოს და გამოიყენოს მეთოდები და პროცედურები, რომლებიც საშუალებას იძლევა ამოცნობილ იქნეს სამოქალაქო თავშესაფრები, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალი, შენობები და მატერიალური ნაწილი, რომლებიც ატარებენ სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელ ნიშანს.

3. ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რაიონებში, სადაც მიმდინარეობს ან შეიძლება მოხდეს ბრძოლები, სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო პერსონალი ამოცნობილი იქნება სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნით და მისი სტრუქტურის დამადასტურებელი პირადობის მოწმობით.

4. სამოქალაქო თავდაცვითი საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანია ნარინჯისფერ ფონზე გამოსახული თანაბარფერი და ცისფერი სამკუთხედი, როცა ის გამოიყენება სამოქალაქო თავდაცვის, სამოქალაქო ორგანიზაციების, პერსონალის, შენობების და მატერიალური ნაწილის, ასევე სამოქალაქო თავშესაფრების დასაცავად.

5. გარდა განმასხვავებელი ნიშნებისა, კონფლიქტში მყოფი მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სამოქალაქო თავდაცვის ამოსაცნობად განმასხვავებელი სასიგნალო ნიშნების გამოყენებაზე.

6. მოცემულ მუხლის 1-4 პუნქტების დებულებათა გამოყენების რეგლამენტაცია ხდება ამ ოქმის I დამატების V თავით.

7. მშვიდობიან დროს მე-4 პუნქტში მითითებული განმასხვავებელი ნიშნებით სარგებლობა შეიძლება კომპეტენტური სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობით სამოქალაქო თავდაცვის ამოსაცნობად.

8. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები და კონფლიქტში მყოფი მხარეები იღებენ აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყონ სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნის გამოყენება და აღკვეთონ ან თავიდან აიცილონ მისი ბოროტად გამოყენება.

9. სამოქალაქო თავდაცვის სამედიცინო ფორმირებათა და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების სამედიცინო და სასულიერო პერსონალის ამოცნობა რეგლამენტირებულია მე-18 მუხლით.

მუხლი 67. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში გამწესებული სამხედრო შენაერთები და შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა

1. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში გამწესებული სამხედრო შენაერთები და შეიარაღებულ ძალთა პირადი შემადგენლობა სარგებლობენ პატივისცემით და დაცვით იმ პირობით, რომ:

a) ისინი გამწესებული არიან მუდმივად და მხოლოდ 61-ე მუხლში მითითებულ ამოცანებს ასრულებენ;

b) ამგვარად გამწესებული პირადი შემადგენლობა კონფლიქტის დროს არ ასრულებს რაიმე სხვა სამხედრო მოვალეობას;

c) ამგვარი პირადი შემადგენლობა გამოსაჩენ ადგილზე ატარებს რაც შეიძლება დიდ სამოქალაქო თავდაცვის აღმნიშვნელ განმასხვავებელ ნიშანს და



ამით განიჩევა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი სხვა უზრუნველყოფის ბისაგან. იგი უზრუნველყოფილია მოცემული ოქმის I დამატების V თავში მითითებული პირადობის მოწმობით, რომელიც ადასტურებს მის სტატუსს;

d) ამგვარი პირადი შემადგენლობა და სამხედრო შენაერთები შეიარაღებული არიან მხოლოდ მსუბუქი იარაღით წესრიგის დასაცავად და თავდაცვისათვის. 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებანი გამოიყენება ამ შემთხვევაშიც;

e) ამგვარ პირადი შემადგენლობა უშუალოდ არ მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში, ასრულებს მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს, არ ასრულებს და არ გამოიყენება მოწინააღმდეგისათვის საზიანო მოქმედებისათვის;

f) ამგვარი პირადი შემადგენლობა და სამხედრო შენაერთები სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს ასრულებენ მხოლოდ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ე) პუნქტში მითითებული დებულებების შესრულება შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია a) და b) პუნქტებში მითითებული პირობებით, იკრძალება.

2. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი და სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციებში მომსახურე პირნი მოწინააღმდეგის ხელში მოხვედრისას სამხედრო ტყვეები ხდებიან. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აუცილებლობის შემთხვევაში მათი გამოყენება შეიძლება სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად მხოლოდ ამ ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებისათვის და იმ პირობით, რომ თუ შესასრულებელი სამუშაო სახიფათოა, მის შესრულებაზე ისინი ნებაყოფლობით აცხადებენ თანხმობას.

3. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციაში გაქვეყნებული სამხედრო შენაერთების შენობები, აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებანი მკაფიოდ აღინიშნება სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშნით, ეს ნიშანი მკაფიოდ უნდა ჩანდეს შორი მანძილიდანაც.

4. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესასრულებლად გამოყენებული სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციებში გამწესებული სამხედრო შენაერთების მატერიალური ნაწილი და შენობები მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრისას ემორჩილება ომის კანონებს. არ შეიძლება მათი სხვა მიზნებით გამოყენება ვიდრე ისინი საჭიროა სამოქალაქო თავდაცვის ამოცანათა შესასრულებლად. გამონაკლისია გადაუდებელი საომარი აუცილებლობის შემთხვევები, როცა სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროებათა სათანადოდ უზრუნველყოფისათვის წინასწარ იკნება მიღებული ზომები.

კარნი II. სამოქალაქო მოსახლეობის დანმარება

მუხლი 48. გამოყენების სფერო

მოცემული კარის დებულებები გამოიყენება ამ ოქმით განსაზღვრული სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ და წარმოადგენს 23, 55, 59, 60, 61, 62-ე მუხლების და მეოთხე კონვენციის შესაბამისი დებულებების დამატებას.

მუხლი 49. ძირითადი მოთხოვნები ოკუპირებულ ტერიტორიაზე

1. მეოთხე კონვენციის 55-ე მუხლში მითითებული ვალდებულებების გარდა, რომლებიც ეხება სურსათით და მედიკამენტებით მომარაგებას, ოკუპაციის მომხდენი ქვეყანა იყენებს ყველა არსებულ საშუალებას და ყოველგვარი არახელსაყრელი განსხვავებების გარეშე უზრუნველყოფს მომარაგებას ტანსაცმ-

ლით, საძილე მოწყობილობებით, თავშესაფრისათვის აუცილებელი საშუალებებით და ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო სხვა მარაგით. ასევე რელიგიური რიტუალების აღსრულებისათვის საჭირო საგნებით.

2. ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის დახმარების გაწევა რეგულირდება მეოთხე კონვენციის 59, 60, 61, 62, 108, 109, 110-ე და 111-ე მუხლებით, ასევე მოცემული ოქმის 71-ე მუხლით და ხორციელდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 70. ოპერაციები დახმარების გასაწევად

1. თუ კონფლიქტში მყოფი მხარის კონტროლს დაქვემდებარებული, მაგრამ არაოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობა არასაკმარისად მარაგდება 69-ე მუხლში მითითებული მასალით, მაშინ ტარდება ჰუმანიტარული და მიუმხრობელი ხასიათის ოპერაციები დახმარების გასაწევად. ისინი ხორციელდება ყოველგვარი არახელსაყრელი გარემოების საფუძველზე განსხვავების გარეშე, ამგვარი ოპერაციების ჩატარებაში დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებებით. ზემოხსენებული პიროვნების დამაკმაყოფილებელი დახმარების გაწევა არ ითვლება შეიარაღებულ კონფლიქტში ჩარევად ან არამეგობრულ მოქმედებად. დახმარების ტვირთის განაწილებისას პრიორიტეტი ეკუთვნის ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, მშობიარეებს, მეძუძურ დედებს, რომლებიც მეოთხე კონვენციის ან მოცემული ოქმის შესაბამისად სარგებლობენ განსაკუთრებული შეღავათებით და დაცვით.

2. კონფლიქტში მყოფი მხარეები და მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე ნებას რთავს სწრაფად და შეუფერხებლად გატარდეს ყველა ტვირთი-მოწყობილობა და პერსონალი, რომელიც საჭიროა ამ კარის თანახმად დახმარების აღმოსაჩენად და ხელს უწყობენ მათ გატარებას იმ შემთხვევაშიც, როცა ამგვარი დახმარება განკუთვნილია მოწინააღმდეგე მხარის სამოქალაქო მოსახლეობისათვის.

3. კონფლიქტში მყოფ მხარეებს და მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ მხარეს, რომელიც ნებას დართავს გატარდეს მე-2 პუნქტის თანახმად დახმარებისათვის განკუთვნილი ტვირთი, აუქუურვილობა და პერსონალი:

a) უფლება აქვს შემოიღოს ტექნიკური ზომები, ტვირთის დათვლიერების ჩათვლით, რომელთა შესრულების შემთხვევაში ნებადართული იქნება ტვირთის გატარება;

b) შეუძლია ტვირთი გაატაროს იმ პირობით, რომ მისი განაწილება ადგილზე მოხდეს მფარველი სახელმწიფოს კონტროლით;


c) არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეცვალოს დახმარების ტვირთის დანიშნულება, არც მისი შეჩერება; გარდა შესაბამისი სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობისა.

4. კონფლიქტში მყოფი მხარეები უზრუნველყოფენ დახმარების ტვირთის დაცვას და ხელს უწყობენ მათ სწრაფად განაწილებას.

5. კონფლიქტში მყოფი მხარეები და მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი დაინტერესებული მხარე ახალისებს 1 პუნქტში მითითებული დასახმარებელი ოპერაციების ეფექტურ საერთაშორისო კოორდინაციას და ხელს შეუწყობს მას.

მუხლი 71. დახმარების აღმოსაჩენ ოპერაციებში მონაწილე პერსონალი

1. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარების ოპერაციების, განსაკუთრე-



ბით; ტვირთის ტრანსპორტირებისა და განაწილებისათვის საჭირო პერსონალის გამოყოფა შეიძლება შეადგენდეს ამ ოპერაციების ნაწილს. პერსონალს წილგებაზე უნდა დათანხმდეს მხარე, რომლის ტერიტორიაზეც, პერსონალი შესარულებს თავის მოვალეობებს.

2. ამგვარი პერსონალი სარგებლობს პატივისცემით და დაცვით.

3. ყოველი მხარე, რომელიც იღებს დახმარების ტვირთს, მაქსიმალურად შეეცდება დაეხმაროს I პუნქტში მითითებულ პერსონალს მისი მისიის შესრულებაში. მხოლოდ გადაუდებელი საომარი მოთხოვნებით შეიძლება ამგვარი პერსონალის მოღვაწეობის და მისი გადაადგილების დროებით შეზღუდვა.

4. დახმარების ოპერაციების პერსონალი არც ერთ გარემოებაში არ უნდა გადაცილდეს მოცემული ოქმის შესაბამისად განსაზღვრულ მისიის ფარგლებს. კერძოდ, მხედველობაში უნდა მიიღოს იმ მხარის უშიშროების მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც აღასრულებს თავის მოვალეობას. მოცემული პერსონალის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი პირის მოღვაწეობა, რომელიც არ ასრულებს ამ პირობებს, შეიძლება შეწყდეს.

პარი III. კონფლიქტში მონაწილე მხარის ხელისუფლების ძველ მყოფ პირებთან მრავლობა

თავი I. გამოყენების სფერო და პირთა და ობიექტების დაცვა

მუხლი 72. გამოყენების სფერო

მოცემულ კარში შემავალი დებულებანი წარმოადგენს დამატებას მეოთხე კონვენციის I და II ნაწილების ნორმებისა, რომლებიც ეხება კონფლიქტში მონაწილე მხარის ხელისუფლების ქვეშ მყოფი სამოქალაქო პირების და სამოქალაქო ობიექტების ჰუმანიტარულ დაცვას, ასევე დამატებას საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვის შესახებ არსებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებისა.

მუხლი 73. ლტოლვილები და აპატრიდები


პირნი, რომლებიც საომარი მოქმედებების დაწყებამდე ითვლებოდნენ აპატრიდებად ან ლტოლვილებად დაინტერესებული მხარეების მიერ მიღებული შესაბამისი საერთაშორისო აქტების, ან თავშესაფრის მიმცემი, ან მათი საბინადრო სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენენ პირებს, რომლებიც სარგებლობენ მეოთხე კონვენციის I და III ნაწილების დაცვით ნებისმიერ გარემოებაში და ყოველგვარი არახელსაყრელი განსხვავების გარეშე.

მუხლი 74. გაყოფილი ოჯახების შეერთება

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები და კონფლიქტში მყოფი მხარეები, ნებისმიერი შესაძლო გზით ხელს უწყობენ შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად გაყოფილი ოჯახების შეერთებას და კერძოდ, წახალისებენ ამ ამოცანის განმახორციელებელ ჰუმანიტარული ორგანიზაციის მუშაობას კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებების და უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

მუხლი 75. ძირითადი გარანტიები

1. იმ ზომით, რამდენადაც მათ ეხებათ მოცემული ოქმის I მუხლში თითოეული სიტუაცია, კონფლიქტში მონაწილე მხარის ხელისუფლების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც არ სარგებლობენ კონვენციების და მოცემული ოქ-



მის შესატყვისი ხელსაყრელი მოპყრობით, ნებისმიერ გარემოებაში სარგებლობენ ჰუმანური მოპყრობით და როგორც მინიმუმი, მოცემული მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლებით რასაზე, კანის ფერზე, სქესზე, ენაზე, რელიგიასა და აღმსარებლობაზე, პოლიტიკურ ან სხვა შეხედულებებზე, ეროვნულ ან სოციალურ წარმომავლობაზე, ქონებრივ მდგომარეობაზე, დაბადებას ან სხვა სტატუსზე ან სხვა მსგავს კრიტერიუმებზე დაფუძნებული არაზღვსაყრელი განსხვავების გარეშე. ყოველი მხარე პატივისცემით უნდა მოეპყრას ასეთ პირთა პიროვნულ ღირსებას, შეხედულებებს, რელიგიურ ადათებს.


2. იკრძალება და ნებისმიერ დროსა და ადგილზე აიკრძალება შემდეგი ქმედებები დამოუკიდებლად იმისგან, ასრულებს მას სამოქალაქო თუ სამხედრო ორგანოები:

- a) ამგვარ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე ძალადობა, კერძოდ:
 - I) მკვლელობა;
 - II ყველა სახის — ფიზიკური თუ ფსიქიკური წამება;
 - III) სხეულის დამაზიანებელი სასჯელები;
 - IV) დასახიჩრება;
- b) ადამიანური ღირსების შელახვა, დამამცირებელი და შეურაცხყოფელი მოპყრობა, პროსტიტუციის იძულება ან ნებისმიერი ფორმით უღირსი ხელყოფა;
- c) მძევლად აყვანა;
- d) კოლექტიური დასჯა და
- e) მუქარა, რომ ჩადენილი იქნება რომელიმე ზემონახსენები ქმედება.

3. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით დაპატიმრებული დაკავებული ან ინტერნირებული ნებისმიერი პირი მისთვის გასაგებ ენაზე ინფორმირებული უნდა იყოს ამ ზომების მიღების მიზეზების გამო. გარდა სისხლის სამართლის სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაპატიმრების ან სხვა მიზეზით დაკავების შემთხვევებში, ამგვარი პირნი უმოკლეს დროში უნდა გათავისუფლდნენ, როცა პატიმრობის, დაკავების და ინტერნირების გამომწვევი მიზეზები შეწყვეტს არსებობას.

4. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს არ შეიძლება გამოუტანონ განაჩენი, არ შეიძლება მისი დასჯა, თუ სასჯელი გამოტანილი არ არის მიუმხრობელი და შესაბამისად დაწესებული სასამართლოს მიერ, რომელიც იცავს სასამართლოს საქმის წარმოების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს:

- a) პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ბრალდებული დაუყოვნებლივ იქნეს ინფორმირებული მისთვის წაყენებული ბრალდების დეტალების შესახებ და მას სასამართლომდე და სასამართლოზე საქმის მოსმენის დროს უნდა მიეცეს დაცვის ყველა აუცილებელი უფლება და საშუალება;
- b) რომელიმე პირის გასამართლება შეიძლება მხოლოდ პირადი სასამართლო პასუხისმგებლობის საფუძველზე;
- c) არ შეიძლება რომელიმე პირს წაუყენონ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდება ან გასამართლონ ნებისმიერი ქმედების ან გამორჩენის საფუძველზე, რომელიც არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულის ეროვნული კანონმდებლობის ან საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომელთა მოქმედება გრცელდება აღნიშნულ პირზე. ასევე შეუძლებელია გამოტანილი იქნეს უფრო მკაცრი სასჯელი ვიდრე ის, რომელიც გამოყენებული იყო მო-



ცემული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილია უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მოცემულ ბრალდებულზეც;

d) ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება ვიდრე, არ დადგინდება კანონით მისი დანაშაული;

e) ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს წესით საქმის განხილვა მისი თანდასწრებით;

f) არცერთი პირი არ უნდა აიძულოს ჩვენება მისცეს თავის საზიანოდ ან ალიაროს თავი დამნაშავედ;

g) ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები ან მოითხოვოს, რომ ეს მოწმეები დაკითხონ. ასევე უფლება აქვს იმავე პირობებით გამოიძახონ და დაკითხონ მოწმეები, რომლებიც მის სასარგებლოდ აძლევენ ჩვენებას;

h) პირი, რომელსაც კანონის და სასამართლო პროცედურის თანახმად გამოტანილი ჰქონდა მისი გამამართლებელი ან დამსჯელი საბოლოო განაჩენი, არ განიცდის ხელმოკრედ დევნას ან დასჯას იმავე სამართალდარღვევისათვის იგივე სახელმწიფოს მხრიდან;

i) ყოველ პირს, რომელიც სამართალდარღვევისათვის სასამართლოს წესით იდევნება, უფლება აქვს მისი განაჩენი გამოცხადდეს საჯაროდ;

j) ბრალდებულს განაჩენის დროს აცნობებენ, რომ უფლება აქვს სასამართლოს ან სხვა წესით გაასაჩივროს განაჩენი, აცნობებენ ამ უფლებით სარგებლობის ვადის შესახებაც.

5. ქალები, რომელთა თავისუფლება შეზღუდულია შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზებით, თავსდებიან მამაკაცებისაგან განცალკევებულ შენობაში და იმყოფებიან ქალთა პერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ, როცა დაკავებული ან ინტერნირებულია ოჯახი, მათ შესაძლებლობების მიხედვით, ათავსებენ ერთსა და იმავე ადგილზე, როგორც ცალკე ოჯახს.

6. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით დაპატიმრებული, დაკავებული ან ინტერნირებული პირნი მათ საბოლოო განთავისუფლებამდე დაცული არიან მოცემული მუხლით.

7. რათა აცილებული იქნეს ყოველგვარი ექვემი საომარი დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის პირთა დევნის და მათი სასამართლოს წინაშე წარდგენის მიმართ, გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

a) ამგვარი დანაშაულის ჩადენაში ექვემიტანილ პირთა დევნა და სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად;

b) ნებისმიერი ასეთი პირი მიუხედავად იმისა, არის თუ არა მის მიერ ჩადენილი დანაშაული კონვენციების ან მოცემული ოქმის სერიოზული დარღვევა, რომელიც არ სარგებლობს კონვენციების ან მოცემული ოქმის შესაბამისად უფრო ხელსაყრელი მოპყრობით, სარგებლობს ამ მუხლით გათვალისწინებული მოპყრობით.

8. მოცემული მუხლის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს ზღუდავს ან ჩქმალავს 1 პუნქტში მითითებულ პირებისათვის გა-

თავი II. ღონისძიებანი ქალთა და გავრვთა დასაცავად

მუხლი 76. ქალების დაცვა

1. ქალები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით და ისინი უზრუნველყოფილი არიან დაცვით გაუბატიურების, ძალდატანებით პროსტიტუციის და ნებისმიერი ფორმის უღირსი ხელყოფისაგან.

2. შეიარაღებული კონფლიქტის გამო დაკავებული, დაპატიმრებული ან ინტერნირებული ფეხმძიმე ქალების, მცირეწლოვანი შვილების პატრონი დედების საქმეები განიხილება პირველ რიგში.

3. კონფლიქტში მყოფი მხარეები მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში შეეცდებიან უარი თქვან სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც ჩადენილია ფეხმძიმე ქალების ან მცირეწლოვანი შვილების პატრონი დედების მიერ. მათ მიმართ სასიკვდილო განაჩენი არ იქნება მოყვანილი სისრულეში.

მუხლი 77. ბავშვების დასაცავად მიღებული ღონისძიებანი

1. ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით და უზრუნველყოფილი არიან ნებისმიერი სახის უღირსი ხელყოფისაგან დაცვით. კონფლიქტში მყოფი მხარეები უზრუნველყოფენ მათ დაცვას და დანებარების გაწევას მათი ასაკის და სხვათა გათვალისწინებით.

2. კონფლიქტში მყოფი მხარეები მიიღებენ ყველა პრაქტიკულ ზომას, რათა 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა სამარ მოქმედებებში და კერძოდ, მხარეები თავს იკავებენ შეიარაღებულ ძალებში სამუშაოდ მათი დაბეგვისაგან. თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა დაბეგვრის დროს უპირატესობა ენიჭებათ უფროსი ასაკის პირებს.

3. თუ გამონაკლისის პირობებში, სამარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობას იღებენ და მოწინააღმდეგის ხელში ხვდებიან 15 წლამდე ასაკის პირნი, ისინი დაცული არიან მოცემული მუხლით. მიუხედავად იმისა, არიან თუ არა სამხედრო ტყვეები.

4. შეიარაღებული კონფლიქტის გამო დაპატიმრებული, დაკავებული ან ინტერნირებული ბავშვები თავსდებიან მოზრდილებისათვის განკუთვნილი შენობისაგან განცალკევებულ შენობაში, გარდა შემთხვევისა, როცა 75-ე მუხლია მე-5 პუნქტის თანახმად ერთად თავსებენ ოჯახებს.

5. შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი სისრულეში არ მოიყვანება დანაშაულის ჩადენის მომენტში 18 წლამდე არმიღწეული პირების მიმართ.

მუხლი 78. ბავშვების ევაკუაცია

1. კონფლიქტში მყოფი მხარე სხვა სახელმწიფოში მხოლოდ საკუთარი მოქალაქე ბავშვების ევაკუაციის გადაწყვეტილებას მიიღებს. გარდა დროებითი ევაკუაციის შემთხვევებისა, რომელიც აუცილებელია ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის ან მკურნალობისათვის, თუ ისინი არ არიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე — მათი უშიშროებისათვის. თუ მოინანა მშობლები ან კანონიერი მზრუნველები, საჭიროა მათი წერილობითი თანხმობა ევაკუაციაზე, თუ ასეთი პირნი არ აღმოჩნდნენ, მაშინ საჭიროა წერილობითი თანხმობა პირებისა, რომ-

ლებიც კანონის ან ადათის მიხედვით პასუხს აგებენ ბავშვებზე. ნებისმიერი ასეთი ევაკუაცია მიმდინარეობს სახელმწიფოს ზედამხედველობით დაინტერესებულ მხარეებთან. ე. ი. მხარესთან, რომელიც ევაკუაციას ახორციელებს და მხარესთან, რომელიც იღებს ბავშვებს და ნებისმიერ მხარეებთან, რომლის მოქალაქეთა ევაკუაციაც ხდება შეთანხმებით. კონფლიქტში მყოფი ყველა მხარე მიიღებს პრაქტიკულად შესაძლო ყოველ ზომას ევაკუაციის დროს საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

2. 1 პუნქტის შესაბამისად ევაკუაციის განხორციელების ყველა შემთხვევაში ყოველი ბავშვის სწავლება, რელიგიური და მორალური აღზრდის ჩათვლით, მისი მშობლების სურვილის თანახმად, უზრუნველყოფილია ევაკუაციაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე შეუწყვეტლივ.

3. მოცემული მუხლის თანახმად ევაკუირებული ბავშვების თავიანთ ოჯახებსა და ქვეყნებში დაბრუნების გაადვილების მიზნით ევაკუაციის მომხდენი ქვეყნის, და როცა ეს მიზანშეწონილია, მიმღები ქვეყნის ხელისუფალნი თითოეული ბავშვის სახელზე ავსებენ ბარათს სურათითურთ და აგზავნიან მას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცენტრალურ ცნობათა სააგენტოში. თითოეულ ბარათში, როცა ეს შესაძლებელია და ზიანს არ მიაყენებს ბავშვს, აღინიშნება შემდეგი ინფორმაცია:

- a) გვარი (გვარები);
- b) სახელი (სახელები);
- c) სქესი;
- d) დაბადების ადგილი და თარიღი (თუ დაბადების თარიღი ცნობილი არ არის, მიახლოებითი ასაკი);
- e) მამის სრული სახელი;
- f) დედის სრული სახელი და თუ ცნობილია, ქალიშვილობის გვარი;
- g) ბავშვის უახლოესი ნათესავები;
- h) ეროვნება;
- i) მშობლიური ენა და ენები, რომელზედაც ლაპარაკობს;
- j) ოჯახის მისამართი;
- k) ნებისმიერი პირადი ნომერი;
- l) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- m) სისხლის ჯგუფი;
- n) განმასხვავებელი ნიშნები;
- o) ჰოვნის ადგილი და თარიღი;
- p) თავისი ქვეყნიდან გასვლის თარიღი და გასვლის ადგილის დასახელება;
- q) რელიგია;
- r) მიმღებ ქვეყანაში მისამართი;
- s) დაბრუნებამდე ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების თარიღი, ადგილი, გარემოებანი და დაკრძალვის ადგილი.

თავი III. ყურნალისტები

მუხლი 78. ყურნალისტთა დაცვის ღონისძიებანი

1. შეიარაღებული კონფლიქტების რაიონში სახიფათო პროფესიონალურ მივლინებაში მყოფი ყურნალისტები ითვლებიან სამოქალაქო პირად 50-ე მუხლის 1 პუნქტის მნიშვნელობით.

2. ისინი სარგებლობენ კონვენციების და მოცემული ოქმის დაცვის უფლებით იმ პირობით, რომ არ სჩადიან სამოქალაქო პირის სტატუსთან შეუფერხებელ ქმედებას და არ აზარალებენ მესამე კონვენციის A/4 მუხლებში მითითებულ შეიარაღებულ ძალებში აკრედიტებული საომარი კორესპონდენტების უფლებებს.

3. ისინი მიიღებენ პირადობის მოწმობას — ამ ოქმის II დამატების ნიმუშის მიხედვით შედგენილს; მოწმობა გაიცემა სახელმწიფოს მიერ, რომლის მოქალაქეც არის ყურნალისტი ან სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ის მუდმივად ცხოვრობს ან სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საინფორმაციო სააგენტო, სადაც ის მუშაობს. მოწმობა ადასტურებს მისი, როგორც ყურნალისტის სტატუსს.

ნაწილი V. კონვენციების და მოცემული ოქმის შესრულება

პარი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 80. ღონისძიებანი შესრულებისათვის

1. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფი მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას, რათა შეასრულონ კონვენციებით და მოცემული ოქმით მათზე დაკისრებული ვალდებულებანი.


2. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფი მხარეები იძლევიან ბრძანებას და განკარგულებებს კონვენციების და მოცემული ოქმის შესრულების უზრუნველყოფისათვის და ახორციელებენ მათ შესრულებაზე კონტროლს.

მუხლი 81. წითელი ჯვრის და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების მოღვაწეობა

1. კონფლიქტში მყოფი მხარეები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს აძლევენ ყველა შესაძლო საშუალებას, რათა მან შეასრულოს კონფერენციებით და მოცემული ოქმით მასზე დაკისრებული ფუნქციები კონფლიქტის მსხვერპლთა დასახმარებლად და დასაცავად. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია განახორციელოს ნებჰსმიერი სხვა ჰუმანიტარული მოღვაწეობა ამ მსხვერპლთა სასარგებლოდ კონფლიქტში მყოფი დაინტერესებული მხარეების თანხმობით.

2. კონფლიქტში მყოფი მხარეები წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) შესაბამის ორგანიზაციებს აძლევენ საშუალებას განახორციელონ ჰუმანიტარული მოღვაწეობა შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დასახმარებლად კონვენციების, მოცემული ოქმის და წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების მიერ ფორმულირებული წითელი ჯვრის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფი მხარეები ყველა შესაძლო საშუალებით ხელს უწყობენ დახმარებას, რომელსაც წითელი ჯვრის (წითელი ნ/მთვარის, წითელი ლომის და მზის) ორგანიზაციები და წითელი ჯვრის ორგანიზაციათა ლიგა უწყევს შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა კონვენციების, მოცემული ოქმის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციების მიერ ფორმულირებული წითელი ჯვრის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.



4. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფი მხარეები რამდენიმე დღე დაეშინებოდნენ, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საშუალებას მისცემენ კონვენციებსა და მოცემულ ოქმში აღიარებულ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, რომლებიც კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ სათანადოდ არიან უფლებამოსილნი, განახორციელონ თავიანთი ჰუმანიტარული მოღვაწეობა კონვენციების და მოცემული ოქმის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 82. იურიდიული მრჩევლები შეიარაღებულ ძალებში

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ნებისმიერ დროს, და კონფლიქტში მყოფი მხარეები შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში უზრუნველყოფენ იურიდიული მრჩევლების ყოფნას, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში სათანადო დონეზე მისცემენ რჩევას სამხედრო ხელმძღვანელობას კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენების თაობაზე და მოახდენენ ამ საკითხზე შეიარაღებული ძალების ინსტრუქტაჟს.

მუხლი 83. გავრცელება

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, როგორც მშვიდობიანი, ისე შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რაც შეიძლება ფართოდ გავრცელონ კონვენციები და მოცემული ოქმა თავიანთ ქვეყნებში და კერძოდ, შეიტანონ მათი სწავლება სამხედრო მომზადების პროგრამებში და წახალისონ სამოქალაქო მოსახლეობა მათი შესწავლისათვის, რათა ამ დოკუმენტებს იცნობდნენ როგორც შეიარაღებული ძალები, ისე სამოქალაქო მოსახლეობა.

2. ნებისმიერი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტების დროს ეკისრება პასუხისმგებლობა კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენებაზე, სრულად უნდა იცნობდეს მათ ტექსტებს.

მუხლი 84. გამოყენების წესები

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები უმოკლეს დროში დეპოზიტარის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით ერთმანეთს უგზავნიან მოცემული ოქმის ოფიციალურ თარგმანებს, ასევე მისი განხორციელების უზრუნველყოფისათვის მიღებულ კანონებს და დებულებებს.


პარი II. კონვენციების და მოცემული ოქმის დარღვევათა აღკვეთა

მუხლი 85. მოცემული ოქმის დარღვევათა აღკვეთა

1. კონვენციის დებულებანი მისი დარღვევის და სერიოზული დარღვევების აღკვეთის შესახებ ამ კარის დებულებათა დამატებით, გამოიყენება მოცემული ოქმის დებულებათა დარღვევის და სერიოზული დარღვევების აღსაკვეთად.

2. კონვენციების თანახმად სერიოზულ დარღვევებად მიჩნეული დარღვევები ანალოგიურად სერიოზულ დარღვევად ითვლება მოცემული ოქმის შემთხვევაშიც თუ ისინი ჩადენილია მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშე მყოფი პირების წინააღმდეგ, რომლებიც დაცული არიან ამ ოქმის 44, 45, 73-ე მუხლებით ან ჩადენილია ამ ოქმით დაცული დაპირებების, ავადმყოფების, გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების მიმართ, რომლებიც მოწინააღმდეგის ხელთ არიან, ან მოწინააღმდეგის ხელში მყოფი და ამ ოქმით დაცული სამედიცინო ან სასულიერო პერსონალის, სამედიცინო ფორმირებების ან სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების წინააღმდეგ.

3. მე-11 მუხლით განსაზღვრული სერიოზული დარღვევების გარდა მათ მი-



ეკუთვნება ისეთი წინასწარგანზრახული ქმედებები, რომელთა შედეგად მოხდა ცვალებადობა, სხეულის სერიოზული დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიაყენება, კერძოდ:

a) სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების თავდასხმის ობიექტად გადაქცევა;

b) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განუზრახველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს ზედმეტ მსხვერპლს, დაჭრას, ან ზიანს მიაყენებს სამოქალაქო ობიექტებს 57-ე მუხლის 2 III პუნქტის განსაზღვრების თანახმად;

c) თავდასხმა სახიფათო ძალის შემცველ ნაგებობასა ან დანადგარებზე, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს ზედმეტ მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან ზიანს მიაყენებს სამოქალაქო ობიექტებს 57-ე მუხლის 2 III პუნქტის განსაზღვრების თანახმად;

d) დაუცველ ადგილებზე და დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმა;

e) თავდასხმა პირზე, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა მონაწილეობა საომარ მოქმედებებში;

f) 37-ე მუხლის დარღვევით წითელი ჯვრის, წითელი ნ/მთვარის, წითელი ლომის და მზის ან კონვენციებით და მოცემული ოქმით აღიარებული სხვა გამსახვევებელი ნიშნების ვერაგულად ტაშაყენება.

4. წინა პუნქტებსა და კონვენციებში მითითებულის გარდა მოცემული ოქმის სერიოზულ დარღვევებად ითვლება შემდეგი წინასწარგანსაზღვრული ქმედებანი:

a) ოკუპაციის მომხდენი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა ან ოკუპირებული ქვეყნის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაყვანა ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ, რაც წარმოადგენს მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლის დარღვევას;

b) სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის გაუმართლებლად შეფერხება;

c) აპარტიდის და რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაჰუმანური და დამამცირებელი ქმედებების გამოყენება, რომლებიც ამცირებს ადამიანის ღირსებას;

d) ნათლად ამოსაცნობი ისტორიული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების ან საკულტო ადგილების — მაგალითად, კომპეტენტური ორგანიზაციების ფარგლებში სპეციალური შეთანხმებებით დაცულ ხალხთა სულიერი ან კულტურული მონაპოვარის თავდასხმის ობიექტებად არჩევა, რის შედეგადაც ხდება მათი ნგრევა, როცა არ არის დადასტურებული, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია 53-ე მუხლის ხ პუნქტი და როცა ამგვარი ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები ან საკულტო ადგილები არ მდებარეობს სამხედრო ობიექტების სიახლოვეს;

e) კონვენციების ან მოცემული მუხლის მე-2 პუნქტით დაცული პირებისათვის მიუმხრობელი და ნორმალური სასამართლო საქმის წარმოების უფლების ჩამორთმევა.

5. კონვენციების და მოცემული ოქმის გამოყენების დაუზიანებლად ამ დოკუმენტების სერიოზული დარღვევები მიჩნეულია საომარ დანაშაულად.

მუხლი 88. ღონისძიებათა არმილება



1. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა უნდა აღკვეთონ სარიოზული დარღვევები, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა კონვენციების ან მოცემული ოქმის ყველა სხვა დარღვევის აღსაკვეთად, რომლებიც მოხდა საპირო ღონისძიებების არგატარების გამო.

2. ის ფაქტი, რომ კონვენციების ან მოცემული ოქმის დარღვევა მოხდა ხელკვეითი პირის მიერ, არ ათავისუფლებს ხელისუფალთ სისხლის სამართლის ან დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან, დამოუკიდებლად იმისგან, იცოდნენ თუ არა, ან ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა გაეგოთ, რომ ხელკვეითი პირი არღვევს ან აპირებს დაარღვიოს კონვენციების ან მოცემული ოქმის დებულებები; და თუ ხელისუფლებმა არ მიიღეს მათი უფლებამოსილების თანახმად ყველა პრაქტიკული ღონისძიება დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთისათვის.

მუხლი 87. მეთაურთა მოვალეობანი

1. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა სამხედრო მეთაურთაგან უნდა მოითხოვონ, რომ მათმა ხელკვეითმა შეიარაღებული ძალების წევრებმა და სხვა პირებმა არ დაარღვიონ კონვენციები და მოცემული ოქმი. აუცილებლობის შემთხვევაში მათ უნდა აღკვეთონ დარღვევები და აცნობონ კომპეტენტურ ხელისუფლებას.

2. დარღვევების თავიდან აცილების და აღკვეთის მიზნით მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა უნდა მოსთხოვონ მეთაურს, რომ მათ თავიანთი უფლებების ფარგლებში მიიღონ შესაბამისი ღონისძიებანი და შეიარაღებული ძალების წევრებს განუმარტონ ამ კონვენციებით და ოქმით მათზე დაკისრებული ვალდებულებანი.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე და კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა ყოველ მეთაურს უნდა მოსთხოვონ, მისი ხელკვეითის მიერ კონვენციების ან მოცემული ოქმის დებულებათა დარღვევის ან მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში, მიიღონ სათანადო ღონისძიებანი დარღვევათა აღსაკვეთად და აუცილებლობის შემთხვევაში, მოახდინონ დამნაშავეის დისციპლინარული ან სასამართლოს წესით დევნა.

მუხლი 88. ორმხრივი დანმარება სასამართლოს წესით დევნის საქმეში

1. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები მაქსიმალურად ეხმარებიან ერთმანეთს სასამართლოს წესით დევნასთან დაკავშირებულ საქმეში, რომელიც გამოწვეულია კონვენციების და მოცემული ოქმის სერიოზულად დარღვევას შემთხვევით.

2. კონვენციების და მოცემული ოქმის 85-ე მუხლის 1 პუნქტით დადგენილი უფლებების და ვალდებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლობენ დამნაშავეთა გადაცემის საქმეში. ისინი ითვალისწინებენ იმ სახელმწიფოს თხოვნას, რომლის ტერიტორიაზეც მისი მტკიცებით, მოხდა დანაშაული.

3. ყველა შემთხვევაში გამოიყენება მოლაპარაკებაში მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომელმაც მიიღო თხოვნა დამნაშავეის გადაცემის შესახებ. მაგრამ წინა პუნქტის დებულებები არ ეხება ნებისმიერი სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომლებიც

სრულად ან ნაწილობრივ განსაზღვრავს სასამართლოს წესით დევნის დროს ორმხრივი დახმარების აღმოჩენას.

მუხლი 88. თანამშრომლობა

კონვენციების ან მოცემული ოქმის დებულებების სერიოზული დარღვევების შემთხვევებში მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები იღებენ საჭირო ღონისძიებებს ერთად ან ინდივიდუალურად, კაცროსთან თანამშრომლობით და გაეროს წესდების შესაბამისად.

მუხლი 90.* ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია

*** სსრკ უმაღლესმა საბჭომ I ოქმის რატიფიცირება მოახდინა შემდეგი განცხადებით:**

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი I ოქმის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ipso facto და მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა მხარის მიმართ, რომელიც ამგვარ ვალდებულებებს იღებს თავის თავზე, სპეციალური შეთანხმებით აღიარებს ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის კომპეტენციას.“

1. a) ტარდება ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია (შემდგომ მოიხსენიება როგორც „კომისია“) 15 წევრის შემადგენლობით. ისინი გამოირჩევიან საუკეთესო მორალური თვისებებით და მიუხეობლობით;

b) მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებაში მონაწილე სულ ცოტა 20-მა მხარემ მე-2 პუნქტის თანახმად აღიარა კომისიის კომპეტენცია, დეპოზიტარი მაშინვე, ხოლო შემდგომ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, იწვევს ამ სახელმწიფოთა კონფერენციას კომისიის წევრთა ასარჩევად. წარმომადგენლები ფარული კენჭისყრით ირჩევენ კომისიის წევრებს. იმ პირთა სიიდან, რომელშიც თითოეულ მხარეს შეუძლია შეიყვანოს ერთი კანდიდატი;

c) კომისიის წევრები გამოდიან პირადად და დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებენ მომავალ კონფერენციაზე, ახალი წევრების არჩევამდე;

d) მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები თვალს ადევნებენ, რომ კომისიაში ასარჩევი თითოეული პირი შემკული იყოს სათანადო თვისებებით და რომ კომისიაში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობა.

e) გაუთვალისწინებელი ვაკანსიის შემთხვევაში ადგილს ავსებს კომისიის მიერ წინა ქვეპუნქტების დებულებათა გათვალისწინებით დანიშნული პირი;

f) დეპოზიტარი კომისიას გაუწევს აუცილებელ ადმინისტრაციულ დახმარებას მის საქმიანობაში.

2. a) მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ოქმის ხელმოწერის, რატიფიცირების, მიმხრობის ან ნებისმიერ შემდგომ პერიოდში განაცხადონ, რომ ipso facto და წინასწარი შეთანხმების გარეშე თავის თავზე ამგვარი ვალდებულების ამღებ ნებისმიერ მხარესთან აღიარებენ კომისიის კომპეტენციას მათი განცხადებების გამოძიების საქმეში მოცემული მუხლის თანახმად;

b) ზემონახსენებ განცხადებებს დეპოზიტარი გადასცემს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს;

c) კომისია კომპეტენტურია:

I) გამოიძიოს კონვენციების და მოცემული ოქმებით განსაზღვრული სერიოზული დარღვევის ან ნებისმიერი სხვა სერიოზული დარღვევის შემთხვევა;

II) ხელი შეუწყოს კონვენციების და მოცემული ოქმისადმი საპატივცემულო დამოკიდებულების აღდგენას.

დ) სხვა სიტუაციებში კომისია გამოიძიებს იწყებს კონფლიქტში მყოფი მხარის თხოვნის საფუძველზე მხოლოდ სხვა დაინტერესებული მხარის ან მხარეების თანხმობით;

ე) მოცემული პუნქტის შემოსწავლილი დებულებების გათვალისწინებით პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კონვენციების შესაბამისად — 52, 53, 132-ე და 149-ე მუხლების დებულებები გამოყენებულია ნებისმიერი დარღვევის მიმართ და ვრცელდება მოცემული ოქმის ყოველ მოსალოდნელ დარღვევაზე;

3. ა) თუ არ იქნა სხვა სახის შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებს შორის, მაშინ ყოველ გამოძიებას აწარმოებს პალატა 7 წევრის შემადგენლობით, რომლებიც შემდგენაირად ინიშნებიან:

I) კომისიის ხუთ წევრს, რომელიც კონფლიქტში მონაწილე არცერთი მხარის მოქალაქე არ არის, ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე გეოგრაფიული რაიონებიდან სამართლიანი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით, კონფლიქტში მყოფ მხარეებთან კონსულტაციის შემდგომ;

II) ორ წევრს, რომლებიც არ არიან კონფლიქტში მონაწილე მხარეების მოქალაქენი, ნიშნავს სათითაოდ ყველა მხარე.

ბ) გამოძიების წარმართვის შესახებ თხოვნის მიღების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე დაადგენს პალატის შექმნის ვადას. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ აირჩიეს რომელიმე წევრი, კომისიის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ნიშნავს პალატის დაკომპლექტებისათვის აუცილებელ დამატებით წევრს ან წევრებს.

4) ა) მე-3 პუნქტის თანახმად გამოძიების საწარმოებლად შექმნილი პალატა სთხოვს დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარონ და წარმოუდგინონ დამატკიცებელი საბუთები; პალატას შეუძლია თავად მოიძიოს აუცილებელი საბუთები და გამოძიება ადგილზე აწარმოოს;

ბ) დაინტერესებული მხარეები სრულად გაეცნობიან პალატისთვის წარდგენილ დამატკიცებელ საბუთებს და გამოსთქვამენ შენიშვნებს მათ შესახებ;

ც) ყოველ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ამ საბუთებს.

5. ა) კომისია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს მოხსენებას პალატის მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ, ასევე მიღებულ რეკომენდაციებს;

ბ) თუ პალატამ ვერ შეძლო მიეღო საკმარისი საბუთები ობიექტური და მიუხეობელი დასკვნების გამოსატანად, კომისიას აცნობებს მიზეზებს, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ამის განხორციელება;

ც) კომისია საჯაროდ არ განაცხადებს დასკვნებს, თუ ამას არ ითხოვს ყველა დაინტერესებული მხარე.

6. კომისია ადგენს პროცედურულ წესებს, კომისიასა და პალატაში წარმომადგენლობის წესების ჩათვლით. ეს წესები უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი ფუნქციების აღსრულებას ნებისმიერ დროს, ხოლო გამოძიების წარმოებისას, მათ შესრულებას პირის მიერ, რომელიც კონფლიქტში მონაწილე არც ერთი მხარის მოქალაქე არ არის.

7. კომისიის ადმინისტრაციულ ხარჯებს ფარავენ მე-2 პუნქტის საფუძველზე განცხადების გამკეთებელი, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები — შესა-



ტანებით და ნებაყოფლობითი შესატანებით. კონფლიქტში მყოფი მხარეები, რომლებმაც გამოძიების წარმოების თხოვნით მიმართეს, პალატის ზარკების დასაფარავად ავანსად იძლევიან თანხას, რომლის 50%-ს ანაზღაურებს მხარე ან მხარეები, რომელთაც ეხება გამოძიება. პალატისთვის შემხვედრი განცხადებების წარდგენის შემთხვევაში ყოველ მხარეს ავანსად შეაქვს აუცილებელი სახსრების 50%.

ნაწილი VI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 91. პასუხისმგებლობა

კონფლიქტში მყოფი მხარე, რომელიც არღვევს კონვენციების ან მოცემული ოქმის დებულებებს, ვალდებულია ანაზღაუროს მიღწეხებული ზარალი თუ ამის საფუძველი არსებობს. იგი პასუხს აგებს მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირების მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის.

მუხლი 92. ხელმოწერა

მოცემული ოქმი ხელმოწერიათვის გაიხსნება კონვენციის მონაწილეების მიერ დასკვნითი აქტის ხელმოწერიდან 6 თვის შემდეგ და ღიად დარჩება 11 თვის განმავლობაში.

მუხლი 93. რატიფიცირება

მოცემული ოქმის რატიფიცირება ხდება უმოკლეს დროში. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა კონვენციის დეპოზიტარს — შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს.

მუხლი 94. მიმხრობა

მოცემული ოქმი მიმხრობისთვის ღიაა კონვენციის ნებისმიერი მონაწილისათვის, რომელსაც არ მოუხდენია მისი ხელმოწერა. მიმხრობის შესახებ დოკუმენტები შესანახად გადაეცემა დეპოზიტარს.


მუხლი 95. ძალაში შესვლა

1. მოცემული ოქმი ძალაში შედის ორი სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან 6 თვის შემდეგ.
2. კონვენციის ყოველი მოსაწილისათვის, რომელმაც მოგვიანებით ნათანადინა რატიფიცირება ან მიმხრობა, იგი ძალაში შედის ამ ქვეყნის სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 96. სახელშეკრულებათა ურთიერთობანი მოცემული ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ

1. კონვენციის მონაწილე ამ ოქმის მონაწილეცაა, კონვენცია გამოიყენება ამ ოქმით შეტანილი დამატებებითურთ.
2. თუ კონფლიქტში მყოფი ერთ-ერთი მხარე არ არის დაკავშირებული მოცემული ოქმით, მაგრამ აღიარებს მის დებულებებს, ამ ოქმის დებულებათა დაცვა სავალდებულოა ისევე, როგორც ოქმის მონაწილეთათვის, მათ შორის ურთიერთობებში.

3. ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენს 1 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად შეიარაღებული კონფლიქტის მეშვეობით მოლაპარაკებაში მონაწილე



ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს, შეუძლია აიღოს ვალდებულება დაიცვას კონვენციები და მოცემული ოქმი აღნიშნული კონფლიქტის მიმართ დეპოზიტარის სახელზე გაკეთებული ცალმხრივი განცხადებით. დეპოზიტარის მიერ მიღებულ ამგვარ განცხადებას ექნება შემდეგი კონკრეტული მოქმედება:

- ა) კონვენციები და მოცემული ოქმი აღნიშნული ხელისუფლებისათვის, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარისათვის, დაუყოვნებლივ ძალაში შევა;
- ბ) მომხსენებელი ხელისუფლება თავისთავზე იღებს ისავე ვალდებულებებს და მას ენიჭება ისეთივე უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციებით და მოცემული ოქმით მოლაპარაკებაში მონაწილე მხარისათვის;
- ც) კონვენციების და ამ ოქმის დაცვა თანაბრად სავალდებულოა მოცემულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის.

მუხლი 97. შესწორებები

- 1. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორების ტექსტი ეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარესთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტს, მოიწვიოს თუ არა კონფერენცია შემოთავაზებული შესწორების (შესწორებების) განსახილველად.
- 2. დეპოზიტარი ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარეს, კონვენციის მონაწილეებს დამოუკიდებლად იმისაგან, მოაწერეს თუ არა მათ ხელი მოცემულ ოქმს.

მუხლი 98. I დამატების გადახედვა

- 1. მოცემული ოქმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 4 წლისა, ხოლო შემდეგ, ყოველი მომდევნო ოთხი წლის ინტერვალით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კონსულტაციებს აწყობს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებთან მოცემული ოქმის I დამატების შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოიწვიოს ტექნიკური ექსპერტების თათბირი ამ დამატების გადასახედლად და ისეთი შესწორებების შესატანად, რომლებიც სასურველი იქნებოდა. თათბირის მოწვევის თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან 6 თვის განმავლობაში, თუ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების ერთი მესამედი გამოთქვამს თანხმობას, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი იწვევს თათბირს, რომელსაც შეიძლება დაესწრონ მოწვეული მეთვალყურეები შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. გარდა ამისა, თათბირი შეიძლება მოწვეული იქნეს ნებისმიერ დროს, როცა ამას ითხოვს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა ერთი მესამედი.
- 2. დეპოზიტარი იწვევს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და კონვენციების მომხრე-მონაწილეებს კონფერენციის ტექნიკური ექსპერტების თათბირის მიერ შეთავაზებული შესწორებების განსახილველად, თუ ამას ითხოვს თათბირის შემდგომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების ერთი მესამედი.
- 3. I დამატების შესწორებები შეიძლება მიღებული იქნეს ამგვარ კონფერენციაზე დამსწრეთა და კენჭისმყრელი, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების ორი მესამედის უმრავლესობით.
- 4. დეპოზიტარი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და კონვენციების



მომხრე-მონაწილეებს აცნობებს მიღებული შესწორების შესახებ. შეტყობინება ერთი წლის შემდეგ მიღებულად ითვლება, თუ ამ პერიოდის განმავლობაში მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების სულ მცირე ერთმა მესამედმა არ გაგზავნა განცხადება შესწორების არმიღების თაობაზე.

5. მე-4 პუნქტის თანახმად მიღებული შესწორებები მოლაპარაკებაში მონაწილე მხარისათვის ძალაში შედის მისი მიღებიდან 3 თვის შემდეგ, გარდა იმ მონაწილეებისა, რომლებმაც მე-4 პუნქტის თანახმად გააკეთეს განცხადება შესწორების არმიღების თაობაზე. აღნიშნული განცხადების ავტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი გაუქმება. გაუქმების შემდეგ ამ მხარისათვის შესწორება ძალაში შედის 3 თვის შემდეგ.

6. დეპოზიტარი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და კონვენციის მომხრე-მონაწილეებს აცნობებს ძალაში შესული ნებისმიერი შესწორების შესახებ. მხარეების შესახებ, რომლებზედაც იგი ვრცელდება, ცალკეული მხარისათვის მისი ძალაში შესვლის თარიღის მე-4 პუნქტის თანახმად შესწორების არმიღების გამო გაკეთებული განცხადების და ამ განცხადების გაუქმების შესახებ.

მუხლი 99. დენონსაცია

1. თუ მოლაპარაკებაში მონაწილე ერთ-ერთმა მხარემ მოახდინა ოქმის დენონსაცია, იგი ძალაში შედის დოკუმენტის მიღებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ. მაგრამ, თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ ეს ქვეყანა ოქმის 1 ნუსხლში მითითებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, დენონსაცია ძალაში არ შევა შეიარაღებული კონფლიქტის ან ოკუპაციის დამთავრებამდე. ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე, ვიდრე არ დამთავრდება კონვენციებით და მოცემული ოქმით დაცული პირების საბოლოო გათავისუფლებასთან, რეპატრიაციასა და მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

2. წერილობითი შეტყობინება დენონსაციის შესახებ ეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც აცნობს მას მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს.

3. დენონსაციას ძალა აქვს მხოლოდ დენონსაციის განმცხადებელი მხარისათვის.

4. 1 პუნქტის თანახმად მომხდარი დენონსაცია არ ეხება ვალდებულებებს, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით თავის თავზე აიღო მოცემული ოქმის შესაბამისად დენონსაციის განმცხადებელმა ქვეყანამ. დენონსაციის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ნებისმიერი მოქმედების გამო.


მუხლი 100. შეტყობინება

დეპოზიტარი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს და კონვენციების მომხრე-მონაწილეებს, დამოუკიდებლად იმისაგან, მოაწერეს თუ არა ხელი მოცემულ ოქმს, ატყობინებს:

a) მოცემულ ოქმზე ხელმოწერის, სარატიფიკაციო სიგელების და მიმხრობის შესახებ, დოკუმენტების შესანახად ჩაბარების შესახებ 93-ე და 94-ე მუხლების შესაბამისად;

b) 95-ე მუხლის თანახმად მოცემული ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

c) 84-ე, 90-ე და 97-ე მუხლების თანახმად მიღებული შეტყობინების შესახებ;



d) 96-ე მუხლის 3 პუნქტის თანახმად შედგენილი განცხადებების უკუდასრულებლობის შესახებ;

e) 99-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული დენონსირების შესახებ.

მუხლი 101. რეგისტრაცია

1. მოცემული ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ დებოზიტარი სარეგისტრაციოდ და გაეროს წესდების 102-ე მუხლის თანახმად, გამოსაქვეყნებლად უგზავნის გაეროს სამდივნოს.

2. დებოზიტარი გაეროს სამდივნოს აცნობებს, მის მიერ ამ ოქმის გამო მიღებული სარატიფიკაციო სიგელების, მიმხრობის შესახებ დოკუმენტების და დენონსაციის შესახებ განცხადებების მიღებას.

მუხლი 102. აუთენტური ტექსტები

მოცემული ოქმის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა დებოზიტარს, რომელიც დამოწმებულ ასლებს უგზავნის კონვენციის ყველა მონაწილეს.

დამატება I. წესები ამოცანების შესახებ

თავი I. პირადობის მოწმობა

მუხლი 1. პირადობის მოწმობა მუდმივი სამოქალაქო, სამედიცინო და სასულიერო პერსონალისათვის

1. ოქმის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენები პირადობის მოწმობა მუდმივი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალისათვის უნდა

a) იყოს აღნიშნული განმასხვავებელი ემბლემით და იმ ზომისა, რომ შეიძლებოდეს მისი ჯიბით ტარება;

b) იყოს, რამდენადაც შესაძლებელია, მყარი;

c) გამოწერილი იყოს ეროვნულ ან ოფიციალურ ენაზე (დამატებით სხვა ენებზეც);

d) მიეთითოს მფლობელის გვარი, დაბადების თარიღი (ან წლოვანება მოწმობის გაცემის მომენტში), პირადი ნომერი თუ ასეთი აქვს მფლობელს;

e) მიეთითოს, ვისი სახით სარგებლობს მფლობელი კონვენციების და მოცემული ოქმის მფარველობით;

f) იყოს მასში მფლობელის ფოტოსურათი, მისი ხელმოწერა ან დიდი თითის ანაბეჭდი, ან ერთი და მეორეც;

g) ჰქონდეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და ხელმოწერა;

h) მიუთითებდეს გაცემის თარიღს და მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის თარიღს.

2. პირადობის მოწმობა მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარის ტერიტორიაზე ერთნაირი უნდა იყოს, და თუ შესაძლებელია, კონფლიქტში მყოფი მხარეებისთვისაც. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ნიმუშით, საომარი მოქმედებების დაწყებიდან მხარეები ერთმანეთს უგზავნიან მოწმობის ნიმუშს, რომელსაც იყენებენ. თუ ეს ნიმუში მითითებულისაგან განს-

ხევედება — პირადობის მოწმობას, რომელიც გამოიწერება ორ ცალკე დოკუმენტად. ერთი ინახავს შესაბამისი ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს მის მიერ გაცემულ პირადობის მოწმობებს.

3. მუდმივ სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალს არავითარ გარემოებაში არ უნდა ჩამოართვან პირადობის მოწმობა, მისი დაკარგვის შემთხვევაში მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დუბლიკატი.

მუხლი 2: დროებითი სამოქალაქო სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა

1. დროებითი სამოქალაქო, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის პირადობის მოწმობა, თუ ეს შესაძლებელია, ანალოგიური უნდა იყოს ამ წესების 1 მუხლში მითითებული მოწმობისა.

2. როდესაც გარემოებანი ხელს უშლიან ამ წესების 1 მუხლში მითითებული მოწმობის ანალოგიური პირადობის მოწმობის გაცემას დროებითი სამოქალაქო სამედიცინო ან სასულიერო პერსონალისთვის, მათ აძლევენ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ ხელმოწერილ ცნობას. ცნობა უნდა ადასტურებდეს, რომ მფლობელს დაკისრებული აქვს მოვალეობათა აღსრულება დროებითი პერსონალის შემადგენლობაში და თუ შესაძლებელია, მითითებული უნდა იყოს დანიშვნის ვადა, მისი მფლობელის უფლება — ატაროს განმასხვავებელი ემბლემა, მითითებული უნდა იყოს აკრედიტაციის მფლობელის გვარი, დაბადების თარიღი (თუ თარიღი დაუდგენელია, ასაკი მოწმობის გაცემის მომენტში) მასზე დაკისრებული ფუნქციები, და პირადი ნომერი, თუ მას ფლობს. ცნობაში უნდა იყოს მისი სურათი ან დიდი თითის ანაბეჭდი ან ერთიც და მეორეც.

თავი II. განმასხვავებელი ემბლემა

მუხლი 3. ფორმა და განსაკუთრებული ნიშნები

1. განმასხვავებელი ემბლემა (წითელი თეთრ ფონზე) უნდა იყოს იმდენად დიდი, რამდენადაც ეს საჭიროა მოცემულ გარემოებაში. ჭვრის, ნახევარ-მთვარის, ლომისა და მზის ფორმების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ არსებული ნიმუშებით.

2. ღამით ან შეზღუდული ხილვადობის დროს ემბლემა უნდა ნათდებოდეს ან ანათებდეს, შეიძლება მისი დამზადება მასალისაგან, რომელიც აღმოჩენის ტექნიკური საშუალებებით მისი გარჩევის საშუალებას იძლევა.

მუხლი 4. გამოყენება

1. შესაძლებლობის შემთხვევაში განმასხვავებელი ემბლემა დატანებულია ბრტყელ ზედაპირებზე ან ყველა შესაძლო მიმართულებიდან და რაც შეიძლება შორი მანძილიდან ხილვად დროშებზე.

2. კომპეტენტური ხელისუფლებისაგან მიღებულ მითითებებზე დამოკიდებულებით სამედიცინო და სასულიერო პერსონალს ბრძოლის ველზე ყოფნისას შეუძლია ატაროს თავსაბური და ტანისამოსი განმასხვავებელი ემბლემა.



მუხლი 5. არასავალდებულო გამოყენება

1. ამ წესების მე-6 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების და სამედიცინო ფორმირებებისათვის განკუთვნილი სიგნალები სხვა მიზნით არ უნდა გამოიყენებოდეს. ამ თავში მითითებული ყველა სიგნალის გამოყენება არ არის აუცილებელი.

2. ღროებითი სანიტარული საფრენი აპარატები, რომლებიც დროის უკმარისობის ან მათი ტექნიკური მონაცემების გამო არ არიან აღნიშნული განმასხვავებელი ემბლემით იკეთებენ ამ თავით ნებადართულ განმასხვავებელ სიგნალებს. მაგრამ სანიტარული საფრენი აპარატების აღმოჩენის და აღნიშვნის ყველაზე ეფექტური მეთოდია ვიზუალური საშუალებების გამოყენება განმასხვავებელი ემბლემის ან მე-6 მუხლში მითითებული სინათლის სიგნალის სახით, ან ორივე მათგანის გამოყენება ამ წესების მე-7 და მე-8 მუხლებში მითითებულ სხვა საშუალებებთან ერთად.

მუხლი 6. სინათლის სიგნალი

1. სანიტარული საფრენი აპარატების ამოცნობისათვის გამოიყენება სინათლის სიგნალი მფეთქავი ცისფერი სინათლის სახით. არც ერთმა სხვა საფრენმა აპარატმა ეს სიგნალი არ უნდა გამოიყენოს. რეკომენდებული ცისფერი მიღება სამი ქრომატული კოორდინაციის გამოყენებით:

მწვანე შუქის საზღვარი $y = 0,065 + 0,805x$

თეთრი ფერის საზღვარი $y = 0,400 - x$

მეწამული ფერის საზღვარი $x = 0,133 + 0,600y$

ცისფერი შუქის ფეთქავათა რეკომენდებული სიხშირეა წუთში 60-დან 100-მდე.

2. სანიტარული საფრენი აპარატი აღჭურვილი უნდა იყოს აუცილებელი გამანათებელი მოწყობილობით, რათა სინათლის სიგნალი რაც შეიძლება მეტი მიმართულებიდან ჩანდეს.

3. როდესაც კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის არ არის დადებული სპეციალური შეთანხმება — სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების, სანიტარული გემების და საცურაო საშუალებების მიერ ცისფერი სინათლის სიგნალის გამოყენების უფლების რეზერვირების თაობაზე, სხვა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებს და გემებს არ ეკრძალებათ მათი გამოყენება.

მუხლი 7. რადიოსიგნალი

1. რადიოსიგნალი წარმოადგენს რადიოსატელეფონო ან რადიოსატელეგრაფო შეტყობინებას, რომელსაც წინ უძღვის პრიორიტეტის განმასხვავებელი სიგნალი. პრიორიტეტის განმასხვავებელ სიგნალს დაადგენს და მოიწონებს ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირის მსოფლიო ადმინისტრაციული კონფერენცია რადიოს შესახებ, პრიორიტეტის სიგნალი მოცემული სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების გამოძახების სიგნალზე სამჭერ გადაიცემა. რადიოსეტყობინების გადაცემა ხდება ინგლისურ ენაზე შესაბამისი ინტერვალების შემდეგ მე-3 პუნქტით დადგენილ სიხშირეზე ან სიხშირეებით. პრიორიტეტის სიგნალს იყენებენ მხოლოდ სამედიცინო ფორმირებები და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებები.

2. რადიოშეტყობინება, რომელსაც წინ უძღვის 1 პუნქტში მითითებული პრიორიტეტის სიგნალი, შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

- a) სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალების გამოძახების სიგნალი;
- b) სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალების გამოძახების ადგილსამყოფელი;
- c) სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალების გამოძახების რაოდენობა და სახეობა;
- d) საგარეულო მარშრუტი;
- e) მგზავრობისათვის საჭირო დრო, გამგზავრების და დაბრუნების დრო გარემოებების გათვალისწინებით;

f) ნებისმიერა სხვა ინფორმაცია, მაგალითად: ფრენის სიმაღლე, დაკვირვების ქვეშ მყოფი რადიოსიხშირეები, პირობითი ნიშნები, მეორადი რადიოლოკაციური ამოცანების მუშაობის რეჟიმი და სისტემების კოდი.

3. რათა გაადვილდეს 1 და 2 პუნქტებში, ასევე ოქმის 22, 23, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31-ე მუხლებში მითითებული ინფორმაციის გადაცემა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები, კონფლიქტში მყოფი მხარე ან მხარეები შეთანხმებით ან ცალ-ცალკე ელექტროკავშირის საერთაშორისო კონვენციაზე დართული რადიოკავშირის რეგლამენტის სიხშირეთა განაწილების ცხრილის შესაბამისად განსაზღვრავენ და გამოაქვეყნებენ ეროვნულ სიხშირეებს, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ ამგვარ შეტყობინებათა გადაცემისათვის, ამ სიხშირეებს აცნობებენ ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირის რადიოს შესახებ მსოფლიო ადმინისტრაციული კონფერენციის მიერ მოწონებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 8. ელექტრონული ამოცნობა

1. 1944 წლის 7 დეკემბრის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის მე-10 დამატებით აღწერილი მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის საშუალება და კოდი დროდადრო შეტანილი ცვლილებებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანიტარული საფრენი აპარატის ამოსაცნობად და მისი ფრენის კურსზე მეთვალყურეობისათვის, მხოლოდ სანიტარული საფრენი აპარატების მიერ გამოყენებული მუშაობის რეჟიმს და კოდს (SSR) დაადგენენ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები, კონფლიქტში მყოფი მხარე ან მხარეები შეთანხმებით ან ცალ-ცალკე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ პროცედურების შესაბამისად.

2. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის შეთანხმდნენ და გამოიყენონ ამგვარი ელექტრონული სისტემა სახმელეთო სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების, სანიტარული გემების და მცურავი საშუალებების ამოცნობისათვის.

თავი IV. კავშირი

მუხლი 9. რადიოკავშირი

ამ წესებს მე-7 მუხლში მითითებული პრიორიტეტის სიგნალი შეიძლება წინ უსწრებდეს სამედიცინო ფორმირებების და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებების რადიოშეტყობინებებს ოქმის 22, 23, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31-ე მუხლებში მითითებული პროცედურების გამოყენებისას.

მუხლი 10. საერთაშორისო კოდების გამოყენება

სამედიცინო ფორმირებებს და სანიტარულ-სატრანსპორტო საშუალებებს შეუძლიათ გამოიყენონ ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და მთავრობათაშორისი საზღვაო კონსულტატიური ორგანიზაციის მიერ დადგენილი კოდები და სიგნალები. ასეთ შემთხვევაში კოდები და სიგნალები გამოიყენება აღნიშნული ორგანიზაციების მიერ დადგენილი სტანდარტების, პრაქტიკის და პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 11. კავშირის სხვა საშუალებანი

როდესაც ორმხრივი რადიოკავშირი შეუძლებელია, შეიძლება გამოყენებული იქნეს მთავრობათაშორისი საზღვაო კონსულტატიური ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სიგნალების საერთაშორისო კოდით გათვალისწინებული ან დროდადრო ცვალებადი 1944 წლის 7 დეკემბრის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის შესაბამის დამატებაში მითითებული სიგნალები.

მუხლი 12. ფრენის გეგმა

ოქმის 29-ე მუხლში გათვალისწინებული შეთანხმებები და შეტყობინებანი ფრენის გეგმის შესახებ განსაზღვრული უნდა იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 13. სიგნალები და პროცედურები სანიტარული საფრენი აპარატის ხელში ჩასაგდებად

თუ ხელში ჩამგდები საფრენი აპარატი გამოიყენება სანიტარული საფრენი აპარატის აღმოსაჩენად ან ოქმის 30, 31-ე მუხლების თანახმად აიძულებს მას დაეშვას, მაშინ დროდადრო ცვალებადი 1944 წლის 7 დეკემბრის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის მეორე დამატებაში გათვალისწინებული ჩვეულებრივი ვიზუალური დაჭერის და რადიოდაჭერის პროცედურები უნდა გამოიყენებოდეს ხელში ჩამგდები და სანიტარული საფრენი აპარატების მიერ.

თავი V. სამოქალაქო თავდაცვა

მუხლი 14. პირადობის მოწმობა

1. ოქმის 66-ე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის პირადობის მოწმობა რეგლამენტარებულია ამ წესების 1 მუხლის შესაბამისი დებულებებით.

2. სამოქალაქო თავდაცვის პერსონალის პირადობის მოწმობა არსებული ნიმუშის ანალოგიური უნდა იყოს.

3. თუ სამოქალაქო თავდაცვის პერსონალს ნებადართული აქვს ატაროს მსუბუქი იარაღი, პირადობის მოწმობაში სათანადო ჩანაწერი გაკეთდება.

მუხლი 15. საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანი

1. ოქმის 66-ე მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებული სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო განმასხვავებელი ნიშანია ცისფერი თანაბარფერთა სამკუთხედი ნარინჯისფერ ფონზე.

2. რეკომენდებულია, რომ:

a) თუ სამკუთხედი გამოსახულია დროშაზე, სამკუთხედი თუ მოსასხამზე, ნარინჯისფერი იყოს დროშა, სამკლავური ან მოსასხამი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის
ცვლილებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) განსაკუთრებული ნაწილის პირველი თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

თავი პირველი

დანახული სახელმწიფოს წინააღმდეგ

I. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით
საშიში დანახული

„მუხლი 65. სამშობლოს ღალატი

სამშობლოს ღალატი, ესე იგი ქმედობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ განზრახ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ; მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, დამარების განწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, აგრეთვე შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც უცხოეთის ორგანოებში ან ორგანიზაციებში გადაიბირეს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, თუ მან მიღებული დავალების შესასრულებლად არავითარი ქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუტყდა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის ორგანოებთან და ორგანიზაციებთან თავისი კავშირის შესახებ“.

„მუხლი 66. ჯაშუშობა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ასევე ამგვარი ცნობების გატაცება ან შეგროვება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე სხვა ცნობების გადაცემა ან შეგროვება უცხოეთის ჯაშუშების დავალებით საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის, თუ ჯაშუშობა ჩაიდინა უცხოელმა მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც შეუძღა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ნებაყოფლობით შეწყვიტა ეს დანაშაულებრივი ქმედობა და ხელისუფლების ორგანოებს აცნობა ამის შესახებ, თუ აღიარებდა ბრალსა და ამასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შედეგად აღკვეთილი იქნა საქართველოს რესპუბლიკისათვის ზიანის მიყენება“.

„მუხლი 67. ტერორისტული აქტი

სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონებია კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მიმედ დაშავება მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

„მუხლი 68. ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობა ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით, იმავე პირის სხეულის მიმედ დაშავება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

„მუხლი 69. დივერსია

საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით აფეთქება, ცეცხლის წაქიდება ან სხვა მოქმედების ჩადენა, მიმართული აღაძვინთა მასობრივი მოსაზრობისაგან, სხეულის დასაზიანებლად ან მათი ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მისაყენებლად, საწარმოთა, ნაგებობათა, მიმოსვლის გზათა და საშუალებათა, ნავთობისა და გაზგაყვანილობათა, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის საშუალებათა ანდა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გასაზღვრებლად, აგრეთვე იმავე მიზნით მასობრივი მოწამვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოტიკების გავრცელება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

„მუხლი 70. მავნებლობა

მოქმედება ან უმოქმედობა, მიმართული მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ფულადი სისტემის, ვაჭრობის ან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, ასევე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით, თუ ეს ქმედობა ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების გამოყენების გზით ანდა მათი ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

„მუხლი 71. საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ

საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, აგრეთვე ამ მიზნით ასეთივე შენარჩის მასალების გავრცელება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

რვავე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი სხვა სახელმწიფოების, უცხოეთის ორგანიზაციების ან მათი წარმომადგენლის დავალებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“.

„მუხლი 71.“ მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ
საჯარო მოწოდება სამშობლოს ღალატისაკენ, ტერორისტული აქტის, დივერსიის
ბავნებლობის ჩადენისაკენ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

„მუხლი 72.“ მოწოდება თმის გაჩაღებისაკენ

საჯარო მოწოდება თმის გაჩაღებისაკენ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.

„მუხლი 73.“ ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური
მონაწილეობა

ისეთი ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს რეს-
პუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დანობა, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული
უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა,
აგრეთვე ამ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იმავე მიზნით შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე“.

მუხლი 74. ამოღებულია.

თავი მეორე

II. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული

„მუხლი 75.“ ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა

განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდე-
ვის, ეროვნული პატრიისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა ეროვნული
ან რასობრივი კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზ-
ღუდვა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეპირატესობათა დაწესება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე მოქმედება ძალადობის, მოტყუების თუ მუქარის გამოყენებით, აგრეთვე ჩადენილი
თანამდებობის პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც
ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რომელსაც მოჰყვა აღამიანთა დაღუპვა ან სხვა მძიმე შე-
დეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“.

„მუხლი 76.“ სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაუ-
რება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები გაუდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი
ცნობილი გახდა სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით, თუ არ არის სამშობლოს ღალა-
ტის ან ჯაშუშობის ნიშნები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“.

„მუხლი 77.“ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, აგრეთვე იმ საგნების დაკარგვა,
რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, იმ პირის მიერ, ვისაც
ისინი მინდობილი ჰქონდა, თუ დაკარგვა აღნიშნული დოკუმენტებისა ან საგნებისადმი მოპყ-
რობის დადგენილი წესების დარღვევის შედეგი იყო, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე;

იგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.

„მუხლი 771.“ სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის
ორგანიზაციებისათვის,



უცხოეთის ორგანიზაციებისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის ეკონომიკური, კულტურული ან სხვა ცნობების გადაცემა, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენს, ან მათი გადასაცემად შეგროვება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები მინდობილი ჰქონდა სამსახურის ან სამუშაოს გამო, ანდა მისთვის ცნობილი გახდა სხვა გზით; —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, რომელმაც დაღრმავებული ჯარაღი მიაყენა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან გამოიწვია სხვა მძიმე შედეგი. —

„მუხლი 78. ბანდიტიზმი“

შეიარაღებული ბანდის ორგანიზება სახელმწიფო ან სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე ანდა ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით.

„მუხლი 78.1. მოქმედება, რომელსაც ღებორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მუშარბაში“

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა ორგანიზება იმ მიზნით, რომ არ შეასრულონ ადმინისტრაციის მიერ დაჯავრებული სამუშაოები ან არ დაიცვან დადგენილი რეჟიმი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის იმავე დაწესებულებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შრომა-გასწორების დაწესებულებაში ან საგამოძიებო ინსტიტუტში მოთავსებულ პირთა ტერორიზება, ან ადმინისტრაციაზე თავდასხმის მოწყობა, აგრეთვე ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა, ჩადენილი იმავე დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით.

„მუხლი 79. კონტრაბანდა“

კონტრაბანდა, ესე იგი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონო გადატანა-გაზღობა, რაც ჩადენილია სპეციალურ საცდებში საგნების დამალვით ან საბაჟო საგნების და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით, ანდა დიდი ოდენობით, ან კონტრაბანდის გასაწყველ ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მდგომარეობის გამოყენებით. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. ფეთქებადი, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების, იარაღის, საბრძოლო და სამხედრო საჭურჭლის კონტრაბანდა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

„მუხლი 80. მასობრივი არეულობა“


მასობრივი არეულობის ორგანიზაცია, რასაც თან ახლავს დარბევა, ნგრევა, ცეცხლის წაქიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, აგრეთვე მასი მონაწილეების მიერ ამ დანაშაულთა უშუალოდ ჩადენა ან ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა; —

„მუხლი 81. სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის თვის არიდება“

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ქარბეში — ეროვნულ გვარდიაში გაწვევისათვის ან ალტერნატიულ სამსახურისათვის თვის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი საყოფარღო სხეულის დაშავებით ან ავადმყოფობის სიმპლოცით, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ან სხვა სახის მოტყუებით, აგრეთვე ჩადენილი სხვა დამამძიმებელ გარემოებაში. —



ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე

„მუხლი 82. მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არღება საქართველოს რესპუბლიკის დასაცავად მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან პять წლამდე“

„მუხლი 83. ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება

ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის, აგრეთვე გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე“.

„მუხლი 84. სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც უცხოეთის მოქალაქე ჩამოვა საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი პასპორტის ან ნებართვის გარეშე, რათა ისარგებლოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებული თავშესაფრის უფლებით“.

„მუხლი 85. საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკაში შემოფრენა ან საქართველოს რესპუბლიკიდან გაფრენა დადგენილი ნებართვის გარეშე, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების დღეების, საჰაერო კარების, ფრენის სიმაღლის დაუცველობა ან საერთაშორისო ფრენის წესების სხვა დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ათ წლამდე, საჰაერო ხომალდის კონფისკაციით ან უამისოდ“.

„მუხლი 86. მოძრაობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა

რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რისაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, ტანსაცმლის, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტი, რასაც მოჰყვა იგივე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთმდე წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგი, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე“.

„მუხლი 88. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საჰაერო ხომალდის მართვისას იმ პირობების მიერ, რომლებიც არ არიან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკები, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობის განხორციელებისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საჰაერო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასთან ან გაშვებასთან, რამაც გამოიწვია ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგები, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგების დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე“.

„მუხლი 89. რკინიგზისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება

რკინიგზის, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან გემების, კავშირგაბმულობის

ან სიგნალიზაციის საშუალებების განზრახ დაანერგვა ან დაზიანება, როგორც საფლავზე მუშაობის რეინგინგის, წყლის, საპაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა მატარებლის, გემის, საპაერო ხომალდის ან საბაგირო გზის ავარია, რომელსაც არ გამოუწვევია მსხვერპლი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, რომელსაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საპაერო ხომალდის ან საბაგირო გზის ავარია და ადამიანის მსხვერპლი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე“.

„მუხლი 88. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება

ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის დამზადება გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღებისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან ჩადენილი ხელობის სახით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

მუხლი 89. ამოღებულია.

„მუხლი 90. სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა

განუცხადებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია ამ კოდექსის 65-ე, 70-ე, 73-ე, 78-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

„მუხლი 90¹. სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულისა, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 65-ე, 70-ე, 73-ე, 78-ე 79-ე და 88-ე მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი


საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბუღალთრობის ადმინისტრაცია:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1980 წლის 80 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბუღალთრობის უწყებები, 1981 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მუხ. (უ) მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208 (1). საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაის, სამხედრო მომსახურების ან სახალხო რაზმების შეურაცხყოფა



შეურაცხყოფა მილიციის მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის ან სახალხო რაზმელია და კისრებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობათა შესრულებისას, —

2. 208-ე მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„მიცვალებულის დასაფლავებაზე უარის თქმით ან მიცვალებულის საფლავიდან ამოღებით სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან თანამდებობის პირების იძულება შესასრულონ რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე მოქმედების შესრულებისაგან, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

3. 238-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 238. იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება და შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვგულუღიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შენახვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვგულუღიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შექმნა ან ტარება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. ცეცხლსასროლი იარაღის, (გარდა სანადირო გლუვგულუღიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ გადაგზავნა, გადაზიდვა, დამზადება ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. შენიშვნა: პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩაახარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გარეშე მქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

საჩქლის, ფინურის დანის ან სხვაგვარი ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვასთან, სამსახურთან ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე, როდესაც ეს იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავდ ვადით, ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე“.

4. მუხლი 242 (მ). სატრანსპორტო კომუნიაციები

ბლოკირება

სატრანსპორტო კომუნიაციების განზრახ ბლოკირება დაბრკოლებების, საგუშაგოების მოწყობის გზით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შექლო გამოწვირა რკინიგზის, საჰაერო, წყლის, საავტომობილო და მაგისტრალური მიწხადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება: რასაც თან ხდევს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან დაკავშირებულია ტვირთის, ბარჯის უკანონო გახინჯვასთან, ან დოკუმენტების შემოწმებასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე“.

5. 8 (1) მუხლში სიტყვების „228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება (228-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“.

6. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტსა და 41 (1) მუხლის მესამე პუნქტში სიტყვების „228-ე მუხლის მესამე ნაწილი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება (228-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“.

11. შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 42) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 27-ე და 122-ე მუხლები ჩამოკალიბდეს შემდეგი სრულაქციით:
„მუხლი 27. ჩარიმა

მოქალაქეებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჩარიმა, როგორც წესი, არ შეიძლება აღმატებოდეს ათ მანეთს, ხოლო თანამდებობის პირთათვის — ორმოცდაათ მანეთს.

მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო დაკისრებული ჩარიმა არ შეიძლება იყოს ერთ მანეთზე ნაკლები, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი, მაგარის სხვა მინიმალური ოდენობა.

ცალკეულ სახეობათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ამოღების აუცილებლობას საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ჩარიმა ათი ათას მანეთამდე.

გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულიაა შესრულებასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების განსაუთრებული საჩიროების გამო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ამ მუხლით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის ჩარიმა“

„მუხლი 122. სატრანსპორტო საშუალებათა მართვ. სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარეშე

სატრანსპორტო საშუალებათა მართვ. სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე ან სხვისი, ან შენიღებული. ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით;

გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების კონტისკაიის.

იგივე მოქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც მართავდა სხვისი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებას, — შეიძლება

გამოიწვევს დაჩარიმებან ხუთჯ ათასი მანეთთან; ათი ათას მანეთამდე“.

2. 208-ე და 279-ე მუხლებში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლით“.

3. 209-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და მეორე ნაწილის მეორე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

4. 282-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლით“.

5. 296-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „122-ე მუხლის მეორე ნაწილით“ შეიცვალოს სიტყვებით „122-ე მუხლის პირველი ნაწილით“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, რითაც გამოვლინდა ქართველი ხალხის უდრეკი ნება, მისი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ეს ნიშანსვეტია დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი საქართველოს შენების გზაზე.


პოლიტიკური სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციამ არნახული ძალით დაამცრო და დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ორიენტირებული ისტორიული გამოცდილება, მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, ქართველთა ეროვნული ტრადიციები და კულტურა.

გაპარტახებული აღმოჩნდა საქართველოს უძველესი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები, მისი სამართლისა და მართლმსაჯულების თვითმყოფადი სისტემა, რომელიც ყალიბდებოდა ეროვნული ტრადიციების წიაღში, საუკუნეობით შემონახულ ჩვეულებათა და ზნეობრივი მრწამსის საფუძველზე.

ინტერნაციონალიზმის და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების ყალბი გაგებისა და დამახინჯებული გამოყენების გამო ქართველი ერის საკუთარ სამშობლოშივე დათრგუნვილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობას ვერ უწევდა; ამ მხრივაც იგი აშკარად გამრუდებული იყო.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში წლების მანძილზე უგულვებელყოფილი იყო ქართული ენა, როგორც ერის ზნეობრივ-სამართლებრივი მრწამსისა და თვითმყოფადი იურიდიული კულტურის დამკვიდრება-გამონატულების საშუალება.

საქართველოს ბევრ რაიონში მართლმსაჯულება ქართულ ენაზე არ ხორციელდებოდა, რითაც მისი გამოყენების არე იზღუდებოდა. ვერ გრძნობდა რა ქართული ენის ცოდნის საჭიროებას, ამ რაიონების არაქართული მოსახლეობა არ ეუფლებოდა მას. ამასთან, სამოსამართლო კადრების შერჩევის ანტიეროვნული პოლიტიკის წყალობით, იქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, რო-



დესაც ამ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობაც, შესაბამისად, უპირატესობას სხვა ენას ანიჭებდა.

ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში საქართველოს თავს-მოხვეული ჰქონდა მისთვის უცხო სამართლებრივა იდეოლოგია და სისტემები, რომლებმაც საქართველო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ დაქვეითებამდე მიიყვანა.

ამ დამლუპველ ტენდენციას საქართველომ თავი უნდა დააღწიოს ყველა ღონისძიებით, მათ შორის — დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებითა და შესაბამისი აქტით დადგენილი პრინციპების განუხრელი დაცვა-გამოყენებით.

საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისთვის რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში უკვე დაიწყო რეფორმა, რომელიც კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პარადაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად ცხადდება, სასამართლო რეფორმის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და 1985 წლის 13 დეკემბრის № 40/146 რეზოლუციით მოწონებული და სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისას სახელმძღვანელოდ რეკომენდებული დებულებები სასამართლოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

ამის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს:


ა) სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის შექმნა, განვითარება და განმტკიცება დამოუკიდებლობის იდეისა და სახელმწიფო ხელისუფლების სამ ნაწილად — საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფის და მათი გამიჯვნის საფუძველზე;

ბ) ხელისუფლების დანაწილების ამ პრინციპის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის სასამართლოში გადაწყვეტის შესაძლებლობა;

გ) ხალხის ჭეშმარიტი ნების გამომხატველი კანონის უზენაესობის სრული და განუყოფელი უზრუნველყოფა სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიული მომენტის თავისებურებებს, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს ურთულეს პირობებში უხდებათ ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი ამოცანების გაღაწყვეტა.

საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევა ტოტალიტარული რეჟიმის სასამართლო სისტემის, მისი სამართლებრივი თეორიისა და პრაქტიკის მიმე მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად; ჩიო კიდევ მოქმედი საკანონმდებლო სისტემა დროულად უნდა შეიცვალოს სუვერენული საქართველოს დამოუკიდებელი კანონმდებლობით, რომელმაც სრულად უნდა ასახოს და შეისისხლხორცოს ჭეშმარიტად ეროვნული ისტორიული მემკვიდე.



რეობა, აგრეთვე, ზოგადსაკაცობრიო და საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები და ნორმები; მათ შორის კუთვნილი ადგილი უნდა დაიკვიდროს უღანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპმა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

აღკვეთა:

1. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ შესაბამისად, საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, რომლის მიზანია საქართველოს ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვა ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად.

ეს დებულება ფუძემდებელია საქართველოს მართლმსაჯულების ორგანოებისათვის; ის ამკვიდრებს საქართველოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას გარეშე ჩარევისაგან და მის უზენაესობას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციაა საქართველოს ტერიტორიაზე.

2. ხელმძღვანელობს რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის იმ დებულებით, რომ საქართველოს რესპუბლიკა ცნობს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო, მთელი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელებას კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე.

3. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეფორმის პროცესში მყოფი ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა სრულად ვერ ასახავს, და არც შეიძლება ასახავდეს, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც სამართალმა უნდა მოაწესრიგოს კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტისას, რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ გაცხადებული იდეებითა და პრინციპებით კონსტიტუციის ფარგლებში და მის შესაბამისად.

4. ვინაიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციას ახორციელებს, სასამართლოს დამოუკიდებლობა მიუყვარძობელი მართლმსაჯულების აღსრულების უმნიშვნელოვანესი გარანტია.

სასამართლოს დამოუკიდებლობა ნიშნავს მის მორჩილებას მხოლოდ კანონისადმი, სასამართლო საქმეთა ობიექტურ და პირუთვნელ განსჯას, რომე-

ლიმე ორგანოს ან თანამდებობის პირის ჩარევის, იძულების ან სხვა რამ ზემოქმედების გარეშე.

5. არც ერთ ორგანოს თუ თანამდებობის პირს, კანონით ნებული პროცედურის გარეშე, უფლება არა აქვს მოსახოვოს მოსამართლეს განმარტება ან ანგარიში რომელიმე კონკრეტული საქმის სასამართლო განხილვის შესახებ.

6. ყველა სახელმწიფო ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გაერთიანება და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს მოსამართლეთა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი საქმიანობის განხორციელებასთან.

7. სასამართლოს დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი და წინამძღვარია მოსამართლეთა (მსაჯულთა) კანონით დაცული ხელშეუხებლობა.

მათს ამ უფლებას შეესაბამება მოსამართლეთა (მსაჯულთა) უმწიკლო, ზნემაღალი, ღირსებითა და პროფესიული პასუხისმგებლობით, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით აღსავსე, ფაქიზი დამოკიდებულების მოვალეობა საკუთარი საქმიანობისა და სხვათა ინტერესებისადმი.

საქმეების სასამართლო განხილვისას კანონის დარღვევისთვის, სხვა სამსახურებრივი ვადაცდომისთვის ან მართლმსაჯულების სახელის გამტეხი, შეუფერებელი საქციელისთვის მოსამართლემ შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მისი ბრალეულობის შემთხვევაში.

8. ვინაიდან მართლმსაჯულებას სასამართლო სახელმწიფოს სახელით ახორციელებს, სასამართლოსადმი უპატივცემულობა ან მასზე ზეგავლენის მოხდენა სასურველი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, სუვერენული სახელმწიფოს უფლებებისა და ავტორიტეტის ხელყოფაა და უნდა დაისაჯოს კანონით დადგენილი წესით.

9. სასამართლოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების, დაქვემდებარება-კომპეტენციის ფარგლების შესაბამისად, სასამართლოები უფლება-მოსილნი არიან განიხილონ ყველა საქმე, რომელსაც აქვს უფლებრივი დავის ხასიათი.

სახელმწიფო ხელისუფლების თუ მმართველობის არც ერთ ორგანოს არა აქვს უფლება დააკისროს მოსამართლეს ისეთი ფუნქციის ან თუნდაც ერთგვარი აქტის შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული პრინციპების თანახმად, შეუწყუნარებელია სხვა ორგანოთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმება ან შეცვლა, გარდა მსჯავრდებულის შეწყალებისა კანონით დადგენილი წესით.

11. მართლმსაჯულების განხორციელებისას რესპუბლიკის სასამართლოებმა ყოველმხრივ უნდა იღვაწონ პატივისცემის აღსადგენად ტოტალიტარიზმის პირობებში გაუფასურებული ისეთი ზნეობრივი ღირებულებებისადმი, როგორცაა სინდის-ნამუსი, კაცური ღირსება, თანაგობობა, გულმოწყალება, გონივრული მიმტევებლობა და, საერთოდ, ადამიანის პიროვნება.

12. დამოუკიდებლობის აქტის მიღების კვალბაზე უკვე მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამომავლოდ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის თვისებრივად ახალი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობის

შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ახალი კანონების შემუშავებაში, ხოლო მათ მიღებამდე საკავშირო კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის დაძლევისა და სასამართლოთა მუშაობაში წარმოქმნილი დაბრკოლებების გადალახვის მიზნით. გადაუდებელ ამოცანად იქნეს მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებების მიღება.


13. რესპუბლიკის სასამართლოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ როგორც პლენუმის დადგენილებებისათვის სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაში, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივით წარსადგენად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ წამოყენებული საკანონმდებლო წინადადებები ითვალისწინებდნენ საქართველოს ცხოვრებაში რეალურად მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, რათა ისინი მიზანდასახულობით, შინაარსითა და სულისკვეთებით სრულად შესაბამეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ პროცესს, ეფუძნებოდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში მოწინავე, ცივილიზებული ერებისა და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, მის ისტორიულ, რელიგიურ, ზნეობრივ თუ სხვა ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებსა და სიბრძნეს, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ერებისა და სხვა რჯულის აღმსარებელი ხალხებისადმი ჩვენს კეთილგანწყობილებას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. შტრამელიძე.

პლენუმის მდივანი დ. ხელაია.

1991 წლის 25 ივლისი.



საბინაო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა საბინაო კანონმდებლობის ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულების მიზნით 1991 წლის 5 ივლისს შეისწავლა და განაზოგადა საბინაო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ სასამართლო პრაქტიკა.

აღინიშნა, რომ გარდამავალ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე, რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა საბინაო ფონდის კანონიერი განაწილება. მოქმედი საბინაო კანონმდებლობით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების წარმოშობა უპირველესად იმითაა განპირობებული, თუ რომელ საბინაო ფონდს განეკუთვნება იგი. ამისათვის საჭიროა, განუხრელად იყოს დაცული საბინაო კოდექსის 52-ე — 54-ე მუხლების მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საბინაო ფონდის სახელებში საცხოვრებელ სადგომს მოქალაქეებს აძლევენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ხოლო საუწყებო საბინაო ფონდის სახელებში — უწყების ადმინისტრაცია და პროფკომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები. იმ საუწყებო საბინაო ფონდის სახელებში კი, რომლებიც აშენებულია ამ უწყების მიერ, მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომს მისცემენ უწყების ადმინისტრაცია და პროფკომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტილებით, რასაც შემდგომ აცნობებენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. განაწილების ასეთივე წესი ვრცელდება საზოგადოებრივ-საბინაო ფონდზეც. ამ წესის დარღვევით საცხოვრებელი სადგომის დაკავება ფართობზე უფლებას ვერ წარმოშობს იმის მიუხედავად თუ რამდენი ხანი ცხოვრობს მოქალაქე ამ სადგომში.

თბილისში, ისნის ქ. № 4-ში მდებარე სახელმწიფო საბინაო ფონდის ერთ-ერთთაშიანი იზოლირებული ბინის დამქირავებელი იყო ჯ. ლაზიანი, სადაც ჩაწერილი იყო მხოლოდ თვითონ. 1989 წლის დეკემბერში ჯ. ლაზიანმა ამ ბინაში შეასახლა ნ. დოლიძე თავისი არასრულწლოვანი შვილით, ხოლო თვითონ საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან სხვა მისამართზე.

ისნის რაიონის პროკურორატურამ სარჩელი აღძრა სასამართლოში რაიონალური სასარგებლოდ და მოითხოვა ნ. დოლიძის გამოსახლება ისნის ქ. № 4-ში მდებარე ჯ. ლაზიანის სახელზე რიცხული ერთთაშიანი ბინიდან. სასამართლოს 1990 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 5 მარტის დად-



გენილებით გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ პრეზიდენტი რომელიც კანონიერი საფუძვლის გარეშეა ბინაში ჩასახლებული, იქ ცხოვრობდა რეზიდენციის ხანგრძლივობის მიუხედავად, ვერავითარ უფლებას ვერ მოიპოვებს.

საქართველოს რესპუბლიკის საბინაო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, დამკრავებელს უფლება აქვს მის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სადგომში დადგენილი წესით ჩასახლოს მეუღლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები და შრომისუნარო, კმაყოფიან მყოფნი, რის შემდეგაც ეს პირნი დამკრავებელთან ერთად თანაბრად იძენენ ბინით სარგებლობის უფლებას, ძველ ბინაზე კი კარგავენ უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება პირს ერთსა და იმავე დროს ორ ბინაზე ჰქონდეს უფლება ერთ დასახლებულ პუნქტში.

ქ. თბილისში, თემქის დასახლებაზე, III მ/რ-ნის მე-5 კვარტლის მე-12 კორპუსში ერთთახიანი ბინა ირიცხებოდა ნ. თარალაშვილის სახელზე. ნ. თარალაშვილის გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ ამ ერთთახიან ბინაში ცხოვრობდა მისი გერი ა. მარკოზაშვილი მეუღლითა და ორი არასრულწლოვანი შვილით, რომლებიც ჩაწერილნი არიან ანშეტის რაიონში.

ქ. თბილისის ღრმალელის რაიონისაკომმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ნ. თარალაშვილის სახელზე რიცხული ერთთახიანი ბინიდან ა. მარკოზაშვილისა და მისი ცოლ-შვილის გამოსახლება. სასამართლომ 1991 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამარტალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1991 წლის 2 აპრილის განჩინებით გადაწყვეტილება გააუქმა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდენტმა 1991 წლის 3 მაისის დადგენილებით გააუქმა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქასაციო წესით საქმის ხელახლა განხილვისათვის საქმე გადასცა კოლეგიის სხვა შემადგენლობას. პრეზიდენტმა დადგენილებაში მიუთითა, რომ მოპასუხე ა. მარკოზაშვილი და მისი ოჯახის წევრები სადავო ერთთახიან ბინაში არ არიან ჩაწერილები და ჩასახლებულნი არიან საბინაო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესის დარღვევით. ამასთან, სასამართლო კოლეგიამ არ გაითვალისწინა და სათანადო შეფასება არ მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 10 თებერვლის № 46 დადგენილებას „ქ. თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის რეგულირების ღონისძიებეთა შესახებ“. საქმის ხელახალი განხილვის დროს სასამართლო კოლეგიამ უცვლელად დატოვა რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოპასუხე რობერტ ამალბაშვიცი 1964 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნინელი ამალბაშვიცთან. ქორწინების შემდეგ რ. ამალბაშვიცი ჩაწერილი დარჩა თბილისში ილორის ქ. № 15-ში, 47 კვ. მ. ფართის სამოთახიან ბინაში, ნინელი ამალბაშვიცა კი — მის სახელზე რიცხულ 23 კვ. მ. ფართის ბინაში — მდებარე დ. აღმაშენებლის გამზ. № 91. ორივე ბინა განეკუთვნება საბჭოს საბინაო ფონდს, ნინელი ამალბაშვიცას გარდაცვალების შემდეგ რობერტ ამალბაშვიცმა უარი განაცხადა მეუღლის სახელზე რიცხული ბინის განთავისუფლებაზე, რაიონისაკომმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა რ. ამალბაშვიცის გამოსახლება გარდაცვლილი მეუღლის სახელზე რიცხული ბინიდან.

ეს საქმე ბევრჯერ გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი. ბოლოს დღეობის რაიონის სასამართლომ, 1991 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1991 წლის 7 მაისის განჩინებით, სასამართლოს დადგენილებებით იმით არის დასაბუთებული, რომ რ. ამალბაშვიცი ჩაწერილი იყო ბინაში № 15-ში, 47 კვ. მ. ფართის სამოთახიან ბინაში და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ითვლებოდა ამ ბინის დამქირავებლად. ამიტომ სადავო 23 კვ. მ. ფართობის ბინაზე იგი უფლებას ვერ მოიპოვებდა, რადგან ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება პირს ორ ბინაზე ჰქონდეს სარგებლობის უფლება.

პირის საცხოვრებელ სადგომში ჩაწერას (ჩაუწერლობას) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოჰყვეს. საბინაო კოდექსის 69-ე მუხლით დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება ენახებათ ექვსი თვის მანძილზე. ამრიგად, პირი შეიძლება ჩაწერილი კი იყოს ბინაში, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში არ ცხოვრობდეს იქ. რაც საფუძველი უნდა გახდეს მისი უფლებდაკარგულად ცნობისათვის. სხვა შემთხვევაში პირი შეიძლება ფართზე უფლებამოპოვებულად იყოს ცნობილი ბინაში ჩაწერის გარეშე, თუკი უდავოდ იქნება დადასტურებული, რომ დამქირავებლისა და მისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის მიერ იგი ჩასახლებულია ბინაში ოჯახის წევრად.

მოსარჩელე გვიჩუბნიძემ აარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ქ. თბილისში, დიდმის მასივის მე-5 კვარტლის, მე-12 კორპუსში, 49 კვ. მ. ფართობის სამოთახიან ბინაში შესახლება, სადაც ჩაწერილია და ცხოვრობს მისი დედა მარიან ჩუბინიძე და შვილი — ცისანა ჩუბინიძე. მოპასუხე მარიამ და ცისანა ჩუბინიძეებმა შეგებებული სარჩელით მოათხოვეს მოსარჩელის ფართზე უფლებდაკარგულად ცნობა.

ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლომ 1991 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ძირითადი სარჩელი და მოპასუხეებს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1991 წლის 14 მარტის განჩინებით გააუქმა რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ მოსარჩელე 1961 წლიდან მუშაობს ბოლნისის საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად. 1970 წელს იქვე, ბოლნისში, მიიღო ოროთახიანი ბინა, 1980 წელს კი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოეყო მიწის ნაკვეთი და აიშენა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი. გ. ჩუბინიძე მეორედ დაქორწინდა ბოლნისში. შეეძინა შვილი და ცოლ-შვილთან ერთად ჯერ ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. შემდეგ კი გადავიდა პირადი საკუთრების სახლში, ასეთ პირობებში თბილისში, სადავო ბინაში გ. ჩუბინიძის ჩაწერა ატარებს ფიქტიურ ხასიათს და არ შეიძლება იგი ბინაში შესახლების (ფართზე უფლების მოპოვების) საფუძველი გახდეს.

მარინა ლაგვილავა და არსენ ლაგვილავა დაქორწინდნენ 1990 წლის 15 სექტემბერს. ქორწინების შემდეგ მ. ლაგვილავა ცხოვრობდა რიონჰესის ქ. № 28-ში, მამამთილის სახელზე რიცხულ პირადი საკუთრების სახლში, ჩაწერილი კი დარჩა ბარნოვის ქ. № 124-ა-ში ოროთახიანი ბინაში, სადაც ვათხოვებამდე მასთან ერთად ცხოვრობდა დედა და და.

ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მ. ლაგვილავა 1990 წლის დეკემბერში წამოვიდა მამამთილის სახელზე რიცხული სახლიდან, შემდგომ კი სარჩელი



აღძრა სასამართლოში ბინაში შესახლებაზე. ქ. თბილისის დრმადელის რაიონის სასამართლომ 1991 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ლაგვილავას უთხრა ბინაში შესახლებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1991 წლის 14 მაისის განჩინებით გააუქმა რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება. რადგან სასამართლომ სწორი შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე იყო ორსულად, სადავო ბინაში ჩასახლდა მოპასუხეების თანხმობით და მიიღეს ოჯახის წევრად.

მოქმედი საბინაო კანონმდებლობით მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემა სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. გამონაკლისს წარმოადგენს გამოთავისუფლებული საცხოვრებელი სადგომის განაწილება.

საბინაო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, თუ ბინაში, სადაც დამქირავებელი ცხოვრობს, გამოთავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მომიჯნავეა, სარგებლობაში უნდა გადაეცეს დამქირავებელს; თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, რომელშიც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეს, რომელიც იმყოფება ბინის მიღების აღრიცხვაზე ან ექვემდებარება აღრიცხვას, ხოლო თუ ასეთები არ არიან, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ 12 კვ. მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი. აღნიშნული წესი გამოიყენება ძველი განაშენიანების სახლის ერთ სართულზე განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომზეც.

სასამართლოების მიერ დასახელებული ნორმის სწორად გამოყენებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია განვმართო:

1. საბინაო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს სასამართლო წარმოებაში მიიღებს მას შემდეგ, როცა სათანადო ორგანოები გაანაწილებენ განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომს.

2. მომიჯნავე არაიზოლირებულ ოთახად მიჩნეული უნდა იყოს ისეთი მომიჯნავე ოთახი, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი, შესასვლელი და შეუძლებელია მისი იზოლირებულად გამოყენება. აღნიშნულის საპირისპიროდ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომად უნდა ჩაითვალოს ისეთი საცხოვრებელი ოთახი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი გასასვლელი საერთო სარგებლობის დერეფანში, სამზარეულოში და ა.შ.

3. საცხოვრებელი ფართობისაგან დამოუკიდებლად გამოთავისუფლებულ დამხმარე სათავსოზე მოქალაქის უპირატესი უფლების აღიარება და მისთვის სარგებლობაში გადაცემა სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

1986 წელს ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. № 3-ში გამოთავისუფლდა ლ. ბახტაძის სახელზე რიცხული 19 კვ. მ. ფართობის ოთახი და 9 კვ. მ. ფართობის სამზარეულო. მთაწმინდის რაიონმასკომის 1987 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით გამოთავისუფლებული ოთახი მიეცა იმავე სართულზე მცხოვრებ ქ. კაპანაძეს, ხოლო სამზარეულო — ც. ცერცვაძეს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1989 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით გააუქმა მთაწმინდის რაიონმასკომის გადაწყვეტილება სამზარეულოს განაწილების ნაწილში და დაავალა რაიონმასკომს მისი ზელმეორედ განაწილება.

რაიონმასკომში საქმის განხილვამდე ქ. კაპანაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ც. ცერცვაძის მიერ სამზარეულოს განთავისუფლება და მისთვის მიკუთვნება. მთაწმინდის რაიონის სასამართლომ 1991 წლის 29 აპ-


რილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასამართლოს გადაწყვეტილება და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი პუნქტით შეწყვიტა საქმის წარმოება. კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საბინაო კოდექსის 56-ე მუხლით სასამართლო მოქალაქეს მიაკუთვნებს საცხოვრებელ სადგომს და არა დამხმარე სათავსოს, დამხმარე სათავსოს მიკუთვნებას სასამართლოს მიერ საბინაო კანონმდებლობა არ იცნობს. მოცემულ შემთხვევაში სადავო სამხარეთლო სათანადო ორგანოების მიერ არ არის განაწილებული, სასამართლოს კი არა აქვს მისი განაწილების უფლება, ამიტომ არც სასამართლოს ექვემდებარება განსახილველად.

საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეს ეძლევა ბინადრობისათვის, უნდა იყოს კეთილმოწყობილი, შეესაბამებოდეს სანიტარულ და ტექნიკურ მოთხოვნებს (საბინაო კოდექსის 50-ე მუხლი). ახალ საცხოვრებელ სახლში ეს პირობები დადასტურებული უნდა იყოს სახლის ექსპლუატაციაში მიღების აქტით, რომელიც განსაზღვრავს ასევე სახლის კუთვნილებასა და მშენებლობის დამთავრებას. დაუშვებელია ექსპლუატაციაში მიუღებელი სახლის მოქალაქეებზე განაწილება და იქ ჩასახლება. დაუმთავრებელ, ექსპლუატაციაში მიუღებელ სახლში ჩასახლებული მოქალაქეები უფლება-მოვალეობებს ვერ იძენენ და აქედან გამომდინარე ღირებუც სასამართლოს არ ექვემდებარება.

აღ. შალუტაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, აზიზბეკოვის ქ. № 26-ში მისი ბინის თავზე მდებარე სხვენი, მისი ბინის ნაწილია და მოითხოვა მოპასუხისათვის — ს. ყაველაშვილისათვის ჩამორათმევა და მისთვის გადაცემა. 1991 წლის 14 მაისის განჩინებით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი პუნქტით შეწყვიტა საქმის წარმოება. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განჩინება დატოვა უცვლელად.

სასამართლოს დადგენილებები დასაბუთებულია შემდეგი გარემოებით: ქ. თბილისში, აზიზბეკოვის ქ. № 26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიწყო ცენტრალიზებული წესით. მშენებლობის პროცესში სახლი გადაეცა კულტურის სამინისტროს. სახლი ექსპლუატაციაში მიუღებელია, რის გამოც გაურკვეველია, ვის ეკუთვნის სახლი, ვის ფონდში უნდა იყოს იგი ჩარიცხული — უწყების თუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საბინაო ფონდში. ამდენად, სახლი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში და სასამართლომ სწორად შეწყვიტა საქმის წარმოება.

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის თანახმად მოქალაქეს, რომელმაც თვითნებურად აიშენა საცხოვრებელი სახლი, უფლება არა აქვს განკარგოს იგი, ე. ი. თვითნებური სახლის მენაშენე ამ სახლის მესაკუთრედ არ ითვლება და არა აქვს უფლება გაყიდოს, გააჩუქოს და ა. შ. მენაშენეს და მისი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ სახლით მანამ, სანამ მათ მიმართ ამავე მუხლით ვათვალისწინებული სანქცია არ იქნება გამოყენებული. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით ასეთი სახლი შეიძლება დაინგრეს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხოს სახელმწიფო საბინაო ფონდში, ამასთან მენაშენე და



მასთან ერთად მცხოვრები პირები გაოსახლებული უნდა იქნენ თვითნებურად აშენებული სახლიდან.

აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით საჭირო შეიქმნება თვითნებური ნაგებობის აღება, თვითნებური სახლის მენაშენესა და მასთან ერთად მცხოვრებ პირებს ბინა უნდა მიეცეთ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფამდე არ არსებობს ამ სახლის დანგრევის ან სახელმწიფო საბინაო ფონდში ჩარიცხვისათვის სასამართლოში სარჩელის აღსაძრავად სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება.

ქ. თბილისში, გუმათჰისის ქ. № 17-ბ-ში მდებარე თვითნებურად აშენებულ საცხოვრებელ სახლში ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა ლარისა კონოსოვა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1984 წელს გუმათჰისის ქ. № 17-ბ და მისი მიმდებარე ტერიტორია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოუყო ა/კავკასიის რკინიგზის სამმართველოს. ამასთან დაკავშირებით ლ. კონოსოვას სახლი დაანგრეს და აღუთქვეს, რომ ახალ სახლში მისცემდნენ სამაგიერო ბინას.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრებისთანავე ლ. კონოსოვამ შეთანხმებისამებრ, ქალიშვილთან ერთად დაკავა ოთახნახევრიანი ბინა. ა/კავკასიის რკინიგზის სამმართველომ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ლ. კონოსოვას ბინიდან გამოსახლება. ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლომ 1991 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტლებით სარჩელი დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1991 წლის 26 მარტის განჩინებით გადაწყვეტილება გააუქმა და მიუთითა, რომ ლ. კონოსოვა ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა გუმათჰისის ქ. № 17-ბ-ში მდებარე თვითნებურ ნაგებობაში, ჰქონდა საბინაო წიგნი. ა/კავკასიის რკინიგზის სამმართველოსაუვის მიწის ნაკვეთის გამოყოფამდე ლ. კონოსოვას მიმართ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის სანქცია არ ყოფილა გამოყენებული — თვითნებური ნაგებობის დანგრევის ან სახელმწიფო საბინაო ფონდში ჩარიცხვისათვის სასამართლოში სარჩელის აღსაძრავად სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამიტომ, მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, თვითნებური ნაგებობის დანგრევის გამო, მობასუხე ლ. კონოსოვას უნდა მიეცეს სამაგიერო ბინა.

ამ წერილზე რედაქციამ ზოგადად ადვოკატის და ადვოკატურის სა-
მართლებრივი მდგომარეობის სრულყოფის მიზნით აკვეზებს და არა
როგორც კონკრეტული ინდივიდის დასაცავად თუ საინანაღმდებოდ.
მათში საუბარია იმ პრობლემაზე, რომელზეც მსჯელობაა იურიდი-
ული შურნალის უზუალო დანიშნულება. როგორც პირველ, ისე მეორე
მასალას ვაჩვენებთ უცვლელად. შოველგვარი რედაქციული ჩარევის
ბარეზე (რედაქტორი).

ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია?

არ შეიძლება არ წამოგვეტრას ეს კითხვა, როცა საქართველოს ადვოკატთა
კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გამბაკურ ბაქრაძის „საჭირო განმარ-
ტებას“ წაიკითხავ, რომელიც ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლი-
კის“ ფურცლებზე დაიბეჭდა (27 აპრილი, 1991 წ.). „ქართლოს ღარიბაშვილის
კანდიდატურას (ლაბარაკია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის
კანდიდატობაზე, ო. გ.) — წერს გამბაკურ ბაქრაძე — მხარს ვერ დავუ-
ჭერთ თუნდაც იმიტომ, რომ მის შესახებ ჯერ კიდევ 1991 წლის 29 მარტს
საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო თანდარ-
თული დადგენილება“.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ხსენებული დადგენილე-
ბიდან, რომლის ტექსტიც თან ერთვის ბატონ ჯ. ბაქრაძის „საჭირო განმარტე-
ბას“, ვგებულობთ, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში 1991 წ. 20 მარტს
შესულა რესპუბლიკის პროკურატურის გამოძიებლის წარდგინება ადვოკატ
ქ. ღარიბაშვილის მიმართ. წარდგინებაში აღნიშნული ყოფილა, რომ ქ. ღარიბა-
შვილი, რომელიც წინასწარ გამოძიებაში ახორციელებდა ბრალდებულ ჯ. იოსე-
ლიანის დაცვას, „აშკარად გასცდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
46-ე მუხლით დამცველისათვის მინიჭებულ უფლებებს“. ამის საფუძველზე
პროკურატურას შეუძლებლად მიუჩნევია, რომ ქ. ღარიბაშვილმა განახორციე-
ლოს ჯ. იოსელიანის და სხვა ბრალდებულთა დაცვა.

მაინც როგორ „გასცდა“ ადვოკატი დასახელებული კოდექსის 46-ე მუხ-
ლის მოთხოვნებს? ქ. ღარიბაშვილს თურმე აღუძრავს შუამდგომლობა, რათა
წარედგინათ მისთვის საქმის „მთელი“ მასალი. ამაზე უარი უთბრეს და აუხ-
სნეს, რომ კანონით მას „გამოძიების ამ ეტაპზე არა აქვს უფლება გაეცნოს საქ-
მის მთელ მასალას“, ადვოკატს განმეორებით აღუძრავს შუამდგომლობა და
სხვ.

საკითხავია, რომელი კანონი აძლევდა უფლებას პროკურატურას, ჩამოე-

კილებინა ადვოკატი საქმისაგან იმ მოტივით, რომ იგი „გაცდა“ სისხლის სა-
მართლის კოდექსის 46-ე ან თუნდაც სხვა მუხლის მოთხოვნებს? პროკურატურა
რამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ ასეთი კანონი არ არსებობს. მაგრამ
მისთვის ისიც იყო ცნობილი, რომ ტრადიციულად პროკურატურა ან სასამართ-
ლო „არასასურველი“ ადვოკატის საქმისაგან ჩამოცილებას ჩვენში ადვოკატთა
კოლეგიის პრეზიდიუმის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით ახერხებდა
ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ პროკურატურამ დასახელებული წარდგინება სა-
ქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს გაუგზავნა და ურჩი ადვოკა-
ტის დასჯა სთხოვა. „ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა იქონიოს მსჯელობა (?)
ქ. ლარიბაშვილის მიერ ჩადენილ ქმედობებზეო“, ნათქვამი ყოფილა პროკურა-
ტურის წარდგინებაში.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა, რასაკვირველია, არ და-
აყოვნა და მართლაც „იქონია მსჯელობა“ (დააკვირდით გამოთქმას) ამ საკითხზე.
მან დაადასტურა, რომ თურმე „ქ. ლარიბაშვილი აშკარად გაცდა სსსკ 46-ე
მუხლით დამცველისათვის მინიჭებულ უფლებებს...“ და, რომ საგამოძიებო ორ-
განო, თურმე ნუ იტყვი, უფლებამოსილი ყოფილა „მოქმედი კანონმდებლო-
ბის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები“.

მინდა შევეკითხო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჯამ-
ბაყურ ბაქრაძეს: ბატონო ჯამბაყურ, იქნებ გვიპასუხოთ, ჯერ ერთი, სად, რო-
მელ კანონში წერია ასეთი უფლებამოსილება და, მეორეც, რას ნიშნავს გა-
მოთქმები: „მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე“ და „გა-
მოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები“? განა იურიდიულ დოკუმენტში ასეთ ბუნ-
დოვან ფორმულირებებს უნდა ვიყენებდეთ? რატომ ზუსტად არ გვისახელებთ
მუხლს, რომლის საფუძველზეც საგამოძიებო ორგანოს უფლება ენიჭება ჩამო-
აცილოს ადვოკატი საქმეს, ან რა „შესაბამისი ღონისძიებების“ გამოყენებაზეა
აქ ლაპარაკი? იქნებ გვითხრათ, რა „ღონისძიებები“ შეუძლია გაატაროს პრო-
კურატურამ ადვოკატის მიმართ მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირე-
ბით?

რასაკვირველია, თქვენ ბატონო ჯამბაყურ, როგორც პროფესიონალი ად-
ვოკატმა, კარგად უნდა უწყოდეთ, რომ მოქმედ კანონმდებლობაში არ არსე-
ბობს მუხლი, რომელიც პროკურატურას ან სხვა სახელმწიფო ორგანოს უფ-
ლებას ანიჭებდეს, ჩამოაცილოს ადვოკატი საქმეს. ამ საკითხის გადაწყვეტა ხომ
თვითონ იმ ბრალდებულზეა დამოკიდებული, ვინც ადვოკატი თავისი უფლების
დასაცავად აიყვანა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის 43^ე მუხლში ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის
მიერ არჩეული დამცველის მონაწილეობა დიდი ხნით შეუძლებელია, გამოძიე-
ბელს და სასამართლოს შეუძლიათ წინადადება მისცენ (ო. გ.) ბრალდებულს მოი-
წვიოს სხვა დამცველი...“ (ნაწ. III); როგორც ხედავთ, გამოძიებელს და სასამა-
რთლოს „შეუძლიათ წინადადება მისცენ ბრალდებულს“ შეცვალოს დამცველი,
ესე იგი დამცველის შეცვლა, მისი საქმისაგან ჩამოცილება ბრალდებულის უფ-
ლებაა და ამ საკითხში ვერც პროკურატურა, ვერც ადვოკატთა კოლეგიის პრე-
ზიდიუმი ვერ ჩაერევა. აი, რატომ მოხდა, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზი-
დიუმმა ზემოდასახელებულ დოკუმენტში ჩვენი თვალის ასახვევად გამოიყენა
ფორმულა „მოქმედი კანონმდებლობა“ და ვერ დაასახელა ზუსტი მუხლი.

მაგრამ მთავარი აქ სულ სხვა რამ გახლავთ: ადვოკატთა კოლეგიის პრეზი-


დიუმი, ნაცვლად იმისა, რომ დაიცვას თავისი კორპორაციის წევრი სახელმწიფო ორგანოს უკანონო თავდასხმისაგან, პირიქით იქცევა და დახმარების ხელსუფლების ამ ორგანოს. ეს იმიტომ ხდება, რომ ადვოკატურა, რომელიც თავისი ბუნებით საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და სახელმწიფოსაგან ჩამოცილებული უნდა იყოს, ჩვენში ფაქტობრივად წინანდებურად გასახელმწიფოებრივებულია. ამას შედეგად კი ის მოსდევს, რომ ადვოკატი თვითონ არის დაუცველი და ამიტომ უჭირს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელება. ბევრი ადვოკატი ამის გამო ფრთხილობს და ვერ გამოდის პროცესზე პრინციპულად იმის მიშით, ვაითუ სამსახური დავკარგოო, ჩვენ ვიცით ამის მაგალითები ახლო წარსულიდან, როცა არასასურველი ადვოკატი თავიდან მოიცილეს და სამსახური დაატოვებინეს. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი ბრალდებული არ ენდობა ხოლმე აქაურ კაცს და იძულებულია ადვოკატი საქართველოს გარედან, კერძოდ, მოსკოვიდან მოიწვიოს.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ, ძველისაგან განსხვავებით, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ახალი ხელმძღვანელობა იზრუნებდა იმისათვის, რომ ადვოკატთა კოლეგია განთავისუფლებულიყო სახელმწიფოს დიქტატიზაგან. ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, რაც აუცილებელი შედეგი უნდა იყოს საქართველოში ბოლშევიკური რევოლუციის შედეგისა. მაგრამ, თუ ზემოთ დასახელებულ დოკუმენტს მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ახალი ხელმძღვანელობის საქმიანობას ჯერჯერობით ასეთი ზრუნვის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა.

ოთარ გამყარალიძე

განმარტება ო. გამყარალიძის სტატიის—„ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია?“ — შესახებ

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 50 წელს გადაცილებული იურისტი გვეკითხება „ვის ემსახურება საქართველოს ადვოკატთა კოლეგია?“ თუ აქამდე ვერ გაუგია იურისტს თუ ვის ემსახურება ადვოკატთა კოლეგია და კერძოდ ადვოკატი, მისთვის შექმნილა მეტად რთული მდგომარეობა. იძულებული ვართ, განუმარტოთ, რომ ადვოკატურა როგორც სოციალური კონსტიტუციური დანაწესები ინსტიტუტი, ემსახურება მოქალაქის, პირის და იურიდიული პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვას, რითაც დიდად უწყობს



ხელს საზოგადოებაში, სახელმწიფოში კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელების დიად საქმეს.

ოთარ გამყრელიძემ ეს კითხვა დაუკავშირა კერძო შემთხვევას, ადვოკატ ქ. ღარიბაშვილის საკითხს, რომელიც განიხილა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა. საქმის მასალის შესწავლის, ჩვენთან და პრეზიდიუმის სხვა წევრებთან ვსაუბრების გარეშე დაწერა ეს შეცდომებით ავსილი წერილი, რომელიც თვით ო. გამყრელიძის ტერმინი რომ ვინმართ, ამ წერილს ადვოკატურის მუშაობის ცოდნის და ჩვენი დაცვის შესახებ კანონმდებლობის კომპეტენტურობის „არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა“.


ადვოკატურის მოქმედი დებულების მე-16 მუხლი მოითხოვს: „ადვოკატი მოვალეა თავის საქმიანობაში ზუსტად და განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები“. „ადვოკატი უნდა იყოს მორალური სისპეტაკისა და უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი“.

ვინც კი საქართველოს პროკურატურის წარდგინება წაიკითხა, პრეზიდიუმზე მისი დეტალური განხილვისა და ყველა მასალის წინასწარი შესწავლის შემდეგ, პრეზიდიუმის წევრებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება და მიიჩნიეს, რომ ადვოკატმა ქ. ღარიბაშვილმა დაარღვია კანონის მოთხოვნა. მან შეადგინა პროკლამაცია, რომლის ტექსტიც ეხება „მხედროინის“ საქმეებს. 1991 წლის 15 მარტს 4 საათზე ოპერის ბალთან მოწყობილ მიტინგზე გაამჟღავნა საჯაროდ წინასწარ გამოძიებაში არსებული მასალა, რაც წინასწარ ჩაწერა პროკლამაცია-მიმართვაში „აქვე მოისმენთ იოსელიანის ადვოკატის ზელთ არსებულ ინფორმაციას“. კანონი კი მოითხოვს, რომ „ადვოკატს უფლება არა აქვს გაანხორცილოს ცნობები, რომლებიც მიაწოდა მარწმუნებელმა“ (იხ. მუხ. 16).

პრეზიდიუმის წევრები გაეცნენ რა ქ. ღარიბაშვილის მიერ შედგენილ მიმართვის შინაარსს, რომელიც ხალხში გავრცელდა, ერთხმად მიიჩნიეს, რომ მათში გამოხატულია აშკარა უპატივცემულობა და შეურაცხყოფა, რაც აძირებს ადვოკატის მოღვაწეობის მორალურ მხარეს. ქ. ღარიბაშვილმა დაადასტურა, რომ ეს მიმართვა მან დაწერა იოსელიანის სიტყვების აღდგენის გზით. მიმართვაში ნახმარია გამონათქვამები: „ფაშისტური ხროვა მთავრობის სათავეში მოსული“..., „მხედროინი შეეჭიდა მათ ფაშისტურ კურსს“, „პრეფექტთა ხალხის მჩაგვრელი ინსტიტუტი“, „ყოველივე ამისა და კიდევ მრავალი შინგამოჩეკილი ფაშისტური მოვლენები“ და სხვა. ცხადია, ასეთი უნამისი, შეურაცხმყოფელი ხერხების გამოყენებით ქ. ღარიბაშვილი გასცდა სსსკ 46-ე მუხლით დამცველისათვის მინიჭებულ უფლებებს, რის გამოც შეუფლებლად მიიჩნია ასეთი მეთოდებით და კანონის მოთხოვნათა შეგნებულად უხეში დარღვევების გზით, მის მიერ ბრალდებულის უფლებათა დაცვა, რადგან ასეთი დაცვა უფრო მეტ ზიანს აყენებდა ბრალდებულს ვიდრე სარგებლობას მოუტანდა მას. ამიტომ ო. გამყრელიძის სტატია აშკარად ტენდენციურია. მასში დამახინჯებულია ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის 1991 წლის 29 მარტის დადგენილების შინაარსი და გვერდი ავლილი აქვს იმ ძირითად მოტივებს, რაც გარკვევით არის მითითებული ტექსტში. პრეზიდიუმს ამ გადაცდომის გამო ადვოკატისათვის რაიმე სასჯელი ან სახდელი არ განუსაზღვრავს.

ბატონო ოთარ! თქვენ რა ნამდვილად ფიქრობთ, რომ პრეზიდიუმს არ უნდა ემსჯელა რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინების შესახებ? თუ მართლა ასე ფიქრობთ, მეტად ცდებით, და მიგვაჩნია, რომ ეს არ უნდა ემართებოდეს იურისტს. ადვოკატობა საერთოდ ძნელია. უფრო ძნელია ადვოკატის ადვოკა-


ტობა. ასეთ პირობებში, როცა ადამიანი თუნდაც განათლებით იურისტი, სრულად არაკომპეტენტური დაცვის ურთულეს საკითხებში შეეჭიდა მეტად მძიმე ტვირთს. ცხადია, დამარცხდება ისევე, როგორც ამ შემთხვევაში დამარცხდა თ. გამყრელიძე. დაიკავა რა ამბიციური პოზა, თავის სტატიაში ავტორმა ისე წარმოაჩინა თავი, თითქოს ის უფრო მეტად არის დაინტერესებული ადვოკატის და ადვოკატურის ბედით, ვიდრე პროფესიონალ ადვოკატების მიერ ალტერნატიულ საფუძველზე არჩეული კოლეგიის პრეზიდენტში, ასე, რომ მეტად საეჭვოდ და ვამკვირვალედ ჩანს ბატონ ოთარის „მფარველობის გამოუსადეგარი მანტია“, სინამდვილეში რვა თვეში პრეზიდენტის ახალმა შემადგენლობამ ადვოკატების გადასახადი შეამცირა 17 პროცენტამდე, კოლეგიის თვითრი შემოსავალი 128 ათასი მანეთიდან გაზარდა თითქმის 400000 მანეთამდე, დააარსა და გახსნა თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ფასიანი ინსტიტუტი პროფკავშირებთან ერთად, შეწყვიტა სხვა ხელმძღვანელების დაწინებული კადრების ადვოკატებად მიღება და ფართოდ გაუღო სათანადო სტაჟირების გზით ახალგაზრდა იურისტებს კარები კოლეგიაში, იურიდიული კონსულტაციების გამგეობად ზოგიერთ კონსულტაციაში დაწინაურდა გამოცდილი და წესიერი ადვოკატები, ხელი შეუწყო იურისტ ქალების წარმოჩენას, არცერთი ადვოკატი მკაცრად არ დაუხსნია, რადგან მიღებულმა პროფილაქტიკურმა ზომებმა სათანადო შედეგი გამოიღო და გადაცდენები თითქმის არ ჩადენილა. მიიღო იუსტიციის ყოფილი შენობა, დააარსა საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ჩაატარა გამოჩენილი მეცნიერების მეტად საინტერესო ლექციები ადვოკატებისათვის. შრავალ ადვოკატს გაუწია როგორც მნიშვნელოვანი მატერიალური, ასევე მორალური დახმარება, აერჩია საქართველოს რესპუბლიკის საპატიო ადვოკატები, ასე, რომ თქვენი ჭკუის სწავლება და მეტად „ხელოვნური წუხილი“ ჩვენი ადვოკატების ბედის შესახებ სრულიად უსაგნო და სრულიად ზედმეტია. ასევე უსაგნოა თქვენი განცხადება, რომ „ჩვენ იმედი გვქონდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის ახალი ხელმძღვანელობა იზრუნებდა იმისათვის, რომ ადვოკატთა კოლეგია განთავისუფლდებოდა სახელმწიფო დიქტატისაგან“, არავივითარ დიქტატს ჩვენ არ განვიცდით. დახმარების ხელს კ ვგრძნობთ, ჩვენი ადვოკატები ათასობით ადამიანის კანონიერ ინტერესებს მდგრად იცავენ და სტატისტიკა გვაუწყებს, რომ კარგ შედეგებსაც აღწევენ. ასე, რომ „ჩინოვნიკური შიში“, რომელიც თქვენ გელანდებთ ამ სტატიაში, საქართველოს ადვოკატებისათვის დამახასიათებელი არ არის, სწორედ პირიქით, რითაც შეგვიძლია ვებმარებით დამოუკიდებელი საქართველოს ერგონულ მთავრებას და ვიბრძვით თავისუფლების მისაღწევად მეტად მძიმე ბრძოლების გზებზე. 100.000 მანეთი გადაჯურიცხვით ეროვნულ გვარდიას. გავაკეთეთ განცხადება სამაჩაბლოს ამბების შესახებ. მხარი დაუჭირეთ თავისუფალ და შეგნებულ ქართველობას ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის და პრეზიდენტის მორალურ დაცვაში. ავლამგმეთ თვით ქ. ღარიბაშვილის დაუფიქრებელი მოქმედება — როცა მან თავის თავი საჭირო რაოდენობის მხარდამჭერების გარეშე დაასახელა საქართველოს პრეზიდენტად არჩევის კანდიდატად. ასე, რომ ვიმეორებ, თქვენი წუხილი ადვოკატურის ბედის შესახებ, ბატონო ოთარ, „ამაოდ დაშვრა“. ადვოკატის საპროცესო უფლებების შესახებ ქ. ღარიბაშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ თანახმად კანონის მოთხოვნისა (სსსკ 16-ე მუხლი იხ. კომენტარები) — დამცველი მოწოდებულია დაიცვას ბრალდებულის არა ყველა ინტე-



რესი, არამედ მხოლოდ მისი კანონიერი ინტერესები და თანაც მხოლოდ და ცხელი კანონიერი საშუალებებით და ხერხებით. კანონი ადვოკატურის შესახებ (მე-7 მუხლი) ადგენს ადვოკატის მოვალეობას, რათა მან თავის მოღვაწეობაში ზუსტად და განუხრელად იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით. ადვოკატი არ შეიძლება განხილული იქნეს ბრალდებულის ისეთ წარმომადგენლად, რომელიც მარწმუნებლის ყოველგვარ დავალებას ასრულებს. საბოლოო გადაწყვეტილებას ადვოკატი დამოუკიდებლად ღებულობს და მთლიანად ეკისრება პასუხისმგებლობა თავის მოქმედებაზე, ამიტომაც ადვოკატ ქ. ღარიბაშვილის მოქმედება — საჯაროდ მთავრობის ლანძღვა უხამსი სიტყვებით, წერილობითი ფორმით (პროკლამცია) მისი ღირსების დამცირება, რაც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დაცვის კანონიერ საშუალებად და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პროკურატურის მიერ ქ. ღარიბაშვილის ასეთ მოქმედებაზე სათანადო რეაგირება არ შეიძლება უგულვებელყოფილიყო პრეზიდენტის მიერ, რამაც შესაბამისი დასაბუთება ჰპოვა ჩვენს დადგენილებაშიც.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარე,
 იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სოციოლოგი და ადვოკატი
 ჯამბაბაშვილი ბაბრამი,

თავმჯდომარის მოადგილე დირექტორი მახარაძე.



ერთი ტერმინის თაობაზე

განვიხილოთ სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. კერძოდ, სქესობრივი კავშირის გამომხატველი ტერმინები.

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებშია თუ მატრიანეებში სქესობრივი კავშირის (ნებაყოფლობითისა თუ იძულებითის) აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ზოგჯერ კი საქმის ვითარება ტერმინის გარეშეა გადმოცემული. ბექას სამართლის 50-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა ანუ დედაკაცისა ქმარსა შესჩივლოს ვითა, ესე ჩემი ქმარი შენსა ცოლთან არისო, და მის დიაცისა ქმარმან გაიგონოს, და ამა ყბედისა და ჩველისა ქმარსა ამისსა მოწამენი ჰყვენ, თუ გაეყაროს, ბოზობისა ოდნად გარდაჰდეს მისი საქმე და სისხლი“.

ვახტანგის სამართლის 71-ე მუხლიც იურიდიული ტერმინის გარეშე გადის ფონს: „თუ ერთმან მეორის ცოლსა უაშიყოს და გამოჩნდეს რომ მასთან ყოფილიყოს, და დააგდოს მისმან ქმარმან, სრული სისხლი მისცეს (იხ. აგრეთვე 87-ე მუხლი)“.

ცხადია, კანონმდებელი სხვის „ცოლთან ყოფნაში“ სქესობრივ კავშირს გულისხმობენ. მუხლების შინაარსიდან ეს ნათელია.

გიორგი შერჩულეც სამართლებრივი ტერმინის გარეშე გადმოგვცემს ზენონის დის გაბახების ამბავს: „...ამას განიზრახვიდა ზენონ, და ამ იგი მისი ეშმაკისა განმარჯვებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან...“ რა თქმა უნდა, „შეცთუნა“ სქესობრივი კავშირის გამომხატველ სპეციფიკურ ტერმინად ვერ ჩაითვლება. „შეცთუნის“ სინონიმია სიმონ I-ის ერთ სიგელში (1592 წ.) გამოყენებული „მოტყუება“: „...თუ ხუცესსა ცოლი მოუტყუოს, სრულსა სისხლსა ორმოციათასი სხუა ემატოს, თუ ერისგანს მოუტყუოს, ნახევარი სისხლისა უზღოს“.

არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ამ დოკუმენტში გამოყენებული ტერმინი „მოტყუოს“ ნიშნავდეს არა „მოტყუებას“ არამედ „მოტყუნა“-ს, ეს სიტყვა განმარტების გარეშე ნაჭრან-საბას თავის „სიტყვებ კონაში“ აქვს შეტანილი. ტერმინის დაწვრილებით ქვემოთ გაჩვიწვილავთ.

სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით იშვიათად გვხვდება „შეწამება“ ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ, რომ „ზურგას გერმანოზ თავისი ქალი შესწამა“ და ბრალდებულის ძვივს ასე უნდა დაეფიცათ: „არც ჩვენს ძმას ზურგას გერმანოზის ქალთან სკოდნისარაო“.

სამართლებრივ კონტექსტში „შეწამება“ რაიმე დანაშაულის დაბრალებას ნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი ეწევა რა მდულრიო ბრალდებულის („შეწა-

1 „მედიო ქართული ლიტერატურის ძეგლები“, თბ., 1978, გვ. 144.
2 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 2, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და აძიებულები დატაროთ ა. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 206.
3 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 4, თბ., 1972, გვ. 146.

მებულის“) გამოცდას, წერს: „...გაადულიან წყალი ქუაბსა შინა, შთაადლიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშულითა მკლავითა და აღმოჩნდოს რკინა იგი...“⁴. აქედან გამომდინარე, ზემოთდამოწმებულ განჩინებაში „ქალის შეწამება“ ქალთან სქესობრივი კავშირის დაბრალებას ნიშნავს და არა უშუალოდ სქესობრივ კავშირს.

ბეჭას სამართლის 23-ე მუხლში გვხვდება „მოყივნება“: „თუ კაცმა და-და-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარყო უყოს და კდეც მოაყივნოს, გინა ნებიითა, გინა უნებურად, და გამყდავნდეს, — დაეუროს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი“. გადამწერის ხელით ხელნაწერის კიდევ ამ მუხლის გასწვრივ მიწერილია: „გაწბილება“, „გაწბილება“, „მოყივნების“ სინონიმა და ყველაზე ხშირად სწორედ იგი გამოიყენებოდა სათანადო დოკუმენტებში. მრავალთავან ერთ განჩინებას დავიმოწმებთ; განჩინებ სოლომონ გედევანიშვილის მოახლის გაწბილების საქმეზე (1775 წ.): „...არდაგან ამ დავითმა თავისი პირით აღიარა ამ სოლომონის მოახლესთან სიძვა, დავითმა სოლომონს თვისის მოახლის გაწბილების სისხლი უნდა მისცეს“⁵. სულხან-საბა ამ ორ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „მოყივნება — კაცთათვის უბადო და ავის სახელის განთქმა“. „გაწბილება — შერცხვენის დამართება“. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც „მოყივნება“ და „გაწბილება“ იხმარება კონტექსტში, რომელიც სქესობრივ დანაშაულთან არაა დაკავშირებული. ერთმა ყმა უარყო მამა შემდეგი მოტივით: „მართალია დედა ჩემი ამ მარტირუხასი სულიერი მეუღლე იყო, მარა იმ დედაჩემს მინდუაშვილი დასწოლოდა და იმ მინდუაშვილს შევექვენ და იმ მინდუაშვილისთვის სისხლიც გამოუერთმევიათ. ...მარტირუხამ ცრემლით სამართალს ასე მოახსენა: ჯერ იმ ჩემს საწყაოს მეუღლეს და თავის მშობელს აყვავნებს და მერმე მე ასე მკლავს... და ახლა ჩემს შვილობას აღარ კადრულობსო და ქვეყანაშიაც ასე გვაყივნებსო...“⁶

დავით გურამიშვილი გვაფრთხილებს, რომ „სწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდებისო“; კიდეც ერთი მაგალითი საისტორიო მწერლობიდან: „მამინ შევიდა მასლამა საბერძნეთსა და უკუიქც: გაწბილებული (ვახუშტი ბატონიშვილი)“⁷.

როგორც ვხედავთ, „მოყივნება“ და „გაწბილება“ ზოგადად შერცხვენას, იმედგაცრუებას ნიშნავდა, ხოლო სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით ეს ტერმინები გამოიყენებოდა დასაგმობი და გამყდლებული სქესობრივი კავშირის გამო საჩოთირო ვითარებაში ჩავარდნილი ქალის მდგომარეობის და არა უშუალოდ სქესობრივი კავშირის აღსანიშნავად.

იგივე ითქმის „გაუბატიურებაზე“. იგი პიროვნების შეურაცხყოფას, მათ შორის დასაძრავი და გამყდავენებული სქესობრივი კავშირით ქალს მოყივნებას აღნიშნავდა. მიქელაძის სასისხლო სიგელი (ივ-14 ს.) ადგენს მიქელაძეთა ქალის მოყივნებისათვის სისხლის საზღაურს: „ცოლი თუ ვინმე გაუბატიოს, ნახევარი გარდაუხადოს“⁸, ანალოგიურ დოკუმენტში, თოფურიძეთა სასისხლო

⁴ „ქართლის ცხოვრება“, ტ. 4, ტექსტი დადგენილი ყველ ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 19.

⁵ „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 4, გვ. 577, იხ. აგრეთვე გვ. 396, 438.

⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ტ. 2, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 157.

⁷ „ქართლის ცხოვრება“, ტ. 4, გვ. 128.

⁸ „საქართველოს სიძველენი“, ტ. 2, ტფილისი, 1909, გვ. 33.

სიგელში (მე-15 ს.) ვკითხულობთ: „ვინც ცოლი გაგიუპატოს, ნახევარი სისხლი დაგეუროს“⁹.

დღეს „გაუპატიურება“ ძალადობით სქესობრივი კავშირის დაკვირვას ნიშნავს, ძველ ქართულში კი, როგორც ვთქვი, პიროვნებისადმი უპატიურად მოქცევას ნიშნავდა და ამ აზრით იხმარებოდა. კიდევ, ბექას სამართლის 35-ე მუხლი ეხება პიროვნებისადმი უპატიურად მოპყრობას: „თუ აზნაური კაცი გლახმან, გინა დიდებულმან, გინა აზნაურისშვილმან გააუპატიოს და კიდევ წაუღოს რამე... იგი სრულად დააუტრევინონ კატრონმან და შუათა, — სისხლის ნახევარი“.

ვახუშტი მოგვითხრობს კახეთისა და ქართლის მეფეებს შორის კონფლიქტზე: „...უთმინომან ალექსანდრემ და დისა ივისისა არაკეთილისმნებებელმან შემოკრიბნა სპანი თვისნი კახნი და უგრძნულად დაესხა დიდვამს სვიმონს... ხოლო სვიმონ ივლტოდა და შეუსია დასა თვისსა და აიალაფა სიმდიდრე სვიმონისა და წარვიდა გამაუპატიო დისა თვისისა“¹⁰.

„გაუპატიურება“ ეს მნიშვნელობა დიდბანს შეინარჩუნა: 1880 წელს ილია ჭავჭავაძე კატკოვისადმი პასუხში წერდა: „თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვა, იმას მაინც უნდა მოჰკრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს... თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას!“

ამის გამო თავის დროზე „გაუპატიურებასა“ და „სქესობრივ კავშირს“ შორის იგივეობის ნიშნის დასმა უმართებულო იყო. უფრო მეტიც: „გაუპატიურება“ სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით აუცილებლად არ გულისხმობდა სქესობრივ იძულებას, გაუპატიურება, ისევე როგორც მოყივნება და გაწბილება, ქალის ნებითაც ხდებოდა. ბექას სამართლის ზემოთ დამოწმებულ 23-ე მუხლში კანონმდებელი სწორედ ასე წერს: „...მოაყივნოს, გინა ნებითა, გინა უნებურადო“. ნებით გაწბილების არსებობია დასამტკიცებლად დავიმოწმებთ 1801 წლით დათარიღებულ განჩინებას; სვიმონ აბაშიძე მამისთვალ ყიფიანს უჩიოდა: „მოახლე გამიწბილა, მერმე ქალი გამიწბილა და შვილი აყოლა“. მოსამართლენი აღნიშნავენ: „ქალი შეიყუარა, შვილი აყოლო, ესეც დამტკიცებით სამართალმა იცის, რომ თუ იმ ქალის ნება არ ყოფილიყო, ყმა ვერ შეჰბედავდა, თუმცა შეჰბედა და განცხადდა“¹¹.

როცა საკმე ძალადობას ეხებოდა, ამას აღნიშნავდნენ კიდევ; ზედგანიძეების სასისხლო საქმის განჩინება: „სუიმონ ამას ჩიოდა: პირველ გიუნას სახლისკაცს ჩემი სახლისკაცი მოუკლავსო და სებერა ჩემი პაპა შენს ძალიდ გაუწბილებიაო“¹².

რაკი „მოყივნებისა“ და „გაწბილების“ დარი მნიშვნელობისა „გაუპატიურება“, ზემოთქმული მასზეც ვრცელდება, თუმცა „გაუპატიურების“ შემცველი დოკუმენტებიდან ეს აშკარად არ ჩანს. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი „გაუპატიურების“ ბადალი ტერმინი ძველ ქართულში არ არსებობდა. ყოველი ზემოთქმულიდან კი შეიძლება დავასკვნათ: „მოყივნება“, „გაწბილება“, და „გაუპატიურება“ არ შეიძლება ჩაითვალოს სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელ ტერმინად, ამგვარი ტერმინებო კი იყო: „მოტ...ნა“ და „თანაყოფა“. ჯერ

⁹ იქვე, გვ. 36.

¹⁰ „ქართლის ცხოვრება“, ტ. 4, გვ. 578.

¹¹ „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 6, გვ. 309-310.

¹² იქვე, ტ. 4, გვ. 93.

პირველი ტერმინის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი განმარტების გა-
რეშე შეტანილია სულხან-საბას „სიტყვის კონაში“. იგი გვხვდება აგრეთვე ქა-
კანონმდებლო ძეგლსა და სამართლებრივ დოკუმენტებში. ბაგრატ კურაპალატის
სამართლის წიგნის 145-ე მუხლი ადგენს: „თუ კაცმა კაცს შეპყვილოს, ეს
კაცი შენსა ცოლსა ასრე უზამსო, ანუ ფიცოს, ანუ მართლა გატეხოს, არა ზე-
და-აც“. სამართლის წიგნის B ხელნაწერში ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად
წერია: „...ცოლს გიტყ...სო“¹³.

ავშანდაძეთა სასისხლო სიგელში (მე-15 ს.) ვკითხულობთ: „ვინცა თქუ-
ენსა გუარისა კაცსა ცოლი წაუღოს და გინდა მოუტ...ს, ამა სისხლისა ნახევარი
დაეუტროს...“¹⁴ ერთ დოკუმენტს კი მცირეოდენი შემოკლებით მოვიტანთ. გან-
ჩინება დავითელა მახარაძის ცოლის გაწბილების საქმეზე (1789-1811 წწ): „მა-
ხარაძემ უჩივლა: ცოლი გამიწბილე და წამიხთინე; რასთვის მომკალი? შათირი-
შვილმა აშორო უთხრა. ჩვენ ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითონ გოგია შათირი-
შვილი... ასე სამართალი მისცეს: შენ რომ შენი ცოლის ბაზობას მეწამები, მე
შენი ცოლი არ მომეტყ...ს, არც მეარშიყებოხს... თუ ასე შათირიშვილი გამარ-
თლდეს, მახარაძე რას ემართლება. თუ ვერ გამართლდეს, მოტყე...ში თუ გა-
მოტყედეს და ის ქალი ქმარმა დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს... თუ მოტყე...ში
გამართლდეს და აშიკობა ვერ იფიცოს, ნახევარი სისხლი მისცეს შათირიშვი-
ლმა მახარაძეს“¹⁵.

როგორც ვხედავთ, ჩვენი წინაპრები სულაც არ ერიდებოდნენ სამართ-
ლებრივი ხასიათის ძეგლებში საგნებისათვის თავიანთი სახელების დარქმევას,
ხოლო არასამართლებრივ, არაიურიდიულ თხზულებებში „მოტყ...ს“ ცვლიდნენ
ტერმინით „თანაყოფა“. ეს ტერმინი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული.
ადრეულ საუკუნეებში მას მეორე მნიშვნელობაც ჰქონდა, კერძოდ, იგი აღ-
ნიშნავდა ერთად ყოფნას, ერთად ცხოვრებას, შემდეგ კი მისი მნიშვნელობა
დავიწროვდა და გახდა მხოლოდ სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელი ტერმინი.
კორინთელთა მიმართ პავლეს პირველ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „უკეთეს
ძმასა ვისმე ესუას ცოლი ურწმუნოდ და მას ჯერ-უჩნდეს ყოფად მის თანა, ნუ
დაუტეობნ ცოლსა მას. (თავი 7, მ. 12). აქ „ყოფად მის თანა“ „მასთან ცხოვ-
რებას“ ნიშნავს. პავლეს ამ დებულების საფუძველზეა შექმნილი ბერძნული
სამართლის ქართული ვერსიის 72-ე მუხლი: „უკეთეს მართლმადიდებელთა დე-
დაკაცსა უნდოდეს მწვალებელთა კაცთანა ყოფა და მას მართლმადიდებელსა
ენებოს მწვალებელთა დედაკაცთა თანაყოფა, ცოლქმრად იყუნენ...“¹⁶ „ლია აბუ-
ლაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „თანაყოფას“ მხოლოდ ამ მნიშ-
ვნელობას ანიჭებს, თუმცა მის მიერ დამოწმებული მეორე ციტატიდან —
„ჰკითხვიდა დედათა... თანაგვეყოფვის თქვენ ბერი?“ — ჩვენი აზრით, აშკარად
ჩანს, რომ აქ ლაპარაკია სქესობრივ კავშირზე და არა უბრალოდ ერთად
ცხოვრებაზე.

„თანაყოფა“ სქესობრივი კავშირის მნიშვნელობით გვხვდება ბიბლიის
მცხეთურ ხელნაწერში (მე-17-18 სს.); სოდომელებმა „...განუწოდეს ლოთს
და იტყოდეს მისა მიმართ: სადა არიან კაცნი, მოსრულნი შენდა ღამით? გა-
მოიყუანენ იგანი ჩუენდა, რამეთუ თანა-გვეყუნებ მათ“, ხოლო გამოვიდა ლოთ:

13 იქვე, ტ. 1, გვ. 468.

14 „საქართველოს სიძველენი“, ტ. 2, გვ. 43. იხ. აგრეთვე იაკობიძეთა სასისხლო სიგელი,
გვ. 373.

15 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 6, გვ. 441.

მათდა მიმართ... და პრეტუა მათ: „ნუ სადა ძმანო, ნუ უკეთურებთ. რამეთუ არ-
ან ჩემნი ორნი ასულნი, რომელთა არლა უცნიეს მამაკაცნი. გამოიყუანნენ უფინი
თქუენდა და იჭმიენით იგინი, ვითარცა გთნავს, მხოლოდ კაცთა ამათ მიმართ ოდ-
ენ ნურარას ჰყოფთ უსამართლოსა... (დაბადება. თავი 19, მ. 5-8)“. იოსებს
გვებატის ფარაონის ცოლმა უთხრა: „დაწვე ჩემ თანა“. „და რაჟამს ეტყვი იგი
დღითი დღედ, არა ერჩდა იოსებ დაწოლად მის თანა და თანაყოფად მას (დაბადე-
ბა. თავი 39, მ. 7, 10)“. ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში „თანაყოფა“ სქესობ-
რივ კავშირს ნიშნავს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიბლიის მცხეთურ
ხელნაწერს რედაქტირება გაუკეთა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელმაც „სიტყ-
ვის კონაში“ „თანაყოფა“ მხოლოდ სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელ ტერ-
მინად მიიჩნია: „თანა-ვეყუნეთ — მასთან ესცოდოთ“.

როგორც უკვე ვთქვით, „თანაყოფა“ გვხვდება საკანონმდებლო ძეგლშიც.
კერძოდ, ბექას სამართლის 41-ე მუხლი ადგენს: „თუ კაცმან ხუცისა ცოლსა
უაშიყოს და დასტურად თანაყოფა გამოჩნდეს“, ასე და ასე გადახდესო, (იხ.
აგრეთვე მუხლი 26).

უამთააღმწერელი გვიამბობს, რომ „...სიტყუადა ესრეთ იყო, ვითარმედ
ესუქნს თანაყო... თანაყო ბასილი ესუქნის და არა რიდა საწოლსა პატროსან-
სა მეფისასა“¹⁶. ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელს ულუდავეითის ცოლთან თანა-
ყოფა სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

კიდევ ერთი ამბავი საქართველოს ისტორიიდან თანაყოფასთან დაკავში-
რებით. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ კახთა მეფე ალექსანდრეს და „სცხოვ-
რობდა ალავერდს. გარნა ამას ფარულად თანაყოფოდა ალავერდელი“¹⁷.

მოტანილი მაგალითების ანალიზით ირკვევა, რომ „თანაყოფა“ გულისხ-
მობდა როგორც ძალადობით (სოდომელთა მუქარა), ისე ნებაყოფლობით (ყვე-
ლა სხვა შემთხვევა) სქესობრივ კავშირს. ამიტომაც „თანაყოფა“ ვერ შეცვლის
„გაუპატიურებას“, რომელსაც დღეს მხოლოდ სქესობრივი ძალადობის მნიშვ-
ნელობა შერჩა და ამ მნიშვნელობით მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცნობიე-
რებაში. იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში. მაგრამ „თანაყოფა“ წარ-
მატებით შეცვლის მთელ წინადადებას — „სქესობრივი კავშირის დაჭერა“. ეს
არა მარტო იურიდიულად დახვეწილ ფორმას მისცემს რამდენიმე მუხლს, არა-
მედ უფრო ესთეტიკურიც იქნება.

ოთარ ჯორჯა

¹⁶ „ქართლის ცხოვრება“. ტ. 2, გვ. 253.

¹⁷ იქვე, ტ. 4, გვ. 580.



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 880048, თბილისი, გრიბომედოვის 19
ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 5,08,91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29,11,91 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5, შეკვ. № 1526 ტირაჟი 10 000.

საქართველოს შურნალ-პაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ სტამბა,
380008, თბილისი, მ. კოსტავას 14

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло».

ფანდი 2 მან.
ინფორმაცი 76185

6155/3

